F 70
1902

3.19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

185

№ XI

ნოემბერი, 1902

ტფილისი
სტამბა ორმ.ბრ. ძმებ.ფრიდ. ბრეიტკოპფისა ოფ.ეროვ.ადგ.ტ...ბა.
1902

საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
თბილისი

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 Ноября 1902 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ბეჭ.

I—სამნი.—მ. გორკისა, თარგმანი იგ. ბოლუმორდვინოვისა. (გაგრძელება) 1

II—ტარას ბულბა.—(მოთხრობა) ნ. ვ. გოგოლისა, თარგმანი ინ-ანისა (დასასრული) 41

III—ვაი ჭკუისაგან.—ოთხ-მოქმედებიანი კომედია ა. გრიბოედოვი'ს, თარგმანი განდეგილისა . . . 73

IV—არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.—ე. თაყაიშვილისა 1

V—უცხოეთის მიმოხილვა.—1. ავღანისტანი.—2. ინგლისის ლიბერალები.—3. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი რუზველტი და პატრიოტიზმი.—4. დელკასე და პელტანი.—5. გერმანელი კათოლიკე და 'ოლონელი. . . 22

დამატება.—საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.—ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლ—ს . . . 273—320

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ს ა მ ნ ი“

მ. გორკისა

თარგმნილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ

პეტრუხა ფილიმონოვის სახლში დაბრუნების უმალ ილია დარწმუნდა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში მართლა ძალიან გაზდილიყო. ყველა ყურადღებით ექცეოდა და ცნობის მოყვარეობით უყურებდა. პერფიშკამ ხელიც ჩამოართვა.

— ნოქარს ვახლავარ! რა, გაათავე სამსახური? ვიცი, ვიცი, რაებიც ჩაგიდენია—ხა, ხა! ეჰ, ჩემო ძმაო, იმათ ისეთი ენა უყვართ, რომელიც ფეხის გულებს ულოკავს მათ, და ის კი, რომელიც სიმართლეს ემსახურება, ის არაფრად ეჭაშნიკებათ...

მაშომ დაინახა თუ არა ილია, გახარებულმა შეჰკივლა:

— ოჰო! რამოდენა გამხდარხარ!

იაკობსაც გაუხარდა:

— აი ისევ ერთად ვიცხოვრებთ ეხლა.. მე ერთი წიგნი მაქვს „ალბიგოელები“—ისეთი ისტორიაა, რომ ჰა!.. იქ ერთი სიმონ მონფორია გამოყვანილი... ოჰ, აბა ისა ყოფილა საკვირველი კაცი აი—და აჩქარებით დაიწყო წიგნის შინაარსის გადაცემა. იაკობის მაყურებელმა, ილიამ სიამოვნებით გაიფიქრა, ჩემი დიდ-თავა ამხანაგი როგორიც იყო. ისევ ისეთი დარჩენილაო. ილიას საქციელში, რომელმაც ყველა, ვინც კი იც-

---

*) იხ. „მოამბე“ მე-10 №-რი.

ნობდა მას, ალაპარაკა, იაკობმა ლირსშესანიშნავი ვერაფერი დაინახა. მან მოუსმინა ამხანაგს ეს ამბავი და უთხრა:

— ეგრე უნდოდა, მაშ! .

ცოტა არ იყოს მისმა ამბავთანა მოპყრობამ აწყენინა ილიას.

პეტრუხამაც მოუსმინა ილიას ვაჭართან მომხდარი ამბავი და, როგორც შეეტყო, გაუკვირდა და დაუფარავად უთხრა:

— ყოჩაღათ მოქცეულხარ, ძმაო, ყოჩაღათ! კირილ ივანიჩი კი, რასაკვირველია, კარაპს შენში ვერ გასცლიდა. კარაპმა საქმე იცის და მისი ფასი პატარა არ არის. შენ კი მაგ შემთხვევის შემდეგ ველარ იცხოვრებდი იმასთან... შენ სიმართლის სამსახურში, ცხადათ და აშკარად გამოსულხარ იმის წინააღმდეგ და კიდეც იმიტომ უჯობნია იმას შენთვის...

მეორე დღეს კი ტერენტიმ ჩუმად უთხრა ძმისწულს:

— პეტრუხას ძალიან ნუ გაუსწორებ გულსა... ცოტა ფრთხილად იყავი.. შეგიძულა... სულ გაგინებს... ეჰ, გამოჩენილა მართლის მოყვარეო! ერთი დამიხედეთ იმასაო... მერე რად არის მართლის მოყვარეო? იმიტომ, რომ ჯერ კიდეც ბრიყვიაო! ჰო... აი, რას ამბობს...

ილიამ მოუსმინა ბიძას ლაპარაკი და ჩაიცინა.

— გუშინ კი მაქებდა,—ყოჩაღად მოქცეულხარო. აი, ეგრეა ყველა: პირში გაქებენ და პირს უკან კი გლანძღავენ...

მაგრამ პეტრუხას აზრმა ვერ იქონია ილიაზედ გავლენა და უკანასკნელი მაინც დიდი აზრისა იყო თავის თავზედ. ის ცხადათა ჰგრძნობდა თავისს თავს გმირად და ესმოდა, რომ ვაჭართან ძალიან კარგად მოიქცა, ისე კარგათ, რომ სხვა იმის ადგილას ასე არავინ მოიქცეოდა.

ორი თუ სამი თვის შემდეგ, როცა ბევრი ძებნისა და ხვეწნის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ახალს ადგილს ძნელად იშოვიდნენ და იქნება სულაც ვერ ეშოვნათ, ილიასა და მის ბიძას შემდეგი ლაპარაკი ჩამოუვარდათ:

—ჰო...—ოხვრით ამბობდა კუზიანი:— აღარ არის შენთვის ადგილი... სუყველგან იმას ამბობენ—დიდიაო... მაშ როგორ ვიცხოვროთ, ჩემო კარგო? ჰა?

ილიამ დინჯად და დალაგებით მიუგო:

— მე ხუთმეტი წლისა ვარ... წერა-კითხვა ვიცი, სულელი არა ვარ... და თუ თავხედი ვარ, სულ ერთია, სხვა ადგილიც რომ მიშოვნოთ იქიდანაც გამომაგდებენ... ეს ცხადია! ვისთვის რა საჭიროა თავხედი მოსამსახურე?

— მაშ რა ვქნათ? მითხარი! —დეეკითხა შეშინებული ტერენტი და მაგრა დაეყრდნო ლოგინს, რომელზედაც ჩამომჯდარი იყო.

— აი რა: გააკეთებინე ერთი ყუთი და წვრილმანი საქონელი მიყიდე: საპონი, ნემსი, ძაფი, წიგნები... სუყველაფერი... ვივლი და მე ჩემით ვივაჭრებ...

— როგორლაც არ მესმის, ილიკო, მე ეგენი. თავში სულ ჩვენი სამიკიტნო მიკაკუნებს!.. ტუკ, ტუკ, ტუკ... სულ მუდამ... მსჯელობაც დამეკარგა... თვალშიცა და გულშიც სულ ერთი და იგივე... სულ ისა... ფიქრშიც კი ის მიზის...

კუზიანს მართლა რაღაც აზრი შესჩერებოდა თვალებში და გაჰყინოდა, მისი უსიცოცხლო თვალები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს რაღასაც სთვლის და ვერას გზით ვერ დაუთვლიაო.

— შენა სცადე, რა გინდა? შენ მე გამიშვი...—ეხვეწებოდა ილია. ახალი აზრით გატაცებული, რომელიც თავისუფლებას ჰპირდებოდა მომავალში.

— ეჰ, კარგი, ღმერთი იყოს შენი შემწე! ვცადოთ...

— აი ეგრე! შენ თითონ დაინახავ, რაც გამოვა—შეჰყვირა გახარებულმა ილიამ.

— ეჰჰ!—ღრმად ამოიოხრა ტერენტიმ და ნაღვლიანად განაგრძო:

— გაიზარდე ბარემ ერთი! ჰეი—შენ რომ ეხლა ცოტა მოზდილი მყავდე!.. წავიდოდი სადმე... ეხლა კი ხომალდის კავსავითა ხარ ჩემთვის... შენი გამოისობით არის, რომ ვდგევარ ამ დამპალ, აყროლებულ ჭაობში.. და ვიღუპები! წავიდოდი სალოცავად, შევევედრებოდი წმინდანებს: ჩვენო კეთილის მყოფელნო და მფარველნო! შეგცოდეთ მე უბედურმა! სინიდისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაწუხებს. მომხედეთ და გამანთავისუფლეთ, თქვენ ფერხთა მტვერს ვენაცვალები! მწყდ და ფარად მეყავით მაცხოვრის წინაშე განჩინების დღეს მეთქი!

აქ უცბად კუზიანმა ქვითინი ამოუშვა. ილია მიხვდა, რომელ ცოდვაზედაც ლაპარაკობდა ბიძა და თითონაც მოაგონდა ის ცოდვა. შეკრთა, გულის ცემამ უმატა. იმას ებრალებოდა ბიძა, მაგრამ მისი მანუგეშებელი სიტყვა ვერ მოეძებნა და იყო გაჩუმებული. მხოლოდ მაშინ, როცა დაინახა, რომ კუზიანის ჩაცვივნულ თვალებიდან უფრო უმატა ცრემლთა დენამ, წაილაპარაკა:

— კარგი, ნუ სტირი...—დაიცა, ცოტას მოვიმაგრებ ფეხსა და მაშინ წახვალ...—მერე გაჩუმდა, ჩაფიქრდა და ნუგეშის-ცემით დაუმატა:

— არა უშავს-რა, გაპატიებენ...

— მაპატიებენ კია?—ნელის ხმით დაეკითხა ტერენტი. ყმაწვილმა დაბეჯითებით გაუმეორა:

— გაპატიებენ!.. მაგისთანეებს აპატიებენ ხოლმე?!.. მე განა არ ვიცი!..

ასე დაიწყო ილიამ ვაჭრობა. დილიდან საღამომდის დადიოდა ქუჩა-ქუჩა გულზედ ყუთ ჩამოკიდებული და შავი თვალების ბჟუტვით და ცხვირის მაღლა აწევით ღირსებით უყურებდა გამვლელ-გამომვლელს. ჩამოიფხატავდა ქუდს თავზედ და ყმაწვილურის, სუფთა ხმით გაიძახოდა:

— საპონი! ვაქსი! პომადა! შპილკები, ქინძისთავები! ნემსები! წიგნები, კაი წიგნები!

ცხოვრება სჩქეფდა, სცემდა მრავალ ტოტად და ფერად ტალღებად მისცურავდა ილიას გვერდით; ილიაც თავისუფლად და მსუბუქად მისცურავდა ამ ტალღათა დენაში და თავს ეგრედვე ადამიანად ჰგრძნობდა, როგორც ყველა. ბაზრებში დაძვრებოდა, სამიკიტნოებში, საჩაიებში შედიოდა, მედიდურად თხოულობდა ჩაის და დინჯად დიდი ხანი შეექცეოდა მას თეთრი პურის შეტანებით. ცხოვრება მას უბირად და სასიამოთ მიაჩნდა. მისი ოცნებანიც ეგრეთვე უბირ და ნათელ ფორმებს იღებდნენ:

ის ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე თავს რამდენიმე წლის შემდეგ კოპწია, მაგრამ სუფთად მოწყობილ დუქნის პატრონად, სადმე კარგს, მაგრამ დიდი მოძრაობის ქუჩაზედ კი არა. დუქანში—მსუბუქი და სუფთა სასამკაულო ნივთები ელაგა, რომლებიც არც ვაჭარსა სვრიან და არც ტანთსაცმელს აფუჭებენ. თითონაც სუფთა და ჯან-საღი ლამაზად გამოიყურება..—ქუჩაზედ ყველა პატივსა სცემს და ქალები კი არშიყი და ალერსიანი თვალებით შესცქერიან. საღამოთი, როცა დუქანს დაჰკეტავს, ზის იქვე დუქნის გვერდზედ კოპწიად მოწყობილ ოთახში, ჩაის შეექცევა და თან წიგნსა ჰკითხულობს. სისუფთავე ყოველ კეთილ ცხოვრების პირველ და უსაჭიროეს პირობათ მიაჩნდა. ასე ოცნებობდა, როცა ვაჭრობაც კარგათ მიდიოდა და არც არავინ აწყენინებდა თავისი უხეში ქცევით. მას შემდეგ, რა დღესაც ილიამ თავი თავისუფალ კაცად იცნო, ის ვეღარ იტანდა ცუდათ მოპყრობას და ყველაფერი მალე ეწყინებოდა ხოლმე.

მაგრამ იმისთანა დროს კია, როცა ვერაფერს გაჰყიდდა და დაღალულ-დაქანცული იჯდა რომელსამე დუქანში, ან ქუჩაში, მაშინ კი სიმწარით მოიგონებდა ხოლმე პოლიციელების მუჯლუგუნებს, მუშტრების ეჭვის თვალით ცქერას, თავისთანავე ვაჭრების გინება-დაცინვას და რაღაც უსიამოვნო გრძნობანი გაელვიძებოდნენ ხოლმე გულში. მისი განივრად გაღებული თვალები ღრმად იყურებოდნენ ცხოვრებაში და შთაბეჭდილებით მდიდარი მეხსიერება მის გონების მეხანიზმს მასალას არ ულევდა. ის ცხადათ და ნათლად ჰგრძნობდა, რომ ყოველი კაცი მასთან ერთად, ერთ და იმავე მიზნისკენ მიილტვის, ერთს და იმავე საგანს ეტრფის და ყველა მათგანი მისებრ თავისუფალი, მაძღარი და სუფთა ცხოვრების მაძიებელი და მონატრეა. ყველა ისეა გატაცებული თავისი მიზნით, რომ მოურიდებლად და დაურცხვენად იშორებს თავიდამ ყველას, ვინც კი გზაზედ გადაეღობება და მის მოქმედებას ხელს უშლის; ყველა გაუმაძღარია, შეუბრალებელი, ულმობელი და ხშირად, სრულიად უმიზეზოთ, მხოლოდ ერთი სიამოვნების გულისთვის ამცირებს თავის მოძმეებს და ავიწროებს მათ. ხანდახან სიცილ-ხარხარით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცდილობს იგი შეჰბღალოს მათში ყოველი ადამიანური ღირსება და ძნელათ თუ ვინმე შეიცოდებს ხოლმე მათ...

ამისთანა ფიქრების ზედ გავლენის ქვეშ ვაჭრობაც მომაბეზრებლად მიაჩნდა ხოლმე და კოპწია, მაგრამ ლამაზი დუქნის ოცნებაც ილეოდა და ჰქრებოდა მასში. ამ დროს გულში სიფუჭეს და ჯანში სიზარმაცეს ჰგრძნობდა, მას ეგონა ამისთანა ვაჭრობით მე მთელ ჩემ სიცოცხლეში იმდენ ფულს ვერ მოვაგროვებ, რომ დუქანი გავიღო და მხრებში ტკივილით და კისერზედ ყუთ გადაგდებული ხეტიალით სადმე ქუჩაზედ, ან სიცხე პაპანაქებაში, ან ყინვა-სიცივეში, სული ამოჰხდება და ასე დავამთავრებ ჩემს უფერულ ცხოვრებასაო. მაგრამ გამარჯვება ვაჭრობაში ისევ გამოაფხიზლებდა და ოცნებებს გაუცხოვლებდა ხოლმე. ერთხელ, როგორღაც, ერთ დიდ ქუჩაზედ პაშკა გრაჩევს მოჰკრა თვალი. მჭედლის შვილი როგორღაც უნაღვლოთ და დაუდევრად მიაბოტებდა ფეხებს, ხელები დაგლეჯილ-დაფლეთილ შალვრის ჯიბეში ჩაეწყო, მხრებზედ გრძელი და განიერი ლურჯი ბლუზა ეკიდა, ისიც დაგლეჯილ მოსვრილ მოთხვრილი და ვებერთელა, ფლაყვ წაღებს უცნაური რახა-რუხი გაუდიოდათ ქვაფენილზედ. გატეხილ „კაზიროკიანი“ ქუდი მარცხენა ყურისკენ გადაეწია და მოპარსულ ნახევარ თავს მზე თავისუფლად ახურებდა; ცხვირ პირი და კისერი კი რაღაც ქონისებური ჭუჭყითა ჰქონდა მოსვრილი. იმან შორიდანვე იცნო ილია, მხიარულად დაუქნია თავი და მის მისაგებებლად ფეხი გაიჩქარა.

— გამარჯობა!—უთხრა ილიამ:—როგორ ყოჩაღად გამოიყურები!..

პაშკამ მაგრა მოუჭირა ხელი, გაიცინა. ვის გამურულ-მოსვრილ სახეზედ თვალები და კბილები თეთრად, მოცინარად გამოიყურებოდნენ.

— როგორა სცხოვრობ?

— ვცხოვრობთ, როგორც შეგვიძლიან, თუ მაქვს პური—დავხრავ, თუ არა და მოვსთქვამ და ისე დავიძინებთ... ხა, ხა, ხა! ძაან გამეხარდა, მე და ჩემმა ღმერთმა, შენი ნახვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატო ერთი ალარ შემოიარე?—დაეკითხა ღიმილთი ილია. მასაც უხაროდა, რომ თავისს ძველ მეგობარს ეს მხიარულად და ყოჩაღათა ჰხედავდა. მან ჯერ პაშკას დაგლეჯილ წაღებს გადახედა, მერე—თავის ცხრა მანეთიანებს და ნასიამოვნებმა გაიღიმა.

— მერე რა ვიცი, სადა სცხოვრობ...—უთხრა გრაჩევმა.

— ისევ იქ, ფილიმონოვთან...

— ღმერთმანი? იაშკამ კი მითხრა, სადღაც თევზითა ვაჭრობსო.

მაშინ ამაყათ მოუყვა ილია თავისს თავგადასავალს სტროგანის სავაჭრო დუქანში.

— ჰხედავ?—შესძახა მოწონებით გრაჩევმა:—არც მე მადგია კაი დღე, ჩემო ძმაო... სტამბიდან გამომაგდეს და მხატვართან შევედი მოსამსახურედ... ღმერთი გამიწყრა და ერთხელ ახალ დახატულ „ვივესკებზედ“ კი დავჯექი, თურმე ნუ იტყვი ჯერ ისევ სველი ყოფილიყო... მოჰყვნენ, ბატონო, ჩემ ცემას!.. მცემეს, რა მცემეს, ძმაო, რომ ჰა! პატრონმაცა მცემა, ბატონის ცოლმაც, თითონ მხატვარმაც... ასე მეგონა დაიხოცებიან ეს ოხრები ჩემი ცემითა მეთქი... მერე გამაგდეს.. ეხლა ერთი ვიღაც მილების გამყვანია, იმასთანა ვცხოვრობ... ექვსი მანათი მაქვს თვეში... ეხლა სადილად ვიყავ და სამუშაოდ მივდივარ აგერ...

— მერე არ გეჩქარება?

— ეჰ, წავიდეს, ოხერი! რაც გინდა აჩქარდე, სულ, ერთია ვერ გაათავებ რაც ქვეყანაზედ სამუშაოა! ერთი თქვენსა უნდა შემოვიარო როდისმე...

— შემოიარე!—მეგობრულად უთხრა ილიამ.

— წიგნებსა ჰკითხულობთ ისევ?

— მაშ! შენა?

— მეცა ვკითხულობ ცოტა-ცოტა.

— ლექსებსაცა სწერ?..

— ლექსებსაცა ვწერ...

პაშკამ ისევ გადიხარხარა მხიარულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემოიარე! ლექსებიც წამოიღე...

— ღმერთმანი მოვალ... არაყსაც მოვიტან...

— შეექცევი განა?

— ვსრუტავთ... ეჰ, მშვიდობით...

— მშვიდობით!—უთხრა ილიამ და თავის გზას გაუდგა. გზაში სულ პაშკაზედ ფიქრობდა. მას ძალიან უკვირდა და ვერ გაეგო, რისგან იყო, რომ იმასთანა დაგლეჯილ-დაფლეთილმა პაშკამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია—არც მის მაგარ და კოხტა წაღებს, არც სუფთა ტანსაცმელს და არამც თუ არ შეშურდა, მგონი, არც კი შენიშნა მასში ეს ცვლილებანი. მაშინ კი, როცა უამბო ილიამ თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება, მას მეტად გაუხარდა. რაღაც გამოურკვეველი და მისთვის უცნობი გულის ცემით გაიფიქრა ილიამ: ნუ თუ გრაჩევს არ უნდა ის, რაც ყველას ენატრება და რასაც ყველა ეტრფის? განა სუფთა, დამოუკიდებელი და მშვიდობიანი ცხოვრების მეტი კაცს შეიძლება სხვა რამე უნდოდეს ქვეყანაზედ?

უფრო ხშირად ეკლესიაში წასვლის შემდეგ ეწვეოდა ხოლომე ილიას ნაღველი და რიღასიც გამოურკვეველი შიში. იშვიათად თუ მოაკლდებოდა როდისმე ილია წირვას და საღამოს ლოცვას; ეკლესიაში ის ყოველთვის დიდის სიამოვნებით დადიოდა მაგრამ კი არ ლოცულობდა, მივიდოდა მხოლოდ, სადმე კუნჭულში გაჩერდებოდა, უყურებდა მლოცველებს და გალობას უგდებდა ყურსა. მლოცველნი უნძრეველივ, ჩუმად იდგნენ ერთ ადგილას და მათ სიჩუმეში რაღაც ერთობა და ერთგულობა იხატებოდა, თითქო ყველა მათგანი ჯიუტად ჰფიქრობს იმასვე, რაზედაც სხვები ჰფიქრობენო. გალობის ტალღანი, საკმევლის ბოლთან ერთად ნაზათ დასცურავდნენ ეკლესიის ჰაერში და დრო გამოშვებით ილიას ეგონა—მეც ავყევი მათ ეკლესიის სივრცეში, დავცურავ მათთან ერთად ამ თბილ და სუნნელოვან ჰაერში და მათში ვიკარგებიო. იმ დღესასწაულებრივ აღფრთოვანებულ გრძნობაში, რომელიც მლაღადებელთა სულსა და გულს ავსებდა, ალმობიერებდა და ეკლესიის სივრცეში დასცურავდა, ისეთი რა-

ლაც გამოიჭვრიტებოდა, რაც სრულიად უცხო იყო ცხოვრების თავპირის მტვრევაში, მის ტალღათა დენაში და მის მისწრაფებათ და ლტოლვილებათ არ უდგებოდა და არ შეჰფეროდა. პირველ ხანებში ეს შთაბეჭდილება სხვა კუნჭულს ჰპოულობ და ილიას გულში და საყოველდღეო, საზოგადო შთაბეჭდილებების მოშორებით ჰბუდობდა, არ ერეოდა მათში და, რასაკვირველია, არ აწუხებდა ილიას. მაგრამ მერე კი შენიშნა, რომ მის გულში რაღაცამ დაიბუდა და მის ყოველ ნაბიჯს, ყოველ საქციელს გამუდმებით თვალს ადევნებდა. ცხოვრების ტალღათა ჩქეფა-ღელვაში სადღაც მიმალული და მიყუჩებული, შევიდოდა თუ არა ილია ეკკლესიაში, ის ნელ-ნელა დაიწყებდა მის გულში ზრდას და მის სუფთა და თავისუფალ ცხოვრების ოცნებებს წინააღმდეგობას და ბრძოლას დაუწყებდა ხოლმე. ამისთანა წუთებში მას ყოველთვის განდეგილი ანტიპა და სიყვარულით სავსე პაპა ერემეის სიტყვები მოაგონდებოდა ხოლმე.

„ღმერთი ყველაფერს ჰხედავს და ყველაფერს საზღვარს აძლევს! გარნა ღვთისა—არავინაა!“

ილია რაღაც გამოურკვეველი მოუსვენრობის გრძნობით ჰბრუნდებოდა სახლში და ჰხედავდა, რომ მისი ოცნებანი და მომავლის იმედები დაშრტნენ და გახუნდნენ მასში და, თითონ მის გულშივეა რაღაც, რაც გაბოროტებული ეწინააღმდეგება მას და სუფთა სამკაულებით ვაჭრობა არა სურს. მაგრამ ცხოვრების მძლავრი ტალღანი ისევ გაიტაცებდნენ ილიას და ის რაღაც ისევ მიიმალებოდა ხოლმე სულისა და გულის სიღრმეში...

თუმცა ყველაფერზედ ელაპარაკებოდა ილია იაკობს, მაგრამ ამ სულისა და გულის გაყოფას, თავისს ორ ბუნებათ ცხოვრებას არასოდეს არ შეეხებოდა ხოლმე. თითონაც ნება უნებურად თუ დაიწყებდა ამაზედ ფიქრსა, თორემ თავისს ნებით კი თვის აზრთა დენას ამ უცხო და გაუგებელ გრძნობაზედ არა სოდეს არ შეაჩერებდა. საღამოებს ილია ძალიან კარგად ატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა. დაბრუნდებოდა თუ არა ქალაქიდან, ჩავიდოდა მაშოსთან სარდაფში და ოჯახის პატრონსავით დაეკითხებოდა:

— მაშიკო! სამოვრის საქმე როგორ არის?

სამოვარი კი უკვე მზად იყო და მაგიდაზე ჩუხჩუხი და სტვენა გაჰქონდა. ილია ყოველთვის გემრიელ რამეს მოიტანდა ხოლმე თან: ქადებს, კაკალა პურებს, თაფლა პურებს და ხანდა-ხან მურაბასაც მოუცუხცუხებდა მაშიკოს. სწორედ და ამიტომ იყო, რომ გოგოს ძალიან უყვარდა მისი გამასპინძლება. ეხლა მაშოსაცა ჰქონდა პატარა საშოვარი: მატიცამ ქალალდის ვარდების კეთება ასწავლა და მაშოს ძალიან მოსწონდა წმინდა და შრიალა ქალალდებიდან გადაშლილ-გადაპენტილ ვარდს რომ გამოიყვანდა. თავის პატარა თითებით ხან და ხან უზალთუნამდის აიღებდა ხოლმე დღეში. მაშოს მამას საოფლე შეხვდა, ორი თვე მეტი საავადმყოფოში იწვა და ჩამომხმარი, წვრილი და მშვენიერი შავი ხუჭუჭა თმით დაბრუნდა შინ. მოიპარსა გაბანჯგული წვერი და მიუხედავათ მის ჩაყვითლებულ და ჩაცვივნულ ლოყებისა, გეგონებოდათ ხუთი თუ ექვსი წლით გაყმაწვილებულაო. წინანდებურად ის სამუშაოდ სხვაგან მიდიოდა და დასაძინებლათაც კი იშვიათად ბრუნდებოდა სახლში. ქალი უკერებდა საცვლებს, ტანთსაცმელს და სხვებსავით ისიც პერფიშკას უძახოდა მამას. მეჩექმე, როგორც ეტყობოდა, პატივსა სცემდა თავისს თმა ხუჭუჭა გოგოს, რომელიც ისევე მხიარულად და მშვენივრად ხარხარებდა, როგორც თითონ მეჩექმე.

მაშოსთან გატარებული საღამოები ილიას და იაკობს ჩვეულებად გადაექცნენ. მოუსხდებოდნენ ყმაწვილები მაგიდას და ჩაის სმას გააბამდნენ ხოლმე. ჩაისაგან შეხურებულებს სახეზე ხვითქი ჩამოსდიოდათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ყველაფერზე, რაც კი მათ ეხებოდა და ასე თუ ისე აინტერესებდა, მუსაიფობდნენ და მსჯელობდნენ. ილია იმას უამბობდა, რაც ქალაქში ენახა; იაკობი, რომელიც მთელი დღეები წიგნებს ჰკითხულობდა, წიგნებზე, დუქანში მომხდარ ჩხუბებზე ჰლაპარაკობდა, ან არა და მამაზე სჩიოდა და ხანდახან—თან-დათან უფრო ხშირად—რაღასაც ისეთს სჩმახავდა, რაც ილიასაც

და მაშოსაც გაუგებრად და სულელობად მიაჩნდათ ხოლმე. მაშო დილიდან საღამომდის თავისს ოთახში იჯდა, მუშაობდა და ზედ დამღეროდა, საღამოობით კი ვაჟების ლაპარაკს უგდებდა ყურს, თითონ ნაკლებს ლაპარაკობდა და თუ იყო რამე სასაცილო, იცინოდა. ჩაი მეტად გემრიელი იყო ხოლმე და ჟანგისაგან სულ მთლად გამწვანებული სამოვარი ალერსიანად გამოიყურებოდა და ეშმაკურად უცინოდა ყმაწვილებს. თითქმის ყოველთვის, შევიდოდნენ თუ არა ყმაწვილები ჩაის სმის გემოში, სამოვარი გულ-კეთილი ეშმაკობით გუგუნს და ბუზღუნს მოჰყვებოდა; ეს იმას ნიშნავდა—„უკაცრავად, წყალს ველარ მოგართმევთო!“ მაშინ წამოხტებოდა მაშო, გააცუხცუხებდა სამოვარს და წყალს დაუმატებდა. იშვიათად მოხდებოდა ისეთი საღამო, რომ რამდენჯერმე არ დაემატებინა წყალი.

თუ მთვარე ამოვიდოდა, მისი სხივიც ჩაერეოდა ხოლმე ბავშვების გუნდში, მაგრამ რაც უნდა ჩახჩახა მთვარე ყოფილიყო, ყოველთვის მხოლოდ ვიწრო ზოლად თუ ჩაიხედავდა, რადგან პატარა სარკმელი მეტს სინათლეს დღისითაც კი არ გაატარებდა ხოლმე.

ამ პატარა, დამპალი კედლებით შეზღუდულ და მძიმე დაბალ ჭერიან სოროში—ჰაერის, სინათლის, წყლის, პურის, შაქრის და კიდევ ბევრი სხ. რამის უქონლობას და ნაკლებულობას ჰგრძნობდნენ, მაგრამ მასში ყოველთვის სიმხიარულე იყო და ყოველ საღამოს ბევრი კაი გრძნობა და სპეტაკი, უხინჯო აზრი იბადებოდა.

ხან-და-ხან ყმაწვილების ჩაის სმას პერფიშკაც დაესწროდა. ჩვეულებრივ, ის ბნელ კუნჭულში მიჯდებოდა, მიწაში ჩამძვრალ და ცოტა გადახრილ ფეჩის მახლობლად, ან არა და თითონ ფეჩზედ შეძვრებოდა, გადმოჰყოფდა იქიდან თავსა და სარდაფის სიბნელეში მისი თეთრი და წვრილი კბილები თეთრად გამოსჭვიოდნენ. ქალი ჩაისა, შაქრის ნატეხსა და პურს მიუტანდა, მამა გამოართმევდა და თითქმის ყოველთვის ეტყოდა:

— დიდათა გმადლობთ, მარია პერფილევნა, ჩაქცეული ვარ თქვენი პატივის-ცემით და კეთილის გულით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდა--ხან კი ამოიოხრებდა შურით და შესძახებდა.

— კარგად კი სცხოვრობთ, თქვე სახელძაღლებო! თითქო ნამდვილი ადამიანები არიანო...

და მერე ოხვრით და ღიმილით მოჰყვებოდა:

— ცხოვრება თან-და-თან უკეთესდება! რაც ხანი და ჟამი გადის, უფრო კარგად ცხოვრობს ადამიანი. თქვენ ხანში მე ერთ მათრახს თუ ვემუსაიფებოდი ხოლმე. დამიწყებდა ზურგზე ცაცუნს და მე კი მეტის-მეტი სიამოვნებისაგან ვღრიალებდი რაც ძალი და ღონე მქონდა. დამანებებდა თავსა და ზურგს ეწყინებოდა, ცხვირს ჩამოუშვებდა, ჰკვნესოდა და ძვირფასი მეგობრის მოშორებას ნაღვლობდა. მადლობა ღმერთს, დიდი ლოდინი არ დასჭირდებოდა ხოლმე. ოჰ, მშვენიერი, მგრძნობიერი რამ იყო ეს მათრახი! დიაღ, ეს ერთად-ერთი სიამოვნება მქონდა მე ცხოვრებაში, ღმერთმანი! აი, წამოიზდებით ეხლა თქვენა და მოიგონებთ... თქვენს ლაპარაკს, სხვა-და-სხვა შემთხვევებს და მთლად თქვენს ტკბილ ცხოვრებას. მე კი აგერ დავბერდი,—ოც-და-მეთექვსმეტე წელში გადავდექი,—და მოსაგონი კი არა მაქვს-რა. არც ერთი ნაპერწკალი! სრულიად არაფერი მაქვს მოსაგონი. თითქოს თქვენ ხანში ბრმა და ყრუ ვყოფილიყო. ერთი ის მახსოვს მხოლოდ, რომ სიმშილისაგან კბილები მიკაწკაწებდნენ მუდამ და სიცივისაგან ცხვირ-პირი მილურჯდებოდა...—ის კი, როგორ შემრჩნენ კიდევ ძვლები, ყურები და თმები—მე დღესაც ვერ გამიგია. ერთი ეს იყო ფეჩით არა მცემდნენ ხოლმე, თორემ ფეჩზე კი იმდენს მინარცხებდნენ თავსა, რამდენიც თქვენ სულსა და გულს უნდა! დიაღ, სცდილობდნენ, მასწავლიდნენ და თოკსავით მგრეხდნენ, და თუმცა მცემდნენ, ტყავს მაძრობდნენ, ჩემ სისხლსა სწოვდნენ და ძირს მანარცხებდნენ—გამძლეა მაინც რუსი! გინდა ავანდასტში ნაყე, ის მაინც იპოვის თავისს ადგილს და ფეხზედ წამოდგება! კარგი, მაგარი ადამიანია.. აი მე: კიდეცა მფქვეს, კიდეცა მნაყეს, მაგრამ ვცხოვრობ მაინც, ოფოფსავით დუქნიდან დუქანში ვფრინავ და კმაყოფილი ვარ მთელი ქვეყნით!

ღმერთსაც ვუყვარვარ.—შემომხედა ერთხელ, გაიცინა და მითხრა,—აი, შე ასეთ ისეთოვო.—და მიმანება თავი...

ყმაწვილები ყურს უგდებდნენ მის მწყობრ ლაპარაკს და იცინოდნენ. ილიაც იცინოდა, მაგრამ იმავე დროს მისი ლაპარაკი ერთს და იმავე მომაბეზრებელ აზრს უღვიძებდა თავში. ერთხელ მოინდომა მისი გამორკვევა და სიცილით დაეკითხა მეჩექმეს:

— მაშ ეგრე, პერფიშკა, შენ არაფერი გინდა ცხოვრებაში, ჰა?

— მაგას ვინ ამბობს? მე, მაგალითად, გადაკვრა ყოველთვის მინდა ხოლმე.

— არა, მართალი მითხარი; ხომ გინდა რამე ცხოვრებაში?—გაუმეორა ილიამ კითხვა.

— მართალი გითხრა? მაშ... მაშ ერთ კაი „ბუზიკას“ ვინატრებდი... ესე ოც ოც-და ხუთ მანათიანსა!.. ჰეე, მაშინ გაჩვენებდით მე თქვენ სეირსა!.

აქ ჩაფიქრდა და ნელა, სიამოვნებით ჩაიცინა, მაგრამ იმ წუთშივე რალაც მოისაზრა და დაბეჯითებით უთხრა ილიას:

— ეჰ, არა, ძმაო, „ბუზიკაც“ არ არის ჩემთვის საჭირო... ჯერ ერთი—ძვირფას „ბუზიკას“ დავაგირავებდი ან გავყიდდი, ეს ერთი! მეორეც—ერთიც ვნახოთ ჩემ „ბუზიკაზედ“ ცუდი გამომდგარიყო?—ორი! ეხლა ჩემ „ბუზიკას“ ფასი არა აქვს!.. მასში სულია ჩემი დაბუდებული! იმას ზედ-მიწევნით აქვს ჩემი ხასიათი შესწავლილი: მე გავიფიქრებ თუ არა თითის დადებას, ის მღერის კიდეც!.. ეჰ, ჩემი ბუზიკისთანა სხვა, ჩემო ძმაო, ძნელად თუ სადმე მოიძებნება,—ვინ იცის, იქნება ამისთანა სხვა არც კი არის ქვეყანაზედა და... ბუზიკა—როგორც ცოლი... მე ცოლიც ისეთი მყავდა, რომ ანგელოზი იყო; ადამიანი კი არა! ეხლა ჩემი ჯვრის დაწერა ვის გაუგონია? იმისთანას სხვას, სულ ერთია, ვერ ვიშოვნი... ახალს ცოლს, უეჭველია, ძველი საზომით გავზომავ, ის ვერ გამოდგება კარგი... რასაკვირველია, კარგი არ მოგვივა არც მე, არც იმას! ასე, ჩემო ძმაო... ის ხომ არ არის კარგი, რაც კარგია, ის არის კარგი, რაც საყვარელია!

ბუზიკის ქება-დიდებაში ილია ეთანხმებოდა მეჩექმეს. პერ-ფიშკას „ბუზიკა“ თავისი წკრიალა ხმით და გრძნობით ყველას აკვირვებდა და ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა. მაგრამ იმას კი, რომ მეჩექმეს ვითომ არაფერი ნდომოდეს და არაფერს ესწრაფებოდეს ცხოვრებაში, ის არას გზით არ დაიჯერებდა. ამ შემთხვევაში მას ნათელი და აშკარა კითხვა ებადებოდა: ნუ თუ შეიძლება ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე ჭუჭყში იცხოვროს, ძონძებში დადიოდეს, არაყსა სვამდეს, მარტო ბუზიკაზედ უკრავდეს და სხვა კეთილი აღარა უნდოდეს-რა და უკეთესს არ ეტრფოდეს? ეს აზრი ნებას აძლევდა ილიას, რომ პერფიშკასთვის, როგორც სულელისთვის ისე ეცქირნა, მაგრამ იმავე დროს, კარგათ რომ ჩაუკვირდებოდა იმის დაუდევარ ცხოვრებას, ცხადათა ჰგრძნობდა, რომ მეჩექმე ამ სახლში სულით და გულით ყველაზედ უკეთესი იყო, თუმცა ერთ თავად ლოთობასა დაქეიფებში კი ატარებდა დროს.

ხანდახან ყმაწვილები იმ დიად და ღრმა კითხვებს მიუახლოვდებოდნენ ხოლმე, რომელნიც გაიხსნებიან რა ადამიანის თვალ წინ უძირო უფსკრულსავით, მის ფხიზელ გონებას და გულს უძლეველად იზიდავენ თავის საიდუმლოებითი სიბნელისკენ. ამ კითხვებს იაკობი აღძრავდა ხოლმე. მას საკვირველი ჩვეულება დასჩემდა: ის სუყველაფერს ეკროდა, თითქოს ჰგრძნობს თავისს ფეხის სისუსტეს და თავს არ ენდობაო. თუ იჯდა ან მახლობლად მდგარ საგანს მიეყრდნობოდა, ან მაგრა დაებჯენდა ხელებსა. ქუჩაში როცა მიდიოდა ჩქარის ნაბიჯით, კედლებს და ბოძებს ჰკიდებდა ხელებს, თითქოს სთვლის მათ, ან მათი სიმაგრის გაგება უნდაო. მაშოსთან ჩაის სმის დროს იაკობი ფანჯარასთან მიჯდებოდა, ისე რომ ზურგით კედელს მიჰყუდებოდა და მისი გრძელი თითები თითქმის ყოველთვის ან სკამის ზურგს, ან მაგიდას ებღაუჭებოდნენ ხოლმე. რბილ და სწორე თმიან დიდ თავს ის სულ მუდამ გვერდზედ გადაჰქინდრავდა და ისე უყურებდა თვის მობაასეს და მისი მსხვილი ცისფერი თვალები ხან იბჟუტებოდნენ და ხან განივრად გაიღებოდნენ. მას წინანდებურად თავისი სიზრმების გადაცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ უყვარდა და წაკითხული წიგნის გადაცემას ისე ვერ მოახერხებდა, რომ რამე საოცარი და გაუგებარი არა ჩაემატებინა რა თავის მხრით. ილია დაიჭერდა ხოლმე ამ გადამეტებაში, მაგრამ იაკობი დინჯათ და თავისუფლად ეტყოდა:

— ისე სჯობიან როგორც მე გიამბეთ, მარტო სამღთო რჯულის გადაკეთება და შენებურად ახსნა არ შეიძლება, თორემ უბრალო წიგნები, რამდენიც გინდა!.. კაცის დაწერილი არ არის, და მეც ხომ ადამიანი ვარ? მე შემიძლიან შევასწორო, თუ არ მომწონს.. ეგ არაფერი, შენ ერთი ეს მითხარი—როცა გძინავს, სად არის ხოლმე შენი სული?

— მე რა ვიცი?—მიუგო ილიამ, რომელსაც ამისთანა კითხვები ბევრად არ ეჭაშნიკებოდნენ, რადგან სულ მთლად გადარევდნენ და ცუდს გუნებაზედ დააყენებდნენ ხოლმე.

— მე მგონია და ესეც უნდა იყოს, რომ ამ დროს სული გაჰფრინდება ხოლმე,—გამოაცხადა იაკობმა.

— რასაკვირველია, რომ გაჰფრინდება ხოლმე!—წარმოსთქვა დარწმუნებულმა მაშომ.

— მერე რა იცი?—მკაცრად დაეკითხა ილია.

— ისე... მე ეგრე მგონია.

— გაჰფრინდება მაშ,—ჩაფიქრებული, ღიმილით იტყოდა ხოლმე იაკობი:—იმასაც უნდა დასვენება... აქედამ სიზრმებიც აისხნებიან...

ილიამ არ იცოდა, რა ეთქვა ამის პასუხად, თუმცა ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა არ დასთანხმებოდა ამხანაგს და საწინააღმდეგო რამე ეთქვა. რამდენიმე ხნით ყველანი გაჩუმდე'ოდნენ, ხშირად ეს სიჩუმე რამდენსამე წუთსაც გასტანდა ხოლმე. იმისთანა დროს ბნელს ორმოში თითქოს უფრო ბნელდებოდა. სანათი ხრჩოლავდა, სამოვრის ნახშირის სუნი იდგა და ზევიდან გამოურკვეველი, ყრუ ხმაურობა ისმოდა: ზეით ჰღმუოდა და ღრიალებდა სამიკიტნო. ამ ხმაურობას, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სიჩუმეს ისევ იაკობის ნელი ხმა თუ დაარღვევდა ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხმაურობს ხალხი... მუშაობს, დაძრწის... ამბობენ ცხოვრებენო. მერე უცბათ ერთი ამოიოხრა და მოკვდა კაცი! რასა ნიშნავს ესა? შენ როგორა გგონია, ილია, ჰა?

— მე არაფერიც არა მგონია... დაბერდება ადამიანი და უნდა მოჰკვდეს, მარა!..

— არა... ხშირად ჯეელებიც იხოცებიან, ბავშვებიცა... ჯანსაღებიც იხოცებიან.

— ალბათ, ჯანსაღები არ არიან, რომ იხოცებიან..

— რიღასთვის სცხოვრობს ადამიანი?

— ეჰ! დაიწყო!—დაცინვით წამოიძახებდა ხოლმე ილია როცა იგრძნობდა, რომ პასუხს ვერ მისცემდა კითხვაზედ:— იმიტომ სცხოვრობენ, რომ იცხოვრონ. მუშაობენ, თავიანთ ხვედრს იუმჯობესებენ. ყველას უნდა, რომ კარგი ცხოვრება ჰქონდეს და სცდილობს კაცად გამოვიდეს. ყველა იმ შემთხვევას ეძებს, რომ გამდიდრდეს და კაი სუფთა ცხოვრება დაიწყოს!..

— ეგ ღარიბები. მდიდრები-ღა? იმათ ყველაფერი აქვთ და არც არა აკლიათ-რა, რასაკვირველია... ისინი რაღას ეძებენ?

— ჰე!—სთქვა რუქამ არაკი! შე, სულელო, თუ მდიდრები არ იქნებიან!—მაშ ღარიბებმა ვილასთვის იმუშაონ?

იაკობი დაფიქრდა და ჰკითხა:

— მაშ, შენი აზრით, ყველა იმიტომა სცხოვრობს, რომ იმუშაოს, ჰა?

— ჰო და რა... ესე იგი, ყველა კი არა.. ერთნი მუშაობენ და მეორენი—ისე სცხოვრებენ. იმათ წინათ უმუშავნიათ, გამდიდრებულან და... ეხლა ისე სცხოვრებენ...

— რისთვისა მერე?

— ეშმაკმა იცის იმათი თავი და კისერი! უნდათ თუ არა ცხოვრება, მითხარი? შენც ხომ გინდა სიცოცხლე?—ჰყვირობდა ამხანაგზედ გაჯავრებული ილია. რათა ჯავრობდა?—იმად რომ მაგისთანა კითხვებს რად იძლევიო, თუ ცუდათ იძლევი და მე არ მესმისო? ის ცხადათა ჰგრძნობდა, რომ იაკობის კით-

ხვები რაღასაც ეხებიან მასში, მაგრამ ვერ შეუძრავთ ადგილიდან და მხოლოდ ცუდ გუნებაზედ აყენებს მას.

— შენ თითონ რისთვისა სცხოვრობ, ერთი ეს მითხარი? —უყვიროდა ის ამხანაგს.

— მეც მაგას არ გეუბნები, რომ არ ვიცი მეთქი?—მორჩილად ეუბნებოდა იაკობი:—მე სიამოვნებით მოვკვდებოდი... თუმცა მეშინიან, მაგრამ საინტერესოა მაინც..

და უცბათ ნიშნის მოგებითი და ალერსიანი კილოთი დაიწყებდა:

— შენ კი ცხაროობ, მაგრამ ტყუილად, ძმაო. აბა, დაფიქრდი: ხალხი სამუშაოთ სცხოვრობს, მუშაობა იმათთვის არის.. და თითონ? გამოვიდა რაღაც დაუსრულებელი და დაუბოლოვებელი... ტრიალებს, ტრიალებს და სულ ერთ ადგილას კი სდგას. გამოურკვეველია, რისთვის? ან სად არის ღმერთი? აი ეს ღმერთია ღერძი! ადამსა და ევას უთხრა მან: იმრავლეთ და დაასახლეთ ქვეყანა—რისთვისა მერე?

აქნელის, საიდუმლო ჩურჩულით და შიშით, რომელიც ცისფერ თვალებში გამოიხატებოდა, უთხრა ამხანაგს:

— იცი? ესეც იყო ნათქვამი—ეს „რისთვის? და ვილამაც გასძარცვა ღმერთი... მოჰპარა და დამალა ამის ასხნა... ამას რასაკვირველია, ეშმაკი იზამდა? მაშ სხვა ვინ მოისურვებდა ამას?—ეშმაკი! აი ამიტომაა, რომ არავინ არ იცის—რისთვის?

ილია მის უკავშირო, დაბნეულ ლაპარაკს ყურს უგდებდა გაჩუმებული და ჰგრძნობდა, რომ იგი მთლად იცვავდა მის სულსა და გულს.

იაკობი კი თან-და-თან უფრო აჩქარებულად და ხმის მოკლებით ლაპარაკობდა; თვალები გადმოუბრუნდებოდნენ, მის ფერმკრთალ სახეზედ შიში ჰკრთოდა და ვერაფერს ვერ გაიგებდა კაცი მისი ლაპარაკიდან.

— რა უნდა შენგნით ღმერთსა, იცი? ჰაა?! უცბათ მკაფიოდ გაისმოდა გამარჯვებულის კილოთი წამოძახილი-ჰაა! და ისევ წამოვიდოდა მის ბაგეთაგან ნელი და უკავშირო ლაპარაკი. მაშო გაკვირვებული და პირ-დაღებული შეჰყურებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისს მეგობარს და მფარველს. ილია გაჯავრებული წარბებს იკრავდა. იმას ის სწყინდა, მე რატომ არ მესმის ესენიო. ილია იაკობზედ ჭკვიანად ისახავდა თავსა და ის კი არა, უკანასკნელს თავისი საკვირველი მეხსიერებით და სხ. და-სხ. საგნებზე ლაპარაკით განცვიფრებაში მოჰყავდა იგი. როცა დაიღლებოდა სმენით, სიჩუმე მოსწყინდებოდა და იგრძნობდა თავი რაღაც მძიმე ნისლმა მომიცვაო, ის ველარ მოითმენდა და გაჯავრებული შესწყვეტავდა ორატორის აზრთა და სიტყვათა დენას.

— ეჰ, თავი დამანებე ერთი!.. რაებსა სჩმახავ? ბევრი კითხვისგან შენც აღარა გესმის რა...

— მეც მაგას არ გეუბნები, რომ არაფერი მესმის მეთქი?— განცქვიფრებული და ნაწყენი წამოიძახებდა ხოლმე იაკობი.

— ეგრე სთქვი რაღა: არ მესმისთქო! თორემ მოგიმართავს სტვირი, გიჟსავით მოჰყოლიხარ და ჰყვირი... მეც, სულელი, ყურს გიგდებ!...

— არა დაიცა!—არ ნებდებოდა იაკობი. ვერც გაიგებ და!.. მაგალითად... ავიღოთ ეს სანთელი... ცეცხლი საიდან არის ახლა? ამ წუთას არის, მეორე წუთს აღარა! გაჰკრავ წუმწუმას და გაჩნდება ცეცხლი... როგორც სჩანს, მაშ ყოველთვის, ყოველ წუთს არსებობს.. ჰაერში დაჰფრინავს უხილავად, თუ როგორ არის?,.

ამ კითხვამ ისევ გაიტაცა ილია. სახეზედ მედიდურობის გამომეტყველება გაუქრა, სანათს შეხედა და სთქვა:

— ჰაერში, რომ იყოს—ყოველთვის ეთბილებოდა, წუმწუმას კი ყინვაშიც კარგათ გაჰკრავთ ხოლმე... მაშასადამე, ჰაერში არა ყოფილა...

— მაშ სად არის?—იმედით მიხედა იაკობმა ამხანაგს და დაეკითხა.

— წუმწუმაში,—ჩაერია ლაპარაკში მაშო. მაგრამ ამხანაგთა ამ გვარ სჯა-ბაასის დროს მაშოს სიტყვები ყოველთვის უპასუხოთ რჩებოდნენ. ის დიდი ხანია მიეჩვია ამას და აღარა სწყინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადა?—ჰყვიროდა ისევ გაშმაგებული ილია:—მე არ ვიცი და არც მინდა, რომ ვიცოდე! ვიცი მხოლოდ, რომ ხელი არ უნდა ჩაჰყო ცეცხლში და თუ გათბობა გინდა, ახლო უნდა მიხვიდე! მორჩა და გათავდა.

— ჰე, კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა!—აღფრთოვანებული მაგრამ ნაწყენი ეუბნებოდა იაკობი:—არც მინდა, რომ ვიცოდეო! ემაგას მეც ვიტყვი და ყოველი სულელიცა... ეგ კი არ არის საქმე, შენ ამიხსენი—საიდანა ჩნდება ცეცხლი? პურზედ არ დაგეკითხები, რადგან ეს ცხადია:—მარცვლიდან ფქვილი გამოდის, ფქვილიდან ცომი და გათავდა! მაგრამ ადამიანი როგორ იბადება?

ილია შურით და გაკვირვებით უყურებდა ამხანაგის დიდ თავს. ხანდა-ხან მისი კითხვებით და ლაპარაკით ჩაქოლილი ილია, წამოხტებოდა და მკაცრ, მკიცხავ სიტყვებს ეტყოდა ხოლმე ამხანაგს. ჩასხმული და განიერ მხარ-ბეჭიანი ილია, ამისთანა შემთხვევებში რიღასთვისაც ფეჩს მიეყრდნობოდა და ხუჭუჭა თმიან თავის ქნევით მკაფიოდ და ფიცხად დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს:

— მამღვრევ მე შენ მაგისთანა ლაპარაკით, შე სულელო. ეგ აზრები სულ უსაქმურობით მოგდის თავში. რასა ჰგავს შენი ცხოვრება? დახლთან დგომას დიდი რამე არ უნდა. ეგრე ერთ ადგილას დგომით გაათავებ შენს სიცოცხლეს. აბა ეხეტიალე ჩემსავით დილიდან საღამომდის მოყოლებული და შენ თითონ ეძებე შენი ბედი, მაშინ აღარ მოგივიდოდა თავში ეგ სულელური აზრები... და უფრო იმაზედ იფიქრებდი—რა ვქნა და როგორ ვიქცე კაცად და როგორ მოვაწყო ჩემი ცხოვრებაო. კიდეც იმიტომა გაქვს მაგოდენა თავი, რომ ფუჭი აზრებითა გაქვს გამოტენილი. საქმიანი და ჭკვიანი აზრები კი პატარები არიან, ისინი თავს ვერ გაუბერავენ ადამიანსა..

იაკობი, წელში მოხრილი და უსათუოდ რამეზედ დაბჯენილი, იჯდა ერთ ადგილას და გაჩუმებული ყურს უგდებდა. ხანდა-ხან ტუჩები უხმაუროდ აუცმაცუნდებოდნენ და თვალები ხამხამს უმატებდნენ. მაშინ კი, როცა ილია გაათავებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლაპარაკს და მაგიდას მიუჯდებოდა, იაკობი ისევ შესტოპავდა ფილოსოფიაში.

— ამბობენ, წიგნი არის ისეთი,—მისნობა ჰქვიანო და იქ სუყველაფერი ახსნილიაო... როგორ, რადა და რისთვის... ეჰ, ერთი ის წიგნი მაშოვნინა და წამაკითხა .. წაიკითხავდი შენ იმისთანა წიგნსა? უსათუოდ, საშიში უნდა იყოს...

მათი ლაპარაკის და ბაასის დროს მაშო ადგებოდა, ლოგინზედ გადაჯდებოდა და თავისი შავი თვალებით ხან ერთს და ხან მეორე მოლაპარაკეს უყურებდა. მერე მთქნარებას, ქანაობას უმატებდა, სანამ ბალიშზედ არ დავარდებოდა და არ დაიძინებდა.

— კარგი, ძილის დროა,—იტყოდა ხოლმე ილია.

— წავიდეთ! მოიცა, მაშოს მივხურავ რასმეს და სანთელს გავაქრობ მხოლოდ.

მაგრამ შენიშნავდა თუ არა, ილიამ ხელი გააწოდა და კარების გაღებას აპირებსო, იაკობი შიშით შეევედრებოდა:

— დაიცა! მარტოკა მეშინიან... ბნელა.

— ეჰ!— ამპარტავნათ შესძახებდა ლუნევი — თექვსმეტი წლის ვაჟკაცი ხარ და მაინც ბავშვი ხარ. რატო მე არ მეშინიან, ჰა? ეშმაკსაც, რომ შევხვდე—არ შევკრთები! შენ კი... იტყოდა და ხელს ჩაიქნევდა.

იაკობი გაჩუმებული ფუსფუსებდა მაშოსთან და მერმე აჩქარებული ჩაუბერავდა სანათს. ცეცხლი შეცახცახდებოდა, ჰქრებოდა და ოთახში ყოველი მხრიდან სიბნელე შემოიჭრებოდა. ხანდახან, მხოლოდ სარკმლიდან ნაზად და ალერსიანად ჩამოეშვებოდა ხოლმე იატაკზედ მთვარის ცის-ფერი შუქი.

—

ერთხელ, ერთ უქმე დღეს ლუნევი, გადაფითრებული და კრიჭა-მოჭერილი, დაბრუნდა და გაუხდელი მიეგდო ლოგინზედ. მას ბრაზი მოსწოლოდა გულზედ და ყელში ებჯინებოდა, კისერს სტეხდა და ეგონა მთელი ტანი მიკვნესის მიღებული შეურაცხებისაგანაო.

ამ დილას პოლიციელს ერთი ნაჭერი ყვითელი საპონი და ექვსი წყვილი დუგმა მისცა, რომ ცირკის კარებთან ვაჭრობის ნება-რთვა აეღო. იმ დღეს დილის წარმოდგენა იყო დანიშნული და გაარიგა თუ არა ლუნევმა საქმე, თავისუფლად მოეწყო შესავალ კარებთან. მაგრამ ბოქაულის თანაშემწე მოვიდა—წაჰკრა ლუნევს კისერში, ყუთს წამოუკრა ჭიტლაყი და სულ, რაც კი ებადა ილიას გადაუპნია. ლუნევმა ზოგი დაჰკარგა, ზოგი გაუფუჭდა. გაბრაზებულმა ილიამ საქონლის კრეფის დროს ბოქაულის თანაშემწეს უთხრა:

— ეს უკანონობა გახლავთ, ბატონო..

— როგორა?..—ქერა ულვაშების გრეხით დაეკითხა პოლიციელი.

— ცემა-ტყეპა დაშლილი გახლავთ კანონით...

— ჰოო? მიგუნოვო! ება, წააბრძანე ეს ყმაწვილი პოლიციის ნაწილში!—ბრძანა დამშვიდებულმა პოლიციელმა.

და იმავე პოლიციელმა, რომელმაც წელან ცირკთან ვაჭრობის ნება დართო ილიას, ეხლა პოლიციაში წაიყვანა და საღამომდინ იქ დაიჭირა.

პოლიციასთან წინათაც ბევრჯერ მოჰხდომია შეტაკება, მაგრამ დაჭერით კი პირველად დაიჭირეს ეხლა და პირველად გამოსცადა ამოდენა ბრაზისა და ვარამის გულზედ მოწოლა.

თავისს ოთახში, ქვეშაგებზედ წამოწოლილი ილია, სულ მთლად მიეცა სულისა და გულის ნაღველს და გულზედ მოწოლილ ბოლმას ვეღარ ინელებდა. კედლის მეორე მხარეს, სამიკიტნოში ისეთი ღრიანცელი და ყრუ ხმაურობა იდგა, თითქოს გაზაფხულის წვიმიანი დღეა და მღვრიე, ჩანჩქარა მდინარეები მოჩხრიალებენ და მოჰქუხან მთიდანაო. ჩხრიალებდა რკინა, წკრიალებდა ჭურჭელი და დრო გამოშვებით საერთო ხმიდან გამოჭრილი მაღალი ხმა ან არაყს, ან ჩაის და ან ლუდს ითხოვდა... მოსამსახურენი ჰყვიროდნენ:

— ამ საათში!.... მომაქვს..

უცბათ, თითქოს ეს საერთო ხმაურობა და შხუილი ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადის მთრთოლვარე ძაფმა გასჭრაო,—მაღალი, გულის სიღრმიდან ამოძახილი ნაღვლიანი ხმა გაისმა:

„სიჭაბუკე ჩემი სრულად გაგეცვითე“,

მეორე ხმა, მაგარის ბანით სუსტათ, მაგრამ ლამაზად მისძახოდა და დრო-გამოშვებით საერთო ხმაურობაში იკარგებოდა:

„ტკბილ ცხოვრების არრა მიკემებია“,

მერე ორივე ხმა ერთს სუფთა, ნაღვლიან ლამაზ ნაკადულად შეერთდა და თავისი ჩივილით რამდენიმე წუთით დაჰფარა საერთო ხმაურობა:

„სიხარული ჩემთვის უცხო ხილია,
„მარტოობა—მხოლოდ ეს მრგუნებია“.

ვილამაც ისე შეჰღრიალა, თითქოს ხის ყაყრანტო ჰქონოდეს და სიფიცხით დახეთქოდეს.

— მიჰქარავ! ნათქვამია: „რამეთუ დაიცავ სიტყვა მოთმინებისა ჩემისა, მეცა დაგიცავ ჟამსა მის განსაცდელისასა...“

— შენ თითონ მიჰქარავ!—გარკვევით და გატაცებით უპასუხებდა მეორე:—იმიტომა, რომ იქვე ნათქვამია: „რამეთუ თბილ ხარ და არცა ცივ, არცა ცხელ, აღმოგანთხევ მე. პირისაგან ჩემისა!“ რა, მოგხვდა?...

გაისმა ხმა-მაღალი ხარხარი, რომელსაც ჩქარი ლაპარაკი მოჰყვა.

— მე ავდექი და ვუთავაზე—ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი!.

— ხა, ხა, ხა! მერე?

მყვირალა ხმა ისევ განაგრძობდა:

— მერე, ძირს მოსძვრა ბრაგვანი! მე სახეში მივაყოლე, ყურში, კბილებში! მე პირველმა გაკოცე და მევე დაგასახიჩრებ-მეთქი...

— კი გაიძახი სულს ვემსახურებიო!—დაუყვირა ვილამაც დაცინვით.

— რატომ? გავცხარდები... გაჯავრება ადამიანს შეჰფერის!

— „მიყვარხარ მე, გკიცხავ და გსაჯავ...“ დაგავიწყდა?.. და კიდევ: „ნუ განსჯი, რათა არა განისაჯო...“ მეფე დავითის სიტყვები დაგავიწყდა?

ილიამ დიდი ხანი უგდო ყური კამათს, სიმღერას, სიცილს და ხარხარს, მაგრამ ყველა ეს სცილდებოდა მას და სადღაც შორს ვარდებოდა და აზრს ვერ უღვიძებდა. მის თვალ-წინ სიბნელეში პოლიციელის გამხდარი სახე დასცურავდა, რომელშიაც მომწვანო ბრაზით სავსე თვალები მოკრთოდნენ და ქერა ულვაშები მოძრაობდნენ. ილია უყურებდა ამ სახეს და უფრო ძლიერ უჭერდა კრიჭას. მაგრამ კედლის იქით სიმღერა იზრდებოდა, მომღერალნი თან-და-თან ქეიფში შედიოდნენ და მათი ხმები უფრო მკაფიოდ და რიხიანად ისმოდნენ. თბილმა და ბედზე ჩივილით სავსე ხმებმა გზა გაიკეთეს ილიას გულისკენ და იქ, ცივ ლოდივით მდებარე ბრაზსა და წყენას შეეხნენ.

„ციმბირი მთლად ფეხ-და-ფეხ დავიარე“,

მღეროდა მაღალი ხმა.

„ბევრი ვეძებე მშიერ კუჭზედ მის წყალი“,

ეუბნებოდა მეორეს ამხანაგი. მერე ორივე ხმა ისევ ერთ საჩივარში შეერთდნენ.

„რა წვალება იქ არ გამოვიარე
„სამშობლოსკენ გზას რომ ვეძებდი საწყალი“.

ილიამ ამოიოხრა და ამ ნაღვლიან სიტყვებს ყური წაუგდო. დუქნის ხშირ ხმაურობაში ისინი ისე ბრჭყვინავდნენ, როგორც ღრუბელში პატარა ვარსკვლავნი. ღრუბლები მისცურავენ, მიიჩქარიან და ვარსკვლავნი კი ხან გამობრწყინდებიან, ხან გაჰქრებიან...

„შიმშილითა ეს ენა მიდეჭია,
„სიტივისგან მარად მტეხენ ძვალები“,

ამბობდა მგრძნობიარედ სიმღერა.

— დაიწვეს შენი დამწველი!—დაუყვირა ვილამაც მხიარულად...

ილიამ გაიფიქრა: აი, ადამიანნი მღერიან და ისე კარგათაც მღერიან, რომ გამგონს სულს უხუთავს მათი სიმღერა. მერე დათვრებიან და იქნება ჩხუბიც ასტეხონ... თუ აქვს კაცს რამე სიკეთე, დიდი ხნით მაინც ვერა ჰყოფნის ცხოვრებაში.

„და შენ, ბედო ჩემო, რომ არ მშორდები“,

სჩიოდა მაღალი ხმა. ბანი რიხით მიემხრო:

„მწარე ხვედრო, შენ დაგიდგეს თვალები“.

მეხსიერებამ რიღასთვისაც წასჩხირა ილიას პაპა ერემეის სურათი. მოხუცი, თავის ქანდურით და ლოყებზედ ცრემლის წურწურით ამბობდა:

— მე ვეძიე, ვეძიე, მაგრამ სიმართლე კი ვერსად ვნახე...

ილიამ გაიფიქრა, აი, პაპა ერემეის ღმერთი უყვარდა, მაგრამ ფულს კი აგროვებდა ჩუმად. ბიძა ტერენტის ღვთის კრძალვაცა აქვს, მაგრამ ფული კი მოიპარა. და ყველაც ეგრე ორ ბუნებათ სცხოვრობს. თითქოს გულში სასწორი ჰქონდეთ და ცუდისა და კეთილის აწონის დროს ხან აქეთ იხრებოდეს მათი ბუნება და ხან იქით.

— აჰაა! — დაიღრიალა ვიღაცამ დუქანში და ისეთის ძალით დაეცა რაღაც იატაკზედ, რომ ილიას საწოლიც კი შეინძრა.

— მიშველეთ!..

— დაიჭი, დაიჭი!..

ხმაურობა უცბათ გაძლიერდა, ამოჩუხჩუხდა, მრავალი ახალი ხმა დაიბადა—ისინი ყველანი დაპროწიალდნენ, ბოროტ და მშიერ ძაღლებივით გადახლართულნი ერთი მეორეში შეფოროთხიალდნენ ჰაერში და შელმუვლეს. ცალკე ხმები ამ საერთო ჩოჩქოლში და ხმაურობაში ჩაინთქნენ და გაქრნენ.

ილიამ ამ ვაი ვაგლახს სიამოვნებით წაუგდო ყური. ილიას მკტად გაეხარდა, რომ ასე მალე აუსრულდა ადამიანთა შესახებ ნაფიქრი აზრი. გადაბრუნდა, მკლავები თავ ქვეშ გადიყარა და კვლავ ფიქრთა ძალას მიეცა.

„უსათუოდ დიდი ცოდვა უნდა ჰქონოდა ჩადენილი პაპა ანტიპას, რომ რვა წელიწადი ინანიებდა... ხალხმაც აპატია სუყველაფერი და წმინდანათაც კი დასახა... მაგრამ შვილები კი მაინც დაულუპეს. ერთი იყო და ციმბირში უკრეს თავი, მეორე სოფლიდან გააძევეს...“

„აქ სხვა ანგარიშია საჭირო! — მოაგონდა ილიას სტრო-განნის სიტყვები: — თუ ერთია პატიოსანი და ცხრა უსინიდისო, მოგებაში აქ არავის არის, მხოლოდ კაცი დაიღუპება... რა მხარესაც ბევრნი არიან, სიმართლეც იმათ მხარეს არის...“

ილიამ ჩაიცინა. გულში ცივ გველივით შეენძრა ხალხი-სადმი ბოროტი გრძნობა. ხსოვნა კი არ აკლებდა წარსულის სურათებს და ერთს მეორეზედ უცოცხლებდა და ასულდგმულებდა მის თვალწინ: ვეებერთელა და უხეში მატიცა ეზოში შიგ შუა წუმპებში ეგდო და ჰკვნესოდა.

— ეჰ, დედავ, დედავ, რომ იცოდე, სადაა ეხლა შენი შვილი!..

მთვრალი პერფიშკა მიუახლოვდა ფარფატით და თავ ჩაქინდრულმა ნიშნის მოგებით უთხრა:

— რა, გასკდი ღორივითა?...

ზეიდან კი ჯანსაღი, ლოყა-წითური პეტრუხა ზიზღის გამომხატველი ღიმილით იყურებოდა.

ილია უყურებდა ყველა ამას და სულ შეხუთულს გული უფრო უქვავდებოდა და უკაჟდებოდა...

დუქანში ჩხუბი გათავდა. სამი ხმა — ორი ქალისა და ერთი ვაჟისა — სიმღერის დაწყებას სცდილობდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ვიღამაც მუზიკა მოიტანა, ცოტა დაუკრა უხეიროთ, უგულოთ და ისევ მიჩუმდა. იმ კედლის ძირში, სადაც ილია იწვა, ვიღაცეები ნელის ხმით და ოხვრით ლაპარაკობდნენ. ილიამ რაღაც მტრულის გრძნობით წაუგდო ყური.

— ხარ ესე... მუშაობ... წელებზედ ფეხს იდგამ და სანუგეშოს კი ერთ ბეწოს ვერაფერსა ჰხედავ... ცოტას რომ დაჰფიქრდები, დაინახავ, რომ... ფეხზედ კი არა ვსდგევართ, მუცლებზედ დავხოხავთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოო...

— და მომავალშიაც ვერაფერსა ჰხედავ... ერთსა ჰგრძნობ მხოლოდ შენი ზურგით, რომ სიმართლით და პატიოსანი მუშაკობით სახლებს კი ვერ წამოსჭიმავ... და წელში კი გადასწყდები და სადმე ჩაძაღლდები...

— ეჰჰ! მაგას რაღა ლაპარაკი უნდა...

— უმართებულო საქმისთვის კი არც გაბედულება მოგდევს და არც სიმარჯვე. გამოდის რომ—„უყვარს ჯოჯოს კაკალი, მაგრამ კბილი არა აქვს იმის სამტვრევი!“..

— ეჰ, ღმერთო, ღმერთო!..

ილიამაც უნებურათ ამოიოხრა. დუქანში პერფიშკას წკრიალა ხმა გაისმა. მეჩექმე სხაპა სხუპით სიმღერასავით ამბობდა:

„ეეჰ, დაასხი, ლიტრავ, ჩამოასხი ლიტრავ, ნუ გშურს, შეურჩო, პატრონის სარჩო! ღვინო დავლიოთ, ქალებსა ვსდიოთ, ქვეყნად ვიაროთ და ვიგლახაკოთ! ძაფს არ დაიშურებენ თუ კი, ღარიბს მოუვა თოკი! ეს თოკია მისი მკობა, თუ გაჰბედა ჩამოხრჩობა...“

დუქანში მხიარული სიცილი და ყვირილი გაისმა... კედელთან ისევ განაგრძეს:

— აგერ, ბავშვობიდან მოყოლებული ვმუყაითობ, ვმუშაობ... საცაა ორმოცის წლისა შევსრულდები და პურიც კი არა მაქვს ხოლმე საკმარისი. კუჭი ყოველ დღე ცარიელი გაქვს და საზრდო კი მეტად ცოტა... ოჯახში ვარამი.. ბავშვები ღმუიან, ცოლი ჰკვნესის... თვალით ველარ უყურებ—წახვალ, ველარ მოითმენ, მოიშვებ ყველა ქანჩებს და გაუსვამ... გამოფხიზლდები და ჰხედავ, რომ სანამ შენ ჰქეიფობდი და დროს ატარებდი, გაჭირვებას კბილები გაუალმასებია და უფრო მაგრად ჩაუჭერია შენთვის ბრჭყალები...

— ეგ ყოველთვის ეგრეა...

— შეევედრები ღმერთს: ღმერთო, კეთილმყოფელო და გაჭირვებულთა საფარო! რისთვის ვიტანჯვი ასე უსაზღვროთ?.. არ ესმის, ალბათ, იმ დალოცვილს...

— ჰოო... არ ესმის, როგორც ეტყობა...

ამ ყრუ ხმის უიმედო ზუზუნმა და მეორის უფრო უიმედო ოხვრამ და გმინვამ ილიას სული შეუხუთეს. ის გადაბრუნდა ლოგინზედ და ძალათ წაჰკრა კედელს იდაყვი. ლაპარაკი შესწყდა.

მაგრამ ნაღველ და ვარამ შემოწოლილმა ილიამ ველარ გასძლო ლოგინზედ, ფიცხლავ წამოხტა, კარში გავიდა და შეჩერდა. მას უსაზღვრო სურვილი ჰქონდა სადმე წასულიყო, მაგრამ საით მიემართნა ფერხნი, სად წასულიყო, არ იცოდა. კარგი ხანი იყო გასული! მაშოს ეძინა; იაკობი შეუძლოთ იყო და შინ იწვა, სადაც ილიას სიარული არ უყვარდა, რადგან პეტრუხა დაინახავდა თუ არა უსიამოვნოთ შეიკრავდა ხოლმე წარბებს. შემოდგომის ცივი ქარი ჰბერავდა. ხშირ სიბნელეს მთლად მოეცვა არე-მარე და ზეცა აღარ მოსჩანდა. შენობები ქარისგან მიყრილ-მიჩქოლილ სიბნელეს ჰგავდნენ. ნესტიან ჰაერში რაღაც ხმები დასცურავდნენ, რაღაცა შრიალებდა და ჩუმი, საოცარი ჩურჩული ისმოდა. ყველა ეს ხალხის ჩივილს და მათ ცხოვრებაზედ მოთქმა-გოდებას აგონებდა ილიას. ქარი ეჭიდებოდა ილიას, თავისი ცივი სუნთქვით უბერავდა სახეში, კისერში... ილიას გააჟრიალა, მაგრამ კი არ დაიძრა ადგილიდან—ის იმას ჰფიქრობდა, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, შეუძლებელი! უნდა მოვშორდე ამ ჭუჭყიან, მყრალ ცხოვრებას და მარტოდ, სუფთად და მშვიდათ ვიცხოვრო...

— ვინა ხარ ემანდა?—გაისმა უცბათ ყრუ ხმა.

— მე.. შენ ვინღა ხარ?

— მე... მატიცა...

— საიდან ლაპარაკობ?

— შეშებზედ ვზივარ...

— რად გამოსულხარ?

— ისე...

ორივენი გაჩუმდნენ.

— დღეს დედიჩემის სიკვდილის დღეა,—აუწყა მატიცამ სიბნელიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი ხანია მოკვდა?—ჰკითხა ილიამ, რომ ჩუმად არა ყოფილიყო.

— დიდი ხანია... ხუთმეტი წელიწადი იქნება... იქნება მეტიც იყოს. დედა შენი ცოცხალია?

— არა, ისიც მოკვდა... შენ რამდენი წლისა ხარ?

მატიცა გაჩუმდა ცოტა ხნით და მიუგო:

— ოც-და-ათისა... დავბერდი... ფეხი მტკივა ეხლა... გამისივდა ნესვივით და კვნესის... ვიზილე, ვიზილე, მაგრამ ვერაფერმა მიშველა..

— რატომ საავადმყოფოში არ წახვალ?..

— შორს არის... ვერ მივალ...

— ეტლში ჩაჯექი!...

— ფული სადა მაქვს, მერე?...

ვილამაც დუქნის კარი გამოაღო, საიდანაც ხმების ტალღა გამოვარდა და ეზოს მოედო. ქარი მიეგება და გაჰფანტა არე მარეში.

— მანდ რას გაჩერებულხარ?—დაეკითხა მატიცა.

— ისე... მომწყინდა..

— ჩემსავით... ჩემ ოთახში რომ ზიხარ, ბგონია კუბოში ვწევარო...

ილიამ ოხვრა გაიგონა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მატიცამ უთხრა:

— წამო ჩემთან?!.

ილიამ გაიხედა იქითკენ, საიდანაც ქალის ხმა მოისმოდა, და ცივად უპასუხა:

— წავიდეთ...

კიბეზედ პირველი მატიცა მიდიოდა. ის ჯერ მარჯვენა ფეხს შესდგამდა ხოლმე საფეხურზედ და მერე ოხვრით და კვნესით მარცხენასაც რის ვაი ვაგლახით ააცოცებდა. ილია უაზროთ მისდევდა უკან და ისიც არ ეჩქარებოდა, თითქოს გულზედ შემოწოლილი ბოლმა მასაც უშლიდა კიბეზედ ასვლას, როგორც მატიცას ფეხის ტკივილი.

ქალის ოთახი ვიწრო და გრძელი იყო და ჭერი მართლა კუბოს თავს წააგავდა. კარებთან ფეჩი იდგა, კედლის ძირში, ფეჩზედ განიერი საწოლი იყო მიდგმული, საწოლის გასწვრივ მაგიდა იდგა, რომელსაც ორთავე მხრით ორი სკამი ჰქონდა მიდგმული. ერთი სკამი კიდევ ფანჯარასთან იდგა და ნაცრის ფერ კედელზედ შავ ლაქასავით მოსჩანდა. ქარის ღმუილი და კვნესა აქ, ზევით სართულში, უფრო ძლიერად ისმოდა. ილია ფანჯარასთან მდგარ სკამზედ ჩამოჯდა და მიიხედ-მოიხედა, კუნჭულში პატარა ხატი შენიშნა და ჰკითხა:

— ეს რა ხატია?

— წმ. ანნასი...—მოწიწებით და მდაბალის ხმით მიუგო მატიცამ.

— შენ რაღა გქვიან?

— ანნა.. არ იცოდი?

— არა...

— არავინ იცის,—სთქვა მატიცამ და ვიშვიშით ჩამოჯდა საწოლზედ.. ილია უყურებდა და ლაპარაკის სურვილი არა ჰქონდა. ქალიც ჩუმათ იჯდა. ასე გაჩუმებულნი, თითქოს ერთმანერთს ვერ ჰხედავენო, თითქმის სამ წუთს ისხდნენ. ბოლოს მატიცამ დაარღვია სიჩუმე და ჰკითხა:

— ახლა, რა უნდა გავაკეთოთ?

— რა ვიცი...—მიუგო განცვიფრებულმა ილიამ.

— მითომც!—სიკილით და დაუჯერებლათ უთხრა ქალმა.

— რა არის, არ ვიცი?..

— ახლა დამპატიჟე, მიყიდე ორი ბოთლი ლუდი... არა, იცი რა გიხრა—საჭმელი მიყიდე რამე... სხვა არაფერია საჭირო, მხოლოდ მაჭამე რამე...

ქალს ხმა ჩაუწყდა, დაახველა და განაგრძო:

— იმ დღის უკან, რაც ფეხი ამტკივდა, აღარაფერი მიშოვნია... აღარ გავდივარ... და რაც მებადა, სულ შევჭამე კიდეცა... მარა—მეხუთე დღეა აგერ რაც მოკალათებული ვზივარ შინა.... გუშინ არაფერი მიჭამია თითქმის და დღეს კი სულ არაფერი ჩამიდვია პირში... ღმერთმანი, არ გეხუმრები!

ილიას ეხლა მოაგონდა მხოლოდ, რომ მატიცა მოქეიფე ქალი იყო. ის იმის დიდ პირისახეს დააშტერდა და შენიშნა, რომ შავი თვალები ცოტას უცინოდნენ და ტუჩები ისე უცმაცუნებდნენ, თითქოს რაღასაც სწოვენო... ილიამ უცბათ რაღაც დარცხვენა იგრძნო და ქალისადმი რაღაც გამოურკვეველი ინტერესი დაებადა გულში.

— ამ წუთას მოგიტან... ლუდსაც მოგიტან...

ილია წამოხტა ფიცხლავ, აჩქარებით ჩაეშვა კიბებზედ და ერთ წამს სამზარეულოს კარებთან გაჩნდა. აქ უცბათ გაუელვა თავში—მოდი აღარ დავბრუნდებიო. მაგრამ ამ ფიქრმა ნაპერწყალივით გაუელვა ნისლით მოცულ თავში და იმ წამსვე ჩაჰქრა. ის შევიდა სამზარეულოში და ორი შაურის მინარჩენ-მონარჩენი—ხორცის ნაჭრები, პურის ნახორხლები და კიდევ რაღაც საჭმელი იყიდა. მზარეულმა ყველა ეს გაქონილ ცხრილში ჩაულაგა და მისცა. ილიამ ჩაავლო ორივე ხელი, გამოიტანა კარში, მაგრამ უცბათ შეჩერდა და დაფიქრდა—ლუდი როგორღა ვიშოვნოვო? თითონ შესულიყო დუქანში და ეყიდნა—ტერენტი დაეკითხებოდა, რად გინდაო? მაშინ გამოუძახა სამზარეულოდან პატარა ბიჭს და იმას სთხოვა ლუდი მიყიდეო. ბიჭმა მოურბეინა ბოთლები, ხელში მიაჩეჩა და სამზარეულოს კარებს წაავლო ხელი.

— დაიცა!—უთხრა ილიამ: — ეს ჩემთვის კი არ მინდა... ამხანაგი მომივიდა და მინდა დავპატიჟო.

— რა?—დაეკითხა ბიჭი.

— ამხანაგი მინდა დავპატიჟო მეთქი..

— კარგი... მერე მე რა?

ილიამ იგრძნო, რომ ტყუილი საჭირო არ იყოვო და შერცხვა. კიბეზედ აუჩქარებლივ მიდიოდა და ყოველ ხმაურობას ყურს უგდებდა, თითქო მოელის, რომ ვიღაც დაუძახებს და შეაჩერებსო. მაგრამ ქარის ზუზუნის მეტი არაფერი ისმოდა, ყმაწვილი არავინ შეაჩერა და მან მისთვისვე ცხადი გულისთქმით შესდგა ფეხი ქალის ოთახში, თუმცა კი ეს გრძნობა გაუბედავი და შეკავებული იყო.

მატიცამ ცხრილი მუხლებზედ დაიდვა და ჭამა დაიწყო: ვეებერთელა თითებით იღებდა საჭმელს, იდებდა განივრად დაღებულ პირში და შლაპაშ-ლუპით სჭამდა. კბილები ბასრი და დიდრონი ჰქონდა. პირში ჩადებამდინ ყოველს ნაჭერს გულდადებით ათვალიერებდა, თითქოს საუკეთესო და გემრიელ მხარეებს უძებნისო.

ილია გაფაციცებით შესცქეროდა ქალსა და იმას ჰფიქრობდა, თუ ეხლა როგორ მოვხვევ ხელს და კოცნას როგორ დავუწყებო, მაგრამ ეშინოდა, ვაი თუ ვერ მოვახერხო ყველა ეს და მატიცამ დამცინისო. ეს ფიქრი მას კიდეც აციებდა და კიდეც აცხელებდა.

სახურავზე ქარს რახა-რუხი გაუდიოდა. ფანჯრებიდან შემოჭრილი ქარი ეცემოდა თუ არა კრეს და შეაძიძგინებდა, ილია შეკრთებოდა და გაფაციცებით კარებს მიაჩერდებოდა— ეგონა აი, ამ საათში შემოვა ვინმე და მომასწრობს აქაო...

— კარებს დავკეტავ?—სთქვა ილიამ.

მატიცამ ხმა ამოუღებლივ დაუქნია თავი, მერე გადასდგა ცხრილი, პირჯვარი გადისახა და სთქვა:

— გმადლობ შენ, უფალო, რათა განმაძღე მე! ეჰ, რა ცოტაა ადამიანისათვის საჭირო!

ილიამ არაფერი უთხრა. ქალმა შეხედა მას, ამოიოხრა და დასძინა:

— და ვინც ბევრს მოინდომებს, მასაც ბევრი მოეთხოვება...

— ვინ მოსთხოვს?—დაეკითხა ილია.

— ღმერთი! მაშ არ იცოდი შენ ესა?

ილიამ ეხლაც არაფერი უთხრა. მისი პირიდან გაგონილმა ღვთის სახელმა რაღაც გაუგებარი, ბასრი გრძნობა დაჰბადა მასში, რომელიც მის აწმყო სურვილებს ეწინააღმდეგებოდა. მატიცა ხელებით ლოგინს დაებჯინა და თავისი დიდი ტანი კედლისკენ მისწია. მერე რაღაც ცივი, მშრალი ხმით დაიწყო.

— ვჭამდი და სულ პერფიშკას ქალზედ ვფიქრობდი... დიდიხანია მე იმაზედ ვფიქრობ... საწყალი შენთან და იაკობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან სცხოვრობს... ხეირი არ დაეყრება ამითი-მეთქი... გაა-ფუჭებთ უდროოდ და წავა ისიც ჩემი გზითა... ჩემი გზა კი ძალლურია და დაწყევლილი... ამ გზით ქალები კი არ დადიან, ჭიებსავით დაცოცავენ.

ცოტა ხნით გაჩუმდა და ისევ დაიწყო, თან მუხლებზედ დაწყობილ ხელებს იშინჯავდა:

— საცაა მოიზრდება გოგო. მე ნაცნობებში მივიკითხ-მოვიკითხე — ადგილი ხომ არსად გეგულებათ - მეთქი? არ არის სამაგისო ადგილიო... თუ გინდა-მოგვყიდეო... ასე ემჯობინებაო... ფულს მისცემენ, ტანთ ჩააცმენ... და სახლს დაუჭერენ... მოხდება ხოლმე ყველა ეს... ზოგიერთი მდიდარი, როცა დაბერდება და დაუშნოვდება და ქალები მუქთად აღარ შეიყვარებენ... იყიდიან მაშინ მაგისთანა ღარიბ გოგოს და აფუჭებენ... იქნება ბოლოს კარგიც იყვეს საბრალო გოგოსთვის, მაგრამ პირველად კი საზიზღარია. ისევ ის ურჩევნია, მშიერ-მწყურვალი ეგდოს და პატიოსნად კი ცხოვრობდეს...

აქ ხველა აუტყდა, თითქოს ყელზე დაადგა რომელიმე სიტყვაო და მერე ძალ-დატანებით, ცივი, უსიცოცხლო ხმით დაათავა:

— ვიდრე ჩემსავით უსინიდისოდ და მაინც მშიერი დაიარებოდეს...

ქარი გარშემო ღვლიდა ოთახს და თავზედათ ეჯიჯგინებოდა კარებს. წვრილი წვიმა რკინის სახურავს არახუნებდა, ჰაერში რაღაც ჩუმი ხმაურობა ისმოდა.

— ბიი! ბიი!

ქალის გულ-ცივი ლაპარაკი და მისი მსხვილი, უხეში ტანი ჰზღუდავდნენ ილიას გრძნობას და იმ გაბედულებას არ აძლევდნენ, რომელიც საჭირო იყო მისი სურვილის გამოსახატავად. მატიცა თითქო ძალად იშორებდა მას თავიდან და ეს უფრო აბრაზებდა და აშმაგებდა ილიას.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა და ნელის ხმით წარმოსთქვა ქალმა: — ღვთის მშობელო!..

გაბრაზებული ილია შეინძრა სკამზედ და ბოროტი ხმით დაიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენს თავს უწმინდურს ეძახი და თან კი ღმერთო, ღმერთოს გაიძახი! თუ გგონია, რომ ღმერთი ძალიან საჭიროებს შენგნით მაგ ძახილსა და წამ-და-უწუმ მისი სახელის ხსენებას?

მატიცამ შეხედა, იყო ცოტა ხანს გაჩუმებული და მერე თავი გაუქნია.

— არ მესმის შენი ლაპარაკი ..

— გაუგებარი აქ არაფერია!—განაგრძო ილიამ და ფეხზე წამოდგა:—ეგეთები ბრძანდებით სუყველანი! მრუშობთ, მრუშობთ და მერე კი ღმერთო, ღმერთოს გაიძახით! თუ ღმერთი გინდათ, ნულარა მრუშობთ...

— ვაი ჩვენი ბრალიცა!—წამოიძახა შეწუხებულმა ქალმა:—რას ამბობ? მაშ ვილას უნდა ახსოვდეს ღმერთი, თუ არ ცოდვილსა? მაშ ვისა?

— მე არ ვიცი ეგენი,—სთქვა ილიამ და იგრძნო, რომ მას ამ ჟამად მეტად სურდა მატიცას და მთელი ხალხის წყენა და შეურაცხება: — ვიცი მხოლოდ, რომ თქვენ არ უნდა ახსენებდეთ იმის სახელს, დიაღ! თქვენ არა! იმის სახელით თქვენ მხოლოდ ემალებით ერთმანეთს და თქვენ ცოდვებს ჰფარავთ... მე ვხედავ სუყველაფერს. პატარა აღარ გახლავარ და მესმის ყველაფერი. სუყველანი წუწუნებენ, სჩივიან... მერე ბოროტებას რაღათ სჩადიან? ერთმანეთს რაღად ატყუებენ, რად სძარცვავენ და ერთმანეთს პირიდან რადა ჰგლეჯენ ლუკმას? ჰოო? შევცოდო, მივჯდე კუნჭულში და ღმერთო შემიწყალე გავიძახო?... მესმის... თქვე ცბიერებო, თქვენა! თქვენ თავსაც ატყუილებთ და ღმერთსაც...

მატიცას კისერი წამოეწია, პირი დაეღო და გაჩუმებული ყურს უგდებდა, თვალებში გაკვირვება ეხატებოდა. ილია მიუახლოვდა კარებს, მოჰგლიჯა კოჭაკი, გაირახუნა კარები და კარში გავარდა. ის ეხლა ცხადათა ჰგრძნობდა, რომ მატიცას აწყენინა, მაგრამ ეს გრძნობა არა თუ არ აწუხებდა, პირიქით, სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა—გულზე რაღაც მოეშვა და გონება გაუნათლდა. კიბეზედ რომ ჩამოდიოდა, კბილებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჭერილი სისინებდა და ყელში მობჯენილი ბრაზი უფრო საწყენ და ქვასავით მაგარ, უკმეხ სიტყვებს და ლანძღვას აგონებდა. მას ეგონა, ეს ნაღვერდალივით დაღვიებული სიტყვები, გულში მოგროვილ ნისლს მიფანტავენ და ხალხისგან გასაშორებელ გზას მიჩვენებენო. ის ეხლა მარტო მატიკას აღარ აგინებდა — გულის სიღრმიდგან ამონახეთქი საწყენი სიტყვები ტერენტის, პეტრუხას, სტროგანნის და საზოგადოთ ყველა ხალხს შეეხებოდნენ.

— „ეგრე გინდათ!—ჰფიქრობდა ეზოში გამოსული ილია: —თქვენ სხვა რამის ღირსნი არა ხართ... საძაგლები!“..

ეზოში ქარი დაფარფაშებდა, ღმუოდა და ჰგმინავდა, რიღასიც რახა-რუხი ისმოდა, რაც თავისის ხშირი ხმაურობით ცივს და უკმეხ სიცილს მოგაგონებდათ...

დიდ ხანს აღარ გაუვლია ამ ამბის შემდეგ, რომ ილიამ ქალებთან სიარული დაიწყო. პირველად ეს ასე მოხდა: ერთხელ, შინ რომ მოდიოდა ბინდისას, ვიღაც ქალი წაეხახუნა და უთხრა:

— წამო ჩემთან!..

ილიამ ქალს გადახედა და ხმა ამოუღებლივ გაჰყვა, მაგრამ თავ-ჩაღუნული სულ აქეთ-იქით იყურებოდა, ნაცნობი ვინმე არ შემხვდეს და არ მიცნოსო. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ქალი ისევ დაელაპარაკა.

— მანათი, იცოდე, აი!

— კარგი!—უთხრა ილიამ:—ჩქარა წავიდეთ...

და ქალის სახლამდინ ორივენი გაჩუმებულნი და გატრუნულნი მიდიოდნენ. მეტი არაფერი...

მაგრამ ქალების გაცნობამ და მათთან სიარულმა, ხარჯიც მოუმატა და რაც ჟამი და დრო გადიოდა, თან-და-თან უფრო ხშირად ჰფიქრობდა, ჩემი ვაჭრობა ტყუილი დროს დაკარგვაა და იგი არასოდეს არ მომცემს ცხოვრების კარგად და სუფთად მოწყობის შემთხვევასაო. ერთი ხანი სხვა მეწვრილმანეების წაბაძვით მასაც უნდოდა ლოტერეია გაემართა და ხალხი ეტყუებინა. მაგრამ დაფიქრების შემდეგ გადასწყვიტა, რომ ეს ხე-

ლობა მეტად წვრილმანი და ძნელი არისო. ამისთვის მას უეჭველად მალვა და ფარვა დასჭირდებოდა, ან არა და მოსყიდვა პოლიციელებისა და ყველა ეს კი მეტად ეზიზღებოდა ილიას. იმას უყვარდა, როცა ყველას გაბედვით და პირდაპირ უყურებდა სახეში და მეტად ბედნიერად ჰგრძნობდა თავს, როცა მოიგონებდა, რომ ყველაზედ სუფთათ აცვია, არაყს არა სვამს და სხვა მეწვრილმანეებსავით არ ეშმაკობს და არ თვალთმაქცობს. ქუჩებში აუჩქარებლად, დინჯად და დაფიქრებული დადიოდა; ლაპარაკის დროს შავ თვალებს ბჟუტავდა და ცოტას, მაგრამ დაფიქრებულად ლაპარაკობდა. ის ხშირად ოცნებობდა—რა კარგი იქნება, ეხლა ათასი მანათი მაპოვნინაო. ქურდობის ამბები მეტად აინტერესებდნენ: იყიდდა გაზეთებს და დაწვრილებით, გულ-დადებით ჰკითხულობდა ყველა ქურდობის ამბავსა და მერე დიდი ხანი ადევნებდა თვალს —დაიჭირეს ქურდი თუ ვერაო? თუ იპოვნიდნენ, ილია გაჯავრდებოდა და ეტყოდა ხოლმე იაკობს:

— დაუჭერიათ ის ბრიყვები!.. ნუ მოჰკიდებენ მაინც მაგისთანა საქმეს ხელსა, თუ შნო და გონება არ მიუცია მათთვის ღმერთსა...

ერთხელ როგორღაც, იაკობი და ის ილიას ოთახში რომ ისხდნენ, მან უთხრა:

— მაინც, რაც გინდა იყვეს, გაიძვერა კაცი კი უფრო კარგათა სცხოვრობს ამ ქვეყნად, ვიდრე პატიოსანი...

იაკობს სახე დაეჭიმა, თვალები მოებჟუტა და იმ დაბალის და საიდუმლოებითი ხმით, რომლითაც დიდს და ბრძნულ კითხვებს შეეხებოდა ხოლმე, სთქვა:

— ამას წინათ ბიძაშენი ტერენტი ერთ ვილაც ბებერ კაცთან ჩაისა სვამდა დუქანში... იმ მოხუცმა უთხრა, ვითომც დაბადებაში წერებულიყოს „მშვიდ არიან სახლნი მტაცებელთანნი და უზრუნველ-ყოფილნი განმარისხებელთა ღმერთისა, რამეთუ ღმერთი დაჭუავთ მათ ხელითა თვისითა“...

თუ ძმა ხარ?!—დაეკითხა გაკვირვებული ილია რომელიც ამხანაგს გულ-დადებით უგდებდა ყურსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი მოგონილი არ არის ესა... ხელების გაპარჭყვით განაგრძო იაკობმა: — მეც არა მჯერა, რომ ეს სიტყვები დაბადებაში ეწეროს... იქნება თითონ მოიგონა.. ორჯელ-სამჯერ გავამეორებინე, მაგრამ სიტყვა-სიტყვით გაიმეორა... უნდა მოვსძებნო ერთი ეს სიტყვები დაბადებაში...

იაკობმა ილიასკენ წაიწია და ნელის ხმით უთხრა:

— მაგალითად, თუ გინდა, მამა ჩემი ავიღოთ... არის თავისთვის მშვიდათ... ღმერთს კი აჯავრებს...

— მერე როგორ?! – შესძახა ილიამ.

— ხომ ხმოსნათაც ამოირჩიეს მამა ჩემი...

იაკობმა თავი ჩაჰლუნა, ამოიოხრა და დაუმატა:

— ადამიანის ყოველი საქმე, ყოველი ნაბიჯი კვერცხივით მრგვალი და აშკარა უნდა იყოს სინიდისის წინაშე, მაგრამ ეჰ!.. შემზიზღდა ცხოვრება... აღარაფერი მესმის... ცხოვრების უნარი მე არა მაქვს, სამიკიტნოში დგომა და ვაჭრობა მეზიზღება... მამა ჩემი კი სულ ჩამჩიჩინებს, გეყოფა სისულელე, დროა გონს მოხვიდეო... საქმეს მოჰკიდე ხელიო... რა საქმეს? როცა ტერენტი არ არის დუქანში, აკი ვდგევარ დახლთან და ვვაჭრობ; თუმცა მძაგს მე ეს ხელობა, მაგრამ ხომ მაინც ვითმენ?.. ჩემით კი არაფრის გაკეთება არ შემიძლიან...

— უნდა ისწავლო! — დინჯათ უთხრა ილიამ.

— ეჰ, ძნელია ცხოვრება... — სთქვა ნელის ხმით იაკობმა.

— ძნელია? ვისთვის, შენთვის? სტყუი! — წამოხტა ილია საწოლიდან, მოუახლოვდა ამხანაგს და შესძახა. — ჩემთვის ძნელია, მართალია! შენ კი რა? მამა დაგიბერდება — ბატონ-პატრონი შენ შეიქმნები... მერე მოკვდება.. მე-ღა? მივდივარ ქუჩაში, დუქნის ფანჯრებში შალვრებს, ჟილეტკებს, საათებს და ათას სხვა რამეებს ვხედავ და ვფიქრობ: ეჰ, მე ამისთანა შალვარს ვინ მაღირსებს... ამისთანა საათს ვინ მომაკუხებს?.. გესმის?.. მე კი მინდა... ყველაზედ ძლიერ კიდევ ის მინდა, რომ პატივსა მცემდნენ... რითი ვარ სხვებზედ უვარგისი? მე უკეთესი ვარ! რა, გაიძვერა ან ქურდი ხომ არა ვარ?.. გაიძვერებს და ქურდებს კი თავი მოაქვთ ჩემთან... აგერ იმათ ხმოსნებათაც

ირჩევენ! იმათ სახლები აქვთ.. სამიკიტნოები... გაიძვერა და ქურდი რად უნდა იყოს ბედნიერი და არა მე? მეც მინდა.. კეთილი... და განცხრომით ცხოვრება!..

იაკობმა შეხედა ამხანაგს და უცბათ ნელის ხმით, მაგრამ მკაფიოდ, უთხრა:

— ღმერთმა ნუ მოგცეს შენ გამარჯვება!

— რაო? რადა?—შეჰყვირა ილიამ, შეჩერდა შუა ოთახში და აღელვებულმა იაკობს დაუწყო ყურება.

— გაუმაძღარი ხარ... შენ ვერაფრით ვერ დაგაკმაყოფილებს კაცი. —აუხსნა ამხანაგმა.

ილიამ უგემურად და ბოროტად ჩაიცინა.

— ვერ დამაკმაყოფილებს? წადი, მამა შენს უთხარი, იმის ნახევარი მაინც მომცეს, რაც იმანა და ტერენტიმ პაპა ერემეის მოჰპარეს და დაინახავ—გაუმაძღარი ვარ თუ არა, გაუმაძღარი!.. მერე მამაშენი...

აქ ილიამ შენიშნა, რომ იაკობი წამოდგა და თავ ჩაქინდრულმა კარებისკენ გასწია. ილიამ გაადევნა თვალი და დაინახა, რომ იაკობს მხრები უცახცახებდნენ და კისერი ისე მოჰკაკვოდა, თითქოს რაღაც ჩაურტყავთ და ეხლაც ველარ გაუსწორებიაო.

— დაიცა!—დარცხვენით უთხრა ილიამ და მოჰკიდა ამხანაგს ხელი:—სად მიდიხარ?

— გამიშვი, ძმაო!—თითქმის ჩურჩულით უთხრა იაკობმა, შეჩერდა და შეხედა ილიას. სახე გაჰფითრებოდა, ტუჩები მოეკუმშა და ისე მოშვებულიყო, თითქოს რაღაც სიმძიმეს გაუსრესიაო.

— კარგი... არა გიშავს-რა, დაიცადე,—დამნაშავის კილოთი უთხრა ილიამ, ფრთხილად მიიყვანა კედელთან და ისევ სკამზედ ჩამოსვა:—ნუ გამიჯავრდები... რა ირის, რად გეწყინა?.. შენც თითონ იცი, რომ მართალია...

— ვიცი!—უთხრა იაკობმა.

— იცი?

— ჰო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ გითხრა?

— სუყველა ლაპარაკობს...

— ჰოო!.. მაგრამ ვინც ლაპარაკობენ, ისინიც ხომ ქურდები არიან!

იაკობმა საკოდავათ შეხედა ამხანაგს და ამოიოხრა.

— არა მჯეროდა... მე მეგონა, შური ალაპარაკებთ-მეთქი. მერე ეჭვში შევედი... და ახლა თუ შენც ამბობ, მაშ...

ჩაიქნია ხელი, მიბრუნდა და თავ-ჩაქინდრული, სკამის საჯდომზედ ხელებ-დაბჯენილი გაშრა და გაშეშდა უნძრეველივ. ილია მოშორდა, იაკობსავით ჩამოჯდა ლოგინზედ და გაჩუმდა, რადგან არა იცოდა-რა ეთქვა და რითი ენუგეშებინა ამხანაგი.

კედელს იქით ჰყვიროდნენ და ღრიალებდნენ; ისმოდა ჭურჭლის წკარა-წკური და მთვრალი ქალის წვრილი ხმა გაისმოდა:

„არც მეძინება, ვერცა საწოლსა,
დავკარებივარ გულნალვლიანი...“

— აბა, მოდი და გასძელ ამ ცხოვრებაში,—წაილაპარაკა ნახევარი ხმით იაკობმა.

— ჰოო,—გამოხმობასავით გაიმეორა ილიამ იმავე ხმით:— მე განა არ მესმის, ძმაო... არც შენი ცხოვრებაა ია-ვარდით მოფენილი... ერთია სანუგეშო—სუყველანი ეგრეთები არიან, რომ დააცქერდე... სუყველანი ერთი ყალიბისანი არიან და ერთი ფასი ადევთ...

— შენ ნამდვილად იცი ისა?—გაუბედავად დაეკითხა იაკობი და არც კი შეჰხედა ამხანაგს.

— მე? ჩემის თვალითა ვნახე... გახსოვს რომ გავიქეცი? ჭუჭრუტანიდან დავინახე, ბალიში გაერღვიათ, ფული ამოეღოთ და გარღვეულ ადგილს ჰკერავდნენ... მოხუცი კი ჯერ ისევ ხრიალებდა...

იაკობმა მხრები შეიშმუშნა და არა უთხრა-რა ამხანაგს. ისინი დიდი ხანი ისხდნენ გაჩუმებულნი—ერთი სკამზე და მეორე ლოგინზე. მერე წამოდგა იაკობი, კარებისკენ წავიდა და უთხრა ილიას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მშვიდობით...

— მშვიდობით, ძმაო... ძალიან კი ნუ დაღონდები... რას იზამ?

— მე რად დავღონდები...—უპასუხა იაკობმა და გამოაღო კარი.

ილიამ ამხანაგი თვალებით გააცილა და მძიმედ დაეშვა ლოგინზე. მას შეეცოდა იაკობი და ხელმეორედ მოუვიდა ბრაზი ბიძაზე, პეტრუსაზედ და ყველა ხალხზედ. ის ჰხედავდა, ჰგრძნობდა, რომ იაკობისთანა სუსტი ადამიანი მათ შორის ვერ იცხოვრებდა—იაკობი კი კაი კაცი იყო, ჩუმი, კეთილი და სუფთა. ილიამ ხალხზე დაიწყო ფიქრი და ათასი შემთხვევა, ათასი გარემოება მოაგონდა, სადაც ხალხი ბოროტად, ულმობლად, შეუბრალებლად და ცრუდ იხატებოდნენ. ამისთანა ხალხს ის ბევრს იცნობდა და ძალიან ადვილად მოსვრიდა მათ თავის მოგონებათა ნაღველით და ჭუჭყით. რაც უფრო მეტს ჭუჭყსა ჰხედავდა, მით უფრო უძნელდებოდა მას სუნთქვა,რაღაც უცნობი და საუცხოვო გრძნობანი გულს უხუთავდნენ და ცივ ოფლსა ჰგვრიდნენ; ამ გრძნობაში ნაღველიც გამოიხატებოდა, ღვარძლიანი სიხარულიც და ამ შავს, უფერულს ცხოვრებაში განმარტოებითი ცხოვრების შიშიც...

ბოლოს, სულ მთლად რომ დაჰკარგა მოთმინება და პატარა ოთახში, სადაც დუქნის მღვრიე და მყრალი ხმები ისმოდნენ, წოლა ველარ მოახერხა, ადგა და სასეირნოდ წავიდა. დიდიხანი იარა იმ ღამეს ქუჩა-ქუჩა და თან თავ-მომაბეზრებელი მძიმე ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ. დადიოდა მარტოთ-მარტო სიბნელეში და ჰფიქრობდა—ეს რა ამბავია ჩემს თავს? თითქო უკან მუდამ ვიღაც მტერი მდევს და იქით მაგდებს, სადაც ცუდია ცხოვრება, მძიმე და ძნელი; მაჩვენებს მხოლოდ იმას, რაც სულსა და გულს მიხუთავს და გულში გესლსა და შხამს მითესავს. ხომ არის ქვეყნად კარგი ხალხი, შემთხვევები და სიმხიარულე, რატო იმათ არა ვხედავ და რისგანაა, რომ ყოველთვის მხოლოდ ბოროტს და საძაგელს ვეხეჩები? ვინ არის, რომ სუყველაფერს შავს, ჭუჭყიანს და ბოროტს მაჩვენებს ცხოვრებაშიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფიქრებით გართული მიდიოდა მინდვრათ, ქალაქს გარედ აშენებულ მონასტრის გალავნის ძირში და წინ იყურებოდა. მის შესახვედრად კუმეტი სივრციდან მძიმედ და დინჯად ღრუბლები მოსცურავდნენ. აქა-იქ, ღრუბელთ შორის ნათელი ცის ნაგლეჯნი გამოჰყოფდნენ თავს და მათზედ ნაზად მოკამკამე პატარა ვარსკვლავნი ეჩვენებოდნენ ქვეყანას. ღამის სიჩუმეში ხან-და-ხან თუ შემოსცურდებოდნენ მონასტერში ღამის დარაჯისაგან ჩამორეკილი ზარის წკრიალა ხმები ; ესენი თუ შეახმაურებდნენ და შეარხევდნენ მკვდარ სიჩუმეს, რომელსაც დედამიწა ჩაეკრა გულში და არე-მარე მოეცვა. ქალაქიდანაც კი, რომელიც შავად მოსჩანდა ილიას ზურგს იქიდან, არავითარი ხმა აღარ ისმოდა, თუმცა ჯერ ისე გვიან არ იყო. ჰყინავდა; ილია მიდიოდა და ფეხები გაყინულ ტლაპოსა და ქვებს ედებოდა. მარტოობისა და ფიქრებით დაბადებულმა შიშმა უცბად შეაჩერა ილია. ის ზურგით მონასტრის გალავნის ცივ კედელს მიეყრდნო და ისევ ჰფიქრობდა—ვინ მატარებს ცხოვრებაში და ვინ არის, რომ მარტო ტანჯვასა და მძიმე ცხოვრებას მაგემებსო?

ცივმა ოფლმა დაასხა, ერუანტელმა დაურბინა მთლად სხეულში და, რაღაც საზარელის წინაგრძნობით აღსავსე, კედელს ჩამოშორდა და აჩქარებულის ფეხით ქალაქისაკენ გასწია; განაბული, ხშირი ბორძიკით მირბოდა და უკან მოხედვისა ეშინოდა...

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარას გულგა

მოთხრობა

ნ. ვ. გოგოლისა.

(დასასრული)

*)

„დიდ ხანსა მძინებია!“ წარმოსთქვა ტარასმა, მოწყვეტილმა და მოშვებულმა რომ თვალთ გაახილა, გონება შემოიკრიბა და თავისს გარშემო საგნებს ცნობა და გარჩევა დათწყო. ყოველი ასო მოწყვეტილი და დასუსტებული ჰქონდა საშინლად. უცნობ ქოხის კედლებსა და კუნჭულებს მთლად რატრატი გაჰქონდათ. ბოლოს შენიშნა, რომ გვერდით ტოვკაჩი უჯდა და, როგორც ეტყობოდა, ყოველსავე მის სულთქმას ყურს უგდებდა.

„დიახ“, იფიქრა თავისთვის ტოვკაჩმა: „იქნება სამუდამოდაც ჩაგეძინა!“ მაგრამ არა უთხრა-რა. მხოლოდ თითი დაუქნია და ანიშნა ჩუმად ყოფილიყო.

„მითხარი ერთი, სადა ვარ ეხლა?“ ჩაეკითხა ისევ ტარასი და თან დაიწყო მოგონება, სად რა გადაჰხდა თავსა.

„გაჩუმდი-მეთქი!“ სასტიკად შეუყვირა ამხანაგმა: „რაო, რა გინდა გაიგო? ვერ ჰხედავ, განა, მთლად დაჩეხილი ხარ? აგერ ორი კვირაა უსვენებლივ მოვაქროლებთ ცხენს და შენ კიდევ სიცხეში, ვინ იცის, რა სისულელეს არა ჰბოდავ. აგერ

*) იხ. „მოამბე“ მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 №-რი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ეხლა-ლა ჩაგეძინა ცოტა მოსვენებით. გიჯობს, გაჩუმდე, თუ შენის თავისათვის სიკეთე გინდა.“

მაგრამ ტარასი მაინც სცდილობდა ფიქრები შემოეკრიბა და წარსული მოეგონებინა. „მართლა-და, ხომ სულ მთლად გარს შემომერტყნენ და თითქმის დამიჭირეს ლიახებმა? არავითარი საშუალება აღარა მქონდა მებრძოლთა ბრბოსაგან თაკი დამეღწია?“

„გეუბნებიან, გაჩუმდი, ეშმაკის შვილო!“ შეუყვირა ხელ-ახლად გაჯავრებულმა ტოვკაჩმა, როგორც მოთმინებიდამ გამოყვანილი და გაბრაზებული აღმზრდელი ქალი დასტუქსავს ხოლმე მოუსვენარს ბავშვსა. „მითხარ, რა მოგემატება, თუნდაც გაიგო, როგორ დააღწიევი თავი? ისიცა კმარა, რომ თავი იხსენი. აღმოჩნდა ისეთი ხალხი, რომ მტერს არ დაგანებეს და მორჩა გათავდა! ჯერ კიდევ ბევრი ღამეები გავა, ვიდრე ჩვენ გზაში ვიქნებით. გგონია უბრალო ყაზახად ჩაგთვალეს? არა, ორ ათას ოქროთ იყო შენი თავი დაფასებული“.

„ოსტაპი?“ შეჰყვირა ტარასმა და წამოწევა მოინდომა, მაგრამ უცბად მოაგონდა—ოსტაპი როგორ დაიჭირეს მის თვალ-წინ, როგორ შეჰკრეს,—მოაგონდა, რომ ოსტაპი ეხლა ლიახების ხელშია და მისი მოხუცი თავი ისევ მწუხარებამ შეიპყრო. მოიგლიჯა და გადაყარა მთლად ჭრილობათა შესახვევლები, თან უნდოდა ხმა-მაღლა რაღაცა ეთქვა, მაგრამ სისუსტეზე წამოროშა. სიცხემ უმატა და დაიწყო ისევ უაზროდ უთავბოლოდ ბოდვა. ერთგული ამხანაგი-კი ისევ თავს დასტრიალებდა, ლანძღავდა და უსაყვედურებდა, რომ ასე წინდაუხედავათ იქცეოდა. ბოლოს დაუჭირა ხელ-ფეხი, ბავშვივით ხელ-ახლად შეჰხვია, გაუსწორა ჭრილობის შესაკვრელები, ხარის ტყავში გაჰხვია, შეჰკრა ლაფნებით, მიიბა თოკით უნაგირზე და ხელ-ახლად გაუდგა ცხენით გზას.

„მკვდარს მაინც მიგიტან! არ მივცემ ნებას, რომ შენი ყაზახის ბუნება ლიახებმა შეაგინონ,—რომ ნაჭერ-ნაჭერ დაგჭრან და წყალში გადაგყარონ. დეე, თუ მაინც და მაინც

ამოგთხრის მაგ თვალებს არწივი, ისევ ჩვენმა, მინდვრის არწივმა ამოგჩიჩქნოს და არა იმან, პოლონელთა მიწა-წყლიდგან რომ მოფრინდება ხოლმე. მკვდარს მაინც-და უთუოდ მიგიტან უკრაინაში.“

ეუბნებოდა ტარასს მისი ერთგული ამხანაგი ტოვკაჩი. ასე აჭენა დღე და ღამ ცხენი და ბოლოს უგრძნობი ტარასი სეჩში მიიყვანა. აქ ტოვკაჩი ერთგულად შეუდგა ბალახებითა და სხვა-და-სხვა საცხებლებით ტარასის წამლობასა, იპოვნა ვიღაცა ურიის ექიმი დედაკაცი, რომელმაც მთელს თვეს რაღაცა წამლები ასვა და ბოლოს, როგორც იყო, უკეთ შეიქნა ტარასი. წამალი გაუხდა მიზეზათ, თუ ისევ თავისი რკინის ბუნება და ძალღონე დაეხმარა, თვე-ნახევრის შემდეგ ტარასი ფეხზე ადგა. ჭრილობანი მოურჩნენ და მხოლოდ ნაჭრილობარნი-ღა უჩვენებდნენ, რომ ამ ადგილას ტარასს ღრმა ჭრილობები ჰქონდა. სამაგიეროთ საშინლად მოიღრუბლა, მოიწყინა. სამი ღრმა ნაოჭი მძიმედ გადაეჭდო შუბლზე და მას შემდეგ აღარ მოსცილებია. მიიხედა, მოიხედა და ნახა, რომ სეჩი მთლად გაახლებულიყო, ძველი მეგობრები და ამხანაგები ყველანი დახოცილიყვნენ. აღარც ერთი იმათგანი არა სჩანდა, ვინც სიმართლისა, სარწმუნოებისა და ძმობისათვის იბრძოდა. ისენიც არსადა სჩანდნენ, კოშევოისთან ერთად რომ თათრებს გამოეკიდნენ: ყველას თავი გაეწირა, ყველა დაღუპულიყო,— ზოგი ბრძოლის დროს, ზოგი შიმშილისა და უწყლობისაგან ყირიმის ვეძებში, ზოგიც ტყვეობაში—რაკი შერცხვენა ვერ აეტანათ; თვითონ ძველი კოშევოიც დიდი ხანია ცოცხალი აღარ იყო, აღარც თუ ვინ ძველ მეგობარ-ამხანაგთაგანი.— დიდი ხანია ყაზახთა ძალ-ღონეს ხავსი მოჰკიდებოდა: კარ-მიდამო აჰბალახებოდათ. გაიგო მხოლოდ ტარასმა, რომ დიდი მეჯლიში ჰქონოდათ: ჭურჭელი მთლად დაემშვრიათ, ცვარი ღვინო აღარსად დარჩენოდათ, ძვირფასი ფიალები და კულები, აგრეთვე დანარჩენი ჭურჭელი მთლად სტუმრებსა და მსახურთ დაეტაცნათ. მამა სახლისა ნაღვლიანადა ფიქრობს თურმე ახლა: „სჯობდა, სულაც არა მქონოდა ასეთი მეჯლიშიო“. ტყუილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცდილობდნენ გაერთოთ, გაემხიარულებინათ ტარასი; ტყუილად მოდიოდნენ ჭალარა წვერიანი მეფანდურენი და ორ-ორნი, სამ-სამნი უქებდნენ ვაჟკაცობასა და გმირობასა; გულცივადა და მკაცრად გადაავლებდა ხოლმე თვალს, უძრავს სახეზე დაუშრეტელი მწუხარება და ნაღველი აღებეჭდებოდა და თავ-ჩაკიდული ჩუმად გაიძახოდა ხოლმე: „შვილო, ოსტაპ, შვილო!“

ზაპოროჟელები საზღვაო ლაშქრობისათვის ემზადებოდნენ. ორასი ნავი ჩაუშვეს დნეპრში და მცირე აზიას მოედვნენ თავ-გაპარსული ჩუბიანი ყაზახები, მთელს მისს აჭყვავებულს ნაპირებს აოხრებდნენ, ცეცხლისა და მახვილის მსხვერპლად ხდიდნენ. მაჰმადიანთა დოლბანდები სისხლით მორწყულს ნაპირებზედ სისხლის მორევში დასცურავდნენ ათასფერად გაფრიალებულ გაფანტულნი. მრავალი ნახა მცირე აზიამ ფისით გათხუნულ ზაპოროჟელების შარვლები და შავ-მათრახიანი, სქელ-კუნთებიანი მარჯვენა. მთლად შესჭამეს და დაამტვრიეს ყურძენი და ვაზის ძირები ზაპოროჟელებმა; ჯამეებში კიდევ ნეხვის ზვინები დასტოვეს. ძვირფასს სპარსულს შალებს ფეხის მჩვრებათა და გათხუნულ კაბებზე შემოსახვევად ჩმარობდნენ. მას შემდეგ კიდევ დიდ-ხანსა პოულობდნენ ხოლმე იმ ადგილებში ზაპოროჟელთა მოკლე ჩიბუხებსა. მხიარულად მოდიოდნენ უკან ზაპოროჟელნი. წამოეწია უკანიდან ათ-ზარბაზნიანი ოსმალთა ხომალდი, დაუშინა ყველა ერთადა და ჩიტებივით გაფანტა მათი ნავები. ერთი მესამედი ნავებისა ზღვამ იმსხვერპლა; მაგრამ დანარჩენები ისევ შეერთდნენ და დნეპრის შესართავში თორმეტი ცეხინებით გატენილი ბოჭკა მოიტანეს. მაგრამ ტარასს აღარა ანუგეშებდა-რა, მისს ყურადღებას არა იზიდავდა-რა. დადიოდა ხან მინდვრად, ხან ჭალებში, ვითომ-და სანადიროდ, მაგრამ თოფი არასოდეს არ დაუცლია. დაიდებდა მოწყენილი თოფს გვერდით და იჯდა დაღონებულ დაძმარებული ზღვის პირადა. დიდხან იჯდა ხოლმე ასე თავ-ჩაკიდული და განუწყვეტლივ იმეორებდა: „ოჰ, ოსტაპ, შვილო, ჩემო ოსტაპ!“ შავ ზღვას-კი საამურად გაჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხოლმე ლაპ-ლაპი; შორს, ჩალებში, დედამთვრალა ჩიტი გაჰკიოდა ხოლმე. იჯდა ხოლმე ტარასი ასე გულ ჩათუთქული და ჭალარა, თეთრს ულვაშზე ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

ველარ მოითმინა ტარასმა: „რაც იქნება, იქნება, წავალ, შევიტყობ: ცოცხალია თუ არა? სამარეშია? თუ სამარეშიაც ალარ არის? გავიგებ, რაც უნდა მომივიდესო!“ ერთის კვირის შემდეგ უკვე ქალაქს უმანში იყო შეიარაღებულ-ამხედრებული ხმლით, შუბითა და უნაგირზე დაკრულ სამგზავრო ბაკლაგითა (პატარა პრტყელი ბოჭკაა) და სალაშქრო შორვის ქოთნითა; თანვე ჰქონდა ტყვია-წამალი, ცხენისათვის ნალები და სხვა საჭირო იარაღი. ტარასი პირდაპირ ერთს ჭუჭყიანსა და გათხუპნულს სახლს მიადგა, რომლის პაწია ფანჯრებსაც ძლივს-ძლივობით გაარჩევდა ადამიანი, ისე იყო რიღათიც გამურული. ბოხრის ხვრელში ჩულები ჰქონდა დაცმული, აქა-იქ დახვრეტილ-დამტვრეული ჩარდახი მთლად ჩიტებით იყო სავსე. თვითონ კარებ-წინ მთელი გროვა ნაგავი იყო მიხვეტილი. ფანჯარაში თავი გამოეყო ვილაცა ჩეფჩიკიან ურიის ქალს, რომელსაც მარგალიტები მთლად ჩაჰშავებოდა.

„ქმარი შინ არის?“ ჩაეკითხა ბულბა, გადმოხტა ცხენიდან და კარებთან დაყოლილ რკინის კაპზე მიაბა.

„შინ არის“, მიუგო დედაკაცმა და მაშინვე ხის პინით ცხენისათვის ქერი და რაინდისათვის კიდევ ლუდი გამოარბენინა.

„შენი ურია სადღაა?“

„მეორე ოთახში გახლავთ, ლოცულობს“, უპასუხა ურიის დედაკაცმა და თან მდაბლად თავი დაუკრა, მშვიდობა უსურვა იმ დროს სწორედ, ბულბამ რომ ლუდი პირთან მიიტანა.

„დარჩი აქ, ცხენს აჭამე, წყალი დაალევინე, მე კი შევალ, მოველაპარაკები, საქმე მაქვს“.

სახლის პატრონი ჩვენი უკვე ცნობილი იანკელა ურია იყო. იანკელა ახლა იჯარებს იღებდა, ღვინოებს ჰყიდდა აქა. გამოსწოვა, თუ რამ გააჩნდათ, და ხელთ დაიჭირა ყველა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლობელი პანები და შლიახტიჩები; მთელს ამ მხარეს თავისი ურიული ბეჭედი დაასვა. სამის მილის მანძილზე ოთხივ მხრივ ერთი ქოხი რა არის, ერთი ქოხი აღარ მოიძებნებოდა რიგიანი: ყველა დასცა, გააღარიბა; ყველაფერი შესჭამეს, დარჩათ-ლა მხოლოდ სილარიბე და ნაფლეთი მჩვრები. თითქოს ცეცხლს გადაუწვავს, დიდს ჭირს მოუოხრებიაო, ისე იყო ყველაფერი მიდამოში განიავქრებული, განადგურებული. ათი წელიწადი რომ კიდევ დარჩენილიყო, მაშინ-კი უთუოდ მთელს სამოურავოს გააოხრებდა.

ტარასი სახლში შევიდა. ურიას თავისი ძალზე ტურტლიანი სუდარა წამოესხა და ლოცულობდა. იმ დროს შევიდა ტარასი სწორედ, როცა იანკელამ, სარწმუნოებრივ ჩვეულებისამებრ, უკანასკნელად შემოიბრუნა პირი, რომ გაეფურთხებინა. და ჰა, დაინახა, რომ მის უკან ბულბა იდგა. უპირველესად ყოვლისა ურიას თვალებში ორი ათასი ოქრო აეჩხირა, როგორც იყო დაფარებული ბულბას თავი; მაგრამ შერცხვა ურიას თავის ვერცხლ მოყვარეობისა და ეცადა ეს ჩრჩილივით მუდამ მღრღნელი ოქროს სიყვარული და ფიქრი დაეძლია.

„ყური დამიგდე, იანკელა!“ გამოელაპარაკა ტარასი ურიასა, რომელიც მოწიწებით თავს უკრავდა და სიფრთხილით ჰხურავდა კარებს, არავინ დაგვინახოსო, „გახსოვს, სიკვდილს გადაგარჩინე, თორემ ზაპოროჟელნი ძაღლივით გაგგლეჯდნენ; ახლა შენი ჯერია სამსახური გამიწიო!“

ურიას ცოტა არ იყოს პირისახე როგორღაც დაეღრიჯა.

„რა სამსახური? თუ კი ისეთი სამსახური იქნება, რომ შეიძლება, რატომ არა?“

„აღარა თქვა-რა. ვარშავაში წამიყვანე“.

„ვარშავაში? როგორ თუ ვარშავაში?“ გაიმეორა იანკელამ და განცვიფრებისაგან მხრები და წარბები მთლად მაღლა მაღლა წაუვიდა.

„აღარა მითხრა-რა. წამიყვა. რაც უნდა იყოს, ერ ხელ კიდევ მაინც მინდა ვნახო. ერთი სიტყვა მაინც ვუთხრა .

„ვის უნდა უთხრა სიტყვა.“

„იმას, ჩემს შვილს ოსტაპსა“.

„ნუ თუ არა გსმენია-რა, რომ უკვე“...

„ვიცი, ყველაფერი ვიცი; ჩემს თავში ორი ათასი ოქრო აქვთ აღთქმული, იციან, მაშ ფასი რას დასდონ. მე შენ ხუთი ათასს მოგცემ. აი ეს ორი ათასი ახლა მიიღე (და ბულბამ ტყავის აბგიდან ორი ათასი ოქრო გადმოუყარა),—დანარჩენს რომ დავბრუნდები, მაშინ მიიღებ“.

ურიამ მაშინვე პირსახოცს სტაცა ხელი და ოქროებს გადააფარა.

„ოჰ, რა კაი ფულია! ოჰ, რა მშვენიერია!“ იძახოდა ურია და თან ერთს ოქროს ხელში ატრიალებდა, კბილით სინჯავდა. „მგონია, ვისაც ეს ოქრო წაართვი, ბატონო, ერთს საათსაც აღარ იცოცხლა, მაშინვე წყალში გადავარდა და დაიხრჩო“.

„შენ არ გთხოვდი და იქნება მეც კარგად მიმეგნო, ვარშავის გზა საით არის, მაგრამ ვაი თუ გამიგონ წყეულმა ლიახებმა და დამიჭირონ; მე გამოგონება არაფრისა არ შემიძლიან. თქვენ კი, ურიები, ამისთვისა ხართ შექმნილნი: თუნდაც თვითონ ეშმაკს მოატყუებთ, ყველაფერი მოგეხერხებათ; აი, ამიტომ მოვედი შენთან! ვარშავაშიაც მე ვინ რას მაჩვენებდა? შეაბი ეხლავე ურემი და წამიყვანე!“

„მერე, პანსა ჰგონია, რაკი ცხენს შევაბამ, ეგ არის: „ეი, გასწიე ცხენო!“ და წავედით?! ჰგონია, რომ ეგრე დაუმალავად შეიძლება მისი წაყვანა?“

„დამმალე, მაშ, დამმალე, როგორც იცოდე; ცალიერს ბოჭკაში ხომ არ გინდა ჩამსვა?“

„აი, აი, აი! ბატონს ჰგონია, რომ ბოჭკაში შეიძლება მისი დამალვა! არ იცით, განა, ბატონო, რომ ყველას მაშინვე არაყი ეგონება?“

„დეე, ეგონოსთ, მერე რა არი?“

„როგორ? ეგონოსთ რომ არაყიაო?“ გაიოცა ურიამა, ორივე ხელი კიკინებში იტაცა და მაღლა ასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაო, რატომ აგრე გაშტერდი?“

„მერე, განა, არ იცი, ბატონო, რომ არაყი ღმერთმა იმიტომ გააჩინა—ყველამ იგემოსო? იქ ყველა მსუნაგია; ხუთს ვერსს ირბენს შლიახტიჩი ბოჭკის უკან, ბოლოს გაჰხვრეტავს და რა ნახავს, არა გამოვა-რა, მაშინვე იტყვის: „უთუოდ არის რამე ბოჭკაში, თორემ ურია ტყუილად არ ათრევსო: დაიჭით ურია, შეჰკარით, ფული წაართვით, ციხეში ჩასვით ურიაო!“ იმიტომ, რომ ყველაფერს ცუდს ურიას მოახვევენ ხოლმე თავზედა; იმიტომ, რომ ურია ყველას ძაღლად მიაჩნია; იმიტომ, რომ ჰგონიათ, რაკი ურიაა, კაცი აღარ არისო!“

„თევზის ურემში ჩამდევი, მაშა!“

„არ შეიძლება, ბატონო; უფლის მადლმა არ შეიძლება. მთელს პოლონეთში ხალხი ძაღლივით დამშეულია ახლა: თევზსაც მოიტაცებენ, ბატონსაც დაიჭერენ.“

„მაშ, თუ აგრეა, თუნდა ეშმაკზე შემსვი და ისე წამიყვანე, ოღონდ წამიყვანე-კი“!

„ყური დამიგდე, მაშ, ბატონო, ყური!“ შესძახა ურიამა, ორივე სახელოები გაიხ-გამოიხახუნა და ხელებ-გაფარჩხული მიუახლოვდა. „აი, რასა ვიქთ. ახლა ყველგან ციხე-სიმაგრეებს აშენებენ; ნემეცების ქვეყნიდან ფრანგი ინჟენერები არიან მოსულნი, გზებზე ყველგან მრავალი ქვა და აგური მიაქვთ. ჩაწექით, ბატონო, ურმის ძირში და მე ზევიდან აგურს დავალაგებ. გარეგნობით ჯანსაღი და მაგარი ხართ. არა უშავს-რა, თუ ცოტა გემძიმებათ. მე კიდევ ქვემოდან ურემს ნახვრეტს გავუკეთებ, რომ საჭმელი მოგაწოდოთ ხოლმე“.

„როგორც გინდოდეს, ისე გააკეთე, ოღონდ წამიყვანე!“

ერთი საათის შემდეგ აგურით დატვირთული ურემი, რომელშიაც ორი ჯაგლაგი ცხენი ება, უკვე მიდიოდა უმანიდგანა. ერთს ამათგანზე თვითონ იანკელა ურია იჯდა და არახჩინ ქვეშ ჩამოშვებულს გრძელს, ხუჭუჭს კიკინებს მიაფრიალებდა, რამდენიც-კი ცხენის ჩაკ-ჩაკზე შეხტებოდა ხოლმე, ვერსების მაჩვენებელ გზის ბოძივით მაღლა-მაღლა აწოწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI

იმ დროს, როცა ეს ამბავი მოხდა, საზღვრებზე ჯერ არც მებაჟე მოხელეები იყვნენ და არც ცხენოსანი დარაჯები, ეს გამბედავ, საქმიან ხალხის საშინელი საფრთხობელა, ასე რომ ყველას შეეძლო, სურვილისამებრ, რაც უნდოდა გაეტანა-შემოეტანა. თუ რომ მაინც არ დაიშლიდნენ და გასჩხრეკდა ვინმე, განატან-შემონატანს რევიზიას უზამდა, ეს მხოლოდ საკუთარ სარგებლობისათვის და სხვა არასფერი, მით უმეტეს, თუ ურემზე თვალწამტაცი რამ იქმნებოდა. აგურმა არავისი ყურადღება არ მიიზიდა და დაუბრკოლებლივ შევიდა ურემი ქალაქის გალავნის უმთავრესს კარებში. თავისს ვიწრო გალიიდგან ბულბას მხოლოდ ხმაურობისა და მეეტლეების ძახილის გაგონება შეეძლო. ჩაკ-ჩაკით შევიდა თავის გამტვრიანებულ ჯაგლაგით იანკელა ურია ქალაქში, რამდენჯერმე მიუხვივ-მოუხვია და ბოლოს ურემი ერთის ვიწრო ქუჩისაკენ გააბრუნა, რომელსაც სახელად ურიების ტალახის ქუჩა ერქვა. მართლაც და მთელის ვარშავის ურიები სულ ამ ქუჩაზე სცხოვრობდნენ. მთელი ქუჩა კარმიდამოების უკანა ჭუჭყიან-ტურტლიანს და გადმობრუნებულს შიგნეულობასა ჰგავდა. როგორც ეტყობოდა, მზე არასოდეს აქ არ შეაშუქებდა. მთლად გამურულ-ჩაშავებული ხის სახლები და ფანჯრებიდგან გადმოკიდული ლატნები ხომ უარესად აბნელებდნენ იქაურობას. ადგილ-ადგილ მოჩანდა მხოლოდ წითელი აგურის კედლები, მაგრამ ისინიც ზოგიერთგან მთლად ჩაშავებულები იყვნენ. მხოლოდ ათასში ერთგან მოსჩანდა ხოლმე მზისაგან გაელვარებული, თეთრად გალესული კედლის ნაჭერი და თვალს საშინლადა სტკენდა მაყურებელსა. აქ ყველაფერი უკიდურესად ოხრად და ჭუჭყიანად იყო: თუნუქები და თუნუქის მილები, მჩვრები, ჩალაბულა და ათას-ნაირი ნარჩევ-ნაჭუჭები, აგრეთვე დამტვრეული ხის გეჯა-კასრები, ყველაფერი ქუჩაში ეყარა. თუ-კი ვისმე რამ გააჩნდა გამოუსადეგარი და მეტი, ყველაფერს ქუჩაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყრიდნენ და ამ მურდლობით უტკბობდნენ გრძნობათ გამვლელებს. ცხენოსანი პირდაპირ ხელს მიაწვდენდა ფანჯრებიდგან გადმოკიდულსა და ხშირად ერთი სახლიდგან მეორემდის მაღლა გადებულს ხარიხებსა და ლატნებს, რომლებზედაც ეკიდა ხოლმე ურიების ტურტლიანი ჩულქები, მოკლე ნიფხვები და იქვე სადმე ბატის ჩაჩხი. ხან-და-ხან ფანჯარაში გამოჩნდებოდა რომელიმე მარილიანი ურიის ქალი, რომელსაც ყელზე ჩაშავებული თაღლითი ეყარა ხოლმე. მთელი ხროვა ტურტლიან და ჭუჭყიან, დაფლეთილ, ხუჭუჭ თმიან ურიის ბავშვებისა იქვე ქუჩის ტალახში გორაობდა და გაჰყვიროდა. ვიღაცა წითელ-წვერა ჭორფლიანმა ურიამ, რომელსაც სახე ბელურა ჩიტის კვერცხს მიუგავდა, ისე ჰქონდა ჭორფლისაგან აჭრელებული, ფანჯრიდან გადმოიხედა და მაშინვე თავანთებურ, წალმა-უკუღმა ენაზე დაუწყო იანკელას ლაპარაკი. იანკელამაც მაშინვე ურემი ერთს რომელსაღაც ეზოში შეაბრუნა. ქუჩაში ამ დროს მეორე ურია მოდიოდა. ისიც შედგა და დაუწყო იანკელას ლაპარაკი; როდესაც ბულბა აგურებ ქვეშიდან გამოძვრა, ურიები უკვე სამნი გამხდარიყვნენ და ცხარე ლაპარაკში იყვნენ.

მიუბრუნდა იანკელა ბულბასა და უთხრა, რომ ყველაფერი გაკეთდება,—რომ ოსტაპი ახლა ქალაქის საპატიმროში ზის, რომ თუმცა დარაჯთა დაყოლიება ძნელია, მაინც იმედი აქვს აჩვენებს როგორმე ოსტაპსა.

ბულბა და ურიები ოთახში შევიდნენ.

ურიებმა ისევ თავისს გაუგებარს ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. თვითოეულს მათგანს ყურადღებით შესცქეროდა ბულბა. ეტყობოდა რაღაცამ ძლიერად ააღელვა იგი: მისს მოუხეშავსა და გაცინებულს სახეზე რაღაცა შემმუსვრელმა იმედის ალმა შეითამაშა,—იმ იმედისა, რომელიც ხან-და-ხან უკიდურეს სასოწარკვეთილების დროს ეწვევა ხოლმე ადამიანსა; მოხუცმა გულმაც ძლიერად დაუწყო ცემა, თითქოს ახალგაზრდაო.

„გამიგონეთ, ურიებო!“ გამოელაპარაკა ბულბა და მისს ხმაში რაღაცა აღტაცებულობა გამოიხატა: „ქვეყანაზე თქვენი

გაუკეთებელი არა არის-რა, ყველაფერი შეგიძლიანთ. რომ მოინდომოთ, თუნდაც ზღვის ძირიდან ამოიყვანთ ადამიანსა. ტყუილად კი არ ამბობს ანდაზა: ურიამ რომ მოინდომოს, თავისს თავს მოიპარავსო. გამინთავისუფლეთ ჩემი ოსტაპი! მიეცით საშუალება ამ წყეულების ხელიდან გაქცევისა. აი, ამ კაცსაც დავპირდი თორმეტ ათასს ოქროსა და თქვენცა გპირდებით კიდევ თორმეტ ათასს სხვას. რაც კი რამ ძვირფასი ფიალები და ოქრო მაქვს დაფლული მიწაში, ქოხსა და ტანისამოსსაც კი გავყიდი და შეგეკვრებით პირობით, რომ რასაც კი ჩემს სიცოცხლეში ომში ვიშოვნი, ყველაფერს შუა გაგიყოფთ“.

„ოი, არ შეიძლება, საყვარელო ბატონო, არ შეიძლება!“ წარმოსთქვა ამოოხვრით იანკელამ.

„არა, არ შეიძლება!“ გაიმეორა მეორე ურიამაც.

სამთავე ურიამ ერთმანერთს გადაჰხედეს.

„რო ვცადოთ“, სთქვა მესამე ურიამა და თან შეშინებულმა გადაჰხედა ამხანაგებს „იქნება ღმერთმა ინებოს და...“

სამთავე ურიამ ნემეცურად დაიწყეს ლაპარაკი. სმენად გადაიქცა ბულბა, მაგრამ გაგებით ვერა გაიგო-რა; გაიგო მხოლოდ, რომ მარდოხას სახელს ახსენებდნენ ხშირად და სხვა არასფერი.

„იცი, რა არის, ბატონო!“ უთხრა იანკელამ, „უნდა მოველაპარაკოთ ერთს ისეთს კაცსა, რომლისა მზგავსიც დედამიწის ზურგზედ ჯერ არა ყოფილა. უ, უ! რა ბრძენი რამ არის, ნამდვილი სოლომონ ბრძენია: თუ ის ვერასფერს გააკეთებს, მაშინ სხვა უფრო ვერას გახდება. იჯექი აქ; აი, გასაღები, მაგრამ არავინ შემოუშვა!“ ურიები ქუჩაში გამოვიდნენ.

დაიკეტა კარები ტარასმა და დაუწყო პაწია ფანჯრიდან ურიების ტალახიანს პროსპეკტს ყურება. დადგნენ ეს სამი ურია შუა ქუჩაში და დაიწყეს ისევ ისე ცხარედ ჯაყჯაყი; მალე მეოთხეც მიემატათ, მერე მეხუთეც. ტარასის სულ ერთ თავად ისევ „მარდოხა, მარდოხა“ ესმოდა, სხვა არასფერი. ურიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთთავად ქუჩის ერთ მხარეს იცქირებოდნენ: ბოლოს, ქუჩის ბოლოში გამოჩნდა ერთ უხეირო სახლიდგან ურიის ბაშმაკიანი ფეხი და კაბის კალთებიც გამოფრიალდა. „აგერა, მარდოხა! მარდოხა!“ შეჰყვირეს ხუთთავე ურიამ ერთად. ცოტა იანკელაზე მოკლე და გამხმარი იყო მარდოხა ურია, მაგრამ შედარებით მეტად ჰქონდა სახე დანაოჭებული და ზემო-ტუჩი გასიებული. მივიდა თუ არა მარდოხა, მაშინვე ყველამ ერთად დაუწყეს ლაპარაკი და მარდოხამაც რამდენჯერმე გაჰხედა პატარა ფანჯარას, სადაც ტარასი იყო გამომწყვდეული. მიჰხვდა ტარასი, რომ ურიებს ლაპარაკი იმაზე ჰქონდათ. მარდოხაც ისმენდა ამ ლაპარაკს, ხელებსა ჰშლიდა, აწყვეტინებდა ლაპარაკსა, გვერდზე ხშირად აფურთხებდა, კაბის კალთებს იწევდა, ხელებს ჯიბეში იწყობდა, იღებდა რაღაცა საჩხარუნებლებსა და საძაგლად გატურტლულს ნიფხავს იჩენდა. ისეთი ყვირილი ასტეხეს ბოლოს ურიებმა, რომ შორი-ახლოს მდგომი მოდარაჯე ურია იძულებული შეიქმნა ენიშნებინა გაჩუმებულიყვნენ. ტარასს უკვე შიში შეეპარა, ვაი-თუ უბედურობა რამ შეგვემთხვასო, მაგრამ მოაგონდა, რომ ურიებს, თუ არ ქუჩაში, ისე ლაპარაკი არ შეუძლიანთ და რომ იმათს ენას თვითონ ეშმაკიც ვერ გაიგებს და დამშვიდდა.

ორი წამის შემდეგ ყველანი ტარასის ოთახში შევიდნენ. მივიდა მარდოხა ურია ტარასთან, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: „როცა ჩვენ და ღმერთი რისამე გაკეთებას მოვინდომებთ, საქმე ისე იქნება, როგორც სასურველია.“

შეჰხედა ტარასმა ამ სოლომონს, რომლის ბადალიც დედამიწას ჯერ არ ენახა და იმედი მიეცა. მართლაც-და გარეგნობა ნდობის ჩამნერგველი ჰქონდა: მისი ზედა ტუჩი სწორედ რომ საზარლობა იყო; ეჭვი არ არის, რაღაცა გარეშე მიზეზების გამო ჰქონდა ისე გასიებული. წვერის ადგილას სულ თხუთმეტი ბალანი-ღა ჰქონდა შერჩენილი, ისაც მხოლოდ მარცხენა მხარეს; სახეზე კიდევ იმდენი ნიშნები ჰქონდა კაიკაცობისათვის ცემისა, რომ ეჭვი არ არის, თვითონაც აღარ ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოვდა ამ სოლომონს მათი რიცხვი და ბოლოს და ბოლოს ხალებათ მიაჩნდა.

წავიდა ბოლოს მარდოხა და მასთან ამხანაგებიც, რომლებიც მისის სიბრძნით უზომოდ იყვნენ განცვიფრებულნი. ბულბა ისევ მარტოკა დარჩა. როგორლაც უცნაურს, არა ჩვეულებრივს მდგომარეობაში იყო იგი: მთელს სიცოცხლეში ეს პირველი იყო, რომ ასეთი მოუსვენრობა ეგრძნო. რაღაც ციებ-ცხელებასა ჰგრძნობდა. ტარასი ახლა წინანდებრ მხნე, შეურყეველი და მუხასავით მაგარი აღარ იყო; ჰგრძნობდა, რომ სულმოკლეობდა, სუსტობდა, თვითოეული შრიალი აკრთობდა, აღელვებდა თვითოეული ურიის სახე, რომელიც კი ქუჩის ბოლოში გამოჩნდებოდა. მთელი დღე ასე გაატარა ტარასმა. არა უსვამ-უჭამია-რა და პატარა ფანჯრისათვის თვალი არ მოუშორებია. ბოლოს საღამო ჟამს მარდოხა და იანკელა მოვიდნენ. გულის-ცემა თითქმის მთლად შეუდგა ტარასსა.

„რაო? საქმე გაარიგეთ?“ დაეკითხა მოუთმენლად ბულბა. მაგრამ ვიდრე ურიები ძალას შემოიკრებდნენ და ტარასს პასუხს მისცემდნენ, შეჰნიშნა უკვე, რომ მარდოხა ურიას უკანასკნელი კულული აღარსად უჩნდა, რომელიც, თუმცა უსუფთაოდ, მაგრამ მაინც არახჩინს ქვეშ ხუჭუჭად ჰქონდა ჩამოშვებული. ეტყობოდა რაღაცის თქმა უნდოდა მარდოხასა, მაგრამ ისეთი სისულელე დაროშა, რომ ტარასმა სრულიად ვერა გაიგო-რა. თითონ იანკელაც ხელს ხშირ-ხშირად პირზე იფარებდა, თითქოს გაციებულაო.

„ოჰ, საყვარელო ბატონო!“ მიუგო იანკელამ: „ახლა სრულიად შეუძლებელია! ღმერთმანი, შეუძლებელია! ისეთი ცუდი ხალხია, რომ თავზე უნდა დააფურთხო და სხვა არასფერი. აი, მარდახაც გეტყვის. მარდახამ ისეთი რამა ქნა, რაც ჯერ არც ერთს ადამიანს არ უქნია დედამიწის ზურგზე; მაგრამ ღმერთმა არ ინება, რომ საქმე მოწყობილიყო. სამი ათასი ჯარის კაცი დგას, ხვალ ყველას სიკვდილით დასჯიან“.

შეჰხედა ტარასმა ურიებს თვალებში, მაგრამ ამ ჟამად რისხვით აღარა, მოთმინებით.

„ხოლო თუ პანს ნახვა უნდა, ხვალ დილით, ადრიანად შეიძლება, ისე რომ ჯერ მზე არ ამოსულიყოს. დარაჯები თანახმანი არიან. ერთი ლენტევრიც დაგვპირდა. მაგრამ ხეირიმც არ უნახავთ იმათ საიქიოსა. ოჰ, ვეი, რა ქვეყანაა! რა ვერცხლის მოყვარე ხალხია! ჩვენშიაც კი არ არიან იმისთანები: თითოს ორმოც-ორმოც-და ათი ოქრო მივეცი და ლენტევრს კიდევ...

„კარგი წამიყვა იმასთან!“ წარმოსთქვა გადაწყვეტით ტარასმა და მთელი სიმტკიცე სულისა კვლავ დაუბრუნდა. დასთანხმდა ტარასი იანკელას, რომ ნემეცების ქვეყნიდან მოსულ უცხოელ გრაფის ტანისამოსი ჩაეცვა, რომელიც შორს გამჭვრეტს ურიას კიდევაც ეშოვა. დაღამდა კიდეც. სახლის პატრონმა, ცნობილმა ჭორფლიანმა ქერა ურიამ, თხელი რაღაც სქელ ტილო გადაკრული ლეიბი გამოაძრო და ბულბას გაუშალა ტახტზე. იანკელა ძირს, იატაკზე დაწვა ასეთსავე ლეიბზე. ქერა ურიამ პატარა ფიალით რაღაცა ტკბილი სასმელი დალია, გაიხადა კაბა და ჩულქ-ბაშმაკიანმა, — წიწილის მსგავსმა,—თავისს ცოლით რაღაც პატარა, შკაფის მზგავს კუნჭულისაკენ გასწია. ორმა ურიის პაწია ბიჭმა კიდევ იქვე ამ შკაფის გვერდით მიდეს თავი იატაკზე, თითქოს პატარა, შინაური გოშიები არიანო და მიიძინეს. მაგრამ არ სძინებია ტარასსა; იჯდა უძრავად და თითებს ოდნავ აკაკუნებდა სტოლზე,—თან პატარა ჩიბუხი ედო პირში და აბოლებდა. აკემინა ცხვირს თამბაქოს ბოლმა ურიასა და ბოლოს საბანში წააყოფინა თავი. ის-ის იყო ოდნავ გაცისკროვანდა თუ არა ცა და ტარასმაც იანკელა ურიას წაჰკრა ფეხი, გააღვიძა: „ადე, ურიავ, ე შენი გრაფის ტანისამოსი მომეცი!“

ერთს წამას უკვე ჩაცმული იყო ტარასი; შეიღება შავად ულვაშები და წარბები და თავზედაც პატარა შავი ქუდი დაიხურა;—ახლა თვით მახლობელი ყაზახებიც კი ველარ იცნობდნენ, თუ ის ტარასი იყო. შეხედულობით ოც და თხუთმეტის წლისაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ლოყები წითლად ულვიოდა და ჭრილობების ნაჭდევებიც რაღაცა მბრძანებლობის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეტყველებასა ჰმატებდნენ. ოქრომკედით მორთული ტანისამოსი ხომ სულა ჰხატავდა.

ყველას ეძინა, ქუჩებში ჯერ ჩამი-ჩუმი არსად იყო. არც ერთი ვაჭარი არ მოსჩანდა ჯერ კარობკით ხელში. ბულბა და იანკელა ურია მივიდნენ შენობასთან, რომელიც დამჯდარ წეროს ძალიანა ჰგავდა. შენობა ძირს დაბალი და განიერი, ვეებერთელა რამ იყო, მთლად ჩაშავებული და მხოლოდ ერთს მხარეს ჰქონდა წამოდგმული ყარყატის კისერივით მაღლა აწოწილი კოშკი, რომელსაც ზემოდან პატარა ჩარდახი ჰქონდა წამოფარებული. ბევრგვარი დანიშნულება ჰქონდა ამ შენობას: აქ იყო მოთავსებული ყაზარმები, საპატიმრო და თითქმის სასისხლო საქმეთა სასამართლოც კი. გავლეს ჩვენმა თანამგზავრებმა კარი-ბჭე და ფართე დარბაზსა ანუ დახურულს ეზოში შევიდნენ. ათასამდე კაცს აქ ერთად ეძინა. ეზოს პირდაპირ დაბალი კარები მოჩანდა, რომლის წინაც ორი დარაჯი იჯდა და ერთმანერთს ეთამაშებოდნენ: ერთი მეორეს ხელის გულზე ორი თითითა სცემდნენ. მოსულებს დარაჯებმა ყურადღება თითქმის სულაც არ მიაქციეს და მაშინ-ღა შემოიხედეს, როცა იანკელამ დაუძახა: „ჩვენა ვართ; გესმით, პანე! ეს ჩვენა ვართ.“

„გაიარეთ!“ უთხრა ერთმა დარაჯთაგანმა და ცალი ხელით კარი გაუღო; მეორე-კი ამხანაგს გაუწოდა, რომ თითები დაეკრა.

გავლეს ვიწრო და ბნელი დახურული დერეფანი და ისევ ასეთსავე დარბაზში შევიდნენ, რომელსაც ზემოდგან პატარ-პატარა ფანჯრები ჰქონდა დაყოლებული. „ვინ მოდის?“ შეჰყვირა ერთად რამდენმამემ და დაინახა ტარასმა, რომ აქ-კი შეიარაღებული ჯარის-კაცები იყვნენ ბლომად.—„ნაბრძანები გვაქვს არავინ გავუშვათ.“

„ეს ჩვენა ვართ!“ ჰყვიროდა იანკელა: „ღმერთმანი, ჩვენა ვართ, ბრწყინვალე პანოვე?“ მაგრამ იანკელას ყურს არავინ უგდებდა. საბედნიეროდ, ამ დროს ვიღაცა გასიებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი მოვიდა, რომელიც უთუოდ უფროსი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველაზე მეტს ისა ღრიალებდა და ილანძღებოდა.

„ბატონო, ჩვენა ვართ, ჩვენა: თქვენ ხომ კიდევაც გვიცნობთ, და ბატონი გრაფიც მადლობას გადაგიხდით კიდევ.“

„გაუშვით, გაიარონ, ეშმაკსამც წაუღია მაგათი თავი! მაგრამ სხვა აღარავინ გაატაროთ. ხმლები არავის დავუნახო შემოხსნილი და იატაკზე არავინ ვნახო წამოგდებული...“

მჭევრმეტყველურ ბრძანების გაგრძელება, სამწუხაროდ, ჩვენმა მგზავრებმა ველარ მოისმინეს. „ეს ჩვენა ვართ, მე ვარ, შინაურები ვართ!“ ეუბნებოდა ყველას იანკელა, ვინც-კი წინ შეეფეთებოდათ.

„რაო, შეიძლება ახლა?“ დაეკითხა იანკელა ერთს დარაჯთაგანს, დახურული დერეფანი რომ სულ ბოლომდის გაიარეს.

„შეიძლება; მაგრამ არ ვიცი, თვითონ საპატიმროში შეგიშვებენ თუ არა. იანი აღარ არის, იმის მაგივრად ახლა სხვა სდგას,“ მიუგო დარაჯმა.

„აი, აი, აი,“ ჩაილაპარაკა ჩუმად ურიამ: „ეს-კი ვერ არის კარგი, ძვირფასო ბატონო!“

„წამიყვა!“ შეჰყვირა ახირებით ტარასმა. ურიაც დაემორჩილა.

თხრილის კარებთან, რომელიც ზემოდ და ზემოდ შევიწროვებული იყო, ალაწოდა დარაჯი იდგა, რომელსაც ულვაშები სამ-სართულად გადმოჰშლოდა. ზემო სართული უკან ჰქონდა გადატანილი, შუა წინ გადმოჰფარებოდა, მესამე კიდევ, ქვეითი, პირზე ჩამოჰშლოდა, თითქოს კატაო.

მოიკაკვა, მოიბუზა ურია და დარაჯს გვერდ-გვერდ მიუახლოვდა. „თქვენო ბრწყინვალედ წარჩინებულობავ! ბრწყინვალედ წარჩინებულო პანე!“

„მე მეუბნები, ურიავ, ამას?“

„თქვენ, ბრწყინვალედ წარჩინებულო ბატონო“.

„ჰმ... მე კი მხოლოდ გაიდუკი ვარ!“ (ალაწოდა, აყლაყუდა, უბრალო ჯარის-კაცი) უპასუხა სიხარულისაგან თვალებგაბრწყინვებულმა სამ-სართულ-ულვაშიანმა დარაჯმა.

„მე კი, ღმერთმანი, მეგონა თვითონ მოურავს ველაპარაკები-მეთქი. აი, აი, აი!..“ და ურიამ კისერი მოიგრიხა, თითები გაფარჩხა. „ოი, რა დიდებული შეხედულობა გაქვს! ღმერთმანი, მთლად პოლკოვნიკსა ჰგევხარ, პოლკოვნიკს! ერთი თითის დადება რომ კიდევ მოგმატებოდა, მაშინ ხომ პირდაპირ პოლკოვნიკი იქმნებოდი! უნდა შემჯდარიყავი მაშინ ულაყ ცხენზე, რომ ბუზისავით სწრაფი და მალი ყოფილიყო და რაზმები გეწვრთნა!“

დარაჯმა ულვაშების ქვედა სართული გაისწორა, უფრო გამხიარულდა.

„რა ხალხია ეს სამხედრო ხალხი!“ განაგრძობდა ურია: „ოხ, ვეი, მართლაც-და, კაი ხალხია! ყაითნები, ღილები... ყველაფერი მზესავით უბრწყინავთ; გოგოები კიდევ ხომ, საცაკი თვალს დაჰკრავენ... აი, აი, აი!..“ ურიამ კისერი ისევ მოიგრიხა.

დარაჯმა ახლა ულვაშის ზემო სართული გადიგრიხა და კბილებს შუა ცხენისავით როგორღაც ჩაიხვიხვინა.

„ვთხოვ პანსა დაგვეხმაროს!“ დაიწყო ისევ ურიამ: „აი, ეს თავადი უცხო ქვეყნიდგან არის მოსული და უნდა ყაზახები ნახოს. ჯერ არსად უნახავს, რა ხალხია ე ყაზახები.“

უცხოელ გრაფებისა და ბარონების პოლონეთში მოსვლა საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგანაც ცნობის მოყვარეობით ხშირად მოდიოდნენ ხოლმე, რომ ეს ნახევრად ველური ევროპის კუთხე თავიანთის თვალით ენახათ. მოსკოვის მხარესა და უკრაინას ხომ პირდაპირ აზიათა სთვლიდნენ. დარაჯმა ამისათვის თავი მდაბლად დაუკრა და ზრდილობის გულისათვის რამდენიმე სიტყვა თავისს მხრივაც დასძინა:

„არ ვიცი სწორედ, თქვენო ბრწყინვალედ წარჩინებულებავ“, ეუბნებოდა იგი, „რად მოგისურვებიათ მათი ნახვა. ძა-

ღლები არიან და არა ხალხი. სარწმუნოებაც ისეთი აქვთ, რომ არავინ პატივს არა სცემს.“

„სტყუი, ეშმაკის შვილო!“ შესძახა ბულბამ: „თვითონა ხარ ძაღლი! როგორა ჰბედავ და ამბობ, რომ ჩვენს სარწმუნოებას პატივს არ სცემენ? ეგ თქვენს უკეთურმართს, მწვალებლობის სარწმუნოებას არ სცემენ პატივს!“

„ეჰე, ჰე!“ შეჰყვირა დარაჯმა: „ახლა-კი ვიცი, მეგობარო, ვინცა ხარ: შენ თვითონ იმათგანი ხარ, აქ რომ გვისხედან. მოიცა დავუძახო ჩვენებსა.“

ნახა ტარასმა, რომ დიდი გაუფრთხილებლობა მოუვიდა, მაგრამ ჯიუტობისა და სიბრაზის გამო ველარასფერი მოიფიქრა, როგორ გაესწორებინა და ჩაეფუჩეჩებინა. საბედნიეროდ იანკელამ დროზე მოასწრო გამოლაპარაკება.

„ბრწყინვალედ-წარჩინებულო ბატონო! როგორ შეიძლება, რომ გრაფი ყაზახი იყოს? და თუნდაც მართლა ყაზახი ყოფილიყო, ან ამ ტანისამოსს ვინ მისცემდა, ან ასეთს გრაფის შეხედულობას?“

„ილაპარაკე შენა!...“ და დარაჯმა ის-ის იყო უშველებელი პირი დააღო, რომ დაეყვირა.

„თქვენო უდიდებულესობავ! ჩუმად! ჩუ, ღვთის გულისათვის!“ შეჰყვირა იანკელამ. „გაჩუმდით! და ფულს მოგცემთ იმდენს, რომ თვალითაც-კი არ გენახოთ ჯერ: ორს ოქროს გაჩუქებთ.“

„ეჰე! ორს ოქროსაო! ორი ოქრო ჩემთვის რა არი: დალაქს ვაჩუქებ ხოლმე ნახევარ წვერის გაპარსვაში. მოიტა, ურიავ, ასი!“ და დარაჯმა ზეითა ულვაშები გადაიგრიხა. „არ მომცემ და ახლავ დავიყვირებ!“

„მერე, მაგდენი რათ გინდა?“ წარმოსთქვა ნაღვლიანად გადაფითრებულმა ურიამა და ტყავის პარკუჭანას დაუწყო ხსნა. ბედნიერი იყო იანკელა, რომ პარკუჭანაში მეტი ფული აღარა ჰქონდა და დარაჯმაც ასს იქით თვლა არ იცოდა.

„ბატონო, ბატონო! წავიდეთ ჩქარა! ხომ ჰხედავთ რა ხალხია აქა!“ დაუწყო ხვეწნა ურიამა, რო შენიშნა, როგორ

ითვლიდა დარაჯი ოქროებსა და როგორ ნანობდა, რომ მეტი არა სთხოვა.

„რაო, ეშმაკის კერძო,“ შესძახა ბულბამ: „ფულები წაიღე და ჩვენებას-კი არ აპირებ? არა, უნდა გვაჩვენო. ფული რო მიიღე, ახლა უფლება აღარა გაქვს უარი გვითხრა.“

„წადით, წადით, ეშმაკმა-კი წაიღო თქვენი თავი! თორემ ამავ წამს დავიყვირებ და აქვე... გეუბნებით, ჩქარა წაეთერით-მეთქი!“

„ბატონო, ბატონო! წავიდეთ, ღმერთმანი წავიდეთ! ფუ, მაგათ! დეე, ისეთი რამ მოეზმანოთ, რომ სუ ფურთხების ღირსი იყოს“, ყვიროდა იანკელა ურია.

მძიმედ მობრუნდა თავ-დაღუნული ბულბა და გასწია უკან. იანკელა-კი, რომელსაც ტყულად დაკარგულ ოქროების ბოღმა აღრჩობდა, მისდევდა და თან უსაყვედურებდა:

„არა, რა საჭირო იყო, რომ გამოელაპარაკე! დეე, რამდენიც უნდოდა, იმდენი ელანძღა ი ძაღლსა! ისეთი ხალხია, რომ არ შეუძლიან არ გაილანძღოს! ოხ, ვეი, მართლაც, რა ბედსა სწევს ხოლმე ხან-და-ხან ღმერთი კაცსა! ასი ოქრო მიიღო იმაში მხოლოდ, რომ გამოგვრეკა! ჩვენ კი: კიკინებსაც დაგვაგლეჯენ, პირისახესაც ისე დაგვილურჯებენ, რომ შესახედად შესაზარია და ასს ოქროს მაინც არავინ მოგვცემს ხოლმე. ღმერთო ჩემო! ღმერთო მოწყალეო!“

მაგრამ საქმის ასე დაბოლოვებამ ბულბაზე უფრო მეტი გავლენა იქონია: თვალები ცეცხლივით აენთო, მზა იყო კაცი შეეჭამა.

„წავიდეთ!“ შესძახა ბოლოს უცბად, თითქოს შეიბერტყა, გამოფხიზლდაო: „მოედანზე წავიდეთ. მინდა ვნახო, როგორ დასტანჯვენ.“

„ოი, პანე! რა საჭიროა? ამითი ხომ ველარას ვუშველით.“

„წავიდეთ, წავიდეთ!“ გაიმეორა ბულბამ ჯიუტად და დაჟინებით და ურიაც უკან გაჰყვა ოხვრით, თითქოს აღმზრდელი დედაკაციაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი არ იყო საპოვნელად ის მოედანი, სადაც პატიმარნი უნდა დაესაჯათ: ყველა მხრიდან აუარებელი ხალხი მიისწრაფოდა იქით. მაშინდელს ველურს დროში კაცის დასჯა საუკეთესო სანახაობას წარმოადგენდა არა მხოლოდ დაბალ ხალხისათვის, მაღალი წრის ხალხისათვისაც-კი. არც ერთი ღვთის მოყვარე მოხუცი დედაკაცი და არც ერთი მშიშარა გასათხოვარი ქალი და ახალგაზრდა დედაკაცი არ დასტოვებდნენ ხოლმე ამგვარს შემთხვევასა და საცქერლად უთუოდ წავიდოდნენ, თუნდაც შემდეგ მოკლულის შიშით მთელს ღამეს მოსვენება არა ჰქონოდათ და მთვრალი გუსარივით ხმა მაღლა ეყვირათ. „ოჰ, რა ტანჯვაა!“ ჰყვიროდნენ ხოლმე ზოგიერთნი მათგანნი ისტერიულად და თან თვალებზე ხელს იფარებდნენ, პირს იბრუნებდნენ, მაგრამ დგომით კი მაინც უსაზღვროდ დიდხანს იდგნენ ხოლმე ასე და იცდიდნენ. ზოგი კი პირ-დაღებული და ხელებ გაწვდილი აჯდებოდა ხოლმე თითქმის სხვებს თავზე, რომ უკეთ დაენახა, არა გამოჰპარვოდა-რა. ჩვეულებრივ, წვრილ თავებიან ბრბოში, სხვათა შორის, შეჰნიშნავდით, როგორ გამოეყო გასიებული თავი რომელსამე ყასაბსა და მკოდნის სახით ადევნებდა თვალს სასჯელს; თან ერთ-მარცვლოვან, მოკლე-მოკლე სიტყვებით როგორ ელაპარაკებოდა რომელსამე ხელოსანს მეთოფეს, რომელსაც ნათლიად იხსენიებდა ხოლმე მხოლოდ იმიტომ, რომ კვირა-უქმე დღეებში სადმე ღვინის დუქანში ერთად იბრუჟებოდნენ ხოლმე. სხვები გაცხარებით მსჯელობდნენ, ზოგნი კიდევ სანაძლეოსა სდებდნენ ხოლმე, მაგრამ უმეტესობას-კი ისეთნი შეადგენდნენ, რომლებსაც ქვეყნიერობა საზოგადოდ არაფრად მიაჩნიათ, ქვეყნად არიან, მაგრამ ქვეყნიერობისა არა გაეგებათ-რა. სულ წინ, ქალაქის გრძელ ულვაშებიან გვარდიელების გვერდით, დაინახავდით ვინმე ახალგაზრდა შლიახტიჩს, ან-და მხოლოდ მოჩვენებულს შლიახტიჩს, სამხედრო ტანისამოსით გამოწყობილს, რომელსაც ყოველივე, რაც-კი სულს იქით მოეპოვებოდა, ზედ აესხა და შინ მხოლოდ-ღა დაგლეჯილი პერანგი და ძველი წაღები დარჩენოდა. ყელზედ, ერთი

მეორეზე ორ-ორი ძეწკვი ჰქონდა ჩამოკიდული რაღაცა ოქროთი. გვერდით ედგა თავისი სატრფო იუზისა და განუწყვეტლივ უკან იცქირებოდა, რომ აბრეშუმის კაბა არავის გაეთხუნა. დაწვრილებით უხსნიდა ყოველისფერს შლიახტიჩი, ასე რომ შევსება და დამატება ასეთის ახსნისა შემდეგ შეუძლებელი-და იყო ხოლმე: „აი, ეს, ჩემო სულიკო იუზისა“, ეუბნებოდა იგი: „ხალხი, რასაც არ ჰხედავ, სულ იმისთვის არის მოსული, რომ დამნაშავეთა დასჯა ნახონ, აის-კი, ჩემო სულიკო, ხელში რომ ნაჯახი და სხვა მოწყობილობა უჭირავს, ჯალათია, იმან უნდა დასაჯოს. თავის მოჭრასა და ტანჯვას რომ დაუწყებს, დამნაშავე ჯერ კიდევ ცოცხალი იქნება; მაგრამ, როგორც-კი თავს მოსჭრის, მაშინვე მოკვდება, ჩემო სულიკო. ჯერ ყვირილსა და ფართხალს დაიწყებს, მაგრამ თავს რო მოსჭრიან, მერე ველარც დაიყვირებს, ველარც სჭამს, ველარც ჰსვამს. იმიტომ, ჩემო სულიკო, რომ თავი აღარ ებმება“. და იუზისაც ყოველსავე ამას შიშითა და ცნობის მოყვარეობით ისმენდა. სახლის ბანები ყველგან ხალხით იყო სავსე. სასულე ფანჯრებიდან კიდევ რაღაცა უცნაურს ულვაშებიანსა და ჩეფჩიკიანს ხალხს გამოეყო აქა-იქ თავები. არისტოკრატები (დიდკაცობა) კიდევ აივნებზე ისხდნენ საჩრდილობლებს ქვეშ. თოვლივით გასპეტაკებულს მომღიმარე ქალს კიდევ ლამაზი ხელი ჩაეჭიდნა მოჯირისათვის და ისე იცქირებოდა. საკმაოდ ჩასუქებული, ბრწყინვალე წარჩინებული პანები კიდევ მედიდურად იყურებოდნენ. ბრწყინვალედ მორთული, უკან სახლებ-გადაგდებული მონა-მსახური კიდევ სასმელ-საჭმელსა სთავაზობდა ბატონებსა. დასტაცებდა ხოლმე ხშირად რომელიმე ცელქი, შავ-თვალა გოგონა თავისს ბროლივით თეთრს ხელს ხილს და შაქარლამებს და ხალხისაკენ ისროდა. მშიერ რაინდთა ბრბო ერთმანერთს აღარ აცლიდა ქუდების შეშვერას, ან-და რომელიმე გახუნებულ კუნტუშიანი (ძველებური კაბაა) მაღალ-მაღალი შლიახტიჩი აიშვერდა ყველაზე მაღლა ხელსა, რადგანაც მთელის თავით სხვებზე მაღალი იყო, დაიჭერდა, ჩაჰკოცნიდა, ჩაიკრავდა გულში და მერე პირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ გააქანებდა. აივანს ქვეშ ოქროს გალიით ჩამოკიდული შავარდენიც ასრევე ადევნებდა თვალს: ნისკარტი გვერდზე მოექცია, ცალი ფეხი აეწია და ხალხს ყურადღებით სინჯავდა. ბრბო უცბად ახმაურდა, ყველა მხრივ ძახილი გაისმა: „მოჰყავთ, მოჰყავთ! ყაზახები მოჰყავთ!“

გრძელ ჩუბებიანი, წვერ-მოშვებული ყაზახები თავშიშველები მოდიოდნენ. მოდიოდნენ უშიშრად, არ დაღვრემილნი, რაღაცა ჩუმის სიამაყით. ძვირფასი მოუდის ტანისამოსი გასცვეთოდათ, დაჰგლეჯოდათ. მოდიოდნენ ჩუმად, ხალხს არ უცქეროდნენ, სალამს არ აძლევდნენ. ყველაზე წინ ოსტაპი მოდიოდა.

რა იგრძნო მოხუცმა ტარასმა, თავისი შვილი ოსტაპი რომ დაინახა? გულში რა გაივლო?.. უცქეროდა ბრბოდამა და არც ერთი მისი მოძრაობა, მიმოხვრა არ გამოჰპარვია. საწამებელს ადგილსაც მიუახლოვდნენ. ოსტაპი შედგა. პირველად ოსტაპს უნდა გაეშვირა თავი ჯალათისათვის. გაჰხედა თავისებს, აიშვირა ხელი და ხმა-მაღლა წარმოსთქვა: „შეგვაძლებინე, ღმერთო, რომ რაც აქ უწმიდური მწვალებლები არა დგანან, არც ერთმა ამათგანმა არ გაიგონოს, როგორ იტანჯვის ქრისტეანი! რომ არც ერთმა ჩვენგანმა არ ამოიღოს ხმა!“ სთქვა ესა და სარჩობელას მიუახლოვდა.

„აგრე, შვილო, აგრე!“ სთქვა ჩუმად ბულბამა და მოხუცი თავი ძირს ჩაჰკიდა.

ჯალათმა ბლანკვები გააძრო; გაუკრეს ხელ-ფეხი საგანგებოდ მომზადებულს ხეებში, და.... მაგრამ რა საჭიროა, ნუ შევზარავთ მკითხველებს იმ ჯოჯოხეთურის ტანჯვის დასურათებით, რომლის გამოც ყველას თმა ყალხზე დაუდგება. ეს იყო ნაყოფი იმ სასტიკ და ველურ დროისა, როცა კაცი ჯერ ისევ სისხლსა ჰღვრიდა ერთ თავად და ისე იყო გაწრთვნილ-გამოსული ამ სისხლის სმაში, რომ ადამიანობის ნიშან-წყალი აღარ ემჩნეოდა. ტყუილად იყვნენ ხოლმე ზოგიერთნი იშვიათნი ამ ველურ და მხეცურ საშუალებათა წინააღმდეგნი. ტყუილად სცდილობდნენ მეფე და ზოგიერთი გონებით განათლებული

ბრინცები დაემტკიცებინათ, რომ ასეთი სასტიკობა და უდიერი სასჯელი უფრო უარესად ამწვავებდა და აღელვებდა ყაზახებს, მეტს შურისძიებას უნერგავდა. უფლება მეფისა და გონიერთა რჩევა სულ ფუჭი იყო იმ უწესოებისა და სახელმწიფოს მაგნატების (დიდებულთა) თავხედ თვით-ნებობის წინაშე, რომლებმაც თვისის მოუფიქრებლობით, მიუწთომელ შორს-გაუმჭვრეტელობით, ბავშვური თვითმოყვარეობით უბრალო ამაყობით სეიმი მართვა-გამგებლობის სატირათ (დაცინვათ) გარდაჰქმნეს. წარბ შეუხრელად აიტანა ყოველგვარი ტანჯვა და გვემა ოსტაპმა. კრინტი რა არის, კრინტი არ დაუძრავს, არც ერთხელ არ ამოუოხრია თვითონ მაშინაც-კი, ხელ- ფეხი რომ დაამტვრიეს. გაისმა საზარელი ღრჭიალი ძვლებისა ამ სამარისებურს დუმილში და ამ ხმამ ყველა შეჰზარა, ძიძებმა საცოდავობით პირები მიიბრუნეს, რომ თვალი მოერიდებინათ, მაგრამ ოსტაპს ხმა არ ამოუღია, სახე არ შეუცვლია. ტარასიც იდგა თავ-ჩაკიდული ამ ბრბოში, თვალები ამაყად შეემაღლებინა და მოწონებით იმეორებდა ჩუმად: „აგრე, შვილო, აგრე!“

მაგრამ უკანასკნელ საწამებელ ადგილას რომ მიიყვანეს, აქ კი თითქოს ძალამ უსუსტა. მიმოავლო თვალი გარშემო და იფიქრა: ღმერთო! სულ უცხონი და უცნობნი არიან! ერთი მახლობელი მაინც დასწრებოდა მისს დასჯას! არ უნდოდა მოესმინა დაუძლურებულ დედის გულის მომკვლელი ქვითინი, არც ცოლის უსაზღვრო ცრემლთ ფრქვევა ენახა, რომ თავზე თმა ეგლიჯა და გულმკერდში კიდევ გამწარებულს მუშტით ეცემა, არა; უნდოდა ენახა მაგარი ხასიათის ვაჟკაცი, რომ გონივრულის სიტყვით სიკვდილის წინ ნუგეში ეცა, ძალ-ღონე გაეახლებინა. ვეღარ შესძლო ბოლოს ოსტაპმა, დაეცა სულით და სულით დაუძლურებულმა წამოიძახა: „ბატკო! სადა ხარ, ნეტა? გესმის ყოველივე ეს, თუ არა?..“

„მესმის!“ გაისმა უცბად საყოველთაო დუმილის დროს და მილიონი ხალხი ერთბაშად შეკრთა, შეშფოთდა. ცხენოსან დარაჯთა ერთი ნაწილი მაშინვე ბრბოს ეცა და დაუწყეს ძებნა. სიკვდილივით გადაფითრდა იანკელა; როდესაც დარაჯნი ცოტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მოსცილდნენ და რის შიშით უკან მიიხედა, რომ ტარასისთვის შეეხედა,—აღარსად იყო: სადღაც გამქრალიყო.

XII

აღმოჩნდა ბოლოს ტარასის კვალი; უკრაინის საზღვრებზე ას ოცი ათასი ყაზახთა ჯარი გამოჩნდა. ეს ჯარი ახლა ჩვეულებრივი პატარა რამ რაზმი და გუნდი როდი-ღა იყო, სადავლაოდა და თათრების გამოსაკიდებლად გამოსული. ახლა მთელი ერი, მთელი ხალხი იყო შეიარაღებული. აივსო ხალხის მოთმინების ფიალა და ამხედრდა შურის საძიებლად თავის უფლებების შეგინებისა, თავისს ზნე-ჩვეულებათა სამარცხვინო შელახვისა და დამცირებისათვის, ეკლესიების შეგინებისა, უცხოელ ბატონთა უწესოებისა, დაჩაგვრისა, უნიისა, ქრისტეანთა მიწა-წყალზედ ურიების ბატონობისა და ყველა იმისა გამო, რამაც დიდი ხანია ყაზახებს მკაცრი სიძულვილი გაუორკეცა, გაუძლიერა. მთელს ურიცხვს ყაზახთა ჯარს წინ უძღვოდა ახალგაზრდა, მაგრამ სულით ძლიერი და მხნე გეტმანი ოსტრანიცა. გეტმანს გვერდთ ჰყავდა მოხუცი და გამოცდილი ამხანაგი-მრჩეველი გუნა. რვა პოლკოვნიკი კიდევ თორმეტ ათას რაზმს უძღვოდა. ორი მთავარი ესაული და ერთიც მთავარი მებუნჩუკე *) გეტმანს კვალ-და-კვალ მისდევდნენ. მთავარი ხორუნჟი უმთავრესს დროშას უძღვოდა წინ; უკან კიდევ მრავალი სხვა დროშები და ბაირაღები იყო აფრიალებული. მებუნჩუკის ამხანაგებს ბუნჩუკები მიჰქონდათ. მრავალი იყო რაზმში აგრეთვე სხვა თანამდებობის ხალხიც: მებარგე მექარავნენი,

*) მებუნჩუკე იყო განსაკუთრებულ საპატიო თანამდებობის კაცი, რომელიც ლაშქრობისა თუ სხვა რამ დღესასწაულობის დროს უთუოდ გეტმანს ახლდა ხოლმე და მიჰქონდა ბუნჩუკი (მაღალს ჯოხზე წამოცმული სხვა-და-სხვა ფერი ცხენის ფაფარი, ოქრო-ვერცხლის სირმებითა და ბოჭკოებით მორთული). ბუნჩუკი, როგორც დიდების ხარისხი და პატივი, ყაზახებმა ოსმალებისაგან გადმოიღეს.

მთარგმნ.

ჯარის ამხანაგნი, რაზმის მწერლები და მათთან მრავალი ქვეითა და ცხენოსანი ჯარი: თითქმის იმდენივე თავისუფალი მეომარი იყო გამოსული, რამდენიც ჯარში ჩარიცხული. ყველა მხრიდგან ამხედრდნენ ყაზახები: ჩიგირინიდან, პერეიასლავიდან, ბატურინოდან, გლუხოვოდან, დნეპრის შესართავის მიდამოებიდან, აგრეთვე მის ზემო მხრიდამა და კუნძულებიდან. ურიცხვად მრავალი ცხენი და ურემი გამოიშალა მინდვრად. აი, ამ ყაზახებში და ამ რვა რაზმში ყველაზე უკეთესი ერთი იყო და ამ რაზმს უძღვოდა ტარას ბულბა. ყველაფრით უპირატესობა ჰქონდა მოხვეჭილი: ხნოვანობითაც, გამოცდილებითაც, ჯარის ხელმძღვანელობის უნარითაც, მტრის უმაგალითოდ სიძულვილითაც. მისი სიმკაცრე და მძვინვარება-ულმობელობა თვით ყაზახებსაც-კი უდიერ უკიდურესობად მიაჩნდათ. მისი მოხუცი თავი ყველას სახრჩობელასა და ცეცხლში დაწვას უწყვეტავდა. მისი რჩევა მთელის ჯარის ბჭობის დროს მხოლოდ მტრის ამოჟლეტა და ამოწყვეტა იყო.

საჭირო არ არის ჩამოვთვალოთ, რამდენს ბრძოლაში გაიმარჯვეს ყაზახებმა, ლაშქრობის საქმე როგორ მიდიოდა: ყველა ეს მემატიანესა აქვს დაწვრილებით მოხსენებული. ყველამ იცის, რას მოასწავებს და რა ხასიათისაა ხოლმე სარწმუნოებისა გამო რუსეთში ატეხილი ომი: სარწმუნოებაზე ძლიერი აღარა არის-რა: შეურყეველი და მრისხანეა, ვით ხელთ უქმნელი კლდე მღელვარე ზღვაში. ამომართულა შუა-გულ ზღვის ძირიდანა, ერთიანი, მტკიცე, მაგარი, მთლად პიტალო, გასალებული. ყოველი მხრიდან კარგადა სჩანს, გარშემო მსრბოლს ტალღებს პირდაპირ შეჰყურებს. ვაი, ხომალდსა, რომელიც-კი დაეჯახება! მიამტვრ-მიჰლეწავს ნაფოტივით, ჩასძირავს უმალ. და ყოველივეს, რაც-კი და ვინც-კი ზედ იქმნება, მტვრათ აქცევს, დაღუპულთა საცოდავი, გულის მომკვლელი ყვირილი ჰაერს მოეფინება.

მატიანეში დაწვრილებით არის აწერილი, როგორ გარბოდა განთავისუფლებულ ქალაქებიდამ პოლონელთა ჯარები; როგორ ჩამოახრჩეს ყველა უსინდისო მოიჯარადრე-ურიები; რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ სუსტობდა გვირგვინოსანი გეტმანი ნიკოლოზ პოტოცკი თავისის ურიცხვის მხედრობით ყაზახთა უძლეველ ლაშქრის წინააღმდეგ; როგორ დამარცხდა და როგორ დააღრჩო თავისს ჯარის საუკეთესო ნაწილი ერთს პატარა მდინარეში, როგორ შემოარტყეს ყაზახთა მრისხანე რაზმებმა ალყა პატარა დაბა პოლონნოში და ბოლს უკიდურესობამდე მიღწეულმა პოლონელმა გეტმანმა როგორ ფიცით აღუთქვა მეფისა და სახელმწიფო მოხელეთა მხრივ ყოველისფრით დაკმაყოფილება, ყველა ძველ უფლებათა დაბრუნება. მაგრამ ასეთები არ იყვნენ ყაზახები, რომ ჰრწმუნებოდნენ: იცოდნენ პოლონელთა ფიცი რაც იყო. ველარ ელირსებოდა თავისს ექვსი ათას მანეთიან ბედაურზე ჯდომასა პოტოცკი და დიდებულ თავადაზნაურთა და ქალთა შურით მზერასა, ველარ იპარპაშებდა სეიმებზე თავისის წვეულებებით, რომლებსაც ისეთის ამბით სენატორთ უმართავდა ხოლმე, თუ რომ მას ამ შემთხვევაში დაბაში მცხოვრები რუსის სამღვდელოება არ დაჰხმარებოდა. გამოეგებნენ შემოსილი მღვდლები ხატებითა და ჯვრებითა, რომელთაც წინ თვითონ არქიელი უძღვოდა სამწყემსმთავრო მიტრითა და ყაზახებმაც ქუდი მოიხადეს, თავი მოიხარეს. არავის არ სცემდნენ პატივს და არავის გაუგონებდნენ, თვით მეფესაც-კი; მაგრამ თავისს საქრისტიანო ეკკლესიის წინაალმდეგ-კი ველარ წავიდნენ, სამღვდელოებას პატივი სცეს. დასთანხმდა გეტმანი გაენთავისუფლებინა პოტოცკი და მასთან პოლკოვნიკები, მაგრამ ფიცი ჩამოართვა, რომ საქრისტიანო ეკკლესიებს ხელს აღარ ახლებდნენ, ძველს მტროობას დაივიწყებდნენ და ყაზახთა მხედრობას არავითარს შეურაცხყოფას აღარ მიაყენებდნენ. მხოლოდ ერთი პოლკოვნიკი არ დასთანხმდა ასეთ მშვიდობიანობაზე: ეს იყო ტარასი. ამოიგლიჯა მთელი მუჭა თმა თავიდგანა და შესძახა:

„ეი, გეტმანო და პოლკოვნიკებო! ასეთს ქალურს საქმეს ნუ ჩაიდენთ! ნუ დაუჯერებთ ლიახებს: გაგყიდიან ფსიაუხები (პოლონური სალანძღავი სიტყვაა)!“ ხოლო როდესაც რაზმის მწერალმა პირობა დასწერა და გეტმანმა კიდევ ხელი მოაწერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხსნა მაშინ წმინდა ხვარასნის ძვირფასი, ოსმალური ხმალი, წკეპლასავით გადატეხა ორად, ნამტვრევები ორს სხვა და-სხვა მხარეს გადაყარა და სთქვა: „მშვიდობით! როგორც ამ ხმლის ორი ნატეხი აღარ შეუერთდება ერთი მეორეს და აღარ გამთელდება, ისე ჩვენ ველარა ვნახავთ ერთმანერთს ამ ქვეყანაზე, ამხანაგნო! გახსოვდეთ ეს ჩემი გამოსათხოვარი სიტყვა“... (და ამ სიტყვების თქმაზე ხმა აუმაღლდა, გაეზარდა, რაღაც უცნაურად გაუძლიერდა—და ამ წინასწარმეტყველების გაგონებაზე ყველა შეკრთა): „თორემ სიკვდილის წინ მომიგონებთ! იქნება გგონიათ მშვიდობიანობა და მყუდროება მოიპოვეთ;—გგონიათ იბატონებთ? სულ სხვა რიგად გაბატონებენ: აგაძრობენ, გეტმანო, ემა თავიდან ტყავსა, ჩალა-ბულით გაჰგუდავენ და ყველა იარმუკებზე ჩამოგატარებენ საჩვენებლად! ვერც თქვენ დააღწევთ, პანოვე, თავსა! ნესტიანსა და შავ-ბნელს სარდაფებში ამოგხდებათ სული, თუ რომ ყველას ცხვრებივით ცოცხლებს არ დაგხარშავენ ქვაბებში!“

„თქვენ კი, ხლოპცებო (ბიჭებო)!“ მიუბრუნდა თავისს კაცებსა: „თავისით გინდათ სიკვდილი?—არა ღუმელის თავზე და დედაკაცების გვერდით, ან დუქნების ლობეებთან მძოვრივით მთვრალად გდებით, არამედ ყაზახურის პატიოსნურის სიკვდილით, მეფე-პატარძალივით ერთს ლოგინზე სიცოცხლის მოსპობა? ან იქნება გინდათ სახლში დაბრუნდეთ და ურწმუნონი შეიქმნეთ, პოლონელი ქსენძები ზურგით ატაროთ?“

„შენთან წამოვალთ, პანე პოლკოვნიკო! შენთან!“ შეჰყვირა ყველამ, ვინც კი ტარასის რაზმში იყო და სხვაც ბევრი შეუერთდათ სხვა რაზმებიდან.

„მაშ, წამომყევით, თუ მომდევთ!“ სთქვა ტარასმა, უფრო ღრმად ჩამოიფხატა ფაფახი, დარჩენილთ მრისხანედ გადაჰხედა, გასწორდა ცხენზე და შეუყვირა თავისებს: „შეურაცხმყოფელს ხომ ვერავინ რას გვეტყვის, ვერავინ გვისაყვედურებს!—აბა, ჰაიდა, ხლოპცებო, კათოლიკეთ ვესტუმროთ!“ დაჰკრა ცხენსა და გასწია; უკან გაჰყვა ასამდე ურემი და მათთან მრავალი ცხენოსანი და ქვეითი ყაზახი; თან უკან იხედებოდა ტარასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დარჩენილთ მრისხანედ გაჰყურებდა, ემუქრებოდა. ვერავინ გაბედა მისი უკან დაბრუნება, ვერავინ. მიდიოდა ასე მთელის მხედრობის თვალ-წინ ტარასის რაზმი და დიდ-ხანს უცქეროდა კიდევ მრისხანედ ტარასი, დიდხანს იმუქრებოდა.

იდგნენ შემკრთალნი გეტმანი და პოლკოვნიკები, ფიქრობდნენ და სდუმდნენ, თითქოს რაღაცა სამძიმო ამბის წინად მგრძნობელნი არიანო. ტყუილად კი არ უწინასწარმეტყველა ტარასმ: ყველაფერი ისე ახდა, როგორცა სთქვა. არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც კანევოსთან ისეთი სიმუხთლე ჩაიდინეს პოლონელებმა და გეტმანსა და მასთან ერთად ბევრს სხვა დიდებულს თავები დასჭრეს, ჯოხზე წამოაცვეს.

ტარასი, ტარასი სად-ღა იყო? ტარასი ამ დროს მთელს პოლონეთში დასეირნობდა თავისის რაზმით; თვრამეტი დაბა გადასწვა, ორმოცამდე კასტოლი და თითქმის კრაკოვამდის მივიდა. მრავალი თავად-აზნაური ამოხოცა, დაარბია უმდიდრესი და საუკეთესო ციხე-დარბაზები; დახსნეს და დააქციეს ძველის-ძველი საუკეთესო ტკბილები და ღვინოები, რომლებსაც დიდის ამბით ინახავდნენ პოლონელი ბატონები სარდაფებში; დასჭრეს და დასწვეს ძვირფასი მოუდები, ტანისამოსი, ავეჯი და ყოველივე, რაც-კი რამ სარდაფებში ნახეს შენახული. „არა დაინდოთ-რა, არა დაინდოთ-რა! უმეორებდა ერთ-თავად ტარასი. შავ-თვალა, თეთრ გულ-მკერდიან, ნათელ-თვალა ქალებსაც-კი აღარ ინდობდნენ ყაზახები; საკურთხეველიც-კი ვეღარ იფარვიდა გამძვინვარებულ ყაზახებისაგან: საკურთხეველსაცა და მათაც ცეცხლს ერთად წაუკიდებდა ხოლმე ტარასი. არა ერთი და ორი თოვლივით თეთრი ხელი ამართულა ცეცხლის ალს შუა ზენასადმი და გამომხდარა საცოდავი, საბრალისი ყვირილი, რომლის გაგონებაზედაც თვით ცივი დედამიწა და მინდვრის ბალახიც-კი თავს ძირს დაჰხრიდნენ სიბრალულითა. მაგრამ სასტიკი ყაზახები არასფერს არ უსმენდნენ; წამოაგებდნენ ხოლმე ძუძუთა ბავშვებს შუბზე და მშობლებს უყრიდნენ ცეცხლში. „ეს თქვენ, ლიახებო, ოსტაპის მოსახსენებლად!“ მისძახოდა ხოლმე ტარასი, და ასე იხსენიებდა ყველგან, ყველა სოფელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში თავისს ოსტაპსა, ვიდრე პოლონეთის მთავრობამ არ მიაქ-
ცია ყურადღება, რომ ტარასის მოქმედება უბრალო ყაჩაღობა
არ იყო. აიღო მაშინ მთავრობამ და იმავე პოტოცკის მიან-
დო ხუთი რაზმით უთუოდ ტარასის დაჭერა.

ექვს დღეს მიილტვოდნენ სხვა-და-სხვა გაუკვალავ გზებით
ყაზახები მდევართაგან; ცხენები ძლივს-ღა იძვროდნენ. მაგრამ
პოტოცკიმ ამ ჟამად დავალება ღირსეულად შეასრულა: სდია
უსვენებლივა და მდინარე დნესტრის ნაპირზე დაეწია, სადაც
ბულბას დასასვენებლად პოლონელებისაგან თავმინებებული,
დანგრეული ციხე დაეჭირა.

ზედ დნესტრის ნაპირზე იყო წამოდგმული თავისის დან-
გრეულ კედლებით ციხე. დამტვრეულ ქვითა და აგურით იყო
მოფენილი ზედა ნაწილი ნაპირისა და ყოველს წამს მზად იყო
ჩამოშლილ-ჩამორღვეულიყო. აი, აქ მიადგა ორის მხრივ ტარა-
სის რაზმს გეტმანი პოტოცკი. ოთხ დღეს ებრძოდნენ ყაზახები
და იგერიებდნენ ქვითა და აგურით, მაგრამ გამოელიათ მასალაც
და ძალაც და გადასწყვიტა ტარასმა მტრის ჯარი გაერღვია.
კიდევაც გაარღვიეს და იქნება ერთხელ კიდევაც გაეწიათ მალს
ცხენებს სამსახური ყაზახებისათვის, რომ უცბად შედგა გზაზე
ტარასი და შეჰყვირა: „მოიცათ! თამბაქოთი სავსე ჩიბუხი გამვარ-
და, არ მინდა, რომ, ჩიბუხი რა არის, ჩიბუხიც არის ჩაუვარდეთ
ხელში ჩვენს მტრებს ლიახებსა!“ და დაიღუნა, დაუწყო ბალახ-
ში ძებნა ჩიბუხსა, რომელიც ზღვაზე თუ ხმელზე, ლაშქრო-
ბის დროს თუ სახლში, მუდამ განუშორებლივ თანა ჰქონდა
ხოლმე. დაესია ამ დროს თავზე მთელი გროვა მტერი და მძლავ-
რი მკლავები გაუკავეს. გაიწ-გამოიწია და უნდოდა გაეფანტა
ყველანი, მაგრამ ჩვეულებრივ ველარ მიფანტ-მოფანტა. „ეჰ,
სიბერევ, სიბერევ!“ წარმოსთქვა და ძარღვ-მაგარმა მოხუცმა
ტარასმა ცრემლები გადმოყარა. მაგრამ მოხუცება არაფერს
შუაში იყო, ძალამ ძალა სძლია: სულ ცოტა ოც-და-ათი კაცი
კიდევ ასხდა ხელ-ფეხზე. „ხომ დაგიჭირეთ, ყვავო!“ ყვიროდ-
ნენ ლიახები. „ახლა მხოლოდ ის-ღა უნდა მოვიფიქროთ, ე
ძაღლი ღირსეულად როგორ დავსაჯოთო!“ და გეტმანის ნება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთვით მაშინვე ყველას თვალ-წინ ცოცხლად დაწვა გადაუწყვიტეს. იქვე გამხმარი, მოტიტვლებული ხე იდგა, რომლისთვისაც თავი მეხს ჩამოეჩეხა. მიათრიეს რკინის ჯაჭვებით ხესთან, მიუჭედეს ლურსმებით ხელები და ასწიეს მაღლა, რომ ყველა მხრიდან გამოჩენილიყო. თან ცეცხლს დაუწყეს მზადება. მაგრამ ტარასი ცეცხლზე არა ფიქრობდა—და გაჰყურებდა იმ მხარეს, საითაც ყაზახები მტერს იგერიებდნენ. მაღლიდან, როგორც ხელის გულზე, ყველაფერს კარგად ჰხედავდა ტარასი. „ჩქარა დაიჭით, ბიჭებო, ტყის უკან რომ გორაა, ჩქარა“! უყვიროდა ტარასი: „იქ ვერ მოგიდგებიან!“ მაგრამ მისი სიტყვები ქარმა სხვა მხარეს წაიღო. „უბრალოდ დაიღუპებიან, უბრალოდ!“ ჰყვიროდა სასოწარკვეთილი და გადაჰხედა დაბლა, სადაც დნესტრი მოელვარებდა. სახე უცბად მთლად გაუნათლდა, თვალები სიხარულით აევსო. დაბლა, ჯაგებს იქით, ოთხი ნავის ბოლო შენიშნა. შემოიკრიბა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ხმა-მაღლა გაჰყვირა: „ნაპირისკენ, ბიჭებო, ნაპირისკენ! ჩაჰყევით გორის ძირად რომ გზა ჩასდევს, მარცხნივ. ნაპირზე ნავები დგანან, ჩასხედით და ყველა აუშვით, რომ ველარა გდიონ!“

ამ ჟამად ქარმა სხვა მხრიდან დაჰბერა და ყაზახებმა ყველაფერი გაიგონეს. მაგრამ ტარასსაც მოჰხვდა ამ რჩევისათვის: ისეთი კეტი სთხლიშეს თავში, რომ მაშინვე თვალთ დაუბნელდა.

დაქანდნენ მაშინვე ყაზახები მთის ძირის გზით; მაგრამ მტერიც მხართ უკან მისდევდათ. ჰხედავდნენ: გზა მეტად დაკლაკნილია, ხვეულია. „ეჰა, ძმებო! ჰხედავთ, როგორ უხვევს!“ წარმოსთქვეს ყველამ და ერთს წამს შედგნენ. მაგრამ გაჰკრეს მაშინვე მათრახები, დაჰკივლეს თავისს თათრულს ცხენებსა და მოსწყდნენ ნაპირსა: გველებივით გაერთხვნენ ჰაერში, გადააფრინეს ცხენები და შიგ დნეპრში კი მოადინეს ტყაპანი. მხოლოდ ორმა იმათგანმა ვერ მიაღწია მდინარემდე, დაეტაკნენ ძირს ნაპირის ქვებსა და ცხენებიანათ სამუდამოდ დაიღუპნენ, ისე რომ ხმის ამოღება ვერც-კი მოასწრეს. ყაზა-

ხები-კი უკვე მიცურავდნენ ცხენებითა და ნავებსა ჰხსნიდნენ. იდგნენ გაშტერებულები ლიახები ამ საშიშრად გადმოკიდულ ნაპირზე და უკვირდათ, როგორ ჩაიდინეს ასეთი უმაგალითო საქმე ყაზახებმა, თანა ფიქრობდნენ: თვითონაც გადამხტარიყვნენ, თუ არა? გაქანდა ერთი ახალგაზრდა პოლკოვნიკი, ლვიძლი ძმა საწყალ ანდრიასაგან შეყვარებულ ლამაზ პოლიაჩკასი, გაიტაცა ახალგაზრდობის მჩქეფარე სისხლმა და მიჰყვა ყაზახებსა, მაგრამ სამჯერ გადატრიალდა ჰაერში ცხენიანათ და პირდაპირ პირიანს, მჭრელს კლდეებზე მოიღო ზაპანი. ნაფლეთებად აქციეს საბრალო დაღუპული ქვებმა და სისხლში შერეული მისი ტვინი დაქანებულ ნაპირის უსწორ-მასწორო გვერდებზე ამოსულ ჯაგებს შეესხურა.

ტარასი რომ გონს მოვიდა და დნესტრს გაჰხედა, ყაზახები უკვე ნავებში ისხდნენ და ნიჩბებს უსვამდნენ. ზვიდამ ტყვიას სეტყვასავით უშენდნენ, მაგრამ ტყვია იმათამდე არ აღწევდა. ძველს ატამანს თვალები ისევ სიხარულით გაუბრწყინდა.

„მშვიდობით, ამხანაგებო!“ უყვიროდა ზემოდგან: „მომიგონებდეთ და გაზაფხულზევე მოხვიდოდეთ, რომ კარგა ლამაზად მოინადიროთ! რაო, რა წაიღეთ ეშმაკო ლიახებო? გგონიათ ქვეყანაზე ყაზახს რამე შეაშინებს? მოიცათ, დადგება დრო და გაიგებთ, რუსთა მართლმადიდებელი სარწმუნოება რაც არის! ახლავე ჰგრძნობენ შორეული და მახლობელი ხალხები, რომ აღსდგება რუსთ მიწა-წყალზე საკუთარი მეფე და ქვეყანაზე ვეღარასფერი გაუმაგრდება, ყოველივე დაემორჩილება!..“ ამ დროს ცეცხლი უკვე გაჩაღებული იყო, ფეხებს სწვდებოდა და მთელს ხეს ალი სცემდა... განა მოიპოვება ქვეყანაზე ისეთი ცეცხლი და სატანჯველი, ან ისეთი რამ ძალა, რომ რუსის ძალა სძლიოს!

პატარა არ არის მდინარე დნესტრი, ბევრი წყალი ერთვის, ბევრი ჩალა, ბევრი თხელი და ღრმა ადგილები აქვს. ელვარებს, ბრწყინავს მდინარის ზედაპირი და ერთ თავად წყლის ბატების წკრიალა ხმა ისმის; ბევრი იცის აგრეთვე იხვი, ღალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღა, წითელ-ჩივჩაყვიანი ყატყატა ფრინველი და სხვა მრავალი ფრინველი ჩალებში და ნაპირებზე. მისცურავდნენ მარდათ ყაზახები თავისს ორ-საჭეან ნავებითა, აფრთხობდნენ, აფორიაქებდნენ ფრინველებსა და თავისს ატამანზე ლაპარაკობდნენ.

ინ-ანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი ჭკუისაგან

ბედმა—ცუდლუტმა, დაუდგრომელმა,
ასე განაგო იმავ თავიდგან:
ბრიყვებს ბედი აქვთ თავის სიბრიყვით,
და ჭკვიანებს-კი—ვაი ჭკუისგან.

ოთხ-მოქმედებიანი კომედია

ა. ს. გრიბოედოვისა

რუსულიდან გადმოთარგმნილი

მოქმედნი პირნი:

ალექსანდრ ანდრეიჩ ჩაცკი
პაველ აფანასიჩ ფამუსოვი, სახაზინო ადგილის მმართველი
სოფი პავლოვნა, ამისი ქალი
ლიზა, მოსამსახურე
ალექსეი სტეფანიჩ მალჩალინი, ფამუსოვის მდივანი და მისივე მდგმური
სერგეი სერგეიჩ სკალოზუბი, პოლკოვნიკი
ნატალია დიმიტრიევნა, ახალგაზრდა ქმრიანი ქალი
პლატონ მიხაილიჩ, ამისი ქმარი
თავ. ტუგოუხოვსკი თავისის კნეინითა და ექვსის ქალით.
გრაფინია ხრიუმინა, ბებია, და გრაფინია, იმისი შვილის-შვილი
ანტონ ანტონიჩ ზაგორეცკი
ხლესტოვისა ბებერი, ფამუსოვის ცოლის და
ბატონი ნ.
ბატონი დ.
რეპეტილოვი
პეტრუშკა და რამდენიმე მსახური
მრავალი სტუმარი და მოსამსახურეები ბალის გათავების შემდეგ.
ფამუსოვის ოფიციანტი
მეკარე
1 } ფამუსოვის მოსამსახურეები
2 }

მოქმედება სწარმოებს მოსკოვში, ფამუსოვის სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება პირველი

სასტუმრო. აქ არის დიდი სარკე. მარჯვნივ, სოფიოს ოთახისკენ, კასასვლელი კარებია. სოფიოს ოთახიდან მოისმის ფორტეპიანოსა და ფლეიტის ხმა, რომელიც მალე მისწყდება. სცენაზედ, შუა ადგილას, დიზას ჩასძინებია და საკარძლიდან თავგადმოგდებულია. დილის რიჟრაჟია.

გამოსვლა პირველი

დიზა (უცბად გამოიღვიძებს, ფეხზე წამოდგება და აქეთ-იქით იხედება). თენდება კიდეც! . ოჰ, რა ჩქარა გავიდა ღამე! მეძინებოდა, ვთხოვე, მაგრამ მითხრეს უარი! „მეგობარს ველი და უთუოდ იდარაჯეო!“ ვიდრე სკამიდან ძირს ბრაგვანი არ მოადინო, უნდა იფხიზლო! და, ახლა რომ ტკბილად ჩამთვლიმა, გათენდა კიდეც!.. უნდა ვუთხრა...

(კარებს აკაკუნებს)

ბატონო ჩემო!

სოფი პავლოვნა! რას უყურებთ, გმართებთ სიფრთხილეშიგ მუსაიფით მთელი ღამე ხომ გაატარეთ. [ლე! ხომ არ დაყრუვდით? ალექსეი სტეფანიჩ, გესმით! თქვენ, ქალბატონო... ალარა გაქვთ არაფრის შიში!

(მიშორდება კარებს)

ახლა რომ მამა შემოესწროს უწვეველ სტუმარს! მოდი შენა და ემსახურე შეყვარებულ ქალს!

(ისევ კარებს მიადგება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროა მოშორდეთ აწ ერთმანერთს, დილაა, დილა!..
რაო, რას ბრძანებთ?

სოფიას ხმა. რომელია, მითხარ, საათი?

ლიზა. სულ ყველა ადგა, მთელ სახლობას გამოეღვიძა.

სოფიას ხმა. ვერ გაიგონე? რომელია, მითხარ საათი!

ლიზა (კარებს მიშორდება). მეშვიდე, მერვე, მეცხრე.

სოფია (ოთახიდან). სტყუი, ნუ თუ მაგდენი?

ლიზა. ოჰ, სიყვარულო, რა წყეული რამა ყოფილხარ!
ყურს არ მიგდებენ, არც კი ჰნებავთ, რომ გაიგონონ!
ვითომ რა უშავს, დარაბები რომ გამოვაღო?
საათსაც სწორედ წინ გადავსწევ, თუმც ესეც ვიცი,
ერთს აურ ზაურს ააყენებს იმის ჩხაკუნი.

(შედგება სკამზე და საათის ისარს წინ სწევს; საათი ჭრეკავს და უკრავს).

გამოსვლა მეორე

ლიზა და ფამუსოვი

ლიზა. ოჰ, თქვენ ბატონო!

ფამუსოვი. დიახ, ბატონი!

(ხჩერებს საათს)

რა ეშმაკი ხარ, შე ცუგრუმელა!
რატომ ვერ მივხვდი, რომ ამგვარ ოინს
შენს მეტი არვინ არ ჩაიდენდა.
ხან შემომესმა ფლეიტის გვარად,
ხან ფორტოპიანს შევუდარე ხმა
და სულ დავიბენ... ამ უთენია
სოფია ხომ არ გაილვიძებდა.

ლიზა. არა, ბატონო, მე... უცაბედად...

ფამუსოვი. და არა განგებ?.. სულ უცაბედად...

(მიეხვევა და ეალერსება)

ოჰ, შე ეშმაკო, შე ცუგრუმელა!

ლიზა. ეშმაკი თქვენ ჰხართ: რატომ არ ჰფიქრობთ,
რომ თქვენის ხნის კაცს ეგ არ უხდება?
ფამუსოვი. მოკრძალულია, თუმცა, ცუღლუტი,
ქარაფშუტაა—სხვა არაფერი.
ლიზა. ხელი გამიშვით, თვით ქარაფშუტავ!
ნუ გავიწყდებათ, რომ ჰხართ ბებერი!
ფამუსოვი. თითქმის.
ლიზა. გამიშვით, შემოვა ვინმე!
ფამუსოვი. აქ ვინ შემოვა, ხომ სძინავს ჩემს ქალს?
ლიზა. ეს არის ახლა ძლივს ჩაეძინა.
ფამუსოვი. ახლაო? ღამე რას აკეთებდა?
ლიზა. თითქმის მთელ ღამეს წიგნს ჰკითხულობდა.
ფამუსოვი. ეს კიდევ რაღაც გამოიგონა!
ლიზა. კარ-ჩაკეტილში ზის და ხმა-მაღლა
ფრანგულს ჰკითხულობს, ველარ ისვენებს.
ფამუსოვი. უთხარი მაინც, რომ წიგნის კითხვით
არა გამოდის, თვალებს ნუ იხდენს.
მას არ ასვენებს ფრანგულის კითხვა
და მე რუსულის—სულ ძილად მაგდებს.
ლიზა. როცა ადგება, ყველაფერს ვეტყვი;
მიბრძანდით, თორემ გამოიღვიძებს...
ფამუსოვი. რის გაღვიძება? შენ არ ბრძანდები,
საათს რომ წინ სწევ, აფრთხობ მთელს უბანს!
ლიზა (ხმა მაღლა). კარგია, კმარა!
ფამუსოვი (ბირზე ხელს აფარებს). ხომ არ გაგიუდი?
რა გაღრიალებს შენ ამოდენას!
ლიზა. მეშინია, რომ არა მოხდეს რა.
ფამუსოვი. რა უნდა მოხდეს?
ლიზა. რატომ არ ჰფიქრობთ,
ყმაწვილი არ ჰხართ, რომ არ იცოდეთ:
დილის ტკბილ ძილსა ქალწულს დაუფრთხობთ.
მოგეხსენებათ: მათ ყურთა სმენას
მცირე ჩურჩული, კართა ჭრიალი

პირდაპირ ჰხვდება, ძილს უკრთობს და მით
ფერს და ხორცს ჰკარგავს ყმაწვილი ქალი.

ფამუსოვი. სიცრუეს ყბედობ.

სოფიას ხმა. ლიზა, შენ ჰეი!

ფამუსოვი (სიჩქარით). სსს!..

(ტერებზე შემდგარი ოთახიდან მიიპარება)

ლიზა (მარტო). წავიდა. შორს, შორს ბატონებისგან!
განსაცდელს ელი მათგან ყოველ წუთს...
ღმერთო, მაშორე სხვა ჭირზე უფრო
ბატონთა რისხვას და მათ სიყვარულს!

გამოსვლა მესამე

ლიზა, სოფია სანთლით ხელში; შემდეგ მალჩალინი.

სოფია. ლიზა, რა მოხდა, რა გახმაურებს?

ლიზა. რა გენაღვლებათ: თქვენ აქ ერთმანერთს
დღეც არ შორდებით... არ ჰკმარობთ ღამეს.

სოფია. ოჰ, ღმერთო, მართლაც გათენებულა.

(აქრობს სანთელს)

თან ჭმუნვა მოაქვს დღისა სინათლეს.

ლიზა. იწუხეთ, მაგრამ იცოდეთ კი, რომ
მე ველარ ვუძლებ ამდენ სიმწარეს.
ამ წუთას იყო მამა-თქვენი აქ,
სისხლი გამიშრა... გამისკდა გული...
და აღარ მახსოვს, ტვინ-დაბნეულმა,
რა რიგად შევთხზე სხვა-და-სხვა ტყული...

(მალჩალინს)

თქვენ რაღას უცდით?—გამოეთხოვეთ,
მგონია, გული არ გაქვთ საგულეს.
საათს დაჰხედეთ, აჰა, ფანჯრიდგან
ჰხედავთ ქუჩაზე ხალხთა სიმრავლეს?
შინ კი ბიჭებმაც გამოიღვიძეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწმენდენ და ჰგვიან აქაურობას.

სოფია. ბედნიერები არ სინჯვენ საათს!

ლიზა. თქვენი ნებაა, ვინ გატანთ ძალას.
თუმც მე მომკითხვენ თქვენს შეცოდებას!..

სოფია (მალჩალინს). წადით! როგორმე გავძლოთ მთელი დღე!

ლიზა. გზა მშვიდობისა!.. ხელი აიღე!

(აშორებს ერთმანერთს. მალჩალინს კარებში ფამუსოვი შემოეფეთება).

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და ფამუსოვი

ფამუსოვი. სიდან სადაო? მალჩალინ, შენ, ძმავ!

მალჩალინი. დიახ.

ფამუსოვი. აქ ამ დროს რამ მოგიყვანა?
სოფიოც!.. ქალო, დილა მშვიდობის!
ამ უთენია რამ აგაყენა?
ნეტა ვიცოდე, რა საქმე გქონდა?
ან ამ დროს ერთად რად შეიყარეთ?

სოფია. ამ წუთს მოვიდა...

მალჩალინი. სეირნობიდან
დაბრუნებულმა—შემოგიარეთ.

ფამუსოვი. არ შეიძლება, რომ სასეირნოთ
ცოტა შორს ქუჩა ამოირჩიოთ?!
შენ, ქალბატონო, როგორც ძილიდან
თვალი გააღე, ზეზე წამოხტი—
მშვენივრობაა: გასათხოვარ ქალს
გვერდით გიდგია ყმაწვილი კაცი...
ღამე კითხულობ სულელურ ზღაპრებს
და ესეც არის მისი შედეგი!

სულ ფრანცუზები, მათი მოდები,
მათი წიგნები, მათი აზრები,
ჯიბის თაგვები, გულთა გამრყვნელნი!
ღმერთო, გვაშორე იმათ შლიაპებს,
იმათ ქინძისთვებს, შპილკებს, ჩეფჩიკებს,
იმათ ბისკვიტებს და იმათ წიგნებს!..

სოფია. რა არის, მამავ! თავი მიბრუის,
ჰხედავთ, შიშისგან ძლივს ვიბრუნებ სულს:
შემოიჭერით ისე საჩქაროდ,
რომ შემეშინდა...

ფამუსოვი. მორჩილად გმადლობთ.
მე შემოვიჭერ თქვენთან უეცრად!..
მე შეგაშინეთ, მე დაგიშალეთ...
სოფი პავლოვნა, მე თვითონ მთელ დღეს
შეუძლოდა ვარ, ველარ ვისვენებ,
რეტ-დასხმულივით მივრბი-მოვრბივარ
და ჩემს სამსახურს ისე ვასრულებ.
ხან ერთი მოვა და ხან მეორე—
სულ ყველას საქმე მხოლოდ ჩემთან აქვს
და სხვა მხრით მაინც არ მოველოდი,
რომ ისურვებდნენ ჩემს მოტყუებას...

სოფია (ტრემდ მორეული). ვისა ჰსურს, მამავ?

ფამუსოვი. ვიცი, რომ მევე
გამამტყუნებენ, ტყულად სტუქსავო.
ნუ სტირი, აბა, ყური დამიგდე,
მინდა საქმეზე გელაპარაკო.
ჯერ შენ ისევე აკვანში იყავ,
რომ შენ გაზრდაზე ზრუნვა დავიწყე:
დედა მოგიკვდა და შენს აღმზრდელად
მე მოვიწვიე მადამ როზიე.
თითქმის დედობას გიწევდა იგი,
მოხუცი, ყოვლად პატივ-ცემული,
ჭკვიანი, სათნო და იშვიათის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირსებით იყო მუდამ ქებული.
მხოლოდ ერთი რამ ვერა ჰქნა კარგად—
სხვაში გამცვალა ხუთას მანეთად.
მაგრამ რა არის მადამ როზიე,
როცა მამა გყავს წინ მაგალითად!
კარგად შემხედე: თავს არ ვიწონებ
თვალ-ტანადობით, მოყვანილობით,
მაგრამ მხნედა ვარ, გულიც ჰხალისობს
და ჩემთვის ვცხოვრობ მე მოსვენებით.
თავისუფლად ვარ, ბატონი არ მყავს,
მევე ვარ ჩემის თავის ბატონი;
ქვრივი ვარ, მაგრამ ბერულის ქცევით
ყველას საქები და მოსაწონი.

ლიზა. მსურს მოგახსენოთ...

ფამუსოვი. დაჩუმდი-მეთქი!
რა დროს შევესწართ, რა გვეშველება:
ყოველი ბავშვი სიბრძნესა სჩემობს
და ეს-კი ქალებს უფრო ემჩნევა.
ჩვენი ბრალია... ყველა მოთრეულს
და მაწანწალას გავუღებთ კარებს
და მათგან, აბა, ჩვენი ქალები
რას ისწავლიან, თუ არ სიგლახეს:
სიმღერას, ცეკვას, მანჭვას და გრეხვას,
თან არშიყობას და ეშხით ოხვრას,
თითქოს ამ გვარად აღზრდილ ქალიშვილს
ცოლად ვუმზადებთ ვინმე მასხარას.

(მალჩალინს)

შენ-კი, ყმაწვილო, აქ რისთვისა ჰხარ?
ობოლს ოჯახის კარი გაგიღე;
ჩინი გიშოვე ასსესორობის
და „სეკრეტარად“ მევე მიგიღე.
მე გამოგზარდე, მე შეგინახე,
ჩემის წყალობით ჰხარ აქ, მოსკოვში.

სული მილოცე, თორემ აქამდე
იქ ეგდებოდი, შენს ქალაქ ტვერში.

სოფია. თქვენს მრისხანებას ვერაფრითა ვხსნი;
ეგ ხომ აქა დგას... რა ჩაიდინა:
ერთ ოთახს ასცდა, უცბად აქ გაჩნდა!

ფამუსოვი. გაჩნდა თუ განგებ ჰსურდა გაჩენა?
ერთად რადა ჰხართ? არ შეიძლება,
რომ ეს უბრალო შემთხვევით იყოს!.

სოფია. აი, ბატონო, ეს როგორ მოხდა:
წელან ლიზასთან აქ რომ იყავით,
თქვენი ხმა მესმა, მეტად შევშინდი
და გამოვიჭერ აქეთ სირბილით...

ფამუსოვი. ნახავთ, თუ მევე არ დამაბრალონ:
უდროოდ ესმათ ამათ ჩემი ხმა!

სოფია. სიზმარში მყოფსა ცოტაც შეაკრთობს.
თუ გსურთ, გიამბობთ, რაც დამესიზრმა!
მაშინ მიხვდებით...

ფამუსოვი. რა ამბავია?

სოფია. გითხრათ სიზმარი?

ფამუსოვი (ჯდება). დაიწყე, რალა...

სოფია. დამაცათ, დიახ... ვითომ პირველად...
ვნახე მინდორი ყვავილოვანი.
მე კი ვეძებდი რალაც ბალახებს,
არ მაგონდება ცხადად სიზმარი...
უცბად გამოჩნდა ყმაწვილი კაცი,
თითქო ვიცნობდი მე იმას წინად,
ჭკვიანი იყო, მოკრძალებული,
მომიახლოვდა წყნარად და მშვიდად.
მაგრამ სიტყვის თქმას ვერ მიბედავდა—
ღარიბთ თვისება ხომ ასე არი...

ფამუსოვი. არა, შვილოსა, გულს ნუ მიხეთქავ!
შენ არ შეგფერის ღარიბი ქმარი.

სოფია. მერე ერთბაშად სულ ყველა გაჰქრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაც და მინდორიც. დავრჩით ჩვენ მარტო,
ირგვლივ გვფარავდა ბნელი ოთახი
და ამ სასწაულს სხვაც ზედ დაერთო:
უცბად გაიხსნა ძირს იატაკი
და თქვენ იქიდან ამოჰყავთ თავი:
ზე ამოძვერით თმა-აბურძგნული,
გაფითრებული, ვით მომაკვდავი.
ამ დროს უეცრად სახლის კარები
შემოამტვრიეს და შემოვიდნენ,
მაგრამ ვერ მიეხვდი, რა ჯურის იყვნენ:
არც ადამიანს და არც მხეცს ჰგავდნენ.
ჩვენ გაგვაშორეს ერთმანერთს. იმას
მწარედ სტანჯავდნენ... მეც დავიტანჯე.
ვითომ ის იყო ამ ქვეყნიური
უძვირფასესი ჩემი საუნჯე.
მისკენ გავრბოდი მისაშველებლად,
მაგრამ თქვენ თქვენკენ მიგყავდით ძალად.
თანაც მესმოდა კვნესა, ღრიალი,
მაცდურთ ხარხარი, გულ-შესაზარი,
ის კი მეძახდა. გამომეღვიძა
და ცხად ლაპარაკს ყური მოვკარი...
თქვენი ხმა ვიცან და გამიკვირდა,
რა მოხდა-მეთქი ამ ადრე დილით!
გამოვეშურე ამ ოთახისკენ
და თქვენ ორივე ერთად დამიხვდით.

ფამუსოვი. ვატყობ, ცუდია შენი სიზმარი,
ნამდვილში განგებ თუ არ ურევ ტყულს:
ოღონდაც, თავი მანდ მოუყრია
ყვავილებს, მაცდურს, შიშს და სიყვარულს.
(მალჩალინს)
შენ-კი, ბატონო, შენ რაღას იტყვი?

მალჩალინი. თქვენი ხმა მესმა.

ფამუსოვი. სასაცილოა!
რას აიჟინეს ჩემი ხმა და ხმა!

თითქოს ჩემს ხმაზე ყველა აქ მოვა.
ჩემი ხმის სმენამ ამ უთენია
სულ ყველა ერთად აქ მოაგროვა.
თუნდ ასეც იყოს—მერე ჩემს ხმაზე
რისთვის მორბოდი, აბა, მითხარი?

მალჩალინი. თან ქალალდები მომქონდა თქვენთან.

ფამუსოვი. სწორედ ეგ მაკლდა, კარგი რამ არი!
ნეტა ვიცოდე, ამ ადრიანად
რამ მოგაგონა ეგ ქალალდები!

(ადგება)

აბა, სონიჩკა, შენც მოგასვენებ,
თორემ უძილოდ დაიქანცები.
ხან სიზმრად ვნახავთ საკვირველ რამეს
და ცხადად—უფრო საკვირველებას:
შენც ხომ სიზმარში ბალახს სძებნიდი
და წააწყდი-კი უცბად მეგობარს...
უმჯობესია ეგ სისულელე
დღეიდან თავში არ გაიტარო!
საცა რამ ჰხდება სასწაულებით,
არაფერია იქ სანეტარო.
წადი ისევე დასაძინებლად!

(მალჩალინს)

წავიდეთ საქმის გასასინჯავად!

მალჩალინი. ამ ქალალდებით მიტომ გიახელთ,
რომ ყოველივე თქვენ მოგახსენოთ:
არ მოხერხდება, ეს საქმეები
რომ ვაწარმოვოთ ჩვენ უსაბუთოდ:
ზოგი ერთმანერთს არ ეთანხმება
და ზოგიც საქმეს სულ არ ეხება.

ფამუსოვი. მე-კი, ბატონო, მხოლოდ ერთს ვშიშობ,
რომ ქალალდები არ მოაგროვოთ;
და თქვენ ამ გვარებს როდი ამაცდენთ,
რომ ყოველ წუთას კუდში არ გდიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთვის ერთია, ეგ ქალალდები
უსაბუთოა, თუ საბუთებით...
მე ჩვეულება ამნაირი მაქვს:
ხელს თუ მოვაწერ—მერე მშვიდობით.

(მიდის, მადჩადინი თან მიჰყვება; კარებში მადჩადინს წინ გაუშვებს).

გამოსვლა მეხუთე

სოფია და ლიზა

ლიზა. აბა, ჰა, ესეც თქვენი ქეიფი,
თქვენი სიცილი და საუბარი!
ნიშნს როდი გიგებ: ამ გვარ წამებში
ნიშნის მოგების დრო სულ არ არი.
თვალთ მიბნელდება, სული მეხუთვის,
ხალხი შეიტყობს და ყბად აგიღებს.

სოფია. ვისაც როგორ ჰსურს, ისე განსაჯოს,
მე ყურს არ ვუგდებ მეჭორეთ სიტყვებს.
მხოლოდ მას ვსწუხვარ, რომ მამა-ჩემი
მეტად ფიცხია, ანჩხლი და გულ-ქვა.
მუდამ ასეა და ამას იქით
კარგად იფიქრე, თუ რა მომივა.

ლიზა. განა არ ვფიქრობ! კიდევ კარგი, თუ
მე და თქვენ ერთად ორივეს ჩაგვკეტს
და, ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ შეურეკა,—
მალჩალინს, მე, სხვებს სახლიდან გაგვრეკს.

სოფია. საკვირველია! ჩვენი სვე-ბედი
თავის ნებაზე მიდის და მოდის:
ზოგჯერ დიდი რამ დანაშაული
სულ უმნიშვნელოდ, ჩუმად ჩაივლის.
პირ-იქით: როცა არაფერს სწუხხარ,

დროც წყნარად მიდის, გალხენს ტკბილი ხმა
და ბედიც ვითომ კალთას გაფარებს—
აი შავ-ბედი აქ გამოტყვრება.

ლიზა. საქმეც ეგ არის! ჩემ სულელ სიტყვებს
მუდამ დასცინით და ყურს არ უგდებთ.
ახლა ხომ მიხვდით ჩემ გულთმისნობას
და, რასაც ვამბობ, რად არ იჯერებთ?
ბევრჯელ გითხარით: ამაო არის
ეგ სიყვარული და ოცნებები;
მამა თქვენიც ხომ ისეთივეა,
როგორც სუყველა მოსკოველები.
იმას სიძედ ჰსურს ჩინებიანი,
ჯვრითა და მენდლით დამშვენებული...
მაგრამ სუყველა ჯინჯილებიანს
როდი ამძიმებს ამ დროში ფული.
ჩინებთან უნდა შეძლებაც ჰქონდეს,
რომ თქვენც ხან-და-ხან გაჰმართოთ ბალი...
როგორც სერგეი სკალოზუბს უძევს
ტომრით ბაჯაღლო დაუთვალავი,
და ამას გარდა, უეჭველია,
ჩქარა იქნება ის გენერალი.

სოფია. ვის ეკადრება! ან რა მომასმენს
ფრონტსა და ჯარზე მუდამ ლაპარაკს!
ჭკვიანურ სიტყვას კაცი ვერ იტყვის.
დალრჩობა მიჯობს იმის ცოლობას!

ლიზა. თუმცა ყბედია, მაგრამ, ეტყობა,
არ უნდა იყოს ეშმაკი კაცი...
გრძნობით, ხალისით, მჭევრ-მეტყველობით,
გინდა სამხედრო და გინდა „სტატსკი“,
ვინ არის ისე გამოჩენილი,
როგორც ალექსანდრ ანდრეიჩ ჩაცკი?
მიტომ-კი არ ვსთქვი, რომ თქვენ გეწყინოთ,
გარდასულ საქმეს ვინ დააბრუნებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს...

სოფია. რა გახსოვს? ის მართლაც, კარგად
დასცინის ყველას, ხუმრობს და მასხრობს.
ხომ შეიძლება სხვებთან ვიცინოთ
და მეც ესენი მახარებს, მართობს!.

ლიზა. მხოლოდ ეგ არის? მახსოვს, როდესაც
გამოგეთხოვათ, მწარედ სტიროდა.
„რად სტირით-მეთქი—ვკითხე—ბატონო?
გამხიარულდი, რა გედარდება?“
„რად ვსტირი, ლიზავ? აბა, ვინ იცის,
რასაც აქ ვტოვებ, სრულად დამხვდება?“
საცოდავს, თითქო გულმა უგრძნო, რომ
სამი წლის შემდეგ....

სოფია. ნუ კადნიერობ!
მართლაც იქნება ვისულელე რამ,
ამას მეცა ვგრძნობ და კიდეც ვნანობ,
მაგრამ სად არის აქ ლალატობა,
ან ვისი, რომ მე მისაყვედურონ?
მართალი არის, რომ მე და ჩაცკი
ერთად ვსწავლობდით და ვიზრდებოდით,
ერთად ვიყავით, ისე შევთვისდით,
უერთმანერთოდ ველარ ვდგებოდით.
მაგრამ ბოლოს-კი თვითონ მოგვშორდა
და იშვიათად გვესტუმრებოდა.
მერე ისევე დამიახლოვდა,
შეყვარებულად მეჩვენებოდა;
ხან მიწყრებოდა, მებუტებოდა,
ხან ოხუნჯობდა, მჭევრ-მეტყველობდა.
ნაცნობებს ის ხომ ძალიან უყვართ,
სწორედ ამანაც წაათამამა:
წარმოიდგინა თავი დიდ ვინმედ
და მოინდომა ქვეყნების დავლა.
ეჰ, ჩემო კარგო, შეყვარებული

ჭკუის საძებრად შორს როდი წავა!

ლიზა. სით მოგზაურობს, ან რომელ მხარეს?
სთქვეს, წყლებზე არის საწამლებლადო.
ვინ იცის, ავად არ-კია, მაგრამ
ჰსურს გაატაროს მოწყენილი დრო.

სოფია. ბედნიერებას მართლაც იქ ჰპოვებს,
საცა დასაცინს შეხვდება ვინმეს.
მე-კი ვინც მიყვარს, ის სულ სხვა არის:
მალჩალინი კაცს თავს ანაცვალებს.
სძულს თავხედობა, წყნარია, მშვიდი
და მორიდებით ხმასაც არ იღებს;
ვისთან იქნება, რომ მთელი ღამე
ასე ატარო გათენებამდე?
და, რა გგონია, რითი ვიქცევთ თავს?

ლიზა. უფალმა უწყის, ბატონო ჩემო!
მე რას დავეძებ სხვის მოქმედებას!

სოფია. აიღებს ჩემს ხელს, გულზედ მიიკრავს,
თვალს არ მაშორებს და ჩუმად ოხრავს...
რა გაკისკისებს! ვითომ რა გითხარ
გასაცინარი?

ლიზა. მე, ქალბატონო?
თვალ-წინ დამიდგა თქვენი მამიდა,
აი, ფრანცუზი რომ გაეპარა
და თავის დარდებს ვითომც ჰფარვიდა.
გამოჩერჩეტდა, საწყალი, ფიქრით,
ალარ იცოდა, რა უნდა ექნა:
სულ დაავიწყდა თავის შეღებვა
და სამ დღეს უკან წმინდად გათეთრდა.
(იცინის).

სოფია (წყენით). აი, ჩემზედაც აგრე იტყვიან.

ლიზა. გთხოვთ მაპატიოთ. ამ სისულელით
მინდოდა, რომ თქვენ გაგცინებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეექვსე

იგინიგვ და მსახური

მსახური. ალექსანდრ ანდრეიჩ ჩაცკი გეახლათ!

(გადის)

გამოსვლა მეშვიდე

სოფია, ლიზა და ჩაცკი.

ჩაცკი. ადრე ამდგარხართ! — და აი მეცა
თქვენს წინაშე ვარ მუხლ-მოდრეკილი.

(მხურვალედ ხელზე ჰკოცნის)

აბა, მაკოცეთ! არ მომელოდით?
სთქვით, ჩემის მოსვლით ჰხართ მხიარული?
კარგად შემხედეთ: ნუ თუ გაოცებთ
ჩემი აქ მოსვლა? რა რიგ მექცევით?
ისე ჰხართ, თითქო ერთი კვირის წინ
ორივ ერთმანერთს თავს ვაბეზრებდით!
ერთი ნამცეციც ალარ გიყვარვართ!
მე-კი სულ-წასვლით აქეთ მოვჰქროდი,
მთელი ორმოცდა ხუთი საათი
ამ სანატრელ წამს ველოდებოდი!
ტყუილად თვალიც არ მომიხუჭავს,
შვიდასი ვერსი ისე გამოვვლე.
თავ-განწირული ქარსა და ბუქში
გადავდიოდი ყირამალაზე;
და ნაცვალ ჯილდოდ ეს რა მივიღე!..

სოფია. მოხარული ვარ თქვენის აქ მოსვლით.

ჩაცკი. მოხარული ხართ? კეთილი იყოს!

ეს სიხარულს ჰგავს? აბა, სწორედ სთქვით!
ფუჭი ყოფილა ჩემი იმედი,
ტყულად ვხოცავდი კაცებს და ცხენებს!

ლიზა. აი, ბატონო, ხუთი წუთის წინ
სადმე კუთხეში რომ მდგარიყავით,
ღმერთს გეფიცებით, გაიგონებდით,
რომ ჩვენ ორივე თქვენ გახსენებდით.
ხომ, ქალბატონო, თქვენ თვითონ ბრძანეთ?

სოფია. არა თუ ახლა—მუდამ გახსენებთ,
ღირსი არა ვარ საყვედურების.
წამსვლელს და მომსვლელს ვაკვირდებოდი;
ვისაც ვნახავდი, მეზღვაურსაც-კი,
ყველას თქვენს ამბავს ვეკითხებოდი,
თუ შეგხვდნენ სადმე გზაზედ მიმავალს,
საფოსტო ეტლით...

ჩაცკი. ვსთქვათ ეგრე იყო;
ნეტარ არს იგი, ვინც მორწმუნეა,—
მას აქვს ცხოვრება ტკბილი და მყუდრო.
ოჰ, ღმერთო! ნუ თუ მე აქა ვარ დღეს,
მოსკოვში, თქვენთან, თქვენ სიახლოვეს!
სად არის ის დრო უმანკოების,
როცა ჩვენ ორი სალამოობით
ერთად დავხტოდით მოუსვენარად,
ხან აქ და ხან იქ ვიმალებოდით!
ან მამა თქვენი „მადამთან“ ერთად,
ხომ გახსოვთ, „პიკეტს“ რომ თამაშობდა,
და ჩვენ ორი-კი იქ ვიკრუნჩხვოდით,
რომელ კუთხეშიც უფრო ბნელოდა!
მგონია, სულაც, აი, აქ იყო...
გახსოვთ, ყველასი რომ გვეშინოდა?
ჩვენ თვითონ მთელ სახლს პირქვე ვამხობდით,
მაგრამ ფეხის ხმა სხვისი გვაფრთხობდა.

სოფია. ბავშობა იყო!

ჩაცკი. დიახ, ახლა-კი,

ჩვიდმეტის წლისა რომ შეიქენით,
მაისის ვარდებრ გადაიფურჩქნეთ
და წუთი-სოფელ კრძალვით უცქერით.
ხომ არ ვინ გიყვართ? გთხოვთ მიპასუხოთ
ჩაუფიქრებლად,—და ნურც შეკრთებით.

სოფია. ვინ არ შეკრთება მაგგვარის კითხვით
და მაგნაირის ზედ დაშტერებით!

ჩაცკი. თქვენს მეტი სხვა აქ რა გამაკვირვებს,
ან რას მაჩვენებს მოსკოვი ახალს?
გუშინ თუ ერთგან ბალი გაჰმართეს,
ხვალ ორ-ადგილას გაჰმართავენ ბალს.
ერთმა შეირთო, მეორემ ვერა—
აი ქალების მუდმივი ჭორი.
ისევ ალბომში ლექსების ბლაჯნვა,
ქალთა საქები და მოსაწონი!..

სოფია. მოსკოვს აძაგებთ? აი რას ნიშნავს,
როდესაც კაცნი სხვა ქვეყნებს ჰნახავთ!
ვსთქვათ, ლირსიც არის ძაგების, მაგრამ
მაინც სადა სჯობს?

ჩაცკი. სადაც ჩვენ არ ვართ!
მამა რასა იქს? ინგლისელთა კლუბს
ისევე უწევს მუდმივ წევრობას?
ან ბიძა თქვენი გასცდა, თუ არა
ამ წუთი-სოფლის საშიშარ საზღვარს?
ის რაღას შვრება, აი, ის ვიღაც...
ოსმალო არის, თუ ბერძენია...
ის აყლაყუდა... ველარ ვიგონებ...
წეროს ფეხები რომ გამოჰბმია?..
სადაც არ გინდა, მას წააწყდები,
სასტუმროებსა, თუ დარბაზებში.
ან და ისინი რაღას შვრებიან,
მუდამ ბულვარზე რომ სეირნობენ?
ორმოც-და ათ წელს გადააბიჯეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც კიდევ ახალ-გაზრდობენ.
ნათესავები მილიონი ჰყავთ,
დების წყალობით ყველას იცნობენ.
ან ის, ჩვენი მზე, ჩვენი საუნჯე,
უქმად ნაშობი, უქმად ნაზარდი,
რომელსაც შუბლზე მიწერილი აქვს
მუდამ თეატრი და მასკარადი.
თვითონ მსუქანს და ღიპ-გადმოგდებულს,
არტისტები რომ ძვალ-ტყავს მიუგავს.
ხომ გახსოვთ, ერთხელ ბალში ჩვენ ორმა,
ფარდას უკან რომ ვიპოვეთ კაცი?
იადონივით რომ გასძახოდა
ზაფხულის კილოს სისხამ ზამთარში?..
ის ჭლექიანი თქვენი მოყვარე,
მსწავლულთ კომიტეტს რომ შეესახლა,
და ხატს და ჯვარზე ხალხს აფიცებდა,
რომ წერა-კითხვა არვის ესწავლა?...
ბედმა მარგუნა კვლავ ვნახო იგი!..
ან-კი ვის ჰნახავ ქვეყნად უცოდველს!
როცა შორიდან შინ დაბრუნდები,
სამშობლოს კვამლიც მოგაფენს ნათელს.

სოფია. თქვენ დეიდაჩემს უნდა შეგყაროთ,
რომ ნაცნობები სულ ჩამოსთვალოთ.

ჩატკი. მართლა, დეიდა! ისევ დედოფლის
სეფე-ქალადვე ითვლება, არა?
არ გათხოვილა? მოწაფეებით
და ფინიებით სახლს ავსებს, განა?
აბა, სწავლაზეც ვილაპარაკოთ.
ახლაც ისეა, რაც იყო წინად?
კიდევ სცდილობენ მასწავლებლები
ბევრი მოჰკრიბონ და თან იაფად?
ცოდნით აღჭურვილს ხომ არ ეძებენ:
რუსეთში ასე ნაბრძანები გვაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯარიმასაც ვიხდით მის ნაცვლად,
თუ რომ სუყველა არ მივიჩნიეთ
ისტორიკოსად და გეოგრაფად.
ხომ გახსოვთ ჩვენი მასწავლებელი,
თავისის ქუდით, ჭრელის ხალათით,
თითის ჩვენება, ნიშნები სწავლის,
და ჩვენც, ბავშვები, როგორ ვკვირვობდით!..
ეჰ, როგორ ადრე გვაჩვევდნენ იმ აზრს,
რომ უნემცებოთ ნუ ველითო ხსნას.
გილიომე ფრანგს, იმ ღარიბ-ღატაკს,
ნეტავი ცოლი ხომ არ შეურთავს?

სოფია. ვის შეირთავდა?

ჩაცკი. ვიცნ უნდა იყოს.
აი, თუ გინდათ, ერთ-ერთ კნეინას,
ან და პულხერია ანდრეევნას.

სოფია. ტანც-მეისტერი! როგორ იქნება?

ჩაცკი. მერე რა? ის ხომ ყველას კავალრობს!
ბრალი ჩვენი, რომ დიდ-ძალ შეძლებას
და თანაც ჩინებს საცოლე მოვვთხოვს!
გილიომე კი... აქ რას შვრებიან
დიდ ყრილობებსა და მოლხენაში?
ჩვეულებრივად კიდევ ურევენ
ნიჟეგაროდულს ფრანგულ ენაში?

სოფია. ენათ შერევა?

ჩაცკი. დიახ, ორ ენათ—
აბა, უმისოდ რა შეიძლება.

ლიზა. ორივე ერთად რომ გადაადნონ,
თქვენ ერთის ენად არ გამოდგება.

ჩაცკი. სხვასავით მაინც არ ვიტყლარჭები.
და თუ ამ წუთში ბევრს ვლაპარაკობ,
გამომაცოცხლა დღეს თქვენმა ნახვამ
და ამ შემთხვევით მეცა ვსარგებლობ.
განა არ არის ისეთი დრო, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე მალჩალინზე ბრიყვი ვარ უფრო?
მართლა, სად არის ეს მალჩალინი?
ენის ბოქლომი ჯერ ვერ გააღო?
თუ რამე ლექსებს დამინახავდა,
უთუოდ მთხოვდა და გადიწერდა...
ეჰ, ნახავთ, აბა, თუ მალჩალინი
რამე დიდ ადგილს ხელში არ იგდებს.
ეს ასე არის: ახლანდელს დროში
უფრო სწყალობენ ენოვან მუნჯებს...

სოფია (განზე). სწორედ გველია!

(ხმა მადლა)

მინდა რამ გკითხოთ:
მხიარულად მყოფს, ანუ მწუხარეს,
მომხდარა ის დრო, გინდ ბავშობაში,
რომ სხვაზედ კარგი წამოგცდენოდეს?

ჩაცკი. რისთვის გადასწვდით ჩემს ყმაწვილობას,
როდესაც ჰხედავთ ჩემს მოქმედებას:
თავ-მოძულებულს თოვლსა და ბუქში
ყურს მიყრუებდა ზარის რაწკუნი,
დღისა და ღამის განურჩეველად
თქვენკენ მოვქროდი გახარებული.
და როგორ დამხვდით? ცივად, მრისხანედ.
ამ გულ-ცივობას ვუმზერ და ვითმენ.
დამგვანებიხართ ღვთის მმოსავ წმიდანს,
მაინც უგონოდ მიყვარხართ მე თქვენ.

(ერთ წუთს გაჩუმდება)

ყური დამიგდეთ: ნუ თუ ჩემს სიტყვებს
ვნება რამ მოაქვს, სხვას ეკლად ჰხვდება?
თუ ასე არის, უნდა ვიფიქროთ,
რომ გულს გონება არ ეთანხმება.
მე დასაცინარს ერთხელ დავცინებ,
მერე-კი მალე დამავიწყდება;
თქვენ რომ მიბრძანოთ—ცეცხლში დავიწვი.

სოფია. კარგი, თუ დაგწვათ, მაგრამ თუ ვერა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მერვე

იგინივე და ფომუსოვი

ფომუსოვი. ესეც მეორე!

სოფია. ჰხედავ, მამილო,
როგორ აცხადდა ჩემი სიზმარი?
(ფიზა და სოფია მიდიან)

ფომუსოვი (ჩუმად მიაძახებს). ის დაწყევლილი შენი სიზმარი!

გამოსვლა მეცხრე

ფომუსოვი და ჩაცკი

ჩაცკი (მისჩერებია იმ კარებს, საიდანაც სოფია გავიდა)

ფომუსოვი. რა ოინი ჰქონ? სად დაიკარგე,
რომ სამ წელიწადს არ-რა მოგვწერე
(ეხვევიან ერთმანეთს)
და ახლა მოხველ ისე უეცრად,
თითქოს ზეციდან ჩამოსული ხარ!
ხომ კარგათა ხარ, ძმავ, მეგობარო,
კარგად ხარ განა? მიამბე რამე!
დიდი კრებები, დიდი ამბები,
აბა, ჩამოჯექ, ჩქარა დაიწყე!
(სხდებიან)

ჩაცკი (ათვალთუალად). სოფი პავლოვნა რა საოცარად
დამშვენებულა, ტურფა რამ არი!

ფომუსოვი. ყმაწვილ კაცებს ხომ სხვა საქმე არ გაქვთ,
უნდა შენიშნოთ ლამაზი ქალი.
გითხრა უთუოდ რამე გადაკვრით
და შენც იმედით ხარ მოხიბლული!

ჩაცკი. სრულიად არა: მე იმედებით

ძლიერ ცოტად ვარ გატაცებული.

ფამუსოვი. „სიზმარი ახდა“—წამჩურჩულა მე,
და ამან სწორედ შენც ჩაგაფიქრა.

ჩაცკი. მე?—სულაც არა, რაებს მიბრძანებთ!

ფამუსოვი. რაო, რა ნახა, ვინ დაესიზმა?

ჩაცკი. მე ოდი ვიცი სიზმრების ახსნა.

ფამუსოვი. ყურს ნუ ათხოვებ ამ სისულელეს:
ხომ იცი ქალმა თუ აიჟინა...

ჩაცკი. მე ვერწმუნები საკუთარ თვალებს;
ხელ-წერილს დავსდებ, რომ მისი მსგავსი
ჩემს სიცოცხლეში არსად მინახავს,
ცოტათი მგვანეც არ შემხვედრია.

ფამუსოვი. ეს ისევ ისე თავისას ჩმახავს!
მიამბე რამე, რას აკეთებდი
ამ სამ წელიწადს, სად მოგზაურობ,
რა ინახულე, სიდგან მოდიხარ?

ჩაცკი. განა მე ახლა მაგაზედ ვფიქრობ?
მინდოდა მთელი ქვეყნების დავლა
და მეასედიც ვერ მოვასწარი.

(სახჭარზედ ადგება)

გთხოვთ მაპატიოთ, თქვენს სანახავად
გამოვეშურე, შინ არ ვყოფილვარ.
მშვიდობით! ყველას წვრილად გიამბობთ,
ერთს საათს შემდეგ კიდევ შემოვალ!
მერე სუყველას თქვენვე უამბეთ.
რა ლამაზია!

(კარებში გადის)

ფამუსოვი (მარტო). ამ ორში რომელს?
„მამა, სიზმარი ამიცხადდა“-ო,
ხმა-მაღლა ამბობს და ეს-კი ისმენს.
დღეს მალჩალინმა ეჭვი აღმიძრა;
ვაის გავშორდი და უის შევხვდი:
ის ლატაკია, ეს-კი მფლანგავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქმად მავალი და მეტად „ფრანტი“
მაგრამ სოფიას ვინ უფრო მოსწონს,
ჯერ ისე რიგად არ-რა ეტყობა.
ოჰ, შემომქმედო, რა სასჯელია
გასათხოვარის ქალის მამობა!

(ფარდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხეოლოგიური მოგზაურობანი

და

შენიშვნანი

XI. სამკედრო ტიბიკონი, თარგმნილი მეფე ირაკლი მეორის ბძანებით არხიმანდრიტის და თელავის სემენარიის რექტორის გაიოსის მიერ ტფილისს წელსა 1764. მხედრული ხელთნაწერი ყდაში, 33×31,5 სანტ, ზანდუკით, 14 რვეული. მერმე მოყვანილია ეგზერციცია, რომელიც გაიოსს უთარგმნია 1784 წელსა.

XII. წიგნი საუნჯე ანტონ კათალიკოსის წინასიტყვაობით, მხედრული ხელთნაწერი ლურჯ ქაღალდზე ყდაში. ბოლოს აწერია: „ვეჯინს, და სრულ იქმნა სეკდენბერს. იდ. წელსა 1812, ქკ´ს ფ:“ 35,5×21, 5 სანტ.

XIII. ლოლიკა აბბატ კონდოლიაკისა თარგმნილი რუსულიდან ბატონიშვილის იოანეს მიერ 1806 წელსა, დეკემბრის 10, ლურჯ ქაღალდზე ყდაში. ბოლოს დართული აქვს გეომეტრიული ფიგურები, 15 რვეული, 33,5×20,5 სანტ. წინ ხელნაწერს მიუძღვის იოანეს საკუთარი წერილი დავით რექტორთან მოწერილი 1807 წელს, მარტის 6 პეტერბურგიდგან.

XIV. ოქროს წყარო, ხუცური ხელთნაწერი, ლურჯ ქაღალდზე ყდაში, 19 რვეული, 17×11 სანტ. ბოლოს აწერია:

სრულ იქმნა სულისა ჰმო მრწყველი ოქ´რო წყაროჲ:

$17\frac{5}{27}96$

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV. ვისრამიანი მხედრული ხელთნაწერი, დაშლილი, ყდაში, 5 რვეული, დაწერილია მე-17 საუკუნის ხელით, ხოლო დანარჩენი მე-18 საუკუნის, 23 × 66,5 სანტ.

XVI. ესტეტიკურნი განსჯანი, 33,5 × 19,5 სანტ. ლურჯ ქაღალდზე ყდაში. თავში მოყვანილია წერილი დავით ბატონიშვილისა მის ლალა დავით რეკტორთან. ბოლოს აწერია: გაიმართა 1819-სა წელსა, ივნისის 14-ს დღესა მეჯვრისკევს. შემდეგ: ამისი მშრომელი უფალი ანსილიონ სკოკხლებდა 1833 წელში. წიგნი ეს შრომა დავითისა მიუძღვნია ბატონიშვილს დავით რეკტორისათვს.

XVII. მეორე ეკზემპლიარი ამისი ამავე ფორმატისა გადმოუწერია ანნა ივანეს ასულს ერისთვისას კიაზო ერისთვის მეულლეს.

XVIII. კატიღორია მხედრული, 14,5 × 10 სანტ., კარგი ხელით ყდაში, 26 რვეული. ბოლოს აწერია: სრულ იქმნა მონასტერსა. ნათლის მცემლისასა მრავალ მთას:

წელთა ქᲔეს ჩდშs: კᲔელითა ყᲔდ უღირსისა დიაკონისა გაიოსისათა:-

XIX. აზრი ჟანჟაკ რუსოსანი სხუადა სხუათა საგანთათვს. წიგნი არის ფრანციცულიდამ გადმოღებული პეტრე ანდრიევისაგან, ხოლო რუსულიდამ ქართულსა ენასა ზᲔა თარგმნილი საქართუᲚოს მეფის ირაკლის ძის ფარნავაზის მიერ; ღუბერსკი პრავლენიის სტამბასა შინა წელსა ჩუ — 1800. ბოლოს აწერია: შესრულდა გარდმოწერა წიგნისა ამის იანვრის 13 სა დღესა ჩუკᲜ-სა წელსა დაწყებული ამა იანვრის ორის რიცხვიდამ, ხოლო შესწორებით პᲔ სახესა თᲔა განმართულ-იქმნა ამავე იანვრის იდ-სა რიცხუსა სოფელს ქვეშს*). 88 გვერდი, რვეულათ, უყდოთ, 22 × 18 სანტ. მხედრული ხელთნაწერი.

XX. წმიდისა მამისა ჩუᲚᲜისა ვასილი კესარიელ კაბადუკიისა მთავარ ეპისკოსისა ექვსთა დღეთათვს თქმული: მხედ-

*) ეს ქვეში გორის მაზრაშია, ამავე სახელით სოფელი მოიპოვება ბორჩალოს მაზრაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული ხელთნაწერი უყდოთ, in folio, 35,5 × 21 სანტ., ბოლოს აწერია: სრულ იქმნა საძიებელი ექვსთა დღისა, რომელი არს ქმნილი რეკტორის დავით ალექსიევისა. ვინაჲთგან ᲗᲚ არა აქუნდა საძიებელი ამა წიგნსა ექვსთა დღეთასა, ამისთვს იშრომა სახმარებისათვს ადვილ პოვნისა. ხელთნაწერი ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. სულ შეიცავს 17 რვეულს, თავში აწერია: ქსნის ერისთვის ასულის ანნასია.

XXI. კვინტოს კურციოს ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა, 22 × 16,5 სანტ. მხედრული ხელთნაწერი მშვენიერს ყდაში. თავში აწერია: „ეს. წიგნი. მუსხელაშვილმა როსტომმა მოსკოვიდამ. მოიტანა. ყიზილარს. წელსა: ჩდჟთ აპრილის. 6“. სულ შეიცავს 10 წიგნს ერთათ შეკრულს და ამიტომ წიგნი ძრიელ სქელია, ბოლოს აქვს სარჩევი, ანუ ნუსხა განთავისება ანბანთ ზედა. სულ ᲫᲓ (84) რვეულია, თითო რვა ფურცლიანი. რვეულების რიცხვი ასომთავრულებით და ბერძნულის ასოებით არის აღნიშნული. არა სჩანს როდის არის გადაწერილი, მაგრამ ხელის მიხედვით მე-18 საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს.

XXII. ცხოვრება და მოქალაქეობა მაქსიმე ამღსარებელისა, რომელსაც ზედ მისდევს კითხვა მიგება, 22,5 × 18,5 სანტ. მხედრული ხელთნაწერი ყდაში. შეიცავს სულ 477 გვერდს. ბოლოს აწერია: სრულ იქმნა შეწევნითა ღᲗისათა წიგნი ესე ფებერვლისა: ᲒᲚ-სა დღესა კვირასა, წელსა ᲩᲜᲔ-სა კნეინა კონია ერისთვისაგან, რომელიცა ვიყავ ამ წიგნის წერაში წლისა ორმოცდა მეთხუთმეტეში და მყავდა სამნი ძენი და ექვსი ასული და ერთიცა შვილიშვილი: მკითხველნო წერილისა ამის რაცა შეცდომა ნახოთ მომიტევეთ, ცოცხალ ვიყო ილოცეთ სულისა ჩემისათვის და თუ მკვდარი ვიყო შენდობა უბრძანეთ სულსა ჩემსა:.

XXIII. მილორდიანი, ლურჯ ქალალდზე, მხედრული ხელთნაწერი, 86 გვერდია, ტყავით გადაკრულ ხის ყდაში. ბოლო აკლია. მეცხრამეტე საუკუნის ხელთნაწერია. 36 × 21,5 სანტ.

XXIV. მოთხრობა მშვენიერის ქალისა და წამება ქეთევან დედოფლისა ახლად თქმული თავადი დიმიტრი ბაგრატოვანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ. წამება არის ლექსად თქმული. ორივე დაწერილია ლურჯ ქაღალდზე. მხედრული ხელთნაწერია. გარშემო აქვს კარდონის ყდა. მეცხრამეტე საუკუნის ხელთნაწერია. 32 × 22 სანტიმეტრი.

XXV. მოძღვრება ზნეობითისა ფილოსოფიისა, შეთხზული ადამ ფერლიუსონისაგან, დოხტურისა ჰსჯულთა-მდებელთასა, და პრეფესორისა ზნეობითისა ფილოსოფიის სწავლისა, ᲘᲓინ-ბურღისა ოკნივერსტის სწავლითა ანუ სასწავლებელთა მოწაფეთათვს, ანღლიურის ენისაგან გარდმოღებული რუსულსა ენასა ზედა ვასილი სოზონოვისაგან, სანკბეტერბურღსა შ'ა დაბეჭდილი სტამბასა შ'ა ყნორინისასა: წელსა ქე'ს აქეთ. 1804;-სა. 25,5 × 20,5 სანტიმეტრი.

მეორე ფურცელზე სწერია:

მეათსამეტის ს'დ საქართᲕᲚოს მეფის გიორგის ძის იოანეს მიერ დავითიან ბაგრატოვანისა, რუსთა ენისაგან ნათარგმნი ქართულსა ენასა ზ'ა, სასარგებლოდ ერთ მემამულეთა ჩ'ნთათვს; ვიშრომე ვინაᲫდგან წიგნი ესე ზნეობითისა ფილასოფიისა, ყოველგან ევროპისა შ'აარს მიღებულ და უმეტეს ასწავებენ ანღლიისა სასწავლებელთა შ'ა და ამისთვს თარგმნეს ესე ზნეობით ფილოსოფია რუსულსა ენასა ზ'ა რათა განეხილა მისისა დიდებულებასა ს'დ რუსეთის კელმწიფეს ალექსანდრე პავლეს ძეს და ამა წიგნიდგანაც მიეღო სასარგებლო სწავლანი რომელიცა საკუთრად სახელსა ზედან ამა კელმწიფისასა თარგმნილ იქმნა წიგნი ესე ვინადგან ასწავებს ზნეთ-სწავლულებასა ეგრეთᲕᲚ ასწავებს ჰსჯულვილებათაცა.

მესამე გვერდზე სწერია:

ბრწყინვალეო თავადო მოწყალეო კელმწიფევ ერისთავო
იოანე ელიზბარისძევ.

მესმა სურვილი, და გულს-მოდგინება ბრწყინვალებისა თქვენისა, აზნაურებითა კელოვნებისა ჰსწავლათა; და ამან მაიძულა. ამა ნაშრომისა ჩემისა მორთმად თქვენდა. ვინაიᲫდგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გისწავლესთ თქუენ წერილნი ფილოსოფიურნი; და ვინაადგან მეცნავნი ფილოსოფიისანი, უმეტეს სხუათა ყოველთა ზ~ა ესე გუართა წერილთა უფროს ამოვნებით მიიღებენ, მეცა ამისთვის საკუთრად სახელსა ზედან თქუენსა გარდმოვიღე, რათა გულს-მოდგინედ განიხილოთ. და აღმოიკვსოთ ამისგანცა სარგებლობიანნი ჰსწავლანი, და ამის ძლით მეც ვიყო თქუენგან დაუვიწყებელ.

სხვებრ დავჰშთები ბრწყინვალებისა
თქვენისა ჰეშმარიტისა პატივისცემისა
და სამსახურისა.
თთვესა იანვარსა. 28
წელსა. 1826.
სანკტპეტერბურღს საქართველოს მეფის ძე იოანე.

ბოლოს სწერია:

წელსა. 1817. განხორციელებიდან ქ~ესა
თთუსს სეკდემბერსა: 17:
სანკ პეტერბურღსა შ~ა
ჩემ მიერ შრომილი. მეფისძე. იოანე.

შიგნიდან ბოლო ყდაზე სწერია:

1830 წელსა აპრილის 3-სა მივიღე გორს. შანშე ერისთოვის მიერ:

XXVI. დასაბამობითნი საფუძველნი მცნობელობითისა. ფისიკისანი: ქმნილება უფლისა ბრისსონისა, პარიჟულისა სწავლა აკადემიის წევრისა, ფისიკისა და ბუნებითისა ისტორიისა მოძღურისა ყრმათა ფრანციის კოროლისათა, საკოროლოსა პროფესორისა მცნობელობითისა ფისიკისა საკოროლოს ნავარრის კოლლეღიასა შ~ა და საკოროლოს, ცენზორისა. თარგმნილ არს პეტრეს მიერ სტრახოვისა, მეექუსის კლასის მცნობელობითისა ფისიკისა პროფესორისა და ორთავე ღიმნაზიათა უნი-

ვერსიტეტსა თანა ინსპეკტორისა: სახმარებელად მოსწავლეთა საიმპერატოროსა მოსკოვის უნივერსიტეტსა შინა, ტომი მესამე, მეორე, პირველი. 21,5×17 სანტიმეტრი. I ტ. გვ. ფკდ: II ტ. უჲზ გვ; III ტ. ფი გვ.

XXVII. დიონოსი არიოპაგელი. ღვთის მეტყველება მოლურჯო ქაღალდზე, შეიცავს 205 გვერდს. ხელთნაწერი ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. დაწერილია მხედრულის ხელით. 31,5×20 სანტიმეტრი.

XXVIII. მართლ მადიდებლობითი მოძღუვრება: ანუ შემოკლებული საქრისტიანო ღ᾽ის მეტუსლება საკმარ ყოფისათჳს იმისის იმპერატორობის სიმაღლისა ყ᾽დ უბრწყინუალესისა კეთილ მსახურისა კელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისასა: ქმნილი მისის იმპერატორობის სიმაღლისა მოძღურისა იერომონახისა (რომელიც აწ არს სინოდის წევრად არხიეპისკოპოსად მოსკოვისა და კალუგისა, და წ᾽ის ტროიცის სერგიის ლავრისა არხიმანდრიტად) პლატონისაგან: ᾽ ᾽ რუსულით ქართულსა ენასა ზ᾽ა გარდამოღებულ იქმნა არხიმანდრიტის რეკტორის გაიოზის მ᾽რ, სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს წელსა 1781:.

ბოლოში დედნის ხელით:

ერისთჳს ძის იოანესი. არის. ღ᾽თნ აკ᾽ძაროს კეთილ-ღღეობით.

იკორთის მონასტრის მღუდელმა დიმიტრი ოქროაშვილმა აღვსწერე, მაისის .ბ. ქ᾽კს უჟთ: 1811 წელსა:

გვერდი არის 256. 22×17 სანტიმეტრი.

XXIX. მეტაფისიკა თარგმნილი ანტონ კათალიკოზისა, დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრულის ხელით. 15 რვეული და რვა ფურცელი. ბოლოს აწერია:

აღიწერა კელითა დიკასტირიის მწერალ მწიგნობრის ანჩის ხატის დეკანოზის ძის დიმიტრისათა წელსა. ჩყბ. თთუსსა

მარტსა ჯ. ქ-კს უჟ: დავით რეკტორი. გამართულია. 22×17,5 სანტიმეტრი. ტყავ გადაკრულ ხის ყდაშია.

XXX. სარკე თქმულთა მხედრული ხელთნაწერი ყდაში 22,2×18 სანტ. ქაღალდზე. პირველ გვერდზე აწერია: ქსნის ერისთვის იოანე ერისთვის ასულის ანნასი არის ეს წიგნი სარკე თქმულთა. 264 გვერდი აქვს წიგნს, და ექვს გვერდს კიდევ შეიცავს სარჩევი, სულ 270 გვერდი. ბოლოს აწერია: დიდება ღ-თსა სრულ მყოფელსა ყოვლისასა, სრულ იქმნა ძალითა ღვთისათა,. კელითა ღუბერსკის სეკრატორისა იოანე იალღუზის ძისათა, ივლისს; ზ-ს დღესა. ჩეკ-სა წელსა. დასახატავი ადგილები დატოვებულია.

XXXI. ფილოსოფია: ბუნების სამართალი, ითიკა და პოლიტიკა ანტონ კათოლიკოზის ნათარგმნი, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, 21,4×17 სანტ. ქაღალდზე. ბოლოს აწერია: დომენტი არხიმანდრიტისა არის. სულ წიგნში არის. 22 რვეული რვა რვა ფურცლიანი

XXXII. ითიკა, ანუ საითიკო ფილოსოფია ანტონ კათალიკოზის ნათარგმნი ლურჯ ქაღალდზე, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, 23×17,5 სანტ. ბოლოს სწერია:
ალმწერელი წიგნისა ამის სიბრჭნის ტრფიალი, დიკასტერის მწერალ-მწიგნობარი დავით რეკტორი (ჩართულად) წელსა ჩუბ. თთუს მაისსა. ზ. ქ-ს უჟ:

გამართულია.

სულ არის 14 რვეული.

XXXIII. წყობილ სიტყვაობა ანტონი კათალიკოზისა ლურჯ ქაღალდზე გაიოზ არხიეპისკოპოზის წინასიტყვაობით, მხედრული ხელთნაწერი ყდაში, სრული. ბოლოს აწერია: დიკასტირიის მწერალ მწიგნობარი ალექსიძე დავით რეკტორი (ჩართულათ). გამართულია, წელსა ჩუბ. იულისის იგ:

სულ შეიცავს 14 რვეულს და ორს ფურცელს, 22,5×17,5 სანტიმეტრი.

XXXIV. დასაბამობითისა გამოცდილებისა ფილოსოფიისა ნაწილი პ-ლი. საიმპირიკო პსიხოლოგია ანუ დამცუსლობითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთ მეტყუსლება, ნათხზი უფლისა სნელლესი ნემეცთა ენით რომლითამე სხოლიოებით და ზედა-დაჭრთუაებითურთ უთარგმანებიეს საიმპერატორროჲსა ყაზანის უნივერსიტეტისა ადუნკტისა ფილოსოფიისასა ალექსანდრე ლობკინსა. ყაზანი. საუნივერსიტეტოსა შ᾽ა სტამბასა ჩყიგ-სა წელსა. მხედრული ხელნაწერი ყდაში. თავში იამბიკო არის, რომლის კიდურ სიტყვაობაში იკითხება:

„იოსებ გონიერ სულსა.“ ბოლოს იამბიკოს აწერია: ქმნილი მ. ი. გ.

თავში აწერია: ეს წიგნი მივიღე 17 ოკდომბერს 1847 წელსა ს. ქვეშს გორით იოსებ ქრისტეფორიჩის მამაცევისაგან და ამის რუსული დედანი მივიღე ნათხოვარობით მისვე მამაცოვისაგან ტფილისს ჩყლ-სა წელს, მაისის იგ-სა დღესა.

XXXV. ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანისა ლურჯ ქაღალდზე in folio, 34,5×21. სანტ., 391 გვერდ. ლექსიკონს აქვს წარწერა: დიდითამე სურვილითა ვიძულებოდი ადრითვე გარდაწერად ამა წიგნისა სიტყჳსა კონისა, რ᾽ლ არს ლექსიკონი. რ᾽ მაქვნდა სამართლად ქონებაჲ ამისი საჭიროებითსა შ᾽ა. ხ᾽ დავეყენებოდი ამა მიზეზთაგან ოდესმე არა შოვნითა დედნისათა და ოდესმე დაღათუ ვიშოვნიდიცა გარნა არა ეგრეთსა, რლ᾽იცა კმასაყოფელად სთნებოდა გონებასა ჩემსა რ᾽სილვანი არა სრულებითთა ნიშანთანი გარე აქცევდენ მნებებლობაა ჩემსა ხ᾽ შ᾽დ მიზეზითა რ᾽ლ᾽ითამე დავეკვეთე ესრეთსა ხვედრსა რ᾽ლ ვიხილე ლექსიკონი მათისა უგანათლებულესობისა ყ᾽ლ᾽ისა საქართველოსა მეფის სძლის წერეთლის ასულის ქეთავანისა, რ᾽ლიცა სთნდა გონებასა ჩემსა და მასმიოდაცა არა რადა ყოფასა საქართველოსა შ᾽ა უმჯობესისა და უსრულესისა ლექსიკონისა და მუნით გარდმო-ვსწერე ლექსიკონი ესე ფ᾽დ სიმართლისა მეცადინობითა. რაოდენცა აქვნდა თავისუფლად ამის ჟამისა უცალოებისა და სხვად მიმზიდთა მიზეზითა გამო უძლურებასა გონებისა ჩემისასა, რ᾽ლიცა ვითხოვ ყ᾽ლთა გულის-კმიერ-მკითხავთაგან შრომისათვის სიყვარულითა და ლოცვითა მოკსენებასა და ცთომათთვის სიყვარულითავე შენდო-

ბასა, რათა კეთილ კრებულნი საღმრთოჲთა სიყვარულითა მეინახეობასა მიემთხვინეთ საზოგადოსა საღმრთოჲსა ტრაპეზისასა. ზ მათისა უგანათლებულესობიდმი ჩემ მ~რ ესრეთისა კადნიერებისა მიზეზისათვის არა მიმნდობელი საკუთრად თავისა ჩემისა:. მოუწოდ შემწედ ყ~თა განმაბრძნობელსა ყ~დ წმიდასა სულსა ღ~თ მთავრებრივსა, რათა მან კეთილ წარმართებისადმი მოსცეს სისრულეჲ ვ~ა შეუნის და სათნო არს მისისა სახიერებისადმი რ~ლსა შვენის დიდება უ~კი უ~კე ამინ:

XXXVI. საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი. 21×17,5 სანტიმეტრი, ხელთნაწერი ქაღალდზედ. 511 ფურცელი. ბოლოში სწერია:

ცოდვილი ბერი ზოსიმე ამ ლექსიკონის აღმწერელი და პატრონი:. ძმა ზემოკსენებულის სულხან ყოფილის საბასი. მოიხსენეთ. ქრისტეს სიყვარულისათვის: ზაალ ყოფილი ზოსიმე: ქ~კს უ~დ. მარტს. კბ:. ოდესცა მონაზონიქმნა ზოსიმე: იყო მაშინ ქ~კნი ტპზ:.—

დაიბადა სულხან: ქ~კს: ტმვ: ღვინობისთვეს: კ~დ: დღესა კვირიაკესა:.

ასომთავრულ ასოებით ჩართულია:

ზაალ ყოფილი ძე ორბელისა ზოსიმე.

XXXVII. ფილოსოფია (ბაუმეისტერისა) ახალ პაექრობითი მპყრობელი თვს შ~ს განსაზღუჳრებათა და დადებლებათა. ბოლოში სწერია:

ერისთვის ძის იოანესი არის: ღ~თნ ახმარნეს სიგრძესა შ~ა დღეთასა ამინ: აღიწერა კელითა იკორთის ეკკლესიის მღუდლის დიმიტრი ოქროაშვილისათა ქ~ეს აქეთ ჩეი ქ~კს უჟ: გამართულ იქმნა მეჯვრისხევს წელსა 1811: ფებერვლის 17. დაწერილია მხედრულის ხელით ლურჯ ქაღალდზე. ზის ტყავგადაკრულ ხის ყდაში. 225×17 სანტ.

XXXVIII. ფისიკა კათალიკოზ ანტონისა თარგმნილი. თავში უწერია: გარდმოვიღე ფისიკაჲ ესე სხუათა და სხუათა ავქსონთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემკრებელმან, მით რ ვოლფიოსისგანსა სისტემასა სოფლისასა მივრიდე:

ბოლოში აწერია:

„აღმწერელი წიგნისა ამის სიბრძნის ტრფიალი დიკასტირიის მწერალ მწიგნობარი დავით რეკტორი. სრულ იქმნა წელსა ჩუბ. თთუ<ესა მაისსა. ლ. ქკს ᲣᲣ: გამართულია“. დაწერილია მხედრული ხელით ლურჯ ქაღალდზე, 22,5 × 17,5 სანტ.

XXXIX. სძილისპირი, მხედრული ხელნაწერი ყდაში, კარგ ქაღალდზე, 11 × 9,3 სანტ., 22 რვეული. მე-18 საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს.

XL. კატიღორია არისტოტელისა, მხედრული ხელნაწერი ყდაში, ლამაზი ხელით დაწერილი, უნდა ეკუთვნოდეს მეცხრამეტე საუკუნეს, 10,5 × 8 სანტ.

XLI. ჟამნი მხედრული ხელნაწერი, რომელსაც მიკერებული აქვს დაბეჭდილი ჟამნი მხედრული 1722 წელს ტფილლში დასტამბული. თავი და ბოლო აკლია. ხელნაწერი მე-17—18 საუკუნის არის, 14 × 9 სანტ.

XLII. დაუჯდომელი მინიატურული ხუცური, მშვენიერი მხატვრობით შემკობილი, კინოვარის სათაურებით და წარწერით, ყდაში, ბოლოს სხვა ხელით აწერია: ქ.ეს წიგნი მათის უმაღლესობის მეფის ირაკლის სძალმან მეუღლემან ᲬᲘᲫᲘᲡ ჩემის მეფის ძის ლევანისამან ენდრონიკასშვილის ასულმან ნინომ მიბოძა მე შვილის წულსა თვისსა იმერთა მეფის სოლომონის დის ბატონისშვილის არჩილის ასულს მარიამს დროსა უკეთილ მსახურესისა და უმაღლესისა ს˜დ საქართველოს მეფის ირაკლისა მოწყალესა პაპისა ჩემისასა ულირსად შემწყნარებელისა ჩემისა ღმერთო შეიწყალე სული მისი და ძენი და ასულნი მისნი ამინ. 7,5 × 5 სანტ. ოქროს ვარაყებით და ზასტავკებით. ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მე-18 საუკუნის დასაწყისს. 36 ფურცელი.

XLIII. ფსალმუნი დავითისი, ხუცური ხელთნაწერი, ყდაში, 10,5×7 სანტ. რვეული 29. ხელი ძრიელ წვრილია: ბოლოს დართული აქვს ანდერძი გიორგისი მთაწმინდელისა და მერმე სწერია:

აღვსწერე. ყᲯ. ულირსმან. მონაზონმᲯნ. რომᲯნოზ. წᲯ. ესე. Ჯთი. გᲯრესჯის მრავალ. მთას. მონასტერსა. წინა მორ-ბედის. ᲘᲯ ნათლის მცემლისᲯს. გᲯის ერისთჳს. ძემნ დავსწე-რე ჩმᲯის სულის Ჯლხინებელად: მოიხსენე ᲝᲯ. მამა. დედა ჩᲯმი. ძმᲯნი დანი ᲧᲯნი. ჩმᲯნი თჳსნი. და აღმზ|რდელნი. მოიხსენე. და განუსვე|ნე. ᲥᲯ გᲯნსᲯსვენებელსა. შᲯნსა სა|და იგი არს გᲯდობჲ და ზ[ა]ტიკობჲ. ფუფუნᲯბჲ. და წᲯყᲯლნიცა ცხოელნი დიან სულ-ნელითა მით ნიავ სულნელ|ებისᲯთა. სადა იხილვების. ფᲯდ მყუდ-როებჲ. შუენიერებითა მით ანგᲯზთთა. მუნ დააწესე. ბებია ჩᲯმი ᲨარᲯმ და ბიძა ჩᲯმი ონოფრე ᲥᲯ კᲯცთ მოყᲯვრე ნუ მოიხსენებ. ძვირთა მᲯთთა: და მეც მთᲯთან დამაწესე:. ვიწყე. წᲯჲ ესე Ჯთი დღეთა ზᲯტიკისათა. მენელსᲯᲯᲯᲯლეთა. კᲯკის წინადღით შᲯბთს. და. სრულ ვყᲯვ. შობითგნ ბრმის კᲯკის წინა დღით შაბათს. დღესᲯსწლსა. წᲯთა მეფეთა კოსტანტინე და ელენესთა. ᲯᲯის გᲯმოჩენასა: თᲯა მაისსა: ᲯᲯ: ქრთლს მეფობᲯსა იესესა. ძისა ლევანისსა: კათალიკოზობსა. ძმისა მისსᲯვ დომენტისა:. ᲥᲯᲯსა:. ᲣᲒ (1715):. მომიხსენე ᲥᲯ ᲘᲯᲯ ᲯᲘ მონა შᲯი რომა-ნოზ ამინ.

XLIV. წიგნი ლოცვათა გᲯნკითხვათასა: კლიტენი მკურᲯვლედ ქმნილნი რᲯნი გᲯნხუმენ გᲯლისა კᲯრთა დაკშულსა ცოდვᲯთა მᲯრ: თარგმნილი პᲯეს მᲯრ მოძღურისა ტფლისელისა. იტალუ-რისა ენისაგᲯნ სომხურად. და სომხურისა ენისაგᲯნ ᲯᲯ მესამედ გᲯნზრახვადმდე ქართულსა კმასა შᲯა მეშვდე ᲘᲯნე Ჯენ-ბაკუ-რიან ორბელითისგᲯნ. და მისსა ქუᲨმორე ᲯᲯ ბოლოდმდე მეს-ხის დᲯთისაგან კᲯდ ქართულად:. (კინოვარით).

XLV. ლცვაჲ გᲯნბის გᲯნხილვისა ლათინელთა გᲯნკარგვთაგნ ახლᲯდ თᲯრგმნილი სომხურის ენისგᲯნ ქართულᲯდ: ᲘᲯნე ორბე-ლიანისა: ᲥᲯეს აქეთ: 1739:. დაწერილია თეთრ ქაღალდზე ხუცურის ნუსხა ხელით. შეიცავს 14 რვეულს. 16×10,5 სანტ.

XLVI. მანანა. მხედრულის ხელით დაწერილია თეთრ ქაღალდზე. ეკუთვნის მეთვრანეტე საუკუნეს. ზის ტყავით გადაკრულ ხის ყდაში. 14,5×10,5 სანტ.

XLVII. დასაბამი ფილოსოფიის სახლისა ხარგებლად ყრმათა სხოლის შინათა ქმნილი ანტონისგან 1762 წ. ივლისსა 30. დაწერილია მხედრულის ხელით თეთრ ქაღალდზე. ზის ტყავგადაკრულ ხის ყდაში, 16,5×11,5 სანტ.

XLVIII. მიხითარ ყ˜დ ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა გარდმოღებული ქართულს ენაზედ ანტონის მამათ მთავრისგან 1764 [წელსა], თთვესა მეხუთესა:—აღიწერა მონასტერსა ნათლის მცემლისასა მრავალ მათს კელითა ყ˜დ უღირსისა დიაკუნის გაიოსისათა. წელსა ქ˜ეს აქეთ ჩდპზ, თთვესა იანვარსა 8:—

ბოლოში დართული აქვს დედნის ხელით დაწერილი რვა ფურცელი შემდეგის სათაურით:

უწყება მიზეზსა ქართუსლთა მოქცევისასა. თუ რ˜ლთა წიგნთა შ˜ა მოიხსენების:—დაწერილია მხედრულის ხელით თეთრ ქაღალდზე. 16×10,5 სანტ.

XLIX. ჩარ-დავრიშიანი თეთრ ქაღალდზე დაწერილი მხედრულის ხელით. ჩკდა. წელსა. ოკტომბრის იგ. 21,5×17,5 სანტიმეტრი.

L. ვარდბუღბუღიანი მეფის თეიმურაზისა. მისგანვე გრემზე და მის ბაღის სახლებზე ნათქვამი ლექსები დაწერილი მხედრულის ხელით ლურჯ ქაღალდზე, 20,5×16,5 სანტ.

LI. ცხოვრება და მოქალაქობა და ღვაწლი წ˜ისა და ღირსისა დედისა ჩვენისა ნინასი, რომელმან ჰქადაგა ქ˜ე ღ˜ი ჩუსნი ქუსყანასა ჩრდილოეთსასა და განანათლა ნათესავი ქართუსლთა. ბოლოს სწერია: სრულ იქმნა სულისა განმანათლებელი ესე ცხოვრება წ˜ისა დედისა ჩვენისა ნინასი, თუსსა აგვისტოსა ბ-სა:.

წიგნის მეორე ნაწილს შეადგენს:

მეფობის ტახტზედ აღსლვა თამარ მეფასი: ცხებულის მეფის გიორგის ასულისა: დავითიან პანკრატოვანისა: რ˜ლნ კრმლითა თჳსითა დაიმორჩილა თავრიზი, მარანდი, მიაწია ყაზმი-

ნადმდე და სისტანისა გურგანის წყლადმდე და დიდი იგი ქალაქი ხორასანი წარმოსტყვენა: ბოლოში აწერია ამ ნაწილს:

აღვსწერე წიგნი ესე მრავალ მთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსაშინა, არხიმანდრიტმან სოფრონიოს არაგვის ერისთვის შვილმან, და მიუძღვანე მრავლად ჭირნახულდებულს ძმისწულსა ჩემსა კიაზოდ სახელდებულს გიორგის სახსოვრად ჩემდა:—ჩენბ-სა წელსა, ოკდომბრის იგ-სა დღესა:

ამას მიყვება ამავე წიგნში:

1) მოკლე ზნეობითი ჰსწავლა. 2) შემოკლებული სამღუდელო ისტორია. 3) ლოცუანი სავედრებელნი და ყოველ დღე სათქმელნი: 4) შემოკლებული კატეხიზმოს. 5) უკწყება და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა წმიდათა კრებათათკს, რომელთა დაამტკიცეს მართლი სარწმუნოებაჲ, რ~ლი ესე ჯერ არს ყ~თა ქ~ვანეთათკს, რ~ა კეთილად და გამოწულილივით მეცნიერ იყუნენ:. აქვე უწერია: იესო ქ~ე ადიდე სული წ~ისა მამისა გიორგისა, რ~ლნ თარგმნა წმიდა ესე წიგნი საუკუნო იყავნ ხსენება მისი ამინ. 6) თქმული წ~ისა მამისა ჩუენისა ევთიმი მთაწმინდელისა კითხვა-მიგება. ამ სტატიას ბოლოში აქვს მინაწერი: ეს კითხვა მიგება წ~ის მამის ევთიმი ქართველისაგან ნათქუამი, რუსეთში ენახა იერომონახს ტარასი ალექსიევს ერთს ძველ კელნაწერს კურთხევანში. რომელიც ყოფილიყო რუისის ღ~თაების ეკკლესიისა. ავალიშვილის მროვლისაგან გატანილი. და მეფეს არჩილს გადაჰყოლოდა რუსეთს და იქიდამ გადმოეწერა. 7) შემოკლებული მოთხრობა საქართუელოს აღშენებისა 8) პატიოსნისა და დიდებულისა მთაწმიდისა ქართველთა მონასტრისა და ყოვლად დიდებულისა სამღთოის პორტაიტის ხატისათკის, რომელ არს თარგმანებით კარის ღ~ის მშობელი. 9) ნაშთი. ეკკლესიურისა ისტორიისაგან ევსევი ეპისკოპოსისა პალესტინის კესარიისა ისტორია ედესიის მფლობელისათკს. წიგნი ა, თავი იგ: 10) პირი წერილისა ავგაროს მთავრისაგან ქ~ეს მიმართ მიწერილისა და წარვლინებულისა მისდა იერუსალიმად მალემსრბოლისა ანანიას მიერ: 11) ეპისტოლე მიწერილი ქ~ე იესოს მიერ ავგაროსის მიმართ. 12)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახოვნება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქ^ესი გამოწერილი ძუელთა რომაელთა კელთწერილთაგან. 13) პირი წიგნისა წარვლინებულისა იერუსალიმით ტიბერიოს იმპერატორისა მიმარუ პუბლიო ლენქულიო მთავრისაგან ურიასტინისა იესო ქრისტესთვს. 14) სახე უსჯულო სამის სასჯელისა წინააღმდეგ ქ^ესა, რომელიცა ჰყუჩს იერუსალიმს შინა მთავართა ურიათათა. 15) განწესება ქ^ეს ზედა. 15) თთუესა მაისსა ზ ჟამსა მესამესა დღისასა ჯ^ის გამოჩინებისათვის ქალაქსა შინა იერუსალიმსა. ბოლო სტატიის შესახებ სწერია შემდეგი დასასრულში:

1829 წელს ფრანციცის ბროსეთისგანან პარიჟის ქალაქს შინა ქართულად დაბეჭდილს პატარას ქართლის ისტორიიდამ გამოეწერა მღუდელ მონაზონს ტარასი ალექსიევს, გამოეწერა პეტრებურხს, და იქიდამე მე გადმოვსწერე ზემო აღწერილი ჯუარის გამოჩინების ისტორია: ხ^თარგმნილ არს 1820 წელს: მთელი წიგნი დაწერილია მხედრულის ხელით სქელს ქაღალდზე, 22×17,5 სანტ.

LII. რიტორიკა რვეულად მხედრულის ხელით დაწერილი, მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერი.

LIII. შეყვანილება ღეოღრაფისა შინა, თავი აკლია დაბოლო. მხედრულის ხელით არის დაწერილი ლურჯ ქაღალდზედ. მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნის.

LIV. ესოპეს ცხოვრება მხედრულის ხელით დაწერილი თეთრ ქაღალდზე. ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნეს.

LV. სასო წარკვეთილობა ლომარტინისა, ლორდ ბაირონისა, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრულის ხელით.

LVI. თვს ბ^ლისა ნაწილისა სამჭევრ მეთქვოდსა ესე იგი პოვნისა. დაწერილია თეთრს სქელ ქაღალდზე მხედრულის ხელით. 18 გვერდი, მეცხრამეტე საუკუნის არის.

LVII. შობა ყოვლად წმინდისა ქალწულისა მღთის მშობლისა მარიამისა და მშობელთა მისთა იოაკიმ და ანნასი. 78 გვერდზე სწერია:

აქ დასრულდა მოთხრობა ღთის მშობელისა. აღვსწერე წიგნი ესე ათას რვაას სამოცდა ოთხსა წელსა იანვრის. დ. დღესა კნეინა კონია ერისთოვისამ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრულის ხელით.

LVIII. თხზულება ლომარტინისა: გარმონია პოეტური და სარწმუნოებრივი. (სული ჩემი მოწყენილ არს ვიდრე სიკვდილამდე), 18 გვერდი.

LIX. რიტორიკა. თავი აკლია. დაწერილია სქელ თეთრ ქაღალდზე მხედრულის ხელით. თავდება § 100-ით მეცხრამეტე საუკუნის არის

LX. სოფლის აღსასრულისათჳს. დაწერილია სქელ თეთრს ქაღალდზე მხედრულის ხელით. ბოლოში აწერია:

ამას წიგნსა ეწოდების ბერძულად აპოკროფა რ˜ლ არს მოძღუართა ხოლო კითხუაჲ და არა ყ˜ისა საჯმნო ყოფად უცებთა და უმეცართა ა˜დ მეცნიერთა, ვ˜ა ჰსჯულის კანონი; უწყის უფალმან, თუ მიხვდეს კაცი ბრძენი გულისხმიერი დედა არს ყ˜ისა მეცნიერობისა. ესე გარდმოიწერა თანასწორ დედნისა ლექსითი ლექსად; თვესა ივლისსა, **იბ ჩეჯე** წელსა სოფელსა ქუჩუს.

LXI. შემოკლებულნი განსჯანი უსაჩინოესთა საგანთათვის ქრისტეანებრივისა ცხოვრებისათა თარგმნილი ნემეცურით რუსულსა ზედა. გარდმოცემული მეორედ განმართული და შესრულებული სანკ-პეტერბურღსა მედიცინის ტიპოღრაფიასა შინა 1820 წელს. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრულის ხელით.

LXII. თვესა ივნისსა კთ წმიდათა და თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა: დაწერილია სქელ თეთრ ქაღალდზედ მხედრულის ხელით. 12 გვერდია. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXIII. დასაბამითისა გამოცდილებისა ფილოსოფიისა ნათხზი ჳ. სნელლესი. ნემეცთა ენით ჰროსიულ რომელთამე სხოლიოსებით და ზედა დაჰრთვითურთ ჰსთარგმნა საიმპერატოროჲს ყაზანის სასწავლოჲს თანამწემან სიბრძნის მოყვარებისამან ალექსანდრე ზუბკინი ჩყიგ წ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრულის ხელით. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXIV. ქორწილი იმერეთის თავადისა, კომედია ქმნილი აზნაურის ოქროპირ წერეთლისაგან და წარმოდგენილი თავის საკუთარს სოფელში I აპრილს 1845 წელსა. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრულის ხელით.

LXV. სოფლის აქიმი. მოთხრობა დელაჟენიესი. დაწერილია თეთრს ქაღალდზე მხედრულის ხელით. რვეული შეიცავს 46 გვერდს. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXVI. მოკლე შემეცნება მათემატიკისა~თს საზოგადოდ და ნაწილთა მისთა. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრულის ხელით. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXVII. დამატება გამოჩენისათვის აფროდიტისა მზჳსა ზ~ა შესწავებული სანტპეტერბურღის საიმპერატოროსა შ~ა აკადემიასა სწავლათასა, მაისის 26 დღესა, 1761 წ. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე მხედრულის ხელით.

LXVIII. ბარამიანი. თავი აკლია. დაწერილია ლურჯ ქაღალდზე. ბოლოშია: 1816 წელსა, იანვრის. კთ. ოქროაშვილი მღუდელი (დედნის ხელით). დიმიტრი (ჩართულია).

LXIX. წერილი ანტონ კათალიკოზისა. თავი: ანტონი კათალიკოსი პატივოსანსა მღუდელსა უკპირატესსა ალექსის უკ~სა მიერ გახარებ. ბოლოშია: აგვისტოს 6. წელსა: 1796: (კათოლიკოსი).

LXX. ხსენება დავით აღმაშენებელისა. დასაწყისი: თვესა იანვრისა. კვ. კსენება კეთილ მსახურისა მეფისა: დავით მესამისა ყოვლისა საქართველოჲსა: და ზედ წოდებულისა აღმა-

შენებელისა. გ᾽კნ მამაო:—ერთი ფურცელია მხედრულის ხელით დაწერილი უბრალო თეთრ ქაღალდზე. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXXI. თუსსა აგვისტოსა. კთ. საკითხავი თქმული წ᾽სა თეოდორე სტოდელთა წინამძღურისა თავის კუსთისათვს იოანე ნათლის მცემელისა, გკუნენ მამაო: დაწერილია სქელ თეთრ ქაღალდზე. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXXII. სიტყუა დღეს მთავარ ანგელოზთა და სხუათა უსხეულოთ ძალათა. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრულის ხელით, მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXXIII. კარაბადინი მხედრული, მდარე ნაწერი in folio, 34×22 სანტ., ყდაში. თავში აქვს სარჩევი. შეიცავს წამლის რეცეპტებს. თავში აწერია: იოვანეს ძის რაჟდენისა ცხვედაძის არის ეს კარაბადიმი. მეორე ადგილას: წიგნი ესე კარაბადიმი არის მღვდლის რაჟდენ ცხვედაძისა. სულ შეიცავს 109 გვერდს. ბოლოს მოყვანილია ლარაძის ლექსი მიწერილი დედოფალთან (სახელი არ არის). შემდეგ აწერია: წელსა ჩეოვ ოკდომბრის კᲩ. მერმე ვკითხულობთ საყურადღებო შენიშვნას:

„მოსკოვს სობოროს საუნჯეში არის სამსჭვლის ბუდე, ასე აწერია:

მეფე ყოვლისა საქართველოისა დავით ძე რუსუდანისა აღმშენებელი წმიდისა სამსჭვლისა სასვენებელისა ამის.

LXXIV. განმხოლოება, პოემა ბარონისა დე კრონეკისა ოთხთა გალობათა შინა. მხედრული ხელნაწერი ლურჯ ქაღალდზე, ყდაში ფურცლებ არეული, მეცხრამეტე საუკუნისა, 24,5×18, 5 სანტ. 180 გვერდი.

LXXV. ოქროს აღანაქუსი სამუილ რაბინ იუდიანისა რვეულათ, მხედრული ხელნაწერი. ბოლოს: უთუალღებო ესე შესიტყუსბაჲ გარდავსწერე, და უძღუსნ ერისთავს იოანეს: მო-

ნამან ბერმან იოსტოს. ზემოთ არის იამბიკო; კიდურ სიტყვაობაში იკითხება: იოანე. მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერი, 20×16,5 სანტ. 5 რვეული.

LXXVI. ოქროს ანაქუსი მხედრული ხელნაწერი, ბოლოს სხვა და სხვა ლექსები, ყდაში. მდარე ხელი. მეორე გვერდზე სწერია: „ეს წიგნი რუსულისაგან გარდმოღებული ქმნა ქართულსა ენასა ზედა დიმიტრი გიორგისძის ბაგრატოვანისაგან ჩ[illegible]ბ: წელსა“: შეიცავს 111 გვერდს და შემდეგ ლექსებს უჭირავს თითქმის იმდენივე.

LXXVII. კარაბადინი 21,5×15,5 სანტ. ლურჯ ქაღალდზე დაწერილი მხედრულათ, ყდაში, გადაწერილი 1867 წელს აგვისტოს 1 ქ. ახალციხეს ივანე ასათიანის მიერ. რომელიც ყოფილა მაჰმადიანი წინეთ და რქმევია იეხია ეფენდი. 58 გვერდი. წიგნი უძღვნია ავტორს კონია ერისთვისათვის ს.ქვეშს 15 იანვარს 1865 წელსა.

LXXVIII. ქება დიდება შესხმა და გალობა ღვთის მშობლისა, ლურჯ ქაღალდზე მხედრულათ. 11 რვეული, უყდოთ, 22×19 სანტ. მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერი.

LXXIX. ლოღიკა მეორე ნაწილი. ჭეშმარიტებისათჳს საზოგადოდ, რვეული, ლურჯ ქაღალდზე. სათეორიო ლოღიკა. მეცხრამეტე საუკუნის მდარე ხელნაწერი.

LXXX. წინასიტყვაობა ფილოსოფიისა და ნაწილთა მისთა, რვეულათ. მდარე ხელნაწერი მეცხრამეტე საუკუნისა.

LXXXI. ველიზარიონი მარმანტელისა, თარგმანი რუსულით გაიოსის მიერ 1787 წელს, ოკდომბერს 34, კრემენჩუკს, 11 რვეული, 22,5×17 სანტ. მეცხრამეტე საუკუნის ხელთნაწერი.

LXXXII. ზაირა ტრაღედია ხუთთა მოქმედებათა შინა ვოლტერისა, თარგმნილი რუსულით ჩ[illegible]ბ-ს წელსა, in folio მხედრული ხელთნაწერი ყდაში, 35×22 სანტ.

LXXXIII. შემოკლებული კატეხიზმო, მხედრული ხელნაწერი. ბოლო აკლია, 17×11 სანტ. მეცხრამეტე საუკუნის არის.

LXXXIV. ქორონიკონების და ზედნადების ახსნა, პატარა რვეული მხედრული მეცხრამეტე საუკუნისა არის.

LXXXV. ვეფხვის ტყაოსანი, თავი და ბოლო არა აქვს, ერთი რვეული, ლურჯ ქაღალდზე, მეცხრამეტე საუკუნისა არის.

LXXXVI. მოთხრობა იოანე ოქროპირისა მეორესა მოსვლისათვის, ერთი რვეული, მეცხრამეტე საუკუნის ხელით.

LXXXVII. სწავლა ორმეოცსა შინა კვირიაკესა პირველსა დიდ მარხვისასა ერთი რვეული კარგის ხელით დაწერილი. ფერადიანი ზასტავკით. ბოლოს აწერია: „წარმოთქმულ არიან სწავლანი ესე უწმინდესსა სამიტროპოლიტოსა დიდებულსა ქალაქსა ნეაპოლს: ჩფიდ. წელსა.“ 20 ფურცელი.

LXXXVIII. ქართლის ცხოვრება თეიმურაზ ბატონიშვილისა დაშლილი, რვეულებათ, აღწერილი 1862 წელს ქვეშს კონია ერისთავის მიერ ოკდომბრის 24 დღესა ქვეშს სოფელსა (გორის მაზრაში), გადმოწერილია დაბეჭდილისაგან.

LXXXIX. წიგნი შობისა იესო ქრისტესი ერთი რვეული in folio მეცხრამეტე საუკუნის ხელით.

XC. წამება წ~სა ეკ~ატერინასი და მერმე შალვა და ბიძინასი ქსნის ერისთვთა, შემდეგ ანასტასიასი. ერთ რვეულათ, უყდოთ, მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნის.

XCI. ეპიტაფიებრი სიტყვა, მხედრული ხელთნაწერი, ერთი რვეული მეცხრამეტე საუკუნისა.

XCII. ისტორია ვაშფაპის და გოლიათის ფრანციელ ვენეციანისა და მშვენიერის კოროლის ასულისა სენციენასი. რვეულათ მხედრული, მეცხრამეტე საუკუნისა.

XCIII. გალობა სინანულისა დავით აღმაშენებელისა ერთი რვეული მეცხრამეტე საუკუნის ხელთნაწერი.

XCIV. ცხოვრება სილიბისტრო რომთა პაპისა ლურჯ ქაღალდზე კარგის ხელით. რვეულათ შეკრული, მე-XIX საუკუნისა.

XCV. შეყვანილება არისტოტელისა ანტონი კათალიკოსის მიერ თარგმნილი, ერთი რვეული, მხედრული ხელნაწერი მეცხრამეტე საუკუნის არის.

XCVI. სვინაქსარი, 34×25 სანტიმეტრი, დაწერილია მშვენიერს ეტრატზე ნუსხა ხუცურის ხელით ერთ სვეტად. სათაურები ნაწერია კინოვარით. ყდა მაგარი აქვს ხისა ტყავ ზადაკრული, სულ შეიცავს 38 რვეულს, რვეულში რვა კაბადონია, გარდა უკანასკნელი რვეულისა, რომლის მარტო ორი კაბადონი შენახულა. სხვა აკლია. წიგნი საზოგადოდ კარგათ არის დაცული. დასაწყისი კინოვარით:

სჳნაქსარნი: რ᾽ლ არიან კრებანი და წესნი და გ᾽ნგებანი: დაწესებულნი წ᾽თა მღდელთ მოძღუართა მიერ: რ᾽ლსა შ᾽ა წერილ არს ეკლესიისა საწელიწადოჲ გ᾽ნგებაჲ. ფ᾽ნებისათ᾽ს და გ᾽ლობისა და წიგნის კითხვისა...

მეოთხე გვერდის ბოლოს ძველი მხედრულის ხელით აქვს მინაწერი:

ქ. ესე: წიგნი: ამა: წერილსა. ზედან: მე: ხუდადად; თბილელმან: დავტირნე ამა წიგნსა: გარდვეკიდე: და: ფასი: არა: მქონდა: რომე: მეყიდა: და: ასრე: დამრჩა: ტყუეობასა: შიგან: ვინცა ქართველი: კაცი: გარდეკიდოთ: ანუ შეეყაროთ: რათაცა: ეგებოდეს: ესე: წიგნი: დაიკსნათ: ტყუეობიდან...

მეექვსე გვერდის აშიაზე მერმენდელის ხუცურით: ო᾽ ო᾽ ოდვანი შეუდნეს ღ᾽ნ გიორგის ამა წიგნისა დამკსნელსა ტყუეობისგ᾽ნ და მისა მეუღლესა მურღინს და მათა ძეთა აღბუღს შ᾽ნ ღ᾽ნ ამინ და ვინცა შენდობა თქ᾽ს მ᾽სცა შ᾽ნ ღ᾽ნ ამინ.

იბ-რვეულის უკანასკნელ გვერდზე სწერია ასომთავრულით და კინოვარით:

ღ᾽თისათჳს ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთჳს: და ჩემისა ბერისა გიორგისთჳს. რ᾽ლისა ბრძანებითა და მადლითა ვთარგმანე წ᾽ჲ ესე წიგნი: თ᾽ქნცა ღ᾽ნ მ᾽დლი მოგანიჭოს:.

მე-ლგ რვეულის ბოლო, სადაც უნდა წერებულ იყო ანდერძი მთარგმნელისა, წაჭრილია და ახალი ფურცელი აქვს მიწებებული. ანდერძიდან დარჩენილა მხოლოთ ბოლო:

..რ᾽ ფ᾽დ საკრძალავი წიგნი არს და ს᾽ლთა სარგებელი და ეკლესიისა წინამძღუარი უცთომელი, და ს᾽ქმეთა სულიერთა და შუენიერთა მომთხრობელი და გ᾽ლთა ჩ᾽ნთა ლმობიერ მყოფელი და ღუაწლისა წ᾽თასა მაუწყებელი. რ᾽ლი დღესამომდჱ სასმენლსა ჩ᾽ნსა არა სმენილ იყო. და არცა თუ ბერძენთა უფროჲსთასა რ᾽ სოფია წ᾽დას არს. და საპატრიაქოთა ეკლესიათა. და მთა წმიდას ესე ვითარი სჳნაქსარი:.:.

შემდეგ დაიწყება განგებაჲ წმინდათა მარხვათაჲ. ხელთნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეს.

ამით ვათავებთ კიაზო ერისთვის და მისი მეუღლის ხელთნაწერების შესახებ ცნობებს.

ე. თაყაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის მიმოხილვა

1 ავღანისტანი.—2. ინგლისის ლიბერალები.—3. ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი რუზველტი და პატრიოტისმი.—4. დელკასე და პელტანი.—5. გერმანელი კათოლიკე და პოლონელი.

ავღანისტანზე არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი მკითხველთან, მაგრამ ახალ პოლიტიკურ გარემოებათა გამო ეხლაც უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა.

მკითხველს ეცოდინება, რომ ავღანისტანი ის კოზაკია, რომელსაც ისეთ მძლავრ აქლემების წაჩხუბების დროს, როგორიც რუსეთი და ინგლისია, გაჭყლეტა მოელის, თუ დიდის სიფრთხილითა და წინ დახედულობით არ მოიქცა. აბდურრაჰმან-ხანი სწორედ ასეთი ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკოსი იყო; იგი კარგად ჰხედავდა თავის ქვეყნის კოზაკურ მდგომარეობას და ამიტომ ისე იქცეოდა, როგორც კოზაკის ინტერესი მოითხოვდა: ფეხ-ქვეშ არც ერთ აქლემს არ უვარდებოდა და ორივეს უნდოთ თვალით უცქეროდა; მხოლოდ რა კი დაინახა, რომ ინგლისის ინტერესი იმდენად ავღანისტანის გაჭყლეტას არ მოითხოვდა, რამდენად რუსეთის იმპერიის გზის გადალობვას, მეტი ნდობა ცბიერად წოდებულ ალბიონისა ჰქონდა. რუსეთიც იძულებული გახდა თანახმა გამხდარიყო, რომ ავღანისტანი მის „გავლენის სფერას“ არ ეკუთვნოდა. ინგლისმა იმდენი მოახერხა, რომ ავღანისტანის გარეშე პოლიტიკა, უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულება, ინგლისის დიპლომატიის ზედამჭედველობის ქვეშ იმყოფება.

აბდურ-რაჰმანი მოკვდა; ტახტზე ავიდა მისი შვილი ხაბიბულა. ავღანისტანის მდგომარეობა არ შეცვლილა და, როგორც სჩანს, არც ხანის პოლიტიკა უნდა იყოს გამოცვლილი. რუსეთის დიპლომატია კი იმის ცდაშია, რომ არსებული მდგომარეობა და პირობები შეიცვალოს.

როცა ინგლისი ყელამდე ჩაფლული იყო სამხრეთ-აფრიკის მძიმე საქმეში და თითქმის მოძრაობა არა ჰქონდა, განზრახვა იყო ესარგებლნათ მტრის ასეთ მდგომარეობით და ავღანისტანის საქმე იარაღით გადაეწყვიტათ, მაგრამ იარაღის ხელში აღებას დიდი მატერიალური შეძლება სჭირდება და ამიტომ ასეთ განზრახვას თავი მიანებეს...

საქმეს ეხლა სხვა ხერხით შეუდგნენ. როგორც ნათქვამი იყო, ავღანისტანის საერთაშორისო დამოკიდებულება დიდი ბრიტანიის დიპლომატიის ზედამხედველობის ქვეშ არის. რუსეთმა კი ეხლახან სცადა პირდა-პირ ავღანისტანთან დაეჭირა საქმე.

აი რას ვკითხულობთ ფრანგულ გაზეთ „ტან“ ში, რომელიც საზოგადოთ დიდი მომხრეა რუსეთის იმპერიისა და მის პოლიტიკისა: „ეხლახან ავღანისტანის ახალმა ემირმა შეჰკრიბა თავის სამეფოს წარჩინებული პირები და შეატყობინა მათ, რომ ჩრდილოეთის მეზობელს (რუსეთის იმპერიას) სურს პირდაპირი მოლაპარაკება გაჰმართოს ხანთან ორივ მეზობელ ქვეყნის საზღვრების შესწორების გამო; რუსეთი აცხადებდა, რომ თანახმაა ავღანისტანისათვის ხელ-საყრელ პირობებზე და რომ მას გულწრფელად სურს საიმედო შეთანხმება ჩამოვარდეს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის. ამ წინადადების მოსმენისათანავე წამომდგარა ერთი ავღანელი წარჩინებული და მოუთხოვია, რომ წინადადების მომტანს როზგი დაჰკრან ფეხის გულებზე, რათა მეორედ არავინ გჰბედოს ასეთი საფრთხილო მოციქულობაო... რუსეთის წინადადება არ მიიღეს ქაბულში, ზრდილობიანი უარი შემოუთვალეს—ინგლისს მოელაპარაკეთ ამ საქმის თაობაზეო; ინგლისი კი სრულებით არ არის მსურველი, რომ რუსეთმა პირდაპირ ავღანისტანთან დაიკავოს საქმე, რადგან

ვინ იცის როგორ გათავდება ასეთი პირდაპირი მოლაპარაკება... რუსეთმა სხვა გვარადაც სცადა პირდაპირ ავღანისტანთან დაეჭირა საქმე: ავღანისტანის და თურქესტანის მმართველმა შეატყობინა ემირს, რომ რუსეთის თურქესტანის გუბერნატორმა სურვილი გამოაცხადა, რათა სავაჭრო დამოკიდებულება დამყარებულიყო თურქესტანის ორივე ნაწილ შორის; რუსეთის წარმომადგენელს დაესახალებინა რამდენიმე ქალაქი, სადაც უნდა ჰქონოდა ადგილი სავაჭრო საწყობების და ბაზრობის გამართვას. ემირმა არც ეს წინადადება მიიღო...“

აბდურ-რაჰმანზე უფრო უნდოთ ახალი ემირი უყურებს რუსეთის იმპერიის პოლიტიკას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბუხარის ემირმა ვერ მოახერხა მექაში სალოცავად წასვლა. აი რას ვკითხულობთ იმავე „ტან“-ში ამ ამბის შესახებ: „ბუხარის ემირმა მოინდომა მექაში წასვლა სულის საცხონებლად ან შეიძლება იმიტომაც, რომ სურდა მოშორებოდა თავის მფარველებს და მაჰმადიან სახელმწიფოში დამკვიდრებულიყო. მაგრამ პეტერბურგიდან წასვლის ნებართვა არ მოუვიდა — ჯერ ჰეჯასის რკინის *) გზა მზად არ არის და როცა გაათავებენ, მაშინ წადიო“.

ერთის სიტყვით, ეხლანდელი ემირი მეტად ფრთხილად იქცევა, რადგან არ სურს მახეში გაებას. ჯერ ნიშანი არ არის, რომ ავღანისტანის მდგომარეობა რუსეთის სასარგებლოდ შეიცვალოს, თუმცა ზოგიერთ რუსულ გაზეთებს ეს ადვილ საქმედ მიაჩნიათ. „ნოვოე ვრემია“-ს ანდერსენის ზღაპარი მოჰყავს: „ყველა ჰხედავდა, რომ მეფე შიშველი იყო, მაგრამ ვერავინ ჰბედავდა ამის გამოთქმას, სანამ ერთმა პატარა ბიჭმა არ დაიძახა, რომ მეფე შიშველი არისო. სასიამოვნო იქნებოდა, რომ ახლო მომავალში ავღანისტანისათვის გამოვიგონებდეთ ასეთ პატარა ბიჭს“ო.

რუსული გაზეთი უნდა სცდებოდეს — ავღანისტანი შიშველი არ არის: იგი სქლად შემოსილია ავღანელების ვაჟკაცობითა და ინგლისის მფარველობით.

---

*) ოსმალეთის მთავრობას გაჰყავს და როდის გაიყვანს, არ იციან.

ინგლისის ერთ დროს ძლიერი ლიბერალური პარტია ეხლა დასუსტებული და ავადმყოფია. როცა ჩემბერლენი და უნიონისტები ჩამოშორდნენ გლადსტონს ირლანდიის ჰომრულის პროექტის გამო, ბევრი იმას ჰფიქრობდა, რომ ლიბერალური პარტია მხოლოდ რაოდენობით შემცირდა: ვინც დარჩა, წმინდა ლიბერალები არიან და მომავალში ერთ სულ და ერთ ხორც იმოქმედებენ კონსერვატორების წინააღმდეგ ინგლისის საბედნიეროდო. მაგრამ მალე ახალმა განხეთქილებამ იჩინა თავი: როზბერი და მისი ამხანაგები, რომელნიც ჯერ კიდევ ლიბერალებად ითვლებიან, ძველ ლიბერალურ ჰანგზე ალარ მღერიან. ძირს ირლანდიელების ჰომრული, გაუმარჯოს ჩემბერლენის იმპერიალისმსო. ჰომრული უარ ყვეს, ჩემბერლენის ძალ-მომრეობით პოლიტიკას სამხრეთ-აფრიკაში ტაშს უკრავდნენ, სამინისტროს საფინანსო პოლიტიკას, რომელმაც მძიმე ტვირთი დაადო ხარჯის გამღებ ინგლისელს, მხარი მისცეს და კიდევ ლიბერალებად სთვლიან თავს! ძველ ლიბერალებიდან, რომელნიც მუდამ „მშვიდობიანობას, რეფორმას, ეკონომიას“ გაიძახოდნენ, კემპბელ ბანერმანი და მისი მომხრეები დარჩნენ.

ლიბერალური პარტია მართლა ავადმყოფია და ამის მიზეზი უნიონისტების და იმპერიალისტების ჩამოშორება არ არის.

როცა მხცოვანი გლადსტონი პოლიტიკურ მოღვაწეობას თავს ანებებდა, ანდერძად დაუტოვა ლიბერალებს, რომ არა თუ არ ეღალატნათ ძველ ლიბერალურ პრინციპებისათვის, არამედ უფრო რადიკალურ პოლიტიკას დასდგომოდნენ. გლადსტონის უკანასკნელი სიტყვა უფრო რადიკალის სიტყვა იყო, ვიდრე ლიბერალისა; ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ, რომ მხცოვანი პოლიტიკური მოღვაწე ლორდების პალატის მოსპობაზედ ლაპარაკობდა. გლადსტონი წინად-გრძნობდა ლიბერალურ პარტიის დასუსტებას, თუ ეს პარტია ერთ წერტილზე შეჩერდებოდა და არ ეცდებოდა ცხოვრების მიმდინარეობის შესაფერად შეეცვალა თავისი პროგრამა: პარტია, რომელიც წინ არ მიდის და სცდილობს ერთ წერტილზე შეჩერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, იმ თავითვე მკვდარია. სწორედ ეს მოუვიდა ინგლისის ლიბერალებს: საარჩევნო რეფორმის მოხდენისა და ძველ პრივილეგიების მოსპობის შემდეგ ლიბერალების პროგრამა საყურადღებოსა და მნიშვნელოვანს, გარდა ირლანდიის ჰომრულისა, არაფერს შეიცავდა. საჭირო შეიქნა ახალი პროგრამა, უფრო დემოკრატიული, შესაფერი ეხლანდელ ცხოვრების მოთხოვნილებათა. ლიბერალებმა ეს ვერ შესძლეს და ამიტომ ძალა და გავლენაც დაჰკარგეს.

თვით კემპბელ-ბანერმანი, რომელიც ასეთ თანაგრძნობას იწვევს ეხლა, ნამდვილი ლიბერალია, რომელსაც არა აქვს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაფერი შემუშავებული პროგრამა. მისი ეხლანდელი სახელი და, შედარებით როზბერისთან, მეტი ძალა აიხსნება განსაკუთრებულ პირობებით — სამხრეთ-აფრიკის უსამართლო ომიანობით. ბანერმანი გაბედულად შეებრძოლა ჩემბერლენის ძალ-მომრეობით პოლიტიკას, დაჰგმო იმპერიალისმი, რომელიც სხვათა უფლებას არაფრად აგდებს. ასეთ კითხვებში ძველი ლიბერალისმი, რომლის ტიპიური წარმომადგენელიც ბანერმანია, ყოველთვის კეთილშობილ და პატიოსან გზას ადგა.

მომავალი ბანერმანების აღარ არის; იგი ლოიდ ჯორჯს ეკუთვნის, იმ ლოიდ ჯორჯს, რომელიც ასე მხნედ, გაბედულად და დიდის ნიჭით ებრძვის არა მარტო ჩემბერლენის იმპერიალისტურ პოლიტიკას, არამედ მთელ მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც გარედაც და სახლშიაც თავის ჯიბის ინტერესს ემსახურება და ამ ინტერესს ანაცვლებს ყველაფერს.

ძველი ლიბერალები სცენიდან ჩამოდიან, მათ ადგილს ახლები იჭერენ და ეს ცვლილება პირების გამოცვლა როდია, იგი მთელ მიმართულების გამოცვლაა. ლოიდ ჯორჯი ნამდვილი დემოკრატია.

გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ მეორისა არ იყოს, ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ რუზველტის პიროვნებაც საზოგადოების დიდ ყურადღებას იქცევს. რუზველტი

მართლა ძლიერი და შესანიშნავი პიროვნებაა; მას დიდი გავლენა აქვს და ექნება ძლიერ ამერიკის რესპუბლიკის პოლიტიკაზე. ამიტომაც არის, რომ ევროპის პრესა სცდილობს გააცნოს რუზველტის შეხედულება და აზრები მკითხველ საზოგადოებას. ეს შეხედულება და აზრები არ არის ინტერესს მოკლებული ქართველ მკითხველისთვისაც, განსაკუთრებით, როცა ისინი ისეთ საგანს ეხებიან, როგორც პატრიოტისმი და მამულის სიყვარულია.

„ადამიანებ შორის ძმობის დამყარება და მსოფლიოს საერთო მშვიდობიანობა ის უაღრესი მიზანია, რომელსაც კაცობრიობა თანდათან უახლოვდება. მამულის, სამშობლოს სიყვარული სრულებით ხელს არ უშლის ამ მიზნის განხორციელების მოახლოებას. თავის ქვეყნის სიყვარული ყველა სხვა ქვეყნებზე უფრო სრულებით არ არის წინააღმდეგი სხვა ხალხების პატივისცემისა და მათთვის სიკეთის სურვილისა. სამართლიანობის დიდი კანონი უნდა მეფობდეს საერთაშორისო დამოკიდებულებაში ისევე როგორც კერძო ადამიანების დამოკიდებულებაში. არიან პირები, რომელნიც პატრიოტისმს ვიწრო ეგოისტურ გრძნობად სთვლიან და სცდილობენ მის მაგიერ კოსმოპოლიტისმი შემოიღონ. მაგრამ არასოდეს არც ერთი ასეთი კოსმოპოლიტი ძლიერი, მნიშვნელოვანი პიროვნება არ ყოფილა. ზოგ რეფორმატორს შეუძლია იფიქროს, რომ ოდესღაც პატრიოტისმი, ისე როგორც ერთცოლობა (მონოგამია), უსარგებლო და უმნიშვნელო სათნოება გახდეს; მაგრამ ეხლანდელ პირობებში კი ის კაცი, რომელსაც სხვა ქვეყნები თავის სამშობლოსავით უყვარს, ისევე მავნებელი წევრია საზოგადოებისა, როგორც ის, ვისაც სხვისი ცოლები თავის ცოლსავით უყვარს.

თავის ქვეყნის სიყვარული, როგორც პატიოსნება ან ვაჟკაცობა, ელემენტალური სათნოებაა.

არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია შეჰქმნას რამ დიადი, თუ თვითონ არ ამაღლებულა. საზოგადოების სასარგებლო წევრი ის არის, ვინც ყველაზედ უწინ თავის უფლებას და მოვალეო-

ბას აქცევს ყურადღებას და ვინც ამიტომ უფრო მომზადებულია უფლების მოსახმარებლად და მოვალეობის შესასრულებლად. კაცობრიობისათვის ის ერი უფრო სასარგებლოა, რომელიც უფრო გამსჭვალულია ეროვნულ იდეით, რომელიც უფრო ახორციელებს თავის უფლებას, როგორც ერი, და ასრულებს მოვალეობას თავის საკუთარ წევრების წინაშე.

და ასეთი გარემოება სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ დიდის მოწიწებით მოვეპყრათ სხვა ერების უფლებას ან ხელი გავუწოდოთ დაჩაგრულ ხალხებს. პატრიოტისმი საერთაშორისო დამოკიდებულებაში ეგოისმია, მაგრამ ეგოისმი აუცილებელი არსებობისათვის: რომ ასეთი ეგოისმი არა, არც ერთი ცოცხალი არსება არ იქნებოდა ქვეყანაზე; იგი თავის შენახვის ინსტიქტია, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას თან დაყოლილი აქვს.

ეროვნულ ფარგალში კი პატრიოტისმი სიყვარულია; თუ გიყვარს ვინმე ან რამე, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვას გირჩევნია. ყველას სიყვარული არავის სიყვარულს ნიშნავს.

გარდა ამისა, როგორ არის შესაძლებელი კაცობრიობის წინსვლა, პროგრესი? მხოლოდ ერთის გზით და ეს გზა ეროვნული გზაა; კაცობრიობის განვითარება, დაწინაურება პირდაპირ დამოკიდებულია იმ დიდ პიროვნების განვითარებისა და დაწინაურებისაგან, რომელსაც ერი ჰქვია. „თუ ყოველი მოქალაქე თავის სახლის წინ დაჰგვა ქუჩას, მთელი ქალაქი სუფთა იქნება“.

ომი და სისხლის ღვრა?

ლონგფელოს უთქვამს: „ყველგან და ყოველთვის გაბედული იყავით! ნუ გადააჭარბებთ კი! მაგრამ ისევ გადაჭარბება სჯობს გაბედულებაში, ვიდრე დაკლება; სჯობს მეტი იყოს, ვიდრე ნაკლები“. ლონგფელოს ღრმად უყვარდა მშვიდობიანობა, მაგრამ იგი ადამიანი იყო და გონიერი ადამიანიც; მან კარგად იცოდა, რომ სიმხდალე და ლაჩრობა არ არის მშვიდობიანობის საბუთი. ომი დიდი უბედურებაა, მაგრამ ისევ ომი

სჯობს უსამართლობის უღელ ქვეშ სამარცხვინო და დამამცირებელ სიცოცხლეს.

გაუმარჯოს მშვიდობიანობას, როგორც არ უნდა დაგვიჯდეს იგი, გაიძახიან ზოგიერთები და ის კი არ იციან, რომ ასეთი ქადაგება შეარიგებს ადამიანს უსამართლობას და მტარვალობას: ომი, ბრძოლა ისეთი უბედურებაა, რომ ისევ ყველაფრის ატანა სჯობსო

მშვიდობიანობა დიდი და უდიდესი სიკეთეა, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ სიავეს ომი არ უნდა გამოუცხადო, დიდი შეცდომა და დანაშაულია. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მშვიდობიანობა მაშინ არის კარგი, როცა იგი სამართლიანია, რადგან უსამართლო და ლაჩრული მშვიდობიანობა უარესია ომიანობაზე. გარდა ამისა, ხანდახან მშვიდობიანობაც შეუძლებელია უომრად.

ომი დიდი უბედურებაა, მაგრამ ყველაფერზე უარესი არ არის.

ერი ხელს ჰკიდებს იარაღს თავის ღირსების და თავისუფლების აღსადგენად და ნუ თუ ეს ყველაფერზე უარესია? მეორე მხრივ, ნუ თუ სიმხდალე, სულ-მოკლეობა და ლაჩრობა არის მშვიდობიანობის გარანტია? ლაჩრობას შეურაცხყოფა მოსდევს და საუკეთესო საშუალება ხალხის წინააღმდეგ ომის გამოწვევისა ის იქნება, თუ ეს ხალხი იარაღს აიყრის და ქვეყანას მშიშარად უჩვენებს თავს.

არის შემთხვევები, როცა ომი სხვაზე ნაკლები უბედურებაა და ყოველ შემთხვევაში ლაჩრობა არ არის მშვიდობიანობის გარანტია.

საუკეთესო მაგალითი თვით ამერიკის შინაური ომიანობაა, რომელსაც მოჰყვა შტატების ფედერაციის განმტკიცება და რამდენიმე მილიონ ზანგის განთავისუფლება აუტანელ მონობისაგან. ამერიკის რესპუბლიკის ჩრდილოეთ შტატების მიზანი იყო სამარცხვინო მონობის მოსპობა სამხრეთ შტატებში და ამ სამხრეთ შტატების ფედერაციაში დატოვება. მაშინაც იყვნენ ჩრდილოეთ შტატებში მშვიდობიანობის უკიდურესი მომხრენი:

„დარჩეს სამხრეთ შტატებში მონობა; მოგვშორდნენ ეს შტატები, თუ ჩვენთან ყოფნა არ უნდათ, ოღონდ ომი და სისხლის ღვრა ნუ იქნებაო.“ რომ მშვიდობიანობის ამ უკიდურეს მოტრფიალეთ თვისი გაეტანათ და ომი არ მომხდარიყო, რამდენიმე მილიონი ადამიანი მონობაში დარჩებოდა და ჩრდილოეთი ამერიკა ისეთსავე მდგომარეობაში იქნებოდა, როგორც ეხლა სამხრეთ აფრიკაა. ლინკოლნმა და გრანტმა თავიანთ გაბედულებით და ენერგიულ პოლიტიკით შეურყეველი მშვიდობიანობა გაამეფეს ჩრდილოეთ ამერიკაში. რომ ეს ომი არა, ჩრდილოეთი ამერიკაც გახდებოდა ასპარეზი გაუთავებელ რევოლიუციებისა და სისხლის ღვრისა. ოთხი წლის ომიანობამ თავიდან ააშორა ამერიკას ერთი საუკუნის ანარხია და სისხლის ღვრა. ნუ თუ ასეთ ომს მშვიდობიანობა სჯობდა? ნუ თუ უფრო კარგი და სახეირო იქნებოდა, რომ ლინკოლნი და გრანტი ომს მორიდებოდნენ და სისხლის ღვრის შეშინებოდათ?“

—

საფრანგეთის ეხლანდელ სამინისტროს მდგომარეობა თითქოს შეირყა, მიუხედავათ იმისა, რომ აქამდე პალატა ყოველ საქმეს ისე სწყვეტდა, როგორც ეს მთავრობის სურვილი იყო. გავლენიანი გაზეთები ისეთ ხმებს ავრცელებენ, რომ ევროპის საზოგადოებრივი აზრი კომბის სამინისტროს გადაყენებას მოკლე ხანში მოელის. რამდენად გამართლდება ეს მოლოდინი, ახლო მომავალი გვიჩვენებს. ეხლა კი აღვნიშნოთ ზოგიერთი გარემოებანი, რომელნიც ახასიათებენ საფრანგეთის ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას.

საფრანგეთის პრესის ერთმა ნაწილმა, რომელიც ეხლანდელ სამინისტროს მომხრედ ვერ ჩაითვლება, დიდი ლაშქრობა დაიწყო განსაკუთრებით ორ მინისტრის წინააღმდეგ; ეს ორი მინისტრია—დელკასე და პელტანი. დელკასე მიმართულებით ზომიერი რესპუბლიკელია, მიუხედავთ ამისა ეს პრესა მის გადაყენებას სცდილობს. რა უნდა იყოს ასეთი მოვლენის მიზეზი?

თითქმის ხუთი წელიწადია დელკასე უძღვება საფრანგეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეებს და, თავისდა სასახელოდ, კარგადაც უძღვება: პოლიტიკურ ავანტიურებს ძალიან უფრთხის (ფაშოდის საქმე მისა დაწყებული არ იყო), სადაც საჭიროა, ენერგიულ ღონისძიებას ხმარობს (ოსმალეთთან შეტაკება) საფრანგეთის პრესტიჟისა და სახელის აღსადგენად და რუსეთთან კავშირში საფრანგეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და ღირსებას იცავს. როცა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრად ჰანოტო იყო, გარეშე საქმეთა სამინისტრო უფრო პეტერბურგის სამინისტროს ფილიალური განყოფილება იყო, ვიდრე ძლიერ სახელმწიფოს გარეშე პოლიტიკის ხელმძღვანელი. ჰანოტოს ასეთ პოლიტიკას ის მოჰყვა შედეგად, რომ ოსმალეთში და მცირე აზიაში, სადაც ორ მოკავშირეთა ინტერესები შეუთანხმებელი არიან, საფრანგეთის გავლენა დაეცა და საჭირო შეიქმნა დელკასეს ენერგიული ღონისძიება ამ გავლენის აღსადგენად. რუსეთის ჟურნალ-გაზეთების ერთი ნაწილი ტყუილად როდი ბრაზობს დელკასეზე: ჰანოტოს მორჩილ პოლიტიკის შემდეგ დელკასეს უფრო გაბედული და დამოუკიდებელი პოლიტიკა მოკავშირეს ძალიან ეუცხოვა. დელკასეს პასიკში, სხვათა შორის, იმასაც უწერდნენ, რომ ბაღდადის რკინის გზის საქმეში მონაწილეობა მიაღებინა ფრანგ-კაპიტალისტებს; მაგრამ ეხლა ყველა ჰხედავს, რომ მინისტრი მეტად წინდახედულად და საფრანგეთის ინტერესების სასარგებლოდ მოიქცა. „ნოვოე ვრემია“ პირიდან ცეცხლსა ჰყრის, როცა დელკასეს ამ პოლიტიკაზე ლაპარაკობს — გვიღალატა და არც საფრანგეთს არგო რამეო, მაგრამ თვით ეს პირიდან ცეცხლის ყრა არის საბუთი იმისა, რომ რესპუბლიკის მინისტრი მეტად გონიერად მოქცეულა.

ერთის სიტყვით, ნამდვილი მიზეზი დელკასეს წინააღმდეგ გამართულ ინტრიგებისა მისი ეს დამოუკიდებელი პოლიტიკაა. დანარჩენი ფაქტები მინისტრის გარეშე პოლიტიკისა, მხოლოდ აქცესუარებია, რომ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოება და არ აფიქრებინონ მას, რომ რამე ანგაარება ან ინტრიგა ალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაკებს მათ. ინტრიგანების მოქმედება მოკავშირის ძლიერ გავლენის საქმეა და სხვა არაფერი.

პელტანი რადიკალ-სოციალისტია, რომელიც მინისტრობის დროსაც დარჩა „რევოლიუციონერად", როგორც თვითონ სთქვა. ამიტომ გასაკვირველი არა არის-რა, როცა ზომიერი გაზეთები ასე უზომოდ ლანძღვენ და ჰკიცხავენ საზღვაო საქმეთა მინისტრს. მილიერანის გამინისტრებიდან დაწყებული ეს ზომიერი პრესსა სულ იმის ცდაშია განხეთქილება ჩამოადოს მთავრობის მომხრეებსა და უკიდურეს მემარცხენეთა შორის. ეხლაც ამასვე სცდილობენ ზომიერები. გაზეთ „ტან"-ის ერთ ნომერს ვერ ნახავთ, რომ რედაქცია არ ამტკიცებდეს— მთავრობა სოციალისტების ხელშია, რომ სამინისტროს მომხრე უმრავლესობა ჟოარესისა და პელტანის ყურ-მოჭრილი მონაა, რომ დროა რესპუბლიკელები განთავისუფლდნენ ასეთ მონობისაგან, რომელიც დიდ განსაცდელს უმზადებს საფრანგეთსაო და სხვა.

მიზანი ზომიერებისა ცხადია: უკიდურეს მემარცხენეებს სამინისტრო მოაშორებს და მაშინ კი მთავრობა შეუძლებელი იქნება, თუ ზომიერები არ მიიღებენ შიგ დიდ მონაწილეობას. ის მოვლენა, რომ ბევრი რესპუბლიკელი ეხლა მთავრობის კლერიკალისმთან ბრძოლის დროს, კომბის სამინისტროს წინააღმდეგია და მხარს აძლევს კლერიკალებს, მართლა „თავისუფლებისა" და კლირიკალების სიყვარულით როდი ხდება; არა, ისინი კარგად ჰხედავენ, რომ მათს აქამდე უცილობელ ბატონობას საფრანგეთის რესპუბლიკაში ნიადაგი ეცლება.

მილიერანის და პელტანის გამინისტრება ის მერცხალია საფრანგეთის ძველ ოპორტიუნისტებისათვის, რომელიც მათ პოლიტიკურ ასპარეზიდან ჩამოსვლას უქადის. ამიტომ გასაკვირველი არ უნდა იყოს არავისთვის ზომიერების ასე უზომო გაბრაზება. მაგრამ პელტანის წინააღმდეგ ატეხილ ინტრიგებში საერთაშორისო დამოკიდებულებასაც უდევს წილი („ნოვოე ვრემია" შეურიგებელი მტერია პელტანისა): პელტანი, ისე

როგორც კლემანსო, ინგლისთან დაახლოვების მსურველი არის და ორთა კავშირი მაინცა და მაინც არაფრად ეპიტნავება.

როგორც ვიცით, პოზნანსა და სილეზიაში პოლონელი და გერმანელი კათოლიკები აქამდე ერთად, თანხმობით, მოქმედებდნენ პრუსიის მთავრობის ძალ-მომრეობით პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს კავშირი პოლონელისა და კათოლიკე გერმანელისა შედეგი იყო იმ გარემოებისა, რომ პოლონელიც კათოლიკეა და გერმანული კათოლიკე პარტია მფარველობას უწევდა პოლონელებს, როგორც კათოლიკებს. მაგრამ ეს მფარველობა სარწმუნოების ფარგალს არ გადასცილებია. პოლონელ ერის ეროვნული მისწრაფება ამ ფარგალს გარედ რჩება. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მოკლე ხანში პოლონელებსა და ცენტრს (კათოლიკური პარტია გერმანიაში) შუა განხეთქილება მოხდებოდა. იყო კიდეც რამდენიმე ნიშანი: „ჩვენ, გერმანელ კათოლიკებს, გვაერთებს პოლონელებთან ეკლესია, მაგრამ პოლიტიკაში კი აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია ჩვენი ინტერესების განცალკევებაო," სთქვა ცენტრის ერთმა წარმომადგენელმა. მაგრამ საუკეთესო საბუთი იმისა, რომ ცენტრი და პოლონელები ერთად ვერ იმოქმედებენ, ის არის, რომ ცენტრი დღეს არა ხვალ მთავრობის პარტია გახდება, (თუ უკვე არ არის) და პოლონელებს ისევ დაუწყებს დევნას ეროვნულ საქმეში, როგორც ეხლანდელი მთავრობა. პოლონელების ძველი პარტია, ეგრედ წოდებული „უგოდოვანცები" ამას ვერ არიან მიმხვდარი და აქამდე მაგრად ჩასჭიდებიან გერმანელ კათოლიკებს. სილეზიაში და ხშირად პოზნანშიაც პოლონელები თავიანთ წარმომადგენელად გერმანელ კათოლიკებს ირჩევენ: ეროვნული ინტერესი პოლონელისა გერმანელმა კათოლიკემ უნდა დაიცვას! ასეთი ბრძა პოლიტიკა, რასაკვირველია, დიდათ მავნებელია პოლონელებისათვის და იგი ნიადაგს თან-დათან ჰკარგავს. რადიკალური ეროვნული პარტია პოლონელებისა იმ აზრისაა, რომ ცენტრთან კავშირი მავნებელია, რომ საჭიროა დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკა და ამ პო-

ლიტიკის შესაფერი დამოუკიდებელი მოქმედება: გერმანელი არაფერს მოგვცემს, ჩვენ თვითონ ჩვენის ბრძოლითა და შრომით უნდა ვიშოვოთ, რაც გვჭირდებაო, გაიძახიან რადიკალები.

ძველი „პატრიოტები“ შეძრწუნებული არიან: ახალგაზდებმა პოლიტიკა არ იციან, უნდათ გერმანელებს წაგვკიდონ და საქმე სრულებით დაღუპონო. მაგრამ, როგორც ვიცით, არც ძველების „ღრმა პოლიტიკოსობამ“ უშველა პოლონელებს, მათი დევნა და შევიწროება თან-და-თან უფრო ძლიერდება.

რედაქტორი
ალ. ჭეიანაა

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე არსდებოდა მცირე აზიაში, ქიოსში, სადაც გლავკოსმა გამოიგონა ლითონების დაკავშირება, სამოსში, სადაც ჰერას დიდი ტაძარი ააგეს, ეფესში და სხვაგან. ცოტა უფრო გვიან განთავისუფლდა თვითონ საბერძნეთი. არხიტექტურის (ხუროთმოძღვრების) სხვა და სხვა სტილი გამოირკვა; სკულპტურა (ქანდაკება) სინამდვილის შესწავლას შეუდგა. როგორც პოლიტიკაში, ისე ხელოვნებაშიაც იჩინა თავი დორიელებისა და იონიელების ზენაარნიჭის (génie) სხვა და სხვაობამ და წინააღმდეგობამ.

4. ბერძნულ არხიტექტურის სათავე. დასაწყისში ბერძნული არხიტექტურა წმინდა რელიგიური იყო: ღმერთებს პატივისცემა უნდოდა და თუ ვისმე დაავიწყდებოდა ეს მოვალეობა, თვითონ ღმერთები გაახსენებდნენ. ღმერთები თვითონ უჩვენებდნენ ხოლმე იმ ადგილს, სადაც უნდა ყოფილიყო დამდგარი მათი საკურთხეველი. ამიტომაც არის, რომ ტაძრები ხშირად მოშორებულ ადგილებშია ხოლმე აგებული. პირველად ტაძრებს აკეთებედნენ ხისაგან, რომელსაც გარს ერტყა ლითონის ფურცელი, ან ქვისა და ხისაგან; ასეთია დელოსში აპოლონის საკურთხეველი, რომელსაც გამოქვაბულის სახე აქვს. ბოლოს ტაძრებს სულ ქვისას აკეთებდნენ.

5. ბერძნულ ტაძრის საბოლოო ფორმა. სამი სტილი *). ნამდვილი ბერძნული ტაძარი არის შეერთება სვეტების განსაზღვრულ რაოდენობისა და ძველ ტაძრის წყობილებისა. ბერძნულ ტაძრის ტიპი ან სტილი სამია; ესენი განირჩევიან ერთმანერთისაგან სვეტის ფორმით. ამ სამის სტილის სახელებია დორიული, იონიური და კორინთული. საიდგან წარმოსდგა ეს სტილები, არ ვიცით, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ მათი სამშობლო აღმოსავლეთია.

6. დორიული სტილი. უძველესი — დორიული სტილია (მეშვიდე საუკუნის დასასრულს); იგი ისევე სასტიკი და ძლიერია, როგორც მისი შემქნელი თემი დორიელებისა; ბერძნები

---

*) stylos ან style ბერძნულად სვეტს ნიშნავს (ლათინური columna)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სტილს „ვაჟკაცურს“ უწოდებდნენ, რადგან აქ შვენებას, გრაციას ადგილი არ ჰქონდა. დორიულ სვეტს შემდეგი ნა-



დორიული სვეტი.

წილები ჰქონდა: დალარული სვეტი, რომელიც პირდაპირ ტაძრის იატაკზე იდგა; კაპიტელი ანუ ბალიში, სვეტის ზემო ნაწილი, სიმრგვლე, რომელსაც ზემო ნაწილი უგანიერდება და რომელზედაც ოთხ კუთხიანი თლილი ქვა (abax) იდო; კარნიზი: ქვის დირე (არხიტრავი, ბერძნული ეპისტილიონი), ორი სვეტის შემაერთებელი; დირეზე ბუღაური (frise) ზედ ამო-

ჭრილ ბა-რელიეფებით; თვითონ კარნიზი (ლავგარდანი), რომელიც გადმოცილებულია ბულაურებს და ამათ ჰფარავს; ბოლოს სამ კუთხი ფრონტონი, რომელიც ამთავრებს შენობას.

7. **იონიური სტილი.** შედარებით დორიულ სტილთან იონიური უფრო ახალია—იგი შემუშავდა საბოლოოდ მეექვსე საუკუნის ნახევარში. იონიურ სვეტს საკუთარი საფუძველი აქვს; მისი კაპიტელი მოლუნულ შვილდისებურ ფიგურით თავდება; არხიტრავი და ბულაური უფრო დამშვენებული და შემკულია. იონიურ სტილს მეტი გრაცია და მოხდენილობა აქვს და ამიტომ



იონიური სვეტი.

მას „ქალურ სტილს“ ეძახოდნენ; იგი წარმოადგენს განუსაზღვრელ სხვა-და-სხვაობას ჩუქურთმისა და შემკულობისას; მაშინ, როდესაც დორიული სტილი უმოძრაო და უცვლელია, იონიური განუწყვეტლივ იცვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. კორინთული სტილი. ეს სტილი ყველაზე ბოლოს შემუშავდა და გამოირკვა. ბერძნები შემდეგ ლამაზსა და გრძნობიერ ლეგენდას მოგვითხრობენ ამ სტილის გამოგონების გამო: ახალგაზდა კორინთელ ქალის საფლავზე მოყვარულმა ძიძამ ჩვეულებისამებრ მოიტანა კალათი, რომელშიაც ეწყო ყველაფერი, რაც კი მის გაზრდილს უყვარდა; აქვე ამოსული ნარ-ეკალი გარს შემოეხვია კალათას თავის ფოთლებით და სწორედ ამ ნარეკალის ფოთლებით გარს შემოხვეულმა კალათამ ჩააგონა სკულპტორ კალიმახოსს კორინთულ სვეტის კაპიტელის იდეა. მართლაც, მარტო კაპიტელია ამ სტილის



კორინთული სვეტი.

ორიგინალური მხარე: იგი ჩამოჰგავს კალათას, საიდანაც ზევით მიიწევს ნარეკალის გადაზნექილი ტოტები თავის გრძელ ფოთლებით.

9. ბერძნული ტაძარი. მისი შინაგანი და გარეგანი წყობიდება. ბერძნული ტაძარია ბერძნულ არხიტექტურის უუსრულესი გამოხატულება. ჩვეულებრივ ეს ტაძარი მიბრუნებული იყო აღმოსავლეთისაკენ და გარშემორტყმული ჰქონდა წმინდა გალავანი. ტაძრის შინაგანი წყობილება თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე იყო. იგი შესდგებოდა სამის ნაწილისაგან;

პირველი იყო პრონაოსი, წინა ოთახი ან ვესტიბული, მეორე—ნაოსი, ღმერთის სადგომი, სადაც ღმერთის ძეგლი იდგა და მესამე—ოპისთოდომი, ტაძრის საგანძური, სადაც მორწმუნეთა შემოწირულებანი ინახებოდა. ტაძრის გარეგანი წყობილება სხვა და სხვა იყო: ფასადი (წინა პირი) ხან ორის სვეტით იყო დამშვენებული, ხან ეს სვეტები გარს უვლიდნენ ტაძარს, ხან კოლონადა (სვეტების წყება) ორფა იყო; სვეტების რიცხვიც სხვა და სხვა იყო. მეექვსე და მეხუთე საუკუნეში ტაძრებს სხვა და სხვა ფერად ღებავდნენ—ყვითლად, წითლად ან ცისფრად; ხან და ხან ტაძრის კედლები მოოქრულიც იყო.

10. პართენონი და სხვა ტაძრები. ათინას ტაძარი პართენონი ითვლება ბერძნულ არხიტექტურის საუკეთესო ნაწარმოებად. იგი ააშენა პერიკლესმა აკროპოლისის კლდეზე, სადაც ძველად იდგა სპარსელებისაგან დანგრეული ტაძარი ათინისა.



პართენონი (ეხლანდელ მდგომარეობაში)

მისი გეგმა შეადგინეს ხუროთ მოძღვრებმა იკტინოსმა და კალიკრატესმა, ქანდაკებანი კი ფიდიასს და მის მოწაფეებს ეკუთვნოდა. საშუალო საუკუნოებში ეს ტაძარი ქრისტიან

ეკლესიად გადააკეთეს, შემდეგ მეჩითად. 1687 წლამდე ეს ტაძარი ხელუხლებელი იყო. ამ წელს კი ვენეციელებმა, ქალაქ ათინას ალყას დროს, ააფეთქეს თოფის წამალი, რომელიც ნაოსში ინახებოდა, და გარდა ორის ფასადისა სრულებით დაანგრიეს შენობა. სხვა გამოჩენილი ტაძრებიც ბერი იყო: ათინაში თეზეიონი, რომელიც აქამდე სრულად არის დაცული,



დორიული ტაძარი თეზეიონი ათინაში

ერეხთეიონი—ათინისა და პოსეიდონის ტაძარი, სუნიუმში ათინის ტაძარი, პელოპონეზში, ნემეაში, ძევსის ტაძარი, ოლიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიაში ძევსისავე ტაძარი, მისივე ტაძარი აგრიგენტში (სიცილია) და სხვა.



ათენური ტაძარი ეფესელი

11. ტაძრის გალავანი და სხვა ნაწილები. ტაძრის გალავანი მეტ წილად ძალიან ვრცელი იყო, ხშირად იგი ტყესა და ბალებს შეიცავდა. აქ იყო სამსხვერპლო საკურთხევლები პრონაოსის წინ ღმერთის ძეგლის პირდაპირ. ხშირად საკურთხევე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბრწყინვალედ იყო აგებული ხის, ქვის, აგურისა და ხანდა-ხან მარმარილოსაგან. მეტ წილად საკურთხევლის ფორმა ოთხკუთხი იყო, ხან და ხან რგვალიც. გალავანშივე ააგებდნენ ხან და ხან დასამშვენებლად პროპილეს (ჭისკარი და კიბე),



პროპილეე (ეზოსაკენ მიმავალ ადგილში)

როგორც ეს ეგვიპტელებისა და ასირიელების ჩვეულება იყო. ყველაზე ცნობილი პერიკლესის აშენებული ათინის აკროპოლისის პროპილეე იყო. იგი წარმოადგენდა კედელს ხუთის

კარითა და პორტიკებით (ბერძნულად სტოა—დახურული გალერეა) ორივე მხრით. აკროპოლისის ეს პროპილე მიჩნეული იყო საერო არხიტექტურის საუკეთესო ნიმუშად.

12. ბერძნულ სკულპტურის (ქანდაკების) სათავე. როგორც არხიტექტურის, ისე სკულპტურის სათავეც სარწმუნოება იყო. სკულპტურის პირვანდელი დანიშნულება იყო ღმერთების კაცის სახით წარმოდგენა. პირვანდელ ხანის ხის ძეგლი მეტად უხელოვნო იყო: ერთი ხაზი უჩვენებდა თვალებს, ხელები მიკრული იყო გვერდებზე, ტანი გაშეშებული და თითქოს ბუდეში ჩაკრული იყო. პირველი ხელოვანი, რომელმაც თვალები გაუხილა ძეგლს და ხელ-ფეხი განუთავისუფლა, გადმოცემით, დედალოსი იყო. თან და თან ხის მაგიერ თიხისა და ქვის ხმარება დაიწყეს ძეგლებისათვის. ამ ცვლილების შესახებაც იცოდნენ ბერძნებმა ერთი სიმპატიური არაკი: ერთ კორინთელ მეჭურჭლეს, სახელად ბუტადესს ჰყავდა ქალი კორე, რომელიც დანიშნული იყო ერთ ახალგაზდა ბერძენზე. ერთ საღამოს ჭრაქის სინათლეზე შეყვარებულმა ქალმა დაინახა კედელზე თავის სატრფოს სილუეტი (ჩრდილი) და, რომ მუდამ თვალ წინ ჰქონოდა მისი სახე, ლანდს ნახშირით ხაზი შემოავლო. ქალის მამამ თიხით ამოავსო ნახშირით შემოხაზული სახე და ამ გვარად გამოიგონეს ქანდაკების ხელოვნება.

13. სკულპტურის განვითარება მცირე აზიაში და ჰელადაში. სკულპტურა უწინ მცირე აზიაში—სამოსზე და განსაკუთრებით ქიოსზე—განვითარდა. კრეტელი ოსტატები მოვიდნენ სიკიონში (პელოპონეზი) და ჰელადის სკულპტორებს შეასწავლეს თავიანთი ხელოვნება. ხელოვნების განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ბერძნებს ჩვეულება ჰქონდათ დღეობებზე გამარჯვებულების პორტრეტების გაკეთება. ამათ ძლიერ და თანაბრად შეყრილ ტანის გადმოხატვით ბერძენი ხელოვანი შეეჩვია ბუნების შესწავლასა და მიბაძვას. მეშვიდე საუკუნის გასულს სკულპტურას მეტი სიცოცხლე და თავისუფლება ეტყობა, თუმცა ნაწარმოებს ჯერ კიდევ სიმძიმე და მოუხეშავობა ემჩნევა. ასეთია, მაგალითად, ქ. სელინუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ტაძრის ბარელიეფი (ჩუქურთმით გამოჭრილი სურათი), რომელიც წარმოადგენს პერსეოსს იმ დროს, როცა იგი გორგონას ჰკლავს. ცოტა უფრო გვიან ამ ხელოვნებას მეტი ცოდნა ეტყობა, მაგრამ მოძრაობა და სიცოცხლე მაინც აკლია. ამ ხანას ეკუთვნის ტენეასის აპოლონი, რომელიც ეხლა მიუნხენის მუზეუმში ინახება: ხელები ჯერ კიდევ ტანზეა მიკრული და სახეს მეტყველება აკლია. სამოთრაკიაში იპოვნეს ერთი ბარელიეფი (ეხლა ლუვრშია)—იგი წარმოადგენს აგამემნოს თავის ამალით: სახე პროფილით არის გამოჭრილი და თვალები კი პირდაპირ.

14. ძველ ბერძნულ ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები; პიომბინოს აპოლონი და ეგინის მარმარილოები. როგორც არხიტექტურა, სკულპტურაც დორიულიც იყო და იონიურიც: აქაც სჩანდა ბერძნების ორ დიდ თემის ანტაგონისმი. მეექვსე საუკუნის დასასრულს სპარტაში, სიკიონში, არგოსში, კორინთში თავისი აყვავებული სკოლებია, ათინაში თავისი ეგრედ წოდებული პიომბინოს აპოლონი (ლუვრის მუზეუმში) ამ ეპოქის სტილის წარმომადგენელია; იგი დორიულ ხელოვნებას ეკუთვნის. ამ ხანისავე დამახასიათებელია ეგინელ ათინის ტაძრის ქანდაკებანი, რომელნიც ეხლა მიუნხენის მუზეუმში ინახება; ეგინის ეს ნაშთი საუკეთესო ნიმუშია ამ ხანის ხელოვნებისა. კომპოზიცია საქმის ცოდნის მაჩვენებელია, ტანი კარგათ არის გამოჭრილი, მაგრამ სახეს გამომეტყველება აკლია და ხელ-ფეხი უხერხულად არის ნაკეთები. ამავე ხანის ხელოვნების წარმომადგენელია ვინმე არისტიონის სასაფლაოს ძეგლი, რომელსაც შეცდომით „მარათონის მეომარს“ უწოდებენ. ეს ძეგლი მეტად საინტერესოა: იგი წარმოადგენს მეექვსე საუკუნის (ქრისტეს დაბადებამდე) ბერძენს, შეიარაღებულს ყოველგვარ იარაღით, დახუჭუჭებულ თმითა და წაწვრილებულ წვერით — ეს იმ დროინდელი ჩვეულება იყო. ამ ნაშთზევე ეტყობა ათინელს მეტი შნოიანობა და მოხდენილობა და აგრეთვე ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც იგი ნაწარმოების წვრილმან მხარეებს აქცევდა.

15. ბერძნულ სკულპტურის ოქროს ხანა. უძველეს ხარისხს განვითარებისას ბერძნულმა სკულპტურამ მიაღწია იმ საუკუნეში რომელსაც პერიკლესის საუკუნეს ეძახიან. ამ ხანაში განსაკუთრებით ათინა შეიქნა უშესანიშნავეს არტისტების აკვანი: ათინელია კალამისი, დაკვირვებული და მოხდენილი ხელოვანი, მირონი, რომელიც მეტ წილად ბრინჯაოზე მუშაობდა და რომლის საუკეთესო ნაწარმოები „დისკობოლოსი“ (რგოლის მსროლელი) ცნობილია რომში დარჩენილ ძეგლის საშუალებით. მირონი განთქმული იყო აგრეთვე ცხოველების ქანდაკებით. „მწყემსო, ამბობს ანაკრეონის ერთი ეპიგრამა, უფრო შორს გარეკე შენი ფარა, რადგან შეიძლება მირონის ძროხა ცოცხალი გეგონოს და თან გარეკა მოინდომო“.

16. ფიდიასი. მაგრამ ყველაზედ უწინ მოსახსენებელი ფიდიასია, უდიდესი სკულპტორი, რომელიც კი ამ ქვეყანას უნახავს. ხელოვანის დაბადების დღე არ არის ცნობილი. იგი იყო არგოსელ აგელადასის მოწაფე და პირველად თავი იჩინა კიმონის დროს, როცა დელფისათვის გააკეთა ბრინჯაოდან ერთი ჯგუფი მარათონის ნადავლის ათის თავის საფასით. ფიდიასსავე ეკუთვნოდა დიდებული ძეგლი ათინასი აკროპოლისზე. ძეგლი ბრინჯაოდან იყო გაკეთებული და მისი შუბი და მუზარადი შორს ზღვაში მოსჩანდა. პერიკლესის დროს ფიდიასმა ხელოვნების უაღრეს ხარისხს მიაღწია; გარს ეხვია მთელი ჯგუფი არტისტებისა, რომელთა დახმარებით მან ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა; მათ შორის ყველაზე განთქმულია ორი—ათინა პართენოს (ქალწული ათინა) და ძევსი ოლიმპიელი. პირველი გაკეთებული იყო სპილოს ძვლისა და ოქროსაგან: ქალ-ღმერთი ფეხზე იდგა, მარჯვენა ხელში „გამარჯვება“ ეჭირა, მარცხენაში შუბი; თვალები ძვირფას ქვებისაგან ჰქონდა გაკეთებული, ტანის შიშველი ნაწილები სპილოს ძვლისა და ოქროსაგან სხვა და სხვა ფერად. ქანდაკების სიმაღლე 12 მეტრამდე იყო. ძევსი ოლიმპიელი უფრო მშვენიერი და უფრო განთქმული იყო: ყოველი ბერძენი, რომელსაც კი თავის თავი ადამიანად მიაჩნდა, მოვალედ სთვლიდა თავს სი-

ეტრიული ნიმფა.

კვდილამდე ერთხელ მაინც ენახა ეს შესანიშნავი ნაწარმოები. ძევსი იჯდა ტახტზე, რომელიც გაკეთებული იყო ოქროს, სპილოს ძვლისა, მარმარილოსა და შავის ხისაგან; ერთ ხელში ღმერთს ეჭირა ფრთოსანი „გამარჯვება“, მეორეში—სკიპტრა; მისი სახე ერთ და იმავე დროს გამომეტყველი იყო აღუშფოთველობისა და დიდებულობისა; ასე ჰყავს ძევსი აწერილი ჰომიროსს და ფიდიასმაც ეგრე გამოხატა იგი.

17. პართენონის მარმარილოები. არც ერთ ამ ძეგლთაგანს ჩვენამდე არ მოუღწევია; მაგრამ ჩვენ გვაქვს პართენონის მარმარილოების ერთი ნაწილი, რომელიც ფიდიასს ეკუთვნის. ეს მარმარილოები ამშვენებდნენ ათინის ტაძარს, ეხლა კი ბრიტანიის მუზეუმში ინახება (ლორდ ელგინის წამოღებულია). წინანდელი ფრონტონი წარმოადგენდა ათინის დაბადებას; შემდეგი კი ათინასა და პოსეიდონს, როცა ესენი ერთმანერთს ატიკას ეცილებიან; ბუღაურებზე (frise) ამოჭრილი იყო ათინის რელიგიურ ცხოვრების სცენები. აღმოსავლეთის ბუღაურზე წარმოდგენილია პანათინელ დღესასწაულზე მიმავალი პროცესია. „კომპოზიციის გეგმა დიადის სიმარტივით არის შედგენილი: ასე გგონიათ მიმავალი ხალხი ორ წყებად არის ჩამწკრივებული; შემდეგ ტაძრის გრძელ კედელზე ეს ორი წყება ორკეცდება, რომ ბოლოს ფასადზე ყველა შეერთდეს. ამ სიმეტრიულ და თან ჰარმონიულ წეს-რიგის მიხედვით მიდიან ატიკელი მოხუცები გრძელის ყავარჯენებით, ახალგაზდა ქალიშვილები დოქებითა და ფიალებით, მეტექის ქალები, რომელნიც ქოლგებით უჩრდილებენ თავისუფალ ათინელების ქალებს. ამათ უკან მოჰყვება სამსხვერპლო ხარები და ცხვრები, რომელნიც ათინის კოლონიებს გამოუგზავნია და რომელთაც წინ უძღვიან ახალგაზდა ვაჟები. ამათ მოსდევენ მეტექის შვილები ამფორებით (ორ-ყურა ქილა) და გობებით, ფლეიტისა და ციტრის დამკვრელნი და მოხუცები ზეთის ხილის ტოტებით ხელში. შემდეგ მოდიან სამხედრო ეტლები და ცხენოსანი ჯარის რაზმი. რაც შეეხება დასავლეთის კედლის ბუღაურს, აქ წარმოდგენილია ახალგაზდა ათინელები, რომელნიც ჩქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობენ შეუერთდნენ პროცესიას; ზოგი ამათგანი ცხენზე ზის, ზოგიც ემზადება შესაჯდომად“.

18. ფიდიასის უმთავრესი დიდებანი. შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ფიდიასში თავმოყრილი იყო ბერძნის ნიჭის უფაქიზესი და სულ სხვა-და-სხვანაირი თვისება. ფიდიასმა შესძლო შეერთება დორიულ სტილის ენერგიის და ძლიერებისა ატიკისმის გემოვნებასთან და ზომიერებასთან. იგი უახლოვდება სინამდვილეს, რამდენათაც შესაძლებელია და ყურს არ ათხოვებს ხელოვნების მიღებულ ფორმას; მაგრამ ამასთანავე უფრთხის ვულგარობას, რაც ყოველთვის ბუნების გადაჭარბებულ მიბაძვას მოსდევს ხოლმე.

19. ფიდიასის მეტოქენი: ალკამენესი და პოლიკლეტესი. ფიდიასს მეტოქენი ჰყავდა: იონიურ სკოლაში ალკამენეს ლემნოსელი, დორიულ სკოლაში პოლიკლეტეს არგოსელი, რომლის უმთავრესი ნაწარმოები იყო—ჰერა, ამორძალი და დიადუმენოსი; ამ უკანასკნელის პირი ეხლაც არის რომში, ფარნეზეს ვილაში და წარმოადგენს ახალგაზდა ვაჟს, როცა იგი თავსაკრავს იკეთებს. პოლიკლეტესი მარტო ახალგაზდების ქანდაკებას აკეთებდა; მისის აზრით, მომწიფებული ასაკი, რომელიც აუშნოებს სახესა და ტანს, ღირსი არ იყო ხელოვნების საგანი ყოფილიყო. ამბობენ, რომ პოლიკლეტესს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ადამიანის სხეული და უყვარდა ყოველ წვრილმანის გულს მოდგინედ გაკეთება.

.....

თ ა ვ ი მე XX-ე

ბერძნების ლიტერატურა დასაწყისიდან მე-V-ე საუკუნის დასასრულამდე*).

სარჩევი. 1. ბერძნულ ენის და ლიტერატურის მნიშვნელობა.—2. რელიგიური და ეპიური პოეზია. ორფეოსი. მუზაიოსი.—3. ჰომიროსი.—4. ჰეზიოდოსი.—5. ელეგია.—6. ლირიკული პოეზია.—7. პინდაროსი.—8. დრამატიული პოეზია; ბერძნულ თეატრის დასაწყისი.—9. ტრაგიკოსები თესპისის შემდეგ.—10. ესხილოსი.—11. სოფოკლე.—12. ევრიპიდე.—13. ბერძნულ კომედიის დასაწყისი.—14. კომედიის პოლიტიკური ხასიათი ათინაში.—15. არისტოფანე.—16. ბერძნული პროზა; პირველი ისტორიკოსები.—17. ჰეროდოტე.—18. თუკიდიდე.—19. მჭერმეტყველება საბერძნეთში: პერიკლე, კლეონი და ლიზიასი.—20. პითაგორასი და მისი სკოლა.—22. ემპედოკლე, ანაქსაგორასი და დემოკრიტე.—23. სოკრატე.

1. ბერძნულ ენისა და ლიტერატურის მნიშვნელობა. ბერძნული ლიტერატურა ისევე შეუდარებელი და სრულია, როგორც ბერძნული ხელოვნება; როგორც ხელოვნებას, ისე ლიტერატურას ვერა დააკლო საუკუნოების მსვლელობამ და დღესაც ბერძნული ლიტერატურა ითვლება გონების საუკეთესო ნიმუშად. ასეთ უპირატესობის მიზეზი ბევრია, პირველად ყოვლისა თვით იარაღი რომელსაც ლიტერატურა ხმარობდა—ბერძნული ენა, ასე მდიდარი, მოქნილი, მრავალგვარი და თან ასე მარტივი და ბუნებრივი. ბერძნულ ენას რამდენიმე კილოკავი ჰქონდა; მათში უმთავრესი იყო ეოლიური, დორიული და იონიური. ეს უკანასკნელი გახდა ის ატიკური

---

*) ბიბლიოგრაფია: მიულერი—ბერძნულ ლიტერატურის ისტორია; დელტური—იგივე, კრუაზე—იგივე; კურციუსი—ტომი II-და-III; ფულიე—სოკრატეს ფილოსოფია და ფილოსოფიის ისტორია; ცელერი—ფილოსოფიის ისტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალექტი, რომელიც იგივე კლასიკური ენაა. თვით სახელი ამ ენისა— ატიკისმი—შეიქმნა სიმბოლო მოხდენილობისა, სიფხიზლისა, ზომიერებისა და გემოვნებისა.

2. რელიგიური და ეპიური პოეზია. ორფეოსი. მუზაიოსი. ბერძნულ ლიტერატურის სათავე რელიგიური საგალობლებია. პირველი მგალობლები ან აედოსები ქურუმები იყვნენ; საგალობელი ღმერთების ქება-დიდება იყო. პირველი მგოსნები, რომელთა სახელი ახსოვს გადმოცემას, ორფეოსი და მუზაიოსი იყვნენ; ელევზისის დღესასწაულის დროს გალობდნენ ჰიმნებს, რომელთაც ამ პოეტებს აწერდნენ. ღმერთებიდან პოეზია ნახევარ ღმერთებზე და გმირებზე გადავიდა და ამ გვარად იგი შეიქნა ეპიური. აედოსები დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში და დაუღალავად უმღეროდნენ მოედნებზე შეკრებილ ხალხს ძველ დროთა საგმირო საქმეებს. ხალხიც დაუღალავად უსმენდა მათ. იყვნენ აგრეთვე რაფსოდები, რომელნიც თვითონ როდი იგონებდნენ საგალობლებს, სხვების გაძოგონილს იმეორებდნენ. ამ პირვანდელ პოეზიიდან, რომელიც ზეპირ-გადმოცემით თაობიდან თაობაზე გადადიოდა, ჩვენამდე მოაღწია ორმა საკვირველმა პოემამ, რომელიც დღესაც ეპიურ პოეზიის საუკეთესო ნიმუშად ითვლება; ეს ორი პოემაა **ილიადა** და **ოდისეა**, რომელთაც ჰომიროსს აწერენ.

3. ჰომიროსი. ძველად საბერძნეთში შვიდი ქალაქი ეცილებოდა ერთმანერთს და თვითეული ქალაქი ამტკიცებდა, რომ იგია ჰომიროსის სამშობლო ქალაქი. ჩვენი დროის ზოგიერთ მეცნიერმა სრულებით მოსპო ეს ცილობა, რადგან მათის აზრით ჰომიროსი სრულებით არ არსებობდა. გადმოცემით, ჰომიროსი პატივსაცემ შეხედულების ბრმა მოხუცი იყო.

ილიადა და ოდისეა ბერძენთა ჭკუა-გონების პირველი დიდი ნაწარმოები იყო. მთელ საბერძნეთში ჰომიროსი ყოვლის მცოდნე მისანი იყო. როგორც შავის ზღვის ნაპირზე, ისე გალიასა და ესპანიაში ბერძენი მით იცავდა თავის ვინაობას, რომ ჰომიროსზე ზრდიდა თავის შვილებს. ილიადისა

და ოდისეას შეუდრეველი თვისებაა სიმარტივე, სიდიადე და საკვირველი დასურათება ხასიათისა და გულისთქმათა.

ჰომეროსი.

4. ჰეზიოდოსი. გადმოცებით ჰეზიოდოსი ჰომეროსის თანამედროე იყო. იგი დაბადებულია ასკრაში (ბეოტია) და მისი შეთხუზულია ორი პოემა—„საქმენი და დღენი“ და „თეოგონია“—თეოლოგიური (საღვთის მეტყველო) ეპოპეა, რომელიც მეტად ძვირფასია ბერძნულ სარწმუნოების შესწავლისათვის. ჰეზიოდოსი არ არის პირველ ხარისხოვანი გენიოსი, იგი წყნარ და ზომიერ ნიჭის პატრონია.

5. ელეგია. ეპიურ პოეზიას თან მოჰყვა ელეგიური. ელეგია ძველ საბერძნეთში შეიცავდა ბევრ სხვა და სხვა სასიმღეროს, რომელსაც სიმებიან საკრავის ან ფლეიტის აკომპანიმენტი სჭიროდა. ელეგიის განთქმული ავტორები იყვნენ კალინოს ეფესელი, ტირტეოსი და არხილოხი. კალინოსი და ტირტეოსი პატრიოტულ და სამხედრო ელეგიებს სთხზავდნენ; არხილოხმა კი შეთხზა მეტად მწარე სატირები. კიდევ შეიძლება ვახსენოთ მიმნერმოს კოლოფონელი, სოლონი, პოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკურ და ზნეობრივ ლექსების ავტორი და თეოგნის მეგარელი, რომელმაც ნამდვილი ბრაზნარევი ლექსები შეთხზა დემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ.

6. ლირიკული პოეზია. ლირიკულ პოეზიის შემქნელი საბერძნეთში თერპანდროს ლესბოსელი იყო, რომელმაც შვიდსიმიანი ლირა გამოიგონა. არც ერთ მის ლექსს ჩვენამდე არ მოუღწევია (მეშვიდე საუკუნე ქრისტეს დაბადებამდე). თერპანდროსს მოჰყვნენ ალკეოსი და საფო, ორივე ლესბოსელი. ალკეოსი პოლიტიკურ ოდების ავტორია, მაგრამ ამასთანავე ღვინოსა და სიტკბოებასაც ამკობდა. საფო განსაკუთრებით ეპითალამიებს (ქორწინების სიმღერა, შესხმა) სთხზავდა. დორიელების ლირიკოსები იყვნენ ალკმანი და სტეზიხოროსი; იონიელების—ანაკრეონ ტეოსელი, ნაზი და საყვარელი ნიჭი, და სიმონიდ კეოსელი, რომელიც სპარსელებთან ომიანობის დროს სცხოვრობდა და რომელმაც სხვა და სხვა ფორმით შეამკო მარათონის, თერმოპილის და სალამინის სახელოვანი დღეები.

7. პინდაროსი. საბერძნეთის ლირიკოსებ შორის ყველაზე განთქმულია პინდროსი, რომელიც დაიბადა 522 წელს კინოკეფალაში თებას ახლო. ოცი წლიდან პინდროსმა დაიწყო ოდების წერა; საგანი ამ ოდებისა სხვა-და-ხვა დღეობაზე გამარჯებულების შესხმა იყო. ამიტომ იგი მალე გახდა საყვარელი ვპოეტი ტირანებისა და საბერძნეთის თემებისა. ჩვენამდე მოუღწევია რამდენიმე მის ლექსს, მაგრამ მათი სავსებით დაფასება ჩვენ აღარ შეგვიძლია, რადგან ძველად ეს ლექსები უსაკრავოდ არ ითქმოდა და ეს საკრავები კი აღარ გვაქვს.

8. დრამატიული პოეზია; ბერძნულ თეატრის დასაწყისი. დრამატიულ პოეზიის წყაროც სარწმუნოება იყო. პირვანდელ ხანაში ჩვეულება იყო ემღერათ ბახუსის დღესასწაულზე ღმერთის შესხმა. ხორო, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ შესხმის თქმა, ცეკვა-თამაშით უვლიდა ღმერთის საკურთხეველს. შემდეგ ჰკლავდნენ თხას და სწორედ ამ მსხვერპლის შეწირვიდან წარმოსდგა ტრაგედია (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს—„თხის

სასიმღერო“). თან-და-თან ბახუსის თავგადასავალის მოთხრობა შესხმაში იცვლებოდა და უფრო საინტერესო ხდებოდა. თესპისმა პირველად მიუმატა ხოროს ერთი პირი, რომელიც მარტო ლაპარაკობდა—ან პასუხს აძლევდა ხოროს, ან ხელ-ახლავ ამღერებდა მას ან და საკუთარ აზრსაც გამოთქვამდა. ამ ახალ ელემენტის შემოღება ბევრს არ მოსწონდა; ერთ დღეს სოლონი წავიდა თესპისის წარმოდგენის სანახავად და როცა წარმოდგენა გათავდა, ავტორს ჰკითხა— ნუ თუ არ გრცხვენია საჯაროდ ამდენის ტყუილის თქმაო. თესპისმა უპასუხა, რომ აქ ცუდი არა არის-რა, რადგან წარმოდგენა თამაში და თვალის სეირი არისო. გულ-მოსულმა სოლონმა ჯოხი დაარტყა მიწას და სთქვა: „დიახ, თუ ჩვენ მოვითმენთ, მოვიწონებთ ამ თამაშს, სინამდვილეს ჩვენ ხელ-შეკრულობებში ვნახავთ.“ საბედნიეროთ სოლონს ბევრი თანამოაზრე არ ჰყოლია და თესპისის შემდეგ ბერძნული თეატრი განვითარდა. ბახუსი და მისი კულტი განზე დარჩა: პოეტებმა დაინახეს, რომ შეუძლებელია ღვინის ღმერთის მუდამ უკან დევნა, და სხვა საგნები აირჩიეს. როცა ეს პირველად მოხდა სიკიონში, განცვიფრებული მაყურებლები ერთმანერთს ეკითხებოდნენ: „რა კავშირი აქვს ყველა ამას ბახუსთან“-ო?

9. ტრაგიკოსები თესპისის შემდეგ. მეექვსე საუკუნეში პირველად ფრინიხოსმა შემოიღო ქალის როლი. მანვე გაბედა პირველად შეხებოდა ტრაგედიაში თანამედროე ტემას—მილეტის აღებას სპარსელებისაგან. პრატინას ფლიუნტელმა, რომელიც ფრინიხოსის დროს ცხოვრობდა, შექმნა სატირიული დრამა, რომელიც ნამდვილ დრამის წარმოდგენას მოჰყვებოდა ხოლმე. შესაძლებელია, რომ ამავე ხანაში შემოიღეს ათინაში დრამატიულ თხზულებების კონკურსი, რომელმაც ასე წინ წასწია ბერძნული ხელოვნება. კონკურსი ხდებოდა ყოველ წელს ბახუსის დღესასწაულზე. არხონტი დანიშნავდა სამ პოეტს; თითეულ მათგანს უნდა წარმოედგინა საკონკურსოდ სამი ტრაგედია და ერთი სატირიული დრამა. ხორო და აკტიორები უნდა ეშოვნა მდიდარ მოქალაქეს, ხორეგოსად წოდებულს. პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველად თვითონ მაყურებლები სწყვეტდნენ, თუ რომელი პოეტი იყო გამარჯვებული, შემდეგ კი ხუთი მოსამართლე, რომელთაც წილის ყრით ირჩევდნენ.

10 ესხილოსი. ბოლოს გაჩნდა ესხილოსი, რომელსაც ტრაგედიის მამას უწოდებდნენ. იგი დაიბადა ელევზისში 525 წ.



ესხილოსი.

და იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ მარათონის ველზე, სალამინთან და პლატეასთან. მისი პიესების რიცხვი სულ უკანასკნელი 70 მაინც იყო; ჩვენამდე კი მხოლოდ 7-ს მოუღწევია: მიჯაჭვული პრომეთეოსი, სპარსელები, შვიდნი თებას წინააღადეგ, ორესტია—(ტრილოგია) აგამენონი, ხოეფორები და ევმედინები, და ბოლოს ჰიკეტიდები (მფარველობის მთხოვნელნი). ზოგი მხრით ესხილოსის დრამა ჯერ კიდევ პირვანდულია. ხოროს ჯერ კიდევ პირველი ადგილი უკავია დრამაში; აკტიორი მხოლოდ ორია სცენაზე; დრამაში მეტი მოთხრობაა

და ნაკლები მოქმედება. მაგრამ ამ ნაკლთან ესხილოსის დრამებს ბევრი მეტად ღრმა სცენიური ღირსება აქვს. ესხილოსი ახერხებდა მაღალისა და გამშვენებულის ენით გამოეთქვა სულის უსასტიკესი მოძრაობა. არასოდეს არავის არ გამოუთქვამს და არ დაუხატავს მეტის სიძლიერით მძვინვარება, მძულვარება, ზიზღი, შურისძიების სიყვარული: ესხილოსი გმირული და და ზეადამიანური პოეტია.

11. სოფოკლე. ამასვე ვერ ვიტყვით სოფოკლეზე, რომელსაც მეტი გემოვნება, სისწორე და ერთიანობა აქვს; მაგრამ სამაგიეროდ სოფოკლე ვერ გამოიწვევს მაყურებელში განცვიფრების უნებლიეთ ყვირილს, როგორც ამას ესხილოსის დრამა შვრებოდა. იშვიათია, რომ სოფოკლე გატაცებული იყოს, მაგრამ ისიც იშვიათია, რომ იგი სადმე მისუსტდეს. მის დრამაში ხოროს კიდევ აქვს დიდი ადგილი, მაგრამ აქ იგი მოწმეა მოქმედებისა და არა თვით მოქმედი. სოფოკლე დაიბადა კოლონაში 495 ან 498-ში; იგი მოკვდა ღრმად მოხუცებული. მის დრამებიდან ჩვენამდე მოულწევია მხოლოდ შვიდს: ანტიგონა, ელეკტრა, ტრახინელი ქალები, მეფე ედიპოსი, აიაქსი, ფილოკტეტე, ედიპოსი კოლონაში.

12. ევრიპიდე. ყველაზე მეტი კამათი გამოიწვია მესამე დიდებულმა ტრაგიკოსმა ევრიპიდემ. არისტოფანე შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ არ ჩაეწიხლა იგი. მიზეზი ის იყო, რომ ევრიპიდე არ იყო ნამდვილი კლასიკი: მის დრამაში მოქმედება ბევრად უფრო რთულია; არის საეფეკტო ადგილები და მოულოდნელი შემთხვევები; ხორო მხოლოდ ფორმისათვის არის გამოყვანილი — მოქმედებასთან მას არავითარი კავშირი აღარ აქვს; ძველი ლეგენდები სრულებით შეცვლილია; მოქმედი პირები ხშირად დაფლეთილ-დაგლეჯილ ტანისამოსიანი საწყლები და გლახები არიან; მათი საუბრის ენა ჩვეულებრივი ენაა, თითქო ესეც არის სოკრატესთან საუბარი გაუთავებიათო. ევრიპიდე პირველი იყო, რომელმაც დახატა ადამიანის ჩვეულებრივი გულისთქმანი; თუ იგი არ ამაღლებულა კაცობრიობაზე, სამაგიეროდ წარმოგვიდგინა ადამიანი თა-

სოფოკლესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სისუსტითა და ნაკლით. ევრიპიდე უფრო ახლოა ჩვენზე, ვიდრე დანარჩენი ტრაგიკოსები საბერძნეთისა.

ევრიპიდე

ევრიპიდე დაიბადა სალამინზე 480 წელს და მოკვდა 406-ში მაკედონიაში; ჩვენამდე მოულწევია 18 ტრაგედიას; ამათგან საუკეთესონი არიან—ალცესტა, მედეა, იფიგენია ტავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდაში, ჰიპოლიტე. სატირიულ დრამებიდან საუკეთესოა „ციკლოპი“.

13. ბერძნულ კომედიის დასაწყისი. თვითონ სახელი „კომედია“—ნადიმის სასიმღერო—უჩვენებს, თუ საიდან წარმოსდგა ეს დარგი დრამატიულ ხელოვნებისა. ბახუსის დღესასწაულის შემდეგ იმართებოდა ნადიმი, რომლის დროსაც ბევრ უმართებულო ლექსებს მღეროდნენ და თან თამაშობდნენ. ამ გვარ ლექსებს პირველად თავი მოუყარა და პიესისებური ხასიათი მისცა სუზარიონ მეგარელმა. კომედია გახდა დიალოგიური სატირა, რომელსაც სიმღერით ამბობდნენ. ნამდვილ კომედიის შემქნელად ითვლება ეპიხარმოს კოსელი, რომელიც სიცილიაში ცხოვრობდა. მისს თხზულებათაგან ერთსაც არ მოუღწევია ჩვენამდე. ვიცით მხოლოდ, რომ პლავტუსი ბაძავდა მას, მაგრამ ორიგინალზე ბევრად ნაკლები იყო.

14. კომედიის ბოლიტიკური ხასიათი ათინაში. ათინაში კომედია ყველაზე უწინ პოლიტიკური იყო. პოეტებს თავისუფლად შეეძლოთ სასაცილოდ გამოეყვანათ არა მარტო მოქმედება და აზრები, არამედ თვით ცოცხალი პირებიც კი. კომედია საშინელი იარაღი იყო პარტიის ხელში. ეჭვს გარეშეა, რომ ბერძნულმა კომედიამ ბევრი სიცუდე გამოამჟღავნა და ბიწიერება სამართლიანად გაჰკიცხა, მაგრამ მას იერიში მიუტანია უკეთილშობილეს და უწმინდეს საქმეზედაც, გადაუმახინჯებია უწმინდესი განზრახვანი, სასაცილოდ აუგდია პატრიოტნება, მამულის შვილობა, სიმამაცე და ადამიანის ბუნების საუკეთესო გრძნობანი აბუჩად აუგდია. კლეონი სასტიკად იყო გაკიცხული, მაგრამ არც სოკრატე დაუზოგავთ. თეატრს არ უნახავს შემდეგ ის თავისუფლება, რომლითაც ბერძნული თეატრი სარგებლობდა. ბერძენი ავტორი არ კმაყოფილდებოდა იმითი, რომ პიესის გმირებს თავის ნებაზე ალაპარაკებდა; მას უფლება ჰქონდა პირდაპირ გამოეთქვა მაყურებლებისათვის თავისი აზრები და კერძო შეხედულებანი ეგრედ წოდებულ პარაბაზისის დროს: ხორო სცენიდან ორკესტრის ადგილას გადადიოდა და მიუბრუნდება საზოგადოებას; პიესის ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი ან თვითონ ან ხოროს მეთაურის პირით ელაპარაკებოდა მაყურებლებს თავის გრძნობებზე და კერძო საქმეებზე. ყველაზე მეტად ასეთის თავისუფლებით სარგებლობდა არისტოფანე.

15. არისტოფანე. როდის დაიბადა და ან როდის მოკვდა არისტოფანე, არ არის ცნობილი. ვიცით მხოლოდ, რომ პირველი მისი კომედია წარმოადგინეს 427 და უკანასკნელი 390-ს. ამ ხნის განმავლობაში იგი განუწყვეტლივ სწერდა პიესებს; ზოგი მათგანი კარგი იყო, ზოგი ცუდი, მაგრამ ყველა თავისებური კი იყო. არისტოფანე განსხვავდება კომედიის

არისტოფანე.

სხვა მწერლებისაგან არა მარტო გაბედულის სიტყვით, მწარე დაცინვით და გასაოცარ ფანტაზიით, არამედ თავის პოეზიის გრაციითა და მიზზიდველობით; ტყვილა როდი უთქვამს პლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონს, რომ „გრაციებმა“ თავიანთ მუდმივ სადგომად ამოირჩიეს არისტოფანეს სულიო. მაგრამ ამასთანავე არც ერთი ავტორი არ ყოფილა არისტოფანესავით უმართებულო, უშვერი და თავხედი. ათინის უძლიერესი პოლიტიკური მოღვაწეები გამოიყვანა მან სცენაზედ. გადმოცემით, როცა ერთ პიესაში ვერც ერთმა აკტიორმა ვერ გაბედა კლეონის როლი შეესრულებინა, თვითონ ავტორი გამოვიდა სცენაზე, ითამაშა კლეონის როლი და ხალხისაგან დიდი მოწონებაც დაიმსახურა. კლეონი კი სიბრაზით გულზე სკდებოდა. არისტოფანეს კომედიებიდან ჩვენამდე მოულწევია თერთმეტს; ამათგან უფრო ცნობილია „მხედრები“, „მშვიდობიანობა“, „ღრუბლები“, „ქალების კრება“ და სხვა.

16. ბერძნული პროზა; პირველი ისტორიკოსები. ბერძნული პროზა მეხუთე საუკუნეზე ზევით არ ადის. პირველად თავი დაანებეს ღმერთების ენას და დაბალ პროზას მოჰკიდეს ხელი ფილოსოფოსებმა—თალეს მილეტელმა, ანაქსაგორას კლაძომენელმა, ჰერაკლიტე ეფესელმა და ამათთან ერთად ეგრედ წოდებულ ლოგოგრაფებმა, რომელნიც თავს უყრიდნენ ძველ გადმოცემათ და ლეგენდებს. ჰეროდოტემდე საბერძნეთში არ ყოფილა ნამდვილი, თავის სახელის ღირსი პროზა.

17. ჰეროდოტე. ჰეროდოტე დაიბადა 484 წელს ქ. ჰალიკარნასში. ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა ადრევე შეუდგა მოგზაურობას და იყო აზიაში, აფრიკაში და ევროპაში. დიდ ძალი ცნობები და მოთხრობები შეჰკრიბა ჰეროდოტემ ამ მოგზაურობის დროს და შემდეგ გამოიყენა თავის დიდ ისტორიისათვის. საგანი ამ ისტორიისა არის აზიის ბრძოლა საბერძნეთის წინააღმდეგ; მაგრამ შეხვდება თუ არა ავტორი მოთხრობის დროს ახალ ხალხს, აგვიწერს მას და მოგვითხრობს მის ისტორიას. ამ გვარად, სანამ ჰეროდოტე ბერძენ-სპარსთა ომიანობის მოთხრობას შეუდგებოდეს, ჯერ გვაცნობს სპარსეთის უზარ-მაზარ იმპერიის შექმნის ისტორიას. ჰეროდოტეს ისტორია გაყოფილია ცხრა წიგნად, თითეულ წიგნს რომელიმე მუზას სახელი ჰქვია.

ჰეროდოტეს ნაშრომი მიუბაძველია; იგი გულუბრყვილო და წარმტაცი მოთხრობაა, გაყვარებს ყველაფერს, რაც ავტორს უნახავს ან გაუგონია; მოთხრობა მისი მარტივია, მაგრამ ინტე-

ჰეროდოტე.

რესითა და ადგილობრივ ელფერით აღსავსე. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჰეროდოტეს ისტორიკოსის უპირველესი თვისება აქვს—სიმართლე. როდესაც კი იგი ამბობს „ეს მე ვნახეო“, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სიმართლეს არ ღალატობს; ჩვენი დროის აღმოჩენანი, განსაკუთრებით ეგვიპტეში და ასირიაში, საუკეთესოდ ამტკიცებენ ჰეროდოტეს სიმართლის-მოყვარეობას.

18. **თუკიდიდე.** „პელოპონეზის ომიანობის“ ავტორი თუკიდიდე სრულებით არა ჰგავს ჰეროდოტეს. თუკიდიდე უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერია მეთოდით, ნაკლებ გრძნობიერი და უფრო სასტიკი. იგი ეკუთვნის ისეთ პირებს, რომელნიც ლოგიკის, მსჯელობის ძლიერებით მოქმედებენ ადამიანზე და არა გრძნობებისა და გულისთქმათა აღძვრით. ენა თუკიდიდესი მოკლედ მოჭრილი და ხან და ხან ძნელი გასაგებია, სტილი წმინდა ატიკუ-

თუკიდიდე.

რი აქვს. როგორც ნათქვამი გვქონდა, თუკიდიდეს ათინაში მნიშვნელოვანი თანამდებობა ჰქონდა, მაგრამ ამფოპოლისთან არ გამარჯვებამ შეაძულა იგი ხალხს და გაძევებულ იქნა.

19. მჭერმეტყველება საბერძნეთში. პერიკლე; კლეონი; ლიზიასი. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ საიდან გაჩნდა საბერძნეთში მჭერმეტყველება. ბერძნები მოძრავი, ენაჭარტალა ხალხია, იმ თავითვე შეჩვეული სახალხო კრებას და საჯარო მსჯელობას. მიუხედავათ ამისა, პერიკლემდე ჩვენ არ ვიცით არც ერთი ნამდვილი ორატორი. პერიკლეს სი-

ტყვებიდან ჩვენამდე არც ერთს არ მოუღწევია, მაგრამ თუკიდესა და პლუტარხოსის საშუალებით ჩვენ ვიცით მის მჭერმეტყველების ბუნება და ხასიათი: იგი იყო მტკიცე, პირდაპირი, სურათებით აღსავსე, წარმტაცი და თან თავდაჭერილიც; მსმენელებზე საოცარი გავლენა ჰქონდა პერიკლეს მჭერმეტყველებას. ევპოლისის სიტყვით, ერთად ერთი პერიკლე სტოვებდა ღრმა კვალს მსმენელის გულში. მის შემდეგი ორატორები კლეონი და სხვები მეტის უდიერობით ლაპარაკობდნენ, მაგრამ მათ აკლდათ ძლიერება და ღირსება. ყველაზედ ცნობილი ამ დროს ათინაში იყო ლიზიასი, რომელსაც დაწერილი ჰქონდა 200-ზე მეტი სიტყვა, წარმოთქმით კი მხოლოდ რამდენიმე წარმოუთქვამს. ლიზიასი მოსწონდათ კარგის გამოთქმისა და სიტყვების ლამაზად შერჩევისათვის; იგი ნამდვილი ატიკელი ორატორი იყო, მაგრამ იგი არ იყო დიდი ორატორი.

20 ფილოსოფიის დასაწყისი საბერძნეთში. მილეტისა და ელეას სკოლები. გონიერი და გონება-მახვილი ბერძენი ხანგრძლივად ვერ დაკმაყოფილდებოდა ძველ მითოლოგიის პოეტურ არაკებით. იმ დღეს, რა დღესაც ბერძენს აღარ სჯეროდა, რომ მსოფლიო და მისი მოვლენანი ძევსის და სხვა ღმერთების ჟინის (კაპრიზის) ნაყოფია, საბერძნეთში დაიბადა ფილოსოფია. თალესი, მილეტის სკოლის შემქნელი, 600 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე ასწავლიდა, რომ მსოფლიოს პირველი პრინციპი (მიზეზი—causa prima, სუბსტანცია) წყალი არის და რომ სხეულები მხოლოდ წყალის სხვა-და-სხვა სახეა. თალესი ითვლება აგრეთვე პირველ გეომეტრად, პირველ ასტრონომად და პირველ ფიზიკად ბერძენთა შორის. ანაქსიმანდროსი, თალესის თანამემამულე და მოწაფე, და ანაქსიმენე, ანაქსიმანდროსის მოწაფე, მსოფლიოს პირველ პრინციპად აღიარებდნენ ჰაერს. ელეას სკოლა (ლუკანია, დიდი საბერძნეთი ან სამხრეთი იტალია) უფრო შორს წავიდა. ქსენოფანოსი ენერგიულად შეებრძოლა ძველ მითოლოგიას. „არის მხოლოდ ერთი ღმერთი; იგი ყოველის მხედველი, ყოველის მსმენელი და ყოველის მცოდნეა; იგი უძრავია და არ საჭიროებს მარცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივ და მარჯვნივ მიტრიალდეს თავის ნების ასასრულებლად— გაუჭირვებლად განაგებს იგი ყველაფერს მხოლოდ თავის აზრით". პარმენიდემ კიდევ უფრო განავითარა ქსენოფანოსის შეხედულება ერთად-ერთ ღმერთზე. ჰერაკლიტე ეფესელი (მეექვსე საუკუნის დასასრული) კი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო არც ღმერთისა და არც ადამიანის შექმნილია: მის არსებობას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული; მისი პირველი პრინციპი არის ცეცხლი, მუდამ ცოცხალი და მუდამ ცვალებადი.

21. პითაგორასი და მისი სკოლა. პითაგორას სამოსელი, რომელიც დაიბადა მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში, დიდი მოგზაური იყო: მან მოიარა ფინიკია, ეგვიპტე, ბაბილონი და სხვა. ბოლოს დაარსა კროტონაში (იტალია) რელიგიური ძმობასებური საზოგადოება, რომელსაც სასტიკი წესდება ჰქონდა: აკრძალული იყო ცოლის შერთვა, წევრები ერთად სასტიკ ცხოვრებას ატარებდნენ, აკრძალული იყო ხორცეულის ჭამა; მთელი ცხოვრება უაღრეს საგნებზე ფიქრში უნდა ეტარებინათ. პითაგორასი თავის დროის უდიდესი მათემატიკოსი იყო; რაც შეეხება მის ფილოსოფიას, იგი ასწავლიდა ერთ-ღმერთობას, სულის უკვდავებას და მეტამფსიხოზისს, ე. ი. სიკვდილის შემდეგ სულის ერთის ცხოველიდან მეორეში გადასახლებას.

22. ემპედოკლე, ანაქსაგორა და დემოკრიტე. ემპედოკლე აგრიგენტელს (სიცილია, 450 წელი) უკავია შუა ადგილი ელეელებსა და იონიელებ შორის; მისის შეხედულებით, მსოფლიოს პირველი პრინციპი ერთი კი არა ოთხი იყო: ეთერი, ჰაერი, მიწა და წყალი; არსთა წარმოშობას იგი ბუნებრივ ევოლიუციით (განვითარებით) ხსნიდა. ემპედოკლეს სწამდა უაღრესი პრინციპი — სიყვარული, რომელიც აერთებს ზემოთ-დასახელებულ ელემენტებს. ემპედოკლეს აზრები მიიღო და განავითარა ანაქსაგორა კლაძომენელმა, რომელიც ათინაში გადასახლდა 460 წელს და აქ შეიქნა მასწავლებელი და მეგობარი პერიკლესი. ანაქსაგორას შეხედულით, მსოფლიო წარმოადგენს ურიცხვ პირვანდულ ელემენტებს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა რაოდენობა არასოდეს არ იცვლება: არაფერი არ იკარგება, არაფერი არ ჩნდება. ამ უძრავ და უგონებო ელემენტებზე მაღლა სდგას უაღრესი ელემენტი, ძლიერებისა და გონების პატრონი; სახელი მისი Nus (გონება). დემოკრიტე აბდერელიც იმ აზრისაა, რომ მატერია შესდგება აღურიცხველ განუყოფელ ნაწილებისაგან, რომელთაც ატომები ჰქვია; მაგრამ ამ ატომების მოძრაობა ფატალური და აუცილებელია და არა უაღრეს გონების გამოწვეული. ცისა და დედა-მიწის გამ-



დემოკრიტე.

გებელი კანონი „აუცილებლობაა". დემოკრიტეს თანამემამულე და მეგობარი პროტაგორა ფილოსოფიის განთქმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი იყო (სოფისტი); იგი ქადაგებდა, რომ ცოდნა, როგორიც უნდა იყოს იგი, სარწმუნო არ არის, რადგან ადამიანისათვის ჭეშმარიტი მხოლოდ ის არის, რასაც გრძნობათა საშუალებით იღებს, ცოდნის გრძნობების საშუალებით მიღება კი (პერცეპცია) თითეულ ინდივიდს თავისი საკუთარი (სხვების არ მზგავსი) აქვს. ამ გვარად არ არსებობს ჭეშმარიტება, რადგან იგი იცვლება ადამიანის პიროვნების მიხედვით.

23. სოკრატე. სოკრატე დაიბადა ათინაში 469 წელს. იგი იყო ძეგლების მკეთებელ სოფრონისკეს შვილი და პირველ ხანებში მამის ხელობას ადგა; მაგრამ მალე თავი დაანება და მთელის თავის არსებით ფილოსოფიის შესწავლას მოჰკიდა ხელი. სოკრატე სახით მეტად უშნო რამე იყო და თან მეტად ღარიბიც, მაგრამ მაინც საოცარი გავლენა ჰქონდა ახალგაზდობაზე. სოფისტებსავით არ იღებდა იგი ფულს სწავლებისათვის —სოკრატე დადიოდა და ეძებდა ცნობის მოყვარე ხალხს ქუჩებზე, მეიდნებზე, გიმნაზიებში, ელაბარაკებოდა მათ, აძლევდა კითხვას, კითხვაზე უპასუხებდა, ეხმარებოდა კითხვების ახსნასა და გადაწყვეტაში. სოკრატე უბრალო და ბუნებრივი იყო, მაგრამ ასეთ გარეგნობის ქვეშ იმალებოდა მახვილი ჭკუაგონება. მის სწავლების დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ სრულებით გვერდს უვლიდა მეტაფიზიკურ კითხვებს, რომელიც ასე აინტერესებდა მის წინამორბედ ფილოსოფოსებს: სოკრატე გარდა ზნეობრივ კითხვებისა, ყველაფერში სკეპტიკი იყო; მისთვის ფილოსოფიის მიზანი ადამიანის ცოდნაა; გარეშე ზნეობისა, გარეშე „იცან თავი შენი“ არ შეიძლება იყოს სერიოზული ფილოსოფია. სოკრატეს ბევრი მტრები აუჩნდა აზრის ასეთ დამოუკიდებლობის გამო; იგი სოფისტების რიცხვში ჩასთვალეს, თუმცა ხშირად სასაცილოდ ხდიდა მათ. არისტოფანემ თავის ერთ კომედიაში („ღრუბლები“) სოკრატე ახალგაზდობის გამრყვნელად გამოიყვანა. სოკრატეს უსაყვედურებდნენ ახლო მეგობრობას ალკიბიადესთან. 229 წელს ფილოსოფოსი სამართალში მისცეს „ახალგაზდობის გარყვნისა და ათინაში ახალ ღმერთების შემოყვანისათყის“. თავის მართლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა არ იკადრა სოკრატემ—მან წარმოსთქვა თავისი აპოლო-

სოკრატე.

გია ისეთის სიტყვებითა და კილოთი, რომ მოსამართლეები გულნატკენნი დარჩნენ. უდანაშაულო ფილოსოფოსს გადაუწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვიტეს სიკვდილით დასჯა ერთის საწამლავის საშუალებით. სოკრატე მოკვდა ნამდვილ ბრძენისა და მართალის კაცის აღუშფოთველობით. სიკვდილის ჟამს მას გარს ეხვია მტირალი მოწაფეები, რომელთაც ფილოსოფოსი ანუგეშებდა. სოკრატეს არა დაუწერია რა, მაგრამ მისი აზრები გადმოგვცეს ჩვენ მისმა მოწაფეებმა—პლატონმა და ქსენოფონმა. რელიგიურ კითხვებში სოკრატე წინააღმდეგი იყო მრავალ-ღმერთობისა და სწამდა მსოფლიო განგების არსებობა; რაც შეეხება ფილოსოფიას, სოკრატეს ძალა მის ზნეობრივ სწავლაშია: იმ დროს, როცა ყველა ამტკიცებდა, რომ ავი და კარგი ერთმანერთისაგან არ განირჩევა, იგი გაბედულად ამტკიცებდა პიროვნებისაგან დამოუკიდებელ უაღრეს ზნეობის არსებობას. ასეთ შეხედულების სიდიადე და სიწმინდე, თან მოწამებრივი სიკვდილი ფილოსოფოსისა ადვილად ხსნის იმ გარემოებას, რომ სოკრატეს სახელი ასე განთქმულია და ასეთივე დარჩება მომავალშიც.

თ ა ვ ი მე-XXI-ე

საზოგადოებრივი ცხოვრება მოქალაქისა საბერძნეთში, განსაკუთრებით ათინაში.*)

სარჩევი. 1. რა იყო ბერძენი მოქალაქე.—2. ბერძენ მოქალაქის ცხოვრება; აგორა (მეიდანი).—3. პნიქსი.—4. საზოგადოებრივ თანამდებობის (მაგისტრატურის) ასრულება.—5. სამხედრო სამსახური.—6. ფლოტი.—7. ბერძნების სარწმუნოება და ქურუმები.—8. მსხვერპლი და ლოცვა.—9. საბერძნეთის დღესასწაულები.—10. ბერძნულ თემების კერძო დღესასწაულები.—11. თეატრი.

1. რა იყო ბერძენი მოქალაქე? ბერძენი მოქალაქე ისეთი უპირატესობიანი არსებაა, რომელიც ეხლა ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია. პირველად ყოვლისა იგი ნამდვილი არისტოკრა-

*) ბიბლიოგრაფია: პერო—საზოგადოებრივი და კერძო უფლება ათინაში; გროტი, კურციუსი, რეინახი, დარენბერგი.

ტა იყო, თუნდაც ლატაკი ყოფილიყოს და თავის გამოსაკვებად ერთი სარდინის თევზის მეტი არ ჰქონოდეს დღეში. მართლაც, იგი ეკუთვნოდა ვიწრო, კარ-ჩაკეტილ კლასს, რომელსაც ბევრი უპირატესობა ჰქონდა და რომლის წევრობა მხოლოდ მემკვიდრეობის ძალით შეიძლებოდა. ენითა და ჩამომავლობით ბერძენი მოქალაქე ჰელადის წევრი იყო; მაგრამ მისი მოვალეობა ამ დიდ სამშობლოს წინაშე ისე ბუნდოვანი და გამოურკვეველი იყო, რომ არ ასრულება ამ მოვალეობისა არაფრად მიაჩნდა და არც სინიდისი აწუხებდა ამისათვის: ბერძენი იბადებოდა, მოქმედებდა და კვდებოდა თემისათვის, სადაც დაბადებულან, უმოქმედნიათ და მომკვდარან მისი წინაპარნი; აქ არიან მისი ღმერთები და წინაპართა საფლავები; აქ ანთია მისი კერა, სადაც მსხდარან მისი წინაპარნი და დასხდებიან ჩამომავალნი. ვიკტორ ჰიუგოს ლექსი — „მუხლი მოიყარე მიწაზე, სადაც მამაშენს მამა ჰყავს და დედაშენს დედა“ ბევრად უფრო შეეფერება ძველ საბერძნეთის თემის შვილს, ვიდრე ჩვენ, რომელნიც იშვიათად და დროებით თუ ვინახულებთ სამშობლო ქალაქს. თემის ფარგალში, რომელსაც არ გადასცილდება მოქალაქის ჰორიზონტი, მხოლოდ მოქალაქეს აქვს უფლება საქმეებზე მსჯელობისა და კენჭის ყრისა, მოსამართლეობისა და მეომრობისა, დღესასწაულებზე და სადღესასწაულო ნადიმებზე დასწრებისა. ბერძენ მოქალაქის მთელი სიცოცხლე უნდება იმ მოვალეობათა ასრულებას, რომელთაც ადებს მას სახელმწიფო, თემი. მიუხედავად ამ მოვალეობათა სიმძიმისა, მოქალაქე არ ჩივის: მან იცის, რომ ეს მის მდგომარეობისა და ღირსების ფასია და როცა საღამოს დაღალულ-დაქანცული ბრუნდება თავის ღარიბ ქოხში, იმდენი ძალა კიდევ შერჩენია, რომ ამაყად და თან სიბრალულით შეხედოს ვაჭრობით გამდიდრებულსა და ჩასუქებულ მეტექს.

2. ბერძენ მოქალაქის ცხოვრება; აგორა (მეიდანი). აგორა თავდა-პირველად ბაზრობის ადგილი იყო, რომელიც შემდეგ თითქმის ყველა ბერძნულ თემებში სახალხო კრების ადგილად გადაიქცა. მაგრამ ბერძნული აგორა ჩვენებურ ბაზარს რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ჰგავდა: ათინაში, მაგალითად, აგორაზე მშვენიერი ხეივნები იყო ჭადრისა და ალვის ხისა. აგორაზევე იყო ჩვეულებრივ სენატის სასახლე, რამდენიმე სასამართლო და ტაძარი. ვაჭრები უბნებად იყვნენ დაყოფილი სავაჭრო საქონლის მიხედვით და მეტ წილად პირ და პირ გაშლილ ჰაერზე ან პატარა კარავებში ვაჭრობდნენ, როგორც ეს ეხლაც ხდება ბევრ პატარა ქალაქში. ერთი რამ კი იყო ისეთი აგორაზე, რასაც ეხლანდელ ბაზარში ვერ შეხვდებით—ეს არის ფულის გამსესხებლები და დამცვლელები, რომელნიც აქ ელოდნენ თავიანთ კლიენტებს. როგორც ჩვენ დროშიაც, ბერძნული ბაზარი შუადღემდე იყო სავსე ხალხითა და მოძრაობით. მაგრამ არც შემდეგ იყო იგი ცალიერი: უსაქმური ახალგაზდობა აქ ჰკლავდა თავის დროს სეირნობაში ან სადალაქოებში ჯდომით და მასლაათობით.

3. პნიქსი. ათინის აგორა ბოლომდე იყო მთელის თემის გული. მაგრამ რადგან მას ბევრგვარი დანიშნულება ჰქონდა და ამიტომ დიდძალი ხალხი იკრიბებოდა აქ, ამიტომ სახალხო კრებების აქ მოხდენა გასაჭირი შეიქნა. ამ მიზნისათვის გამონახეს საგანგებო შემოღობილი ადგილი, რომელსაც პნიქსს უწოდებდნენ და რომლის მდებარეობა კარგად არ იციან.

სახალხო კრება დილა ადრიან იწყებოდა, რაც აუცილებელია თბილ ქვეყნებში. ვინც დაიგვიანებდა, უფლება აღარ ჰქონდა მიეღო კრებაში მონაწილეობისათვის დანიშნული ჯილდო. „წავიდეთ კრებაზე, მოქალაქენო, ამბობს ხორო არისტოფანეს ერთ კომედიაში; თესმოთეტმა გამოაცხადა, რომ მხოლოდ ის მიიღებს სამ ობოლს, ვინც გათენებისას მივა გამტვერული, ენა გადმოვარდნილი და უსმელ-უჭმელი“. ხალხის სადგომ ადგილს შემოვლებული ჰქონდა წითელი თოკი, რომელიც ნებას არ აძლევდა არა მოქალაქეთ კრებას შერეოდნენ. სკითელი მეშვილდისრენი ასრულებდნენ კრების პოლიციელების თანამდებობას. კრების დაწყებამდე სამსხვერპლო გოჭებს დაჰკლავდნენ; გზირი (ჰეროლდი) წაიკითხავდა ლოცვას და ბოლოს განსახილველ კანონ-პროექტს წააკითხვინებდა.

თუ საგანი საკამათო იყო, გზირი კრებას მიჰმართავდა ჩვეულებრივის წინადადებით—„ვის სურს ლაპარაკი“-ო. მსურველი ზეთისხილის ფოთლების გვირგვინით თავზე ადიოდა ამაღლებულ ადგილზე (ტრიბუნა) და იწყებდა ლაპარაკს. კითხვა ხელების აწევით გადაწყდებოდა ხოლმე. ხმების დათვლა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იკოდნენ, მაგალითად, ოსტრაკისმის დროს (საშიშ მოქალაქის გაძევება).

4. საზოგადოებრივ თანამდებობის (მაგისტრატურის) ასრულება. თანამდებობის პირების არჩევანი წილის ყრით შემდეგ ნაირად ხდებოდა: თესმოთეტს წინ ედგა ორი ვაზა, ერთში თეთრი და სხვა ფერის ლობიო ეყარა, მეორეში კანდიდატების სახელები; არჩეულად ითვლებოდა ის კანდიდატი, რომლის სახელი თეთრ ლობიოსთან ერთად ამოვიდოდა ვაზიდან.

არეოპაგი, რომელიც შესდგებოდა ძველ არხონტებისაგან, არესის გორაზე იკრიბებოდა. პელოპონეზის ომიანობის დროს არეოპაგმა დაჰკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა; მაგრამ ათინის აღების შემდეგ ისევ დაიბრუნა ძველი გავლენა. არეოპაგი არსებობდა რომაელების გაბატონების შემდეგაც.

ჰელიასტები ჯერ ფიცს მიიღებდნენ და შემდეგ მოსამართლეობდნენ აგორასთან მდებარე სასამართლოებში. სასამართლოში შესვლისას ჰელიასტი იღებდა პატარა მარკას და საქმის გათავების შემდეგ ამ მარკის მაგიერ იღებდა სამ ობოლს. არისტოფანე მწარედ დასცინის ჰელიასტებს ერთს თავის კომედიაში, მაგრამ თან ბევრ საინტერესო ცნობას იძლევა ამ დაწესებულების შესახებ. „მე გეტყვით, თუ რა ავადმყოფობა სჭირს ჩვენ ბატონს, ამბობს ხსენებულ კომედიაში მონა ქსანთიასი; მასავით არავის უყვარს სასამართლო, მოსამართლეობა—აი მისი სათაყვანო საგანი და თუ სასამართლოში პირველ რიგში არ ზის, უბედურია. ღამე თვალს არ მოხუჭავს ან თუ ერთს წუთას მიიძინა, გონება მისი კლეპსიდრისაკენ მიფრინავს. იგი ისე მიჩვეულია საარჩევანო კენჭის ხელში ჭერას, რომ გამოღვიძებისას სამი თითი ისე აქვს გაკეთებული, თითქოს მართლა კენჭი ეჭიროს ხელში. როგორც სასტიკსა და შეუბრალებელ მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლეს მას არასოდეს არ დაავიწყდება გადაწყვეტილების ხაზი გაუსვას და სახლში დაბრუნებისას ფრჩხილები ამოვსებული აქვს თაფლის სანთლით ფუტკარსავით. იმის შიშით, რომ საჭიროების დროს კენჭი არ დააკლდეს, მას სახლი კენჭებით აქვს სავსე. ეს არის მისი სიგიჟე; აქ რჩევა არ გადის; იგი კიდევ უფრო მოსამართლეობს". კლეფსიდრი წყლის საათი იყო, რომელსაც სასამართლოში ხმარობდნენ, რომ თავის დასაცველი სიტყვა განსაზღვრულ დროს არ გადასცილებულიყო. „გადაწყვეტილების ხაზი", რომელსაც მოსამართლე ფრჩხილით გაუსვამდა თაფლის სანთლის პატარა ფიცარზე, მაჩვენებელი იყო იმისი, თუ როდის უნდა გეთავებინა ბრალდებულს თავისი სიტყვა და როდის შესდგომოდნენ მოსამართლეები საქმის გადაწყვეტას.

„თერთმეტი"-ს მოვალეობა იყო საპატიმროების ყურის გდება და სიკვდილით დასჯის სისრულეში მოყვანა.

„ოცდაათი" — ჩვენი დროის მომრიგებელ მოსამართლეს ჩამოჰგავდა. ამათ ერთი ადგილი არ ჰქონიათ სამართლის ქმნისათვის—ისინი გადადიოდნენ ქალაქის ერთი ადგილიდან მეორეზე. ათინში არ იყო არც საგანგებო ბრალმდებელი, არც ადვოკატი. თვითონ მოქალაქენი იყვნენ ერთმანერთის ბრალმდებლები და თავს თვითონვე იცავდნენ. ვისაც არ შეეძლო კარგის სიტყვის თქმა, რომელიმე სახელ-განთქმულ რიტორს მიჰმართავდა და ეს უწერდა შესაფერ სიტყვას. ასეთ რიტორებშორის იყვნენ ისოკრატესი და ლიზიასი. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა რიტორი ორივე მხარეს უწერდა სასამართლოში წარმოსათქმელ სიტყვას. რიტორის ასეთი მდგომარეობა ადვილი არ იყო, მაგრამ ჩვენი დროის ადვოკატებიც კი მოახერხებდნენ სასახელოდ ესარგებლნათ მითი.

5. **სამხედრო სამსახური.** ათინაში ყოველი მოქალაქე ჯარის კაცი იყო 18 წლიდან 50-მდე; მაგრამ ნამდვილ სამსახურისათვის იწვევდნენ ჩვეულებრივ ახალგაზდებს. ჯარის უფროსები იყვნენ სტრატეგები; სტრატეგებს ირჩევდა ხალხი; მათი რიცხვი ათი იყო, მაგრამ ჯარში ორი ან სამი ასრულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავის მოვალეობას. ხანდახან, როცა თემი მეტად საშიშ მდგომარეობაში იყო ან საჭირო იყო სტრატეგებ შორის არსებულ შურის მოსპობა, ირჩევდნენ ერთ სტრატეგს. სტრატეგები მთავრობის ნამდვილი მეთაურები შეიქნენ მას შემდეგ, რაც ომიანობა გახშირდა და მათი სამსახური ყოველ დღიურ საჭიროებად გადაიქცა.

ჰოპლიტები იყვნენ ბერძენთა ჯარის უმთავრესი ძალა; ეს მძიმედ შეიარაღებული ინფანტერია (ქვეითა ჯარი) იყო ომის ბედის გადამწყვეტი. ჰოპლიტი ატარებდა ბრინჯაოს აბჯარს, მოკლე შუბს, მოკლე ხმალსა და დიდ ფარს; შემდეგ აბჯარის მაგიერ ატარებდნენ ტყავის ან კანაფის პერანგს (ხირლა), რომელსაც აცმული ჰქონდა ლითონის ბალთები.

პელტასტები მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითა ჯარს შეადგენდნენ; სახელი პელტასტი წარმოსდგა ტყავ გადაკრულ ფარის სახელისაგან—პელტა.

იყო კიდევ სხვა მსუბუქად შეიარაღებული ჯარები და კავალერიაც (ცხენოსანი ჯარი), რომელიც უმთავრეს ჯარის ორივე მხარეზე მოქმედებდა.

გარდა ხმლისა ბერძენ ჯარის კაცს ჰქონდა კიდევ შემდეგი იარაღები: სხვა და სხვა გვარი შუბი, შვილდისარი (კრეტელები იყვნენ განთქმული მეშვილდისრენი) და შურდული, რომელიც სპარსელებთან ომიანობის შემდეგ შემოიღეს.

6. ფლოტი. ბერძნები ძველადაც იყვნენ და ეხლაც შესანიშნავი მეზღვეურები არიან. მეზღვეურობა პირველად ფინიკიელებისაგან ისწავლეს ბერძნებმა, მაგრამ მალე მასწავლებლებს აჯობეს. ბერძენთა შორის პირველი მეზღვეურები ათინელები იყვნენ. ათინამ შექმნა პირეა, მაგრამ პირეა იყო ძიზეზი ათინის სიდიადისა. თემისტოკლედან დაწყებული ეგოს-პატამოსის ბრძოლამდე ათინის ფლოტი 300-400 გემს უდრიდა. გემების ეკიპაჟი შესდგებოდა მეზღვეურ ჯარის კაცებისაგან, ნიჩბის მომსმელებისა და მატროსებისაგან. გემი სხვა და სხვა ნაირი იყო—ტრირემა, ქვადრირემა, ქვინქვერემა: სამი წყება ნიჩბის მომსმელებისა ერთი მეორეს ზევით, ოთხი წყება, ხუთი წყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ათ და თხუთმეტ წყებამდე ავიდნენ. მაგრამ ამ კითხვის შესახებ ცოტა რამ ვიცით: არ ვიცით, მაგალითად, როგორ იყო მომართული ეს წყებები ერთი ერთმანერთზე, და, მგონი, არც გვეცოდინოს.

საძხედრო ფლოტის მიზეზით ათინაში შემოღებული იყო **ტრიერარხია**, მეტად-მნიშვნელოვანი **ლიტურგია** ან გადასახადი, შეძლებულ მოქალაქეებზე გაწერილი. საჭიროების მიხედვით შეძლებულ მოქალაქეთ ავალებდნენ ტრიერარქობას, ე. ი. იმდენ ფულის გამოღებას, რამდენიც საჭიროა ერთის ტრირემის მოწყობა-შენახვისათვის. ტრიერარხია, როგორც ვხედავთ, მეტად მძიმე მოვალეობა იყო მოქალაქისათვის; ამიტომაც ათინაში მალე იჩინა თავი ერთმა კომბინაციამ, რომელიც კანონიერად ითვლებოდა და რომელსაც **ანტიდოზისი** ან ქონების გაცვლა ერქვა. როდესაც ტრიერარქად დანიშნული მოქალაქე ჰფიქრობდა, რომ მას უსამართლოდ არგუნეს ეს მოვალეობა, რადგან მეორე მოქალაქე მაზე მდიდარი ივო, მას უფლება ჰქონდა ტრიერარქობა უფრო მდიდრისათვის გადაეცა. მაგრამ თუ ეს უარზე დადგებოდა, მაშინ პირველი წინადადებას იძლეოდა ქონების გაცვლის შესახებ. დემსთენე ჩავარდა ერთხელ ასეთ უცნაურ მდგომარეობაში.

7. ბერძნების სარწმუნოება და ქურუმები. სარწმუნოებას დიდი ადგილი ეკავა ძველ ბერძნის ცხოვრებაში. არ იყო ისეთი აკტი მის ცხოვრებაში, რომ იქ სარწმუნოებას ადგილი არ ჰქონებოდა. რელიგია მისდევდა მას ჯარში, მოგზაურობაში, დღესასწაულებზე და თეატრშიაც კი.

ათინაში ქურუმობა შეეძლო მხოლოდ სრულ უფლებიან მოქალაქეს. ზოგიერთი ქურუმი უცოლშვილო უნდა ყოფილიყო; დანარჩენებს კი ცოლის შერთვის უფლება ჰქონდათ. ზოგი საქურუმო თანამდებობა უძველეს დროიდან ერთ გვარში იყო მემკვიდრეობით, ზოგი საარჩევანო იყო და ზოგიც იყიდებოდა. იყვნენ ქურუმი ქილებიც. ქურუმები ჩვეულებრივ გრძელ თეთრ ტანისამოსს ატარებდნენ; ათინის ჰიეროფანტს კი წითელი ტანისამოსი ჰქონდა; ასევე იცვამდნენ ევ-

მენიდების ქურუმი ქალები. მთავარ-ქურუმებს თანაშემწეები ჰყავდათ; ესენი ყურს უგდებდნენ ტაძრებს და ზრუნავდნენ მათზე. არისტოფანეს, რომელიც ყველაფერს დასცინის, არ დავიწყებია ქურუმებიც თავის კომიკურ გალერეაში. „ძილი არ შეგეძლო, ამბობს ერთის კომედიის მონ.-კარიონი, როცა მთავარ-ქურუმის თანაშემწე მიამბობდა, თუ როგორ გაატარეს ღამე ესკულაპის ტაძარში: მე ყურადღება მივაქციე ფაფით სავსე ქვაბს და საშინელი სურვილი მქონდა ახლო მივპარულიყავ. მაგრამ ავიღე თავი თუ არა, დავინახე, რომ ქურუმი წმინდა სუფრაზე დალაგებულ ქადებსა და ინდის ხურმას იტაცებდა; შემდეგ შემოუარა საკურთხეველზე დალაგებულ დანარჩენ ქადებს, აკურთხა და პატარა ტომარაში უკრა თავი. მე გადავსწყვიტე მიმებაძა ასეთ წმინდა მაგალითისათვის და პირდაპირ ფაფიან ქვაბისაკენ გავსწიე“.—უბედურო, მიაძახა მასთან მოსაუბრე ქალმა კარიონს, ღმერთის აღარ შეგეშინდა? მონა ურცხვად აძლევს შემდეგ პასუხს: „როგორ არა! მე მეშინოდა, რომ ღმერთს არ მიესწრო ჩემთვის ქვაბამდე. როგორიც ქურუმი, ისეთი ღმერთი იქნება მეთქი, ვამბობდი გუნებაში“.

8. მსხვერპლი და ლოცვა. მსხვერპლი ორგვარი იყო: 1) უსისხლო—მიწის ნაყოფი, ღვინო და ქადები და 2) საკლავები—ლორი დემეტრას, თხა ბახუსს და სხვ. უაღრესი ღმერთები თეთრ მსხვერპლს თხოულობდნენ; მიწისა და ზღვის ღმერთები შავს. ლოცვის დაწყებამდე მლოცველი უნდა განწმენდილიყო; ამ მიზნისათვის იყო, რომ ტაძრების შესავალში იდგა წყლის ჭურჭლები, სადაც განსაწმენდელი წყალი იდგა. ამგვარ განწმენდას ადგილი ჰქონდა ბერძნის ცხოვრების თითქმის ყოველ აკტში. განწმენდა შეიძლებოდა აგრეთვე ცეცხლითა და კვამლით. ლოცვა მოკლე და წინდაწინვე განსაზღვრული იყო ძველის ფორმულით. ბერძენი ლოცვის დროს ფეხზე იდგა. მუხლის მოყრა და მიწაზე განრთხმა აღმოსავლეთის ჩვეულებაა.

9. საბერძნეთის დღესასწაულები. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი საბერძნეთის ოთხ უდიდეს დღესასწაულზე. ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ საბერძნეთისათვის საერთო იყვნენ; ყოველ ბერძენს, რომელსაც კი ვისიმე სიკვდილი ან ღვთის გმობა არ ედო ბრალად და სრულ უფლებიანი მოქალაქე იყო, შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ დღესასწაულებში. თამაშობაში გამარჯვებულთ აქ საგანგებო პატივსა სცემდნენ: ოლიმპიაში, რომაელების გავლის შემდეგაც კი, ორასზე მეტი ბრინჯაოს ძეგლი გამარჯვებულებისა ამშვენებდა ქუჩებსა და მეიდნებს.

თამაშობა, ოლიმპიაში მაინც, სირბილით იწყებოდა; შემდეგში კი მოცილენი გადახტომით იწყებდნენ და განაგრძობდნენ შუბისა და დისკოს (რკინის რგოლი) სროლით, სირბილით და ათავებდნენ ჭიდაობით. ვინც ყველა ხუთ გამოცდიდან გამარჯვებული გამოდიოდა პენტათლონის გამარჯვებულს ეძახდნენ. სირბილში მოცილეთ უნდა გაერბინათ ორ ვერსტზე მეტი. გადამხტომს გრძელი კეტი უნდა სჭეროდა ხელში. საუკეთესო გადამხტომი ფაილოს კროტონელი 15 მეტრზე მეტი გადამხტარა და ეს სამაგალითოდ ითვლებოდა. შუბის სროლა ბევრ ახსნას არ თხოულობს; აგრეთვე დისკოს სროლაც—იღებდნენ ძრიელ მძიმე რკინის რგოლს და სცდილობდნენ რაც შეიძლება შორ გადაესროლათ. ჭიდაობა უფრო ადვილი გასაგებია ჩვენთვის, ჯერ კიდევ არსებობს იგი ჩვენში. ერთ დროს კრივი და ჭიდაობა შეაერთეს ერთად და გამოვიდა ეგრედ წოდებული პანკრატიონი, რომლის დროსაც მებრძოლნი შეუბრალებლად სცემდნენ ერთმანერთს ტყვიის ლურსმებით შეიარაღებულ ხელთათმანიან მუშტებს.

ოლიმპიაშივე იყო ეტლებისა და ცხენების დოღი; ეხლანდელი დოღი აჩრდილილაა ამ ძველ დოღისა. ბერძნებს მეტად უყვარდათ ეს სპორტი, რომელიც ხშირად ძალიან საშიში იყო, განსაკუთრებით ეტლების დოღი.

10. თემების კერძო დღესასწაულები. ყოველ თემს თავისი კერძო დღესასწაული ჰქონდა; მაგალითად ათინაში პანათინელი, ელევზინისა და დონისოსის დღესასწაულები. პანათინელი დღესასწაული მოდიოდა შუა ივლისში. იგი შესდგებოდა მსხვერპლების შეწირვისა და ყოველგვარ თამაშობი-

საგან. დღეობის უკანასკნელ დღეს მართავდნენ ხოლმე თეთრად გამოწყობილ ათინელ ქალიშვილების პროცესიას.

ელევზინის დღეობა (სექტემბერში) აერთებდა ელევზისა და ათინას. სადღესასწაულო პროცესია მიდიოდა ათინიდან ელევზისში, სადაც ეგრედ წოდებულ ელევზინის საიდუმლოს ზიარს ხდიდნენ პროცესიაში მონაწილეთ. მხოლოდ მეცხრე დღეს შეეძლო დაბრუნებულიყო ათინაში საიდუმლოს მოზიარედ გამხდარი.

დიონისის დღეობა ბახუსის პატივსაცემლად სამი იყო. ამ დღესასწაულიდან წარმოსდგა, როგორც ნათქვამი გვქონდა, ბერძნული დრამა.

11. თეატრი. თავდაპირველად ბერძნული თეატრი მეტად მარტივი იყო: სულ უბრალო ფარდული, რომელსაც წარმოდგენის შემდეგ აიღებდნენ ხოლმე, მაგრამ თეატრმა მალე ისე დიდი ადგილი დაიკავა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ათინაში, რომ ძველი სიმარტივე მალე დაიკარგა— დაიწყეს მდიდრულისა და მიზნის შესაფერ შენობების აგება.

ბერძნებმა იცოდნენ ადგილის მდებარეობისა და წყობილების გამოყენება. მაყურებლების ადგილები ჩვეულებრივ სერზე იყო გამართული და, თუ შესაძლებელი იყო, კლდეში გამოჭრილი. ამ ადგილების პირდაპირ სწორი ადგილი იყო— აქ თავდაპირველად იმართებოდა ხოროს ცეკვა დიონისის პატივსაცემლად; ამ ადგილს ერქვა **ორკესტრი**; როცა ძველ დრამაში ხოროს აქტიორები მიემატა, მათთვის მოძრავი სცენა გააკეთეს, რომლის მაგიერ მალე ქვის სცენა ააშენეს. პირველი თეატრი ათინაში ამ ფვარად აშენებული დიონისის თეატრი იყო.

ბერძნული თეატრი გაშლილ ჰაერზე იყო: იქ თავისუფლად ისხდნენ და ადვილი იყო ადგილის პოვნა და სურვილისამებრ გამოსვლა. დიონისის თეატრში პირველ რიგში, სადაც ორკესტრის ადგილი იწყებოდა, გამართული იყო რამდენიმე საპატიო საჯდომი მარმარილოსაგან. ორკესტრი, რომელიც ხოროს სასიარულო ადგილი იყო, უერთდებოდა სცენას კიბით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ სცენა თავდებოდა კედლით, რომელსაც რამდენიმე კარი ჰქონდა. იმ ადგილას, სადაც აქტიორები თამაშობდნენ, პროსცენიუმი ერქვა.

ქალები არ გამოდიოდნენ საბერძნეთში სცენაზე; აქტიორები ატარებდნენ ნიღაბს (მასკას), რომელიც პირველ ხანებში ხის ფოთლებისა და კანისაგან კეთდებოდა და შემდეგ დახატულ ტილოსაგან. აქტიორის სახის უმოძრაობა, რაც ჩვენთვის საოცარი იქნებოდა, სრულებით არ აკვირვებდა ბერძნებს, რადგან მიჩვეული იყვნენ. სიმაღლისათვის აქტიორები კოტურნებით (მაღალი ქოში) დადიოდნენ სცენაზე.

დეკორაცია ძველად მეტად მარტივი იყო; სამაგიეროდ მაშინისტის ხელოვნება კარგა განვითარებული უნდა ყოფილიყო—ღმერთების ჰაერში ასვლა და იქიდან ძირს ჩამოსვლა ადვილი მოსახერხებელი არ არის.

თ ა ვ ი მე-XXII-ე

მოქალაქის კერძო ცხოვრება საბერძნეთში, განსაკუთრებით ათინაში*).

სარჩევი 1. ბერძნული ოჯახი.—2. ოჯახის ცხოვრება.—3. ბავშვის ძირვლი აღზრდა.—4. საბერძნეთის სკოლები: პალესტრა და გიმნაზია.—5. ეფებოსები ათინაში.—6. მონები.—7. კერძო სახლები.—8. ავეჯი.—9. ჭურჭლეულობა.—10. ტანისამოსი.—11. პურის ჭამა.—12. მოგზაურობა და სტუმართ-მოყვარეობა.—13. მკურნალობა.—14. სიკვდილი და დასაფლავება.

1. **ბერძნული ოჯახი.** ძველი ბერძნული ოჯახი როგორც ბუნებრივი, ისე რელიგიური კავშირიც იყო. ქორწინების დანიშნულება იყო საოჯახო კერას განგრძობა და ამ კერასთან წინაპართ სულებისათვის მსხვერპლის შეწირვა. ამიტომაც იყო,

*) ბიბლიოგრაფია—წინა თავში ნაჩვენები ავტორები. კულანჟი და იალონის „მონობის ისტორია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უცოლშვილო კაცს ცუდის თვალით უყურებდნენ ძველ საბერძნეთში; ზოგიერთ უფრო სასტიკ თუ სამართლიან თემში კი სასჯელიც მოელოდა ამისთანა პირს. ქორწინება ჩვეულებრივ ერთ და იმავე თემის შვილთა შორის ხდებოდა. ქორწინებას წინ უსწრობდა ნიშნობა. საზოგადოდ კანონიერი დაქორწინება შესდგებოდა სამის აკტისაგან: პირველი აკტი უნდა მოხდარიყო სადედოფლოს მამის კერასთან, მეორე აკტი იყო გადასვლა მამის კერიდან საქრმოს კერასთან და მესამეც საქმროს კერასთან. ეს უკანასკნელი უფრო სიმპატიური იყო: საქმროს მამა ყვავილების გვირგვინით კარებთან შეხვდებოდა სასძლოს და სახლში მიიღებდა, თან ფლეიტა უკრავდა და საქორწილო სიმღერები გაისმოდა. მეორე დღეს მოდიოდნენ ნათესავები და მეგობრები და საქორწილო საჩუქრები მოჰქონდათ. ეს უკანასკნელი ჩვეულება ისეთთაგანია, რომელსაც ადვილად ვერ ივიწყებს ხალხი.

2. ოჯახის ცხოვრება. ქსენოფონის ერთ თხზულებაში, რომელსაც ეკონომია ჰქვია, სხვათა შორის მოყვანილია ახალგაზდა ცოლქმრის საუბარი. ისომახოსი, კაცი გონიერი და გულკეთილი, წვრთნის თავის ახალგაზდა მეუღლეს. „საჭიროა ვიცოდეთ ჩვენ ჩვენი მოვალეობა, რომელიც ღვთაებას დაუდვია ჩვენზე, და რაც შეიძლება უკეთ შევასრულოთ იგი. კანონი, რომელიც აერთებს კაცსა და ქალს, ამტკიცებს ღვთაების ამ განზრახვას. თუ ღვთაება აერთებს კაცსა და ქალს ჩამომავლობისათვის, კანონი აერთებს მათ ოჯახობისათვის. ქალს უფრო შეჰფერის სახლში დარჩენა, ვიდრე მუდამ გარეთ ყოფნა, კაცისთვის კი სირცხვილია სახლში იჯდეს და არ ზრუნავდეს საქმეებისთვის გარეთ. თუ კაცი ღვთაების განზრახვის წინააღმდეგ იქცევა, ეს უწესობა არ გამოეპარება ღმერთებს, და იგი დასჯილი იქნება თავის მოვალეობის არაფრად ჩაგდებისათვის ან ქალის საქმის შესრულებისათვის!“

ახალგაზდა ქმარი განაგრძობს ამ გვარად ახალგაზდა ცოლის ჭკუის სწავლებას, ცოლი კი ყურადღებითა და ღიმილით უსმენს მას, ხანდახან გულუბრყვილო კითხვებსაც იძლევა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ კითხვებიდან სჩანს, რომ თუმც მას კარგი განზრახვები აქვს, ჯერ იგი სრულებით გამოუცდელია. ამ სასიამოვნო და ცოცხალ დიალოგის წაკითხვის შემდეგ სურვილი გებადება, რომ ყოველი ათინელი ტოლ-ქმარი ისომახოსისა და მისი ცოლის მსგავსი იყოს. მაგრამ ნამდვილად კი ეგრე არ ყოფილა, და არისტოფანემ, ამ შეუბრალებელმა მწერალმა, დაგვიტოვა სურათი სულ სხვა გვარ ოჯახისა. ისომახოსი ურჩევს თავის ცოლს დარჩეს ჰინაიკიონში (სახლის საქალებო განყოფილება), და თვითონ ეს რჩევა ამტკიცებს, რომ ათინელი ქალები ხშირად გამოდიოდნენ ხოლმე სახლიდან. დორიელების თემებში, განსაკუთრებით სპარტაში, ქალებს მეტი თავისუფლება ჰქონდათ. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ლარიბის ცოლი ცხოვრობდა ისე, როგორც ჩვენ დროს სცხოვრობს— დილიდან საღამომდე საოჯახო მუშაობაში იყო გართული. ქსენოფონის ისომახოსი, რომელიც შეძლებულ კაცად სჩანს, საკმაოდ ძნელ საქმეს ავალებს თავის ცოლს. „მე ვურჩიე ცოლსო, ეუბნება ისომახოსი სოკრატეს, ნუ იქნება მონასავით ერთ ადგილას დამჯდარი, არამედ, როგორც კარგი დიასახლისი, ფეხზე უნდა იდგეს საქსოვის წინ, ასწავლოს, რაც კარგად იცის, ისწავლოს, რაც ნაკლებად იცის, ყური უგდოს პურის ცხობას. ჩემის აზრით, ყველა ეს ოჯახის ყურის-გდებაც იქნება და სეირნობაც. მე მას ვუთხარი, რომ კარგი ვარჯიშობა იქნება მისთვის პურის მოზელა და ტანისამოსის გაბერტყა-გასუფთავება—ასეთ შრომის შემდეგ იგი მეტის სიამოვნებით სჭამს პურს, უფრო საღი იქნება და ფერიც კარგი ექნება“. ქსოვა და მონების ყურის გდება ძნელი მოვალეობა არ არის, რაც შეეხება პურის ზელასა და ცხობას, ისომახოსი ბევრს თხოულობდა შეძლებულ ათინელ დიასახლისისაგან.

3. ბავშვის პირველი აღზრდა. დაბადებისათანავე ბავშვს გაბანდნენ და სახვევებში გაახვევდნენ (სპარტაში არა). მეხუთე დღემდე მამას უფლება ჰქონდა მიეღო ან უარ-ეყო ბავშვი: შეორე ბედი უფრო ხშირად ქალებს ეწვევოდათ ხოლმე. როცა მამა ბავშვს მიიღებდა, კერასთან სადღესასწაულო ცერემონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მომხდარიყო. ძიძა ბავშვით ხელში სირბილით შემოუვლიდა სახლის საკურთხეველს, მშობლები უკან მიჰყვებოდნენ. შემდეგ გაიმართებოდა ნადიმი. სახლის კარებზე ზეთის ხილის ფოთლების გვირგვინი იყო მიკრული, თუ ახლად შექმნილი ვაჟი იყო, და თუ ქალი, ტილოს ნაჭერი. მეათე დღეს ბავშვს სახელს დაარქმევდნენ. მდიდარ ოჯახში ძიძად ლაკონელი ქალი ჰყავდათ ჩვეულებრივ. ექვს წლამდე ბავშვი ჰინაიკიონში იყო. ამ დროიდან კი იგი იწყებდა სკოლაში სიარულს. არისტოფანეს ერთ თავის კომედიაში აწერილი აქვს ათინელ ბავშვის ძველი აღზრდა. „მე გეტყვით, თუ როგორი იყო ძველი აღზრდა, როცა მე სამართალს ვასწავლიდი და თავმდაბლობას პატივს ვცემდნენ. პირველად ყოვლისა ბავშვისაგან ერთ სიტყვას ვერ გაიგონებდი. ქუჩაში, როცა მუსიკის სკოლაში მიდიოდნენ, ერთი უბნის ბავშვები მწყობრად ჩამწკრივებული მიდიოდნენ, თუნდ დიდი თოვლიც ყოფილიყოს. მასწავლებელთან ისინი სწავლობდნენ სიმღერას „საშინელი პალადა, რომელიც ანგრევს ქალაქებს“ ან „ხმა მოისმა შორიდან“ და ეს სწავლება დინჯ ანტიურ ჰარმონიის სწავლება იყო. თუ რომელიმე ეშმაკობას გაბედავდა ან რბილად და ნაზად იმღერებდა, მუზების მტრად გამოაცხადებდნენ და სცემდნენ.“

4. **საბერძნეთის სკოლები. ბალესტრა და გიმნაზია.** სკოლას, ათინაში მაინც, არავითარი ოფიციალური ხასიათი არ ჰქონდა და სწავლება თავისუფალი იყო. სკოლაში ბავშვები სწავლობდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, მუსიკასა და გიმნასტიკას. სწერდნენ თაფლის სანთლის პატარა ფიცრებზე ლითონის ან სპილოს ძვლის ჯოხით (stqlon). ჰეროდოტეს დროიდან ხმარებაში შემოვიდა ქაღალდისებური მასალა, რომელსაც ეგვიპტის პაპირუსისაგან აკეთებდნენ; სწერდნენ აგრეთვე ტყავზედაც. მაგრამ ტყავის საწერად შემზადება დაიწყეს მხოლოდ მეორე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე, პერგამოსის მეფის ევმენოს მეორეს დროს; აქედან წარმოსდგა სახელი ამ ქაღალდისა — პერგამენტი. მუსიკას დიდი ადგილი ეკავა აღზრდაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც საზოგადოდ ბერძნის ცხოვრებაში*). რაც შეეხება გიმნასტიკას, რომელსაც ეხლა ასე ცოტა ყურადღებას აქცევენ, ბერძნების ცხოვრებაში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ბერძენი დიდი მოტრფიალე იყო ფიზიკურ სილამაზისა და სხეულის ჰარმონიულ განვითარებისა. ორგვარი დაწესებულება იყო, სადაც ახალგაზდობას გიმნასტიკას ასწავლიდნენ—პალესტრა, რომელსაც რომელიმე ცნობილი ატლეტი ინახავდა, და გიმნაზია—საზოგადო დაწესებულება, სადაც მხოლოდ მოზრდილებს იღებდნენ. ათინაში განთქმული გიმნაზიები იყო—ლიკეიონი, კინოსარგესი და აკადემია.

5. ეფებოსები ათინაში. თუ ათინა ისეთ სასტიკ ყურადღებას არ აქცევდა ბავშვების აღზრდას, როგორც სპარტა, სამაგიეროთ არ სტოვებდა ახალგაზდას უყურადღებოდ, როცა იგი განსაზღვრულ ასაკის შეიქნებოდა. 18 წლის ათინელი როდი იყო სრულებით თავისუფალი: ჯერ კიდევ სასწავლო ჰქონდა მას, ჯერ კიდევ უნდა ეშრომნა; ამ ასაკში იგი ხდებოდა ეგრედ წოდებული ეფებოსი და ორის წლის განმავლობაში სამხედრო აღზრდა უნდა მიეღო. ცნობები ეფებოსების შესახებ ჩვენ წარწერებიდან ვიცით და გარდა ათინისა სხვაგანაც იყო ეს ჩვეულება, რასაც, რასაკვირველია, თავისი გავლენა ჰქონდა ბერძენთა ტომის ფიზიკურსა და გონებრივ განვითარებაზე.

6. მონები. რომ მონები არა, საბერძნეთის თემი, ისე როგორც იგი იყო მოწყობილი, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. მონობის არსებობით აიხსნება ის გარემოება, რომ ღარიბ მოქალაქესაც კი შეეძლო მთელი დღე გაეტარებინა აგორაზე ან სასამართლოში. ბერძნული მონები უეჭველად ისეთივე საქმიანები იყვნენ, როგორც ეხლა ინდოელი და ანამელი ბავშვებია, რომელნიც აღმოსავლეთის სახლებში ფუსფუსებენ და

*) ჩვენამდე ძალიან ცოტას მოუღწევია ძველ ბერძნულ მუსიკიდან. დელფის გათხრის დროს 1894 წელს იპოვეს „აპოლონის ჰიმნი“, რომელიც თითქმის სავსებით აღადგინეს და პარიზში შეასრულეს.

ОНЛАЙН-ЧИТАЛЬНЯ
ЗНАЙ-ПОРОШО